4. *Échos de la Conférence de La Haye, par le Prince Arfa-ud-Dovleh, Mirza Riza Khan Daniche,* Ambassadeur de Perse à Constantinople, Ex-Envoye Extraordinaire et Ministre Plénipotentiare à St. Pétersbourg, Adaptation en vers français de l'original persan, Bruxelles, 1903.
5. *Gowhar-e Khavari,* Constantinople (Istanbul), 1903 (repr. 1907, 1909).
6. *Iran-e diruz (Khaterat-e Perens Arfa'),* Tehran, 1345/1966 (Tehran, 1354/1975).
7. *Khaterat-e Perens Arfa',* be kushesh-e 'Ali Dehbashi, Tehran, 1378/1999.
8. *Manzume-ye Solh va Ra'i-ye Danesh,* Istanbul, 1903.

---

brummagem palace". Brayley Hodgetts ironically describes the consulate as brummagem ("cheap, showy, or counterfeit" derived from a dialect word for Birmingham, famous in the 18th-19th century for manufacturing cheap imitations of luxury goods). He also writes that Mirza Reza Khan was at the time eager to marry the famous American primadonna Nikita, whom he had met in Tbilisi during a concert tour. See further: E. A. Brayley Hodgetts, *Round about Armenia: The Record of a Journey across the Balkans through Turkey, the Caucasus, and Persia in 1895*, London, 1896, 56. See also: Muntakhabi Daniche de Mirza-Riza-Khan, tr. par L. de Jervis, Тифлис, 46-52.

9. *Masnavi-ye Tul-e 'Omr-e Tabi'i-ye Ensan (Secret de longévite),* Istanbul, 1320/1903 (Tehran, 1314 sh./1935).
10. *Mémoires de Mirza-Riza-Khan Daniche, Aide de camp general de Sa Majeste Imperiale Le Schah de Perse,* Tiflis, 1893.
11. *Mémoires de Mirza-Riza-Khan Daniche, Arfa-ud-Dovleh,* St. Petersburg, 1900.
12. "Memoirs of Prince Arfa", *in: Sakartvelo qajarta periodis sparsul tsqaroebshi (samogzauro da memuaruli literatura),* krebuli sheadgina, tekstebi sparsulidan targmna, shesavali tserili da komentarebi daurto Marina Alexidzem, Tbilisi, 2016, 302-340.
13. *Memuary Mirza-Riza-Khana Danish, General-Adyutanta Ego Velichestva Shakha Persidskogo,* Tiflis, 1894.
14. *Muntakhabi Daniche,* Constantinople (Istanbul), 1309/1892.
15. *Muntakhabi Daniche de Mirza-Riza-Khan,* Traduit par L. de Djervis, Tiflis, 1892 (Tiflis, 1894).
16. *Ode à la paix,* Constantinople (Istanbul), 1903.
17. *Paroles en français pour l'hymne national persan,* Tiflis, 1882.
18. *Perles d'Orient, par le Prince Arfa-ud-Dovleh, Mirza Riza Khan Danich, ambassadeur de Perse à Constantinople,* Constantinople (Istanbul), 1904 (Paris, 1905).
19. *Poésie et Art Persans à Monaco (1910-1919),* Monte Carlo, 1919.
20. *Poésies de Prince Mirza-Riza-Khan Daniche Arfa-ud-Dovleh,* St. Pétersbourg, 1900.
21. *Prince Arfa, Memories of a Bygone Age: Qajar Persia and Imperial Russia 1853-1902,* Translated and edited by Michael Noël-Clarke, Gingko Library: London, 2016.
22. *Quelques Lettres,* Stockholm, 1900.
23. *The Prince Who Spoke for Persia: The Memoirs of Arfa in Qajar Iran,* Edited and translated by Michael Noël-Clarke, I.B.Tauris & Co. Ltd (forthcoming).

b) General Bibliography

1. Adle, Ch., "Archéologie et arts du monde iranien, de l`Inde musulmane et du Caucase d`après quelques recherches récentes de terrain, 1984-1995; Peintures géorgiennes et peintures oriental,

Musée Géorgien d'Art Chalva Amiranashvili á Tbilissi", *Comptes Rendus,* Académie des Inscriptions & Belles-lettres, Paris, 1996, 315-376.
2. Adle, Ch., "Kartuli da aghmosavluri pertsera Sh. Amiranashvilis sakhelobis Sakartvelos khelovnebis muzeumshi (gamokvlevebi chatarda A. da An. Grigoliebis, M. Friedmanisa da N. Hoseinis khelshetsqobit)", *Narkvevebi*, Vol. 7, Sh. Amiranashvili State Museum of Arts, Tbilisi, 2001, 94-106.
3. 'Adle, Kh., "Safarname-ye Gorjestan", *Ruzname-ye Sharq,* No. 1284, Tehran, 1390/2011, 20 (http://www.magiran.com/npview.asp?ID=2309440); No. 1301, Tehran, 1390/2011, 20 (http:// www.magiran.com/npview.asp?ID=2322589).
4. 'Alavi Razavi, Abu al-Hasan, *Rejal-e 'asr-e Mashrutiyat,* be-kushesh-e Habib Yaghma'i va Iraj Afshar, Tehran, 1363/1984, 21, 26.
5. Alexidze, M., "Persians in Georgia (1801-1921)", *Journal of Persianate Studies,* Vol. 1, No.2, Brill: Leiden & Boston, 2008, 254-260.
6. Alexidze, M., *Sparselebi da sparsuli kultura XIX saukunis Sakartveloshi,* Tbilisi, 2009.
7. Alexidze, M., "Le cheikh Sana'an et Tiflis/Tbilissi", *La Géorgie entre Perse et Europe,* Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, Paris, 2009, 73-85.
8. Alexidze, M., *Georgia and the Muslim East in the Nineteenth Century: Studies in the History of Culture, Religion, and Life,* Tbilisi, 2011.
9. Alexidze, M., "Mirza Reza Khan Arfa' ad-Doules "almasis sasakhle" Tbilisshi", *Aghmosavletmtsodneoba,* No. 2, Tbilisi, 2013, 140-145.
10. Alexidze, M., "Mirza Reza Khan Arfa' ad-Doule da misi mogonebebi", *Sakartvelo qajarta periodis sparsul tsqaroebshi (samogzauro da memuaruli literatura),* krebuli sheadgina, tekstebi sparsulidan targmna, shesavali tserili da komentarebi daurto Marina Alexidzem, Tbilisi, 2016, 299-301.
11. Alexidze, M., Beradze, G., Koshoridze, I., "Diplomatia, arkitektura da poezia: Mirza Reza Khan Arfa' ad-Doule da Sakartvelo", Paper presented at the Scientific Conference *The Near East and Georgia*

held on 16-17 December 2016 in the G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University, Tbilisi.
12. Alexidze, M., Beradze, G., Koshoridze, I., *Arfa‘ ad-Doule da Sakartvelo,* Tbilisi, 2017.
13. Alexidze, M., Beradze, G., Koshoridze, I., *Arfa‘ ad-Dowle and Georgia,* The English text translated by Manana Odisheli and edited by Michael Vickers, Tbilisi: Artanuji Publishing, 2017.
14. Algar, H., "Malkum Khan, Akhundzada and the Proposed Reform of the Arabic Alphabet", *Middle Eastern Studies,* Vol. 5, No. 2, 1969, 116-130.
15. Algar, H., Mirza *Malkum Khan: A Biographical Study in Iranian Modernism,* University of California Press, Berkeley and Los Angeles, 1973.
16. Amanat, A., "Amin-al-Soltan, Aqa Ebrahim (d. 1300/1882-83)", *Encyclopaedia Iranica,* ed. Ehsan Yarshater, Vol. I, Fasc. 9, New York, 1989, 949-951.
17. "An Album of Official Correspondence of Mirza Reza Khan Arfa‘ al-Dawla (Dated AH 1300/1883-84 AD)", *Christie's,* The Saeed Motamed Collection – Part I, 22 April 2013, London, South Kensington, Sale 8652, Lot 231 (http://www.christies.com/lotfinder/Lot/an-album-of-official-correspondence-of-mirza-5671400-details.aspx).
18. ‘Aqeli, B., *Sharh-e hal-e rejal-e siyasi va nezami-ye mo‘aser-e Iran,* Vol. I, Tehran, 1380/2001.
19. Arfa, General Hassan, *Under Five Shahs,* London: John Murray, 1964 (New York: William Morrow & Co., 1965).
20. Arfa‘, Hasan, *Dar zamane-ye panj shah,* tarjome-ye Mani Salehi ‘Alameh, Tehran: Nashr-e Mahi, 1396/2017.
21. "A Royal Qajar firman of Naser ad-Din Shah to Mo‘tamed as-Soltan Reza Khan (Persia, dated 1303 AH/1886 AD)", *Sotheby's,* ARTS OF THE ISLAMIC WORLD, 03 October 2012, Lot 6 (http://www.sothebys.com/en/auctions/ecatalogue/2012/arts-of-the-islamic-world-2012/lot.61.html).
22. *Asar-e Aferinan: Zendegani-ye nam-avaran-e farhangi-ye Iran az aghaz ta sal-e 1300 hejri-ye shamsi,* ed. Mohammad Reza Nasiri, Vol. I, Tehran, 1384/2005, 232-233.

23. Azimi, F., "Arfaʿ, Ḥasan", *Encyclopaedia Iranica, ed. Ehsan Yarshater,* Vol. II, Fasc. 4, New York, 1986, 394-395.
24. Bamdad, M., *Sharh-e hal-e rejal-e Iran dar qarn-e 12 va 13 va 14 hejri,* Vol. I, Tehran, 1347/1968; Vol. II, Tehran, 1347/1968; Vol. IV, Tehran, 1347/1968.
25. Bastani Parizi, M. E., "Az Marv ta Monaco", *Rahnema-ye Ketab,* Zamime-ye shomareha-ye 10, 11 va 12-e jeld-e panzdahom, Tehran, 1351/1972, 1-52.
26. Bastani Parizi, M. E., *Ezhdeha-ye haft-sar (Rah-e abrisham),* Tehran, 1353/1974 (repr. 1395/2016).
27. Beradze, G., "Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shiʿi Tradition", *Journal of Persianate Studies,* Vol. 1, No. 2, Brill: Leiden & Boston, 2008, 206-217.
28. Beradze, G., "Borjomis "Firuze" (sparsuli da arabuli tsartserebi)", Tbilisi, 2012 (unpublished).
29. Beridze, V., *Tbilisis khurotmodzghvreba,* 1801-1917 tsts., Vol. II, Tbilisi, 1963.
30. Bernardini, M., "Hašt Behešt (2)", *Encyclopaedia Iranica,* ed. Ehsan Yarshater, Vol. XII, Fasc. 1, 2003, 49-51 (http://www.iranicaonline.org/articles/hast-behest-2).
31. Bertel's, E. E., "Iz istorii popytok reformy arabskogo alfavita. 1. Mal'kom-khan", *Kul'tura i pis'mennost' Vostoka,* Book III, Baku, 1928, 10-17.
32. Bookwalter J. W., *Siberia and Central Asia,* Springfield, Ohio, 1899.
33. Borqeʿi, S. M. B., *Sokhanvaran-e nami-ye moʿaser-e Iran, V*ol. 2, Qom, 1391/2012.
34. Brayley Hodgetts, E. A., *Round about Armenia: The Record of a Journey across the Balkans through Turkey, the Caucasus, and Persia in 1895,* London, 1896.
35. Calmard, J., "Atabek-e Aʿzam, Amin-al-Soltan", *Encyclopaedia Iranica, ed. Ehsan Yarshater,* Vol. II, Fasc. 8, New York, 1987, 878-890.
36. *Collection de la Villa Ispahan Monte Carlo,* Sotheby Parke Bernet Monaco S.A.: Monte Carlo, 1983.
37. Dehbashi, ʿA., "Moqaddame", in: *Khaterat-e Perens Arfaʿ,* be kushesh-e ʿAli Dehbashi, Tehran, 1378/1999, 7-17.

38. Demurishvili, N., *Muslimuri khurotmodzghvruli dzeglebi Sakartveloshi (Muslimuri arkitekturis ganvitarebis tendentsiebi Sakartveloshi XX-XXI saukuneebis mijnaze),* Tbilisi, 2010.
39. Diba, F., "Arfa: Gained in Translation", *Qajar Studies,* Journal of the International Qajar Studies Association, Vol. 7, Rotterdam/Gronsveld/Santa Barbara/Tehran, 2007, 127-151.
40. Diba, F., "Tabriz in Monaco: More on Prince Arfa's Villa", *The Iranian,* 12 December, 2003 (http://iranian.com/History/2003/December/Danesh/index.html).
41. *Dictionaire biographique international des écrivains,* Publié par Henry Carnoy, Vol. 1-4, Georg Olms Verlag: Hildesheim-Zürich-New York, 1987 (reprint of the 1900-1905 years publication), 146-148 ("Riza Khan, S.A. le Prince Mirza, Daniche – Arfa ul-Dovleh").
42. "Dom Mirza-Riza-khana" (https://ru.wikipedia.org/wiki/Дом_Мирза-Риза-хана).
43. *Dovvomin Safarname-ye Mozaffar ad-Din Shah be Farang,* be-tahrir-e Fakhr al-Molk, Tehran, 1362/1983.
44. Dowlatabadi, Yahya, *Hayat-e Yahya,* 4 vols, Tehran, 1362/1983.
45. Dzhanshiev, G., *Perl Kavkaza (Borzhom-Abastuman). Vpechatleniya i mysli turista,* Moscow, 1900.
46. Elisashvili, Ts., "Almasis sasakhle" – Sparsetis generaluri konsulis satskhovrebeli sakhli", *Liberali,* No. 154, Tbilisi, 2014, 68-71.
47. Eskandari-Qajar, M. M., "Villa Danesh. Mystery solved: Prince Arfa's house in Monte Carlo", *The Iranian,* 21 November, 2003 (http://iranian.com/EskandariQajar/2003/November/Arfa/).
48. Eslami, K., " 'Alā' al-Mulk, Mīrzā Mahmūd Khān", *Encyclopaedia of Islam,* THREE, 2009 (http://static.ribo.brill.semcs.net/entries/encyclopaedia-of-islam-3/ala-al-mulk-mirza-mahmud-khan-COM_23190?s.num=530&s.rows=100&s.start=500&s.q=tei_historiansdate%3A"%28"3rd+century+BC"+OR+"2nd+century+BC"+OR+"1st+century+BC"%29"&s.f.s2_parent_title=Encyclopaedia+of+Islam%2C+THREE&s.orderByNewest=false).
49. E'temad as-Saltane, Mohammad Baqer, "Jenab-e mostatab-e ashraf Perens Arfa' ad-Dowle safir-e kabir", *Sharafat,* No. 56, Jumada I, 1319, Tehran, 1319/1901, 231-234.

50. Eyffinger, A., The 1899 Hague Peace Conference: *"The Parliament of Man, The Federation of the World",* The Hague/London/Boston, 1999.
51. Fragner, Bert G., *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans,* Wiesbaden, 1979.
52. Gengiuri, N., "Persian Consul's Architectural Leftovers in Georgia: Mirza Reza Khan Villa Forouzi in Borjomi", *The Seventh Biennial Convention of the Association for the Study of Persianate Societies (September* 8-11, 2015, *Istanbul, Turkey),* Abstracts, Istanbul, 2015, 58-59.
53. Giunashvili, J., "O persidskikh nadpisyakh Borzhomskoy Firyuzy", *Istochnikovedcheskie razyskaniya,* 1982, Tbilisi, 1985, 244-248.
54. "Gozide-ye asnad", *Ganjine-ye Asnad,* No. 10-11, Tehran, 1372/1993, 107-122.
55. Hasani, 'A., "Rabete-ye jonbesh-e eslah-e khatt ba zamineha-ye fekri-ye Mashrutiyat dar Iran", *Barrasi-ye mabani-ye fekri va ejtema'i-ye Mashrutiyat-e Iran,* Tehran, 1382/2003, 172-191.
56. Hashabeiky, F., *Persian Orthography: Modification or Changeover? (1850-2000),* Stockholm, 2005 (Acta Universitatis Upsaliensis, Studia Iranica Upsaliensia, 7); (http://uu.diva-portal.org/smash/get/ diva2:166375/FULLTEXT01.pdf).
57. Hashemiyan, H., "Shajare-ye khanedan-e Tabataba'i Diba", *Payam-e Baharestan,* Vol. IV, No. 14, Tehran, 1390/2011, 1531-1550.
58. Hedayat, Mehdiqoli Khan, *Khaterat va khatarat,* Tehran, 1344/1965.
59. "Hos Mirza Riza Khan, Persiens Minister vid det Svensk-Norska hofvet", *IDUN,* No. 59 (634), Stockholm, 1899, 1-6.
60. Houshmand, M. J., *Tarikh-e Perens Arfa' Danesh,* ba moqaddame-ye Malek ash-Sho'ara' Bahar, Tehran: Sherkat-e Matba'e-ye Tolu', 1315/1936.
61. Il'nitskaya, O., "Poyavlenie i razvitie dvizheniya za reformirovanie pis'mennosti tyurko-musul'manskikh narodov (vtor. pol. XIX – nach. XX)", *Uchenye zapiski Tavricheskogo natsional'nogo universiteta im. V. I. Vernadskogo,* Seriya "Istoricheskie nauki", Simferopol, 2010, 68-75.
62. *I*nasaridze, T., "Piruza" da Sparsetis konsulis sakhli Chonkadzis kuchaze", *Da kali,* Tbilisi, 2012, No. 9, 88-89.

63. Inasaridze, T., "Dzveli shenobebis saidumlo", *Kviris palitra,* Tbilisi, 2016, No. 2 (1119), 14-15.
64. Inasaridze, T., "Vin tskhovrobda piruzisper sakhlshi – ori shenoba Tbilissa da Borjomshi", *shin.ge,* 04.04, 2017 (http://www.shin.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1179).
65. "Iran – nakhostin pishnehadkonande-ye Esperanto be Jameʿe-ye Melal", *Payam-e Sabzandishan,* Vol. III, No. 7, Tehran, 1383/2004, 5-8 (http://www.espero.ir/revuo/irana_esperantisto_07.pdf).
66. Kacharava, E., *Borjomi,* Tbilisi, 2015.
67. *Khaterat-e Ehtesham as-Saltane,* be-kushesh-e Seyyid Mohammad Mehdi Mousavi, Tehran, 1392/2013, 195-196, 405-407.
68. Khayampur, ʿA., *Farhang-e sokhanvaran,* Vol. I, Tehran, 1368/1989, 331.
69. Korsch, Th., *Mirza-Riza-Khan comme poète et écrivain,* St. Pétersbourg, 1898.
70. Koshoridze, I., "Visual Images of Persian-Georgian Cultural Relations at the Turn of Eighteenth and Nineteenth Centuries", International seminar Qajar Art – *Provenane, Sources and Influances,* Report, Tbilisi, 2005, 41-51.
71. Koshoridze, I., "L'art "Oriental" en Géorgie. Architecture et peintures à l'huile (Époque des Qadjars)", *La Géorgie entre Perse et Europe,* Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, Paris, 2009, 143-154.
72. Koshoridze, I., *Sakartvelo-Iranis kulturul urtiertobata istoriidan. Arkitektura da sakhviti khelovneba, XVI-XIX saukuneebi,* Tbilisi, 2011.
73. "La collection du Prince Arfa", *Rouillac,* 09 May 2017 (https://www.rouillac.com/fr/news-1291-la_collection_du_prince_arfa).
74. "L'Alphabet Ruchdié. – Le Dabestan Danisch", *Revue du Monde Musulman,* Vol. I, No. 3, Paris, 1907, 443-445.
75. Laplace, P., *Les anciennes villas et leurs hôtes à Monaco,* Monaco: Éditions Victor Gadoury, 2015.
76. Lazard, H.-E., D. Riòddá Khãan, *Son altesse le prince Arfa-ud-Dovleh Mirza Riza Khan Danisch et l'opinion publique,* Arlon, Goetz, 1904.
77. Lefèvre-Pontalis, C., *De Tiflis à Persépolis,* Paris, 1894.

78. Machalski, F., *La Litterature de L'Iran Contemporain,* I, La poesie persane de l'epoque du "reveil des Iraniens" jusqu'au coup d'etat de Reza Khan (environ 1880-1921), Wroclaw/Warszawa/Krakow, 1965.
79. Mahbubi Ardakani, H., "Iran-e diruz", *Rahnema-ye ketab,* Vol. 10, No. 5, Tehran, 1346/1968, 487-493.
80. Mahbubi Ardakani, H., " 'Alā'-al-Molk", *Encyclopaedia Iranica,* ed. Ehsan Yarshater, 1984 (http://www.iranicaonline.org/articles/ala-al-molk-mirza-mahmud-khan-diba-son-of-mirza-ali-asgar-mostawfi-governor-and-minister-in-the-later-qajar).
81. Majd-os-Saltane, *Kalak Tbilisis aghtsera,* Teksti gamosatsemad moamzada, targmani da komentarebi daurto Maia Mamatsashvilma, Tbilisi, 1971.
82. Malek Sasani, Ahmad Khan, *Yadbudha-ye safarat-e Estanbul,* Tehran, 1386/2007, 274-279.
83. Mania, M., *Architectural Walks of Old Tbilisi: Fourteen Routes,* Tbilisi, 2008.
84. Mansouri, F., "Home of the unknwn", *The Iranian,* 15 November, 2003 (http://iranian.com/ Travelers/2003/November/MonteCarlo/index.html).
85. "Maqbare-ye Sheybani: Perens Arfa' al-Dowle", *Armaghan,* Vol. XI, No. 1, Tehran, 1309/1930, 40-41.
86. Mariotti, Edison, "Mirza Riza Khan's house in Tbilisi, Persian style turquoise // Casa de Mirza Riza Khan em Tbilisi, estilo persa turquesa", 3 July 2016 (http://museu2009.blogspot.com/2016/07/mirza-riza-khans-house-in-tbilisi.html).
87. Masson, H., "(EO) Edmond Privat, Princo Arfa, Leo Tolstoj", *ipernity,* 25 December 2010 (http://www.ipernity.com/blog/32119/298357).
88. Mirza Mehdi Khan Momtahen ad-Dowle Shaqaqi va Mirza Hashem Khan, *Rejal-e vezarat-e khareje dar 'asr-e Naseri va Mozaffari, be-kushesh-e Iraj Afshar,* Tehran, 1365/1986, 105-107 ("Mirza Reza Khan [Arfa' ad-Dowle]").
89. "Mirza Riza Khan" (https://fr.wikipedia.org/wiki/Mirza_Riza_Khan).
90. "Mirza Riza-khan Arfa od-Dowla" (https://ru.wikipedia.org/wiki/Мирза_Риза-хан_Арфа_од-Довла).

91. “Mirzə Rza xan Ərfəüddövlə” (https://az.wikipedia.org/wiki/Mirzə_Rza_xan_Ərfəüddövlə).
92. Moʿayyar al-Mamalek, Dustʿali Khan, “Rejal-e ʿasr-e Naseri”, *Yaghma,* Tehran, 1336/1957, No. 8, 361-368; No. 9, 422-429; No. 10, 465-471.
93. Moʿezzi, F., “Mirza Reza Khan Arfaʿ ad-Dowle”, *Tarikh-e Moʿaser-e Iran,* No. 23 (32), Tehran, 1381/2002, 289-328.
94. Moʿezzi, F., “Perens Arfaʿ ad-Dowle”, Moʾassese-ye Motaleʿat-e Tarikh-e Moʿaser-e Iran (http:// iichs.org/index.asp?id=495&doc_cat=7).
95. Moezzi, F., “Prince Arfa-od-dowle”, Institute for Iranian Contemporary Historical Studies (http:// iichs.org/index_en.asp?id=651&doc_cat=16).
96. Mojtahedi, M., *Rejal-e Azerbaijan dar ʿasr-e Mashrutiyat,* be-kushesh-e Gholamreza Tabatabaʾi Majd, Tehran, 1381/2002, 25-28.
97. *Montakhab az majmuʿe-ye bayanat-e Sheybani,* bar hasb-e eshare-ye Amir al-Omaraʾ al-ʿAzam, Sarkar Mirza Reza Khan Moʿin al-Vezare, Jeneral Ajudan-e Makhsus-e Hozur-e Homayun, Jeneral Qonsul-e Dowlat-e ʿAliye-ye Iran moqim-e Teflis, Istanbul, 1308/1890-91.
98. Morselvand, H., *Zendeginame-ye rejal va mashahir-e Iran (1299-1320 h. sh.),* 5 vols, Vol. I, Tehran, 1376/1997, 138-142.
99. Moshar, Kh., *Moʾalefin-e kotob-e chapi-ye Farsi vaʿArabi az aghaz-e chap ta konun,* Vol. III, Tehran, 1341/1962, 131-133.
100. Mostowfi, ʿAbdollah, *Sharh-e zendegani-ye man ya tarikh-e ejtemaʿi va edari-ye dowre-ye Qajariye az saltanat-e Mozaffar ad-Din Shah ta qarardad-e Vosuq ad-Dowle ba Englis,* Vol. II, Tehran, 1384/2005, 108-112.
101. “Nomination Database: Prince Arfa Mirza Riza Khan”, *Nobelprize.org,* The Official Web Site of the Noble Prize (http://www.nobelprize.org/nomination/archive/show_people.php?id =6319).
102. Nooraghayee, A., “Khane-ye shahzade-ye Irani dar Shahzade-Neshin-e Monaco”, 1395/2016.
103. “Otʾyezd persidskogo poslannika”, *Kavkaz,* No. 105 (23 April), Tiflis, 1895, 1-2.
104. “Perens Arfaʿ ” (https://fa.wikipedia.org/wiki/ پرنس_ارفع).

105. Perens Arfa‘ ” (http://farsivfair.com/پرنس-ارفع/).
106. “Perens Arfa‘ ad-Dowle” (http://vista.ir/article/72361/).
107. “Perens Arfa‘ ad-Dowle Danesh” (http://farhangsara.com/fnamdaran_iran_prince.htm).
108. “Perens Mirza Reza Khan Arfa‘ ” (http://m-hosseini.ir/ghajar/articles-13/1207.pdf).
109. “Perens Mirza Reza Khan Arfa‘ ” (http://mashrootiat.pchi.ir/show.php?page=contents&id=4073).
110. “Perens Mirza Reza Khan Arfa‘ ad-Dowle” (http://azadamirkhizi.blogfa.com/post/1901).
111. “Prince Mirza Reza Khan Arfa‘ ed-Dowleh” (http://www.qajarpages.org/arfaeddowleh. htm/).
112. *The Proceedings of the Hague Peace Conferences: The Conference of 1899,* ed. James Brown Scott, Oxford University Press, New York, 1920.
113. Radde, G., *Kratkij ocherk istorii razvitiya Kavkazskogo Muzeya v pervye* 25 *let sushchestvovaniya,* Tiflis, 1891.
114. “Rejal-e sadr-e Mashrutiyat”, *Yaghma,* Vol. 5, No. 4, Tehran, 1331/1952, 168-173.
115. “Reza Arfa‘, perens-e Irani”, *Donya-ye Eqtesad,* No. 2439, Tehran, 1390/2011, 31 (http://www. magiran.com/npview.asp?ID=2343377).
116. *Ruzname-ye khaterat-e Naser ad-Din Shah dar safar-e sevvom-e Farangestan,* be-kushesh-e Esma‘il Rezvani va Fatemeh Qaziha, 3 vols, Vol. I, Tehran, 1378/1999; Vol. II, Tehran, 1374/1995.
117. *Safarname-ye Mobarake-ye Mozaffar ad-Din Shah be Farang,* be-kushesh-e ‘Ali Dehbashi, Tehran, 1361/1982.
118. *Safarname-ye sevvom-e Mozaffar ad-Din Shah* be Farang, be-kushesh-e Mohammad Nader Nasiri Moqaddam, Tehran, 1390/2011.
119. Sa‘idi Sirjani, ‘A.-A., “Dāneš (1)”, *Encyclopaedia Iranica,* ed. Ehsan Yarshater, 1993 (http://www. iranicaonline.org/articles/danes-pen-name-of-moin-al-wezara-mirza-reza-khan-arfa-arfa-al-dawla-ca).
120. San‘ati, M. H., “Arfa‘ dar asnad-e SAVAK”, *Motale‘at-e Tarikhi,* No. 3, Tehran, 1383/2004, 175-215.

121. Sanikidze, G., "An Historical Survey of Georgian-Iranian Relations in the Nineteenth Century", *Journal of Persianate Studies,* Vol. 1, No. 2, Brill: Leiden & Boston, 2008, 148-173.
122. Soleymani, K., *Alqab-e rejal-e dowre-ye Qajariye,* Tehran, 1379/2000, 30.
123. Soltani Moqaddam, S., "Khanedan-e Arfa'" (http://www.pajoohe.com/fa/index.php?Page=definition &UID=39787).
124. Sorouri, H., "Qasr-e Firouze, 'emarat-e zarnegar-e Arfa' ad-Dowle-ra dar Gorjestan bebinid", *Mehregan,* 1396/2017 (http://www.mehrganaria.ir/Maghale_View.aspx?Code=20676).
125. Stone, D. R., "Imperialism and Sovereignty: The League of Nations' Drive to Control the Global Arms Trade", *Journal of Contemporary History,* Vol. 35, No. 2, 2000, 213-230.
126. Tarbiyat, Mohammad-'Ali, *Daneshmandan-e Azerbaijan,* be-kushesh-e Gholamreza Tabataba'i Majd, Tehran, 1378/1999 (first edition 1314/1935), 229.
127. *Tbilisi. Sakartvelos dzveli kalakebi,* Tbilisi, 2006.
128. *T*er-Oganov, N., "Two Iranian Authors, Majd os-Saltaneh and Yahya Dowlatabadi, on Tbilisi", *Tipologiuri dziebani (Typological Researches),* Vol. 4, Tbilisi, 2000, 399-408.
129. Ter-Oganov, N., "Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens Majd os-Saltaneh et Yahya Dawlatabadi", *La Géorgie entre Perse et Europe,* Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, Paris, 2009, 261-272.
130. Towhidi, F., Heidari, E., *Gozaresh-e ma'muriyat be keshvar-e Gorjestan (tabestan-e 1378 hejri shamsi),* Tehran: Pazhuheshgah-e Miras-e Farhangi va Gardeshgari, Tehran, 1396/2017.
131. *V*ahidniya, S., "Arfa' ad-Dowle va khane-ye Esfahan dar Orupa", *Nashriye-ye Daneshkade-ye adabiyat-e Daneshgah-e Esfahan,* Vol.1, No.1, Isfahan, 1343/1964, 158-178.
132. Van Impe, J., "Mirza in Leuven", *Ex Officina,* Vol. XI, No. 1-3, Leuven, 1998, 6 (https://bib. kuleuven.be/ub/over/bibliotheekfonds/ex-officina/exofficina-1998-1-3.pdf).
133. "Villa Ispahan, un palais oriental à Monaco // Villa Ispahan, an Oiental palace in Monaco", *La Gazette de Monaco,* No. 497,

Monaco, 2016, 88-90 (http://www.lagazettedemonaco.com/wp-content/ uploads/2016/01/Gazette497ImmoSite.pdf).
134. Warren, R., *Destiny's Waltz: In Step with Giants,* New York, 2009.
135. Wiik, H., "Från Vassor till Monte Carlo" (http://www.netikka.net/henrik.mangs/montecarlo.html).
136. *Zendeginame-ye mashahir-e Iran va jahan, V*ol. 20, Isfahan, 1390/2011, 296-299.
137. Zoka, Y., *Dar piramun-e taghiyir-e khatt-e Farsi: bakhsh-e nakhost (tarikhche),* Tehran, 1329/1950.

მარინა ალექსიძე, გრიგოლ ბერაძე, ირინა კოშორიძე

დიპლომატია, არქიტექტურა და პოეზია: მირზა რეზა ხან არფა‘ ად-დოულე და საქართველო

მირზა რეზა ხანი გვიანყაჯარული პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავალმხრივი მოღვაწეა, რომლის საზოგადოებრივ საქმიანობასა და შემოქმედებაში დიპლომატია, არქიტექტურა და პოეზია ისეა გადახლართული, რომ ძნელი გასამიჯნია, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. მირზა რეზა ხანი, ცნობილი საპატიო წოდებებით „დანეში“, „არფა‘ ად-დოულე“, „მო‘ინ ალ-ვეზარე“ და „პრინცი“, ისტორიაში დარჩა როგორც დიპლომატი, მეცენატი, პუბლიცისტი, პოეტი, არქიტექტურისა და სიძველეების მოყვარული, კოლექციონერი, ფართოდ განსწავლული პოლიგლოტი, რომელსაც პატივით იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და რომელმაც საგრძნობი კვალი დატოვა XIX საუკუნის საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში.

მირზა რეზა ხანი საქართველოში 1876-1894 წლებში ცხოვრობდა. თავდაპირველად ის თბილისის შიიტურ სასწავლებელში სწავლობდა და მადამ სტასულევიჩის ფრანგულ პანსიონში ფრანგული და რუსული ენების პრაქტიკას გადიოდა და, ამავე დროს, ირანის საკონსულოში კურიერად მუშაობდა. 1878 წელს მას საშუალება მიეცა რუსეთის იმპერიაში ჩასული ნასერ ად-დინ შაჰის დახვედრის ცერემონიაში მიეღო მონაწილეობა. მისიის წარმატებით დასრულების შემდეგ იგი საკონსულოში ჯერ პირველი თარჯიმნის და შემდეგ კონსულის პირველი თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. 1889 წელს მირზა რეზა ხანი თბილისში ირანის გენერალურ კონსულად დაინიშნა. სწორედ ამ მცირე პერიოდს – 1889-94 წლებს უკავშირდება მისი წარმატებული საქმიანობა საქართველოში. გარდა დიპლომატიური მოღვაწეობისა, მირზა რეზა ხანი დაკავებული იყო ქველმოქმედებითაც: 1890-იან წლებში რეგიონში ქოლერის ეპიდემიის დროს მისი ძალისხმევით და თბილისში მცხოვრები ირანელი ვაჭრებისა და ხელოსნების შემოწირულობებით მუსლიმური უბნის მიმდებარე

ტერიტორიაზე ირანის საკონსულოს მიერ შეძენილ მიწაზე თბილისის ღარიბთა თავშესაფარი და საავადმყოფო აშენდა.

მაგრამ მირზა რეზა ხანის მთავარ გატაცებას ლამაზი და ექსტრავაგანტული სახლების მშენებლობა წარმოადგენდა. საქართველოში მან სამი „სასახლე“ ააგო: სასტუმრო „ფირუზე“ და სააგარაკე სახლი „დანეშაბადი“ ბორჯომში და ე.წ. „ალმასის სასახლე“ თბილისში. სამწუხაროდ, „დანეშაბადი“ დაინგრა და ინფორმაცია მის შესახებ მხოლოდ „პრინც არფა‘ს მოგონებებმა“ შემოგვინახა. რაც შეეხება „ფირუზეს“, რომელიც 1892 წელს აშენდა, იგი დღესაც ამშვენებს ბორჯომს.

„ფირუზეს“ შენობა აღმოსავლური, ევროპული და ქართული არქიტექტურის ნაზავს წარმოადგენს: ქართული ჭვირული ხის აივანი საოცარი ელეგანტურობით ერწყმის ევროპული ყაიდის ბრტყელ რუსტირებულ ფასადებს და ნაძერწ ბარელიეფურ გირლიანდებსა და ანგელოზების ფიგურებს, რომლებიც ფასადზე გამომავალი კარ-ფანჯრის ლუნეტების მოჩარჩოებებს ქმნიან. მეორე სართულზე ფასადები რკინის სხმული აივნებით არის აქცენტირებული, რომელთა ევროპულ მცენარეულ დეკორში ოსტატურად არის ჩაწნული მირზა რეზა ხანის სახელი, შესრულებული სპარსულად: „ის (ღმერთი). მირზა რეზა ხანი“.

სასახლის ყველაზე ღირშესანიშნავ ნაწილს წარმოადგენს ხის ჭვირული აივანი, რომელიც მთელ სიმაღლეზე ასდევს შენობის მთავარ, ქუჩისპირა ფასადს და დიდწილად განსაზღვრავს მის მხატვრულ სახეს. აივნის მეორე სართულის დიდი შეისრული თაღის ორ მხარეს, ზედა კუთხეებში ყურადღებას იპყრობს ხმალამოწვდილი ლომისა და მზის ერთნაირი გამოსახულებები. მარჯვენა და მარცხენა ფრთის ზედა ნაწილებში შავ მარმარილოზე ოქროსფრად ამოტვიფრულია რუსული (მარჯვნივ) და ლათინური (მარცხნივ) ერთნაირი წარწერები თარიღით: „18 მირზა რეზა ხანი 92“, ხოლო მათ ქვემოთ სასახლის სახელი „ფირუზე“. ცენტრალურ ადგილას კი იკითხება კარტუშში ჩასმული შემდეგი სპარსული წარწერა და თარიღი: „მხატვარ მირზა მოჰამად ყაზვინის ნამუშევარი, 1309“. ყველა ეს წარწერა შენობის რესტავრაციამდეც განირჩეოდა და ჯერ კიდევ 1982 წელს ბ-მა ჯემშიდ გიუნაშვილმა მათ სპეციალური წერილი მიუძღვნა. რაც შეეხება დანარჩენ წარწერებს, ისინი 2010-2011 წლების სარეს-

ტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების შედეგად გამოვლინდა. სამუშაოებში ქართველ მშენებლებთან ერთად ჩართული იყვნენ ირანიდან მოწვეული რესტავრატორები, რომლებსაც ყაჯარულ ძეგლებზე მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ.

ახლადაღმოჩენილი წარწერების უმეტესობა პოეტური ქრონოგრამებია, რომელთა ავტორი, სავარაუდოდ, თბილისში მცხოვრები ირანელი ექიმი და პოეტი მირზა ‘ალი ხან ლა‘ლია. პირველი ორბეითიანი ლექსი „ფირუზეს“ რუსული და ლათინური სახელწოდების ორსავე მხარეს ოქროსფერ ფონზე თეთრად არის გამოკვეთილი:

„1300-დან ცხრა წელი იყო გასული,
როცა ამ პატარა სახლსა და ბაღს
ფირუზე უწოდეს მეგობრებმა და ახლობლებმა
და ის მირზა რეზა ხანის სახსოვრად დარჩა.“

მეორე ლექსი ხის აივნის ფასადზე, ირანული „ლომისა და მზის“ ემბლემის ორი სიმეტრიული გამოსახულების ქვეშ ოქროსფერზე თეთრად არის ამოტვიფრული:

„დიდებულებით ფირუზეს სასახლის მსგავსი
ცის თაღის ქვეშ სხვა ადგილი არ არის.
რა მშვენიერია მისი ჰაერი და ნიავი,
ყველაფერი ამბრისა და მუშკის სურნელოვანია.
მისმა აივნებმა მხილველს
სამოთხის ხედი გადაუშალა.
რა სასიხარულო ამბავია, რომ მისმა აღმატებულება
დანეშმა
ასეთი ადგილი შეარჩია.
დაე იყოს ეს მხიარული და აყვავებული სასახლე,
სანამ ქვეყნიერება იარსებებს.
მისი გამარჯვების წელს აღნიშნავს
ფირუზეს სასახლე – დაპირებული სამოთხე.“

აივნის მარჯვენა და მარცხენა გვერდით ზედა რეგისტრებში განლაგებულია ერთმანეთის ანალოგიური კომპოზიცია: შავი მარმარილოს ოთხ ფირფიტაზე ოქროსფერი ასოებით არის ამოტვიფრული ორბეითიანი სპარსული ლექსი:

„თქვა საადიმ: უმჯობესია ადამიანმა
კეთილი სახელი დატოვოს, ვიდრე ოქროს სასახლე.
მირზა რეზა ხანი კი ამქვეყნად დატოვებს
როგორც კეთილ სახელს, ისე ოქროს სასახლეებს."

ამ სპარსულ ბეითებს შორის, ცენტრში დიდ შავ მარმარილოს კარტუშში ოქროსფრად გამოყვანილია არაბული წარწერა თარიღით. წარწერის ტექსტი რელიგიური ხასიათისაა და წარმოადგენს ღმერთის მოხსენიების ერთ-ერთ მუსლიმურ ფორმულას, რომელიც ასე იკითხება:

„ის (ღმერთი)
ალლაჰი საკმარისია (ჩვენთვის) და იგია საუკეთესო
დამცველი,
საუკეთესო მფარველი და საუკეთესო ქომაგი (ჩვენი).
1309."

სარკეებიანი აივნის მთავარი კომპოზიციური და იდეური ცენტრია ფანჯრებისა და კარის ტიმპანების თავზე მინის ქვეშ მოთავსებული ხუთი პორტრეტი, რომლებზეც გამოსახული არიან შემდეგი ირანელი დიდგვაროვნები:

1. კომპოზიციის ცენტრში კარის თავზე არის ირანის იმდროინდელი მბრძანებლის ნასერ ად-დინ შაჰის (1848-1896) პორტრეტი, რომლის თავზე იკითხება შემდეგი სპარსული წარწერა თარიღით:

„მისი უდიდებულესობა, დიდებამოსილი და უწმინდესი მეფეთა-მეფე (შაჰანშაჰ) ირანისა ნასერ ად-დინ შაჰ ყაჯარი, დღეგრძელიმც ჰყოს ღმერთმა სამეფო და ხელმწიფობა მისი, 1309."

2. სამეფო პორტრეტის ხელმარცხნივ არის ნასერ ად-დინ შაჰის ვაჟის, ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის მოზაფარ ად-დინ მირზას პორტრეტი შემდეგი წარწერით:

„მისი უდიდებულესობა სვებედნიერი მოზაფარ ად-დინ მირზა, ირანის დიადი სახელმწიფოს ტახტის მემკვიდრე."

3. მოზაფარ ად-დინ მირზას პორტრეტის მარცხნივ არის თავად მირზა რეზა ხანის პორტრეტი და წარწერა თარიღით:

„მისი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტი, ირანის დიადი სახელმწიფოს გენერალური კონსული კავკასიაში მირზა რეზა ხან დანეში, 1311 წელი."

4. ნასერ ად-დინ შაჰის პორტრეტის მარჯვნივ მოთავსებულია ირანის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის (სადრ-ე ა'ზამის) მირზა 'ალი ასყარ ხან ამინ ას-სოლთანის (1858-1907) პორტრეტი, რომელსაც ახლავს შემდეგი წაწერა თარიღით:

„მისი აღმატებულება და ბრწყინვალება მირზა 'ალი ასყარ ხან ამინ ას-სოლთანი, ირანის დიადი სახელმწიფოს სადრ-ე ა'ზამი, 1309".

5. მეხუთე პორტრეტზე გამოსახულია მირზა რეზა ხანი და მის ამ პორტრეტს ახლავს შემდეგი წარწერა თარიღით:

„მისი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტი მირზა რეზა ხან დანეშ მო'ინ ალ-ვეზარე, ირანის დიადი სახელმწიფოს გენერალური კონსული, 1309".

ყველა ამ პორტრეტის მინები ზემოდან გადაწერილი იყო მდარე ხარისხის პეიზაჟური სურათებით და მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე საერთოდ არ ჩანდა. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, ადგილობრივთა გადმოცემით, ბორჯომში ვიღაც მაღალჩინოსანი ირანელი ჩასულა ოფიციალური ნებართვითა და უფლებამოსილებით, რომ მინებზე პეიზაჟები გადაეფხიკა და ეს პორტრეტებიც მაშინ გამოჩნდა. სავარაუდოდ, ეს „მაღალჩინოსანი" საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი ირანელი ხელოვნებათმცოდნე და არქეოლოგი, ირანის კულტურული მემკვიდრეობის იუნესკოს ექსპერტი, დოქტორ შაჰრიარ ადლი (1944-2015) უნდა ყოფილიყო, რომელიც 1997-98 წლებში ორჯერ იყო საქართველოში ჩამოსული და იკვლევდა აქ დაცული ირანული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

რესტავრირებული შენობა 2012 წელს გაიყიდა ერთ-ერთ კერძო კომპანიაზე. მაგრამ ნაგებობის რესტავრაცია მთლიანად მხოლოდ 2015 წელს დასრულდა. ახლა მასში ფუნქციონირებს სასტუმრო "Golden Tulip", რომელიც "Louvre Hotels Group" ის ქსელში შედის. შენობის განახლება-რეკონსტრუქცია მოხდა იმ აუცილებელი პირობების გათვალისწინებით, რომელთა საშუალებითაც მას შეუნარჩუნდა ისტორიული იერსახე და კულტურული ღირებულება.

ბორჯომში მშენებლობების დასრულების შემდეგ მირზა რეზა ხანმა გადაწყვიტა თბილისში საკონსულო აეშენებინა. მან გუდოვიჩის (დღევანდელი ჭონქაძე) ქუჩაზე შეიძინა გერმანელი

ინჟინრის მიერ აშენებული სახლი და ის ირანულ ყაიდაზე გადააკეთა, რისთვისაც იტალიელი ქვისმთლელები და ირანელი ინტერიერის დეკორატორები მოიწვია. სპარსული დეკორი აქაც „ფირუზეს“ სასახლის ყაზვინელ ოსტატს მირზა მოჰამად ნაყაშ ყაზვინის შეუსრულებია. ევროპული და ისლამური ელემენტების ოსტატური შეზავების წყალობით სახლმა გამორჩეული და ძალზე მიმზიდველი სახე მიიღო. მასში ევროპულ მხატვრულ ელემენტებს ოსტატურად ერწყმის აღმოსავლური სტუკოსა და სარკეების დეკორი. ევროპული და აღმოსავლური მოტივების სინთეზი შენობის ინტერიერშიც ჩანს – აქ თანაარსებობს, ერთი მხრივ, ევროპული ოვალური ვესტიბიული და ქალის თავის ნაძერწი გამოსახულებები და, მეორე მხრივ, ზოგიერთი ოთახის სტუკოს ტექნიკით შესრულებული პლაფონი, სარკის ინკრუსტაციები და დარბაზის ჭერში ექვსწახნაგა და რვაწახნაგა ფიგურების მოხატულობა, რომლისთვისაც ირანელმა ოსტატებმა „ათას ერთი ღამის“ წიგნის ილუსტრაციები გამოიყენეს. სახლის სადარბაზოს კარის ცხაურსა და რკინის აჟურულ ჭიშკრებში ჩაქსოვილ სპარსულ წარწერებში მირზა რეზა ხანის სახელი იკითხება. რადგან შენობის ინტერიერის სარკის ინკრუსტაციები ალმასისგან გაკეთებულს ჰგავდა, თბილისში მოღვაწე ირანელმა ექიმმა და პოეტმა მირზა ‘ალი ხან ლა‘ლიმ მას „ალმასის სასახლე“ უწოდა.

მირზა რეზა ხანის მემუარებიდან ვიგებთ, რომ „ალმასის სასახლის“ ოფიციალური გახსნა მან ნასერ ად-დინ შაჰის დაბადების დღეს 1893 წლის 16 ივლისს დაამთხვია და საკონსულოში გრანდიოზული ზეიმი გამართა. გენერალური კონსულის ბრძანებით, ზეიმისთვის მარმარილოს აუზის შადრევანი ისე მოაწყვეს, რომ იქიდან წყლის ნაცვლად კახურ წითელ ღვინოს ედინა, რათა სტუმრებს ღვინო პირდაპირ აუზიდან დაელიათ. აუზის მიმდებარე ეზო დ ხეები სხვადასხვა ფერის ყვავილებით იყო მორთული. ჰაერში ასობით ჩინური და იაპონური ფარანი ეკიდა და აუზსა და მასში წითლად მოლივლივე ღვინოს ანათებდა. საღამოზე მთავარმართებლის სამხედრო ორკესტრი და ირანელი მუსიკოსების ანსამბლი უკრავდა. სანახაობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ წვეულებით მოხიბლულ თბილისის გუბერნატორ გიორგი შერვაშიძეს მირზა რეზა ხანისთვის უთქვამს: „ამ საღა-

მოს თქვენ მე მუსლიმად მაქციეთ ... თქვენი წინასწარმეტყველის სამოთხის აღწერა ლექსებში წაკითხული მქონდა, მაგრამ მისი არსებობა არ მჯეროდა. ამ საღამოს კი ვირწმუნე, რომ მუჰამედის დაპირებული სამოთხე მართლაც არსებობს და ის აქაურობის მსგავსი იქნება."

1895 წელს მირზა რეზა ხანი რუსეთში ირანის ელჩის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა და 22 აპრილს თბილისი დატოვა. 1899 წელს იგი იყო ირანის დელეგაციის ხელმძღვანელი ჰააგის პირველ სამშვიდობო კონფერენციაზე, 1901-1910 წლებში – ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ოსმალეთში. 1908-1910 წლებში ის ხშირად სტუმრობდა მონაკოს, სადაც ააგო ექსტრავაგანტური არქიტექტურის მდიდრული სასახლე „დანეშგაჰი" – გუმბათიანი შენობა ჩუქურთმებით, ფიგურული კომპოზიციებით, მოხატულობებით, სპარსული წარწერებით და კიროსისა და დარიოსის ბარელიეფური გამოსახულებებით. 1913 წელს მირზა რეზა ხანი მცირე ხნით ირანის იუსტიციის მინისტრად დაინიშნა, ხოლო 1920-26 წლებში იყო ირანის წარმომადგენელი ერთა ლიგაში, ჟენევაში. სიცოცხლის ბოლო პერიოდში მირზა რეზა ხანი ხან თეირანში და ხან მონაკოში ცხოვრობდა და 1937 წელს 84 წლის ასაკში თეირანში გარდაიცვალა.

მარინა ალექსიძე, გრიგოლ ბერაძე

კავკასიის მუზეუმი XIX საუკუნის სპარსულ წყაროებში

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელსაც თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი სამუზეუმო კოლექციებით, ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევებით და ფართო საერთაშორისო შემოქმედებითი კონტაქტებით მაღალი ავტორიტეტი და ღირსეული ადგილი აქვს დამკვიდრებული მსოფლიოს წამყვან სამუზეუმო ცენტრებს შორის. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორია დღეისათვის 165 წელს ითვლის და ამ ისტორიის პირველი ფურცლები დაკავშირებულია 1852 წელს თბილისში დაფუძნებულ კავკასიის მუზეუმთან,[1] რომელიც თავისი აღმოცენებიდან სულ

1 ქართულენოვან სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციებში დამკვიდრებულია რუსული "Кавказский музей"-ის ქართული თარგმანის ეს ფორმა (ანუ „კავკასიის მუზეუმი"), თუმცა ზოგჯერ ვხვდებით აგრეთვე ფორმას „კავკასიური მუზეუმი." კავკასიის მუზეუმი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან დაარსდა რუსი მწერლის ვლადიმერ სოლოგუბის (1813-1882) ინიციატივით, რომელსაც მხარში ედგნენ და ეხმარებოდნენ ცნობილი რუსი და ქართველი მოღვაწეები ადოლფ ბერჟე (1828-1886), ივან ბარტოლომეი (1813-1870), ნიკოლოზ ხანიკოვი (1819-1878), ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი (1821-1899), გრიგოლ ორბელიანი (1804-1883), დიმიტრი ყიფიანი (1814-1887), გიორგი ერისთავი (1813-1864), რაფიელ ერისთავი (1824-1901) და სხვა. 1853 წელს არჩეულ იქნა კავკასიის მუზეუმის დირექცია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ბარონი ა. ნიკოლაი, დირექტორად – ვ. სოლოგუბი, ხოლო ზედამხედველად – ა. ბერჟე. თავდაპირველად მუზეუმს ჰქონდა ძალიან მცირე კოლექცია – სულ 105 ექსპონატი, რომლებიც სამ კაბინეტში იყო განთავსებული. სახსრების სიმცირის გამო სამუზეუმო კოლექცია ძირითადად კერძო პირთა შემოწირულობებით ივსებოდა. 1855 წელს მუზეუმის დირექტორი გახდა ი. ბარტოლომეი და იმავე წლის სექტემბერში გაიხსნა პირველი საჯარო გამოფენა. მომდევნო პერიოდში სამუზეუმო ფონდები თანდათან გამდიდრდა, განსაკუთრებით 1859-1863 წლებში, კავკასიის მუზეუმის საბუნებისმეტყველო კაბინეტის კურატორად მოწვეული

რაღაც 15-20 წელიწადში გადაიქცა მეტად მნიშვნელოვან სამუზეუმო ინსტიტუციად როგორც საკუთრივ საქართველოს და კავკასიის რეგიონის, ისე მთელი იმდროინდელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით.[2]

ავსტრიელი ნატურალისტისა და არქეოლოგის ფრიდრიხ ბაიერნის (1817-1886) მეცადინეობით. 1864 წელს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ ჯერ მუზეუმის დირექცია გააუქმა, შემდეგ კი თავად მუზეუმიც დახურა, თუმცა 1865 წლის ივნისში მუზეუმი კვლავ აღდგა გუსტავ რადეს (1831-1903) ინიციატივით, რომლის ენერგიული მცდელობით სამუზეუმო ფონდები საგრძნობლად შეივსო და გამდიდრდა სხვადასხვა სახის ახალი მნიშვნელოვანი კოლექციებითა და ექსპონატებით. მუზეუმმა აქტიური ურთიერთობა დაამყარა უცხოეთის წამყვან მუზეუმებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან. 1867 წლის 2 ივლისს განახლებული კავკასიის მუზეუმი ოფიციალურად გაიხსნა. მალე ის გადავიდა 1869-1870 წლებში სპეციალურად ამ მუზეუმისთვის აგებულ ახალ ერთსართულიან შენობაში გოლოვინის პროსპექტზე (მეფისნაცვლის სასახლის მოპირდაპირე მხარეს), რომლის საზეიმო ინაუგურაცია გაიმართა 1870 წლის 1 სექტემბერს. მუზეუმში ოთხი განყოფილება იყო წარმოდგენილი: ზოოლოგიის, ბოტანიკის, გეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, რომელსაც შემდეგ არქეოლოგიის განყოფილება დაემატა. 1879-1880 წლებში მუზეუმი საგრძნობლად გააფართოვეს და მეორე სართული დააშენეს, ხოლო 1888 წელს მთელ შენობას კაპიტალური რემონტი ჩაუტარეს. 1911 წელს კავკასიის მუზეუმი შენობის ავარიულობის მიზეზით დაიხურა. 1919 წელს დაარსდა საქართველოს მუზეუმი (1947 წლიდან – სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი), რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო კავკასიის მუზეუმის ფონდები და ქონება. კავკასიის მუზეუმის აღმოცენება-განვითარების ისტორიის შესახებ დაწვრილებით იხ.: Г. И. Радде, *Краткий очерк истории развития Кавказского Музея в первые 25 лет существования*, Тифлис, 1891 (აგრეთვე გერმანულ ენაზე: G. Radde, *Kurze Geschichte der Entwickelung des Kaukasischen Museums während der ersten 25 Jahre seines Bestehens*, Tiflis, 1891); გ. ჟორდანია, *კავკასიური მუზეუმის დაარსება*, თბილისი, 1951; გ. ჩხაიძე, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის სათავეებთან“, *კავკასიის მაცნე*, № 3, თბილისი, 2001, 73-87; გ. ჩხაიძე, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932),* თბილისი, 2003; *თბილისი. ენციკლოპედია,* თბილისი, 2002, 809-811; თ. ბაბუაძე, „როგორ შეიქმნა მუზეუმი“, *მუზეუმი*, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დეკემბერი, 2012, თბილისი, 2012, 18-27.

2 კავკასიის მუზეუმს მაღალ შეფასებას აძლევდნენ XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში თბილისში ჩამოსული ევროპელი მეცნიერები

კავკასიის მუზეუმი ერთ-ერთი იმ ღირშესანიშნაობათაგანი იყო, რომელსაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ჩამოსულ სხვა უცხოელებთან ერთად ბევრი ირანელი ვიზიტორიც სტუმრობდა და თავის სამოგზაურო ჩანაწერებსა თუ მემუარებში საგანგებოდ მოიხსენიებდა და აღწერდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნეში ირანში ამ ტიპისა და მასშტაბის საჯარო მუზეუმები არ არსებობდა, ეს გამორჩეული ინტერესი სავსებით გასაგებია. აღსანიშნავია, რომ მუზეუმი განსაკუთრებით პოპულარული განათლებულ ირანელთა წრეში იყო და მას, ძირითადად, ნახულობდნენ ირანელი უმაღლესი რანგის სტუმრები, დიდგვაროვნები, სახელმწიფო მოხელეები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც აინტერესებდათ დასავლური ცივილიზაცია, კონკრეტულად კი – დასავლეთის ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური, სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურული სიახლეები. მუზეუმი თეატრებთან, კლუბებთან, ფაბრიკა-ქარხნებთან, დასავლური ყაიდის სასწავლებლებთან, სარკინიგზო ინფრასტრუქტურასთან და სასტუმროებთან ერთად იმ „ევროპულ“ ინსტიტუციათა რიგში შედიოდა, რომლებსაც ირანიდან (და ასევე სხვა მუსლიმური ქვეყნებიდან) თბილისში ჩამოული სტუმრები გამორჩეული ინტერესით ეცნობოდნენ. მუზეუმი ირანელებისთვის რომ საკმაოდ უცხო ხილი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ირანელი მოგზაურები ზოგჯერ მის აღწერას მუზეუმში ქცევის წესებსაც ურთავდნენ. მაგალითად, მირზა მოჰამად ჰოსეინი ფარაჰანი თავის თანამემამულეებს საგანგებოდ აუწყებდა და აფრთხილებდა, რომ „ყველას, ვინც მუზეუმის

და მოგზაურები; იხ., მაგალითად: Freiherr Max von Thielmann, *Streifzüge in Kaukasus, in Persien und in der asiatischen Türkei*, Leipzig, 1875, 177 ("Ein sehr bemerkenswerthes Gebäude ist das nehe gelegene kaukasische Museum. Es ist dies eine Schöpfung der neuesten Zeit, und eine der gelungsten, in ihrer Art, welche ich kenne; das Land ist nach allen Richtungen hin durch seine Erzeugnisse und durch Proben seiner Natur vertreten. Der jetzige Director ist der wissenschaftlichen Welt wohl bekannte Naturforscher Dr. Radde"); W. Petersen, *Aus Transkaukasien und Armenien, Reisebriefe von Wilhelm Petersen,* Leipzig, 1885, 123 ("unter den Sehenswürdigkeiten von Tiflis nimmt das Kaukasische Museum eine hervorragende Stelle ein"; ამ ზოგად შეფასებას ტექსტში მოსდევს კავკასიის მუზეუმის საკმაოდ ვრცელი აღწერა).

დასათვალიერებლად მიდის, ფულს ახდევინებენ და შიგნით ისე უშვებენ.“[3]

პირველი ირანელი ავტორი, რომელიც თავის სამოგზაურო ჩანაწერებში კავკასიის მუზეუმს მოიხსენიებს და მოკლედ აღწერს, არის ყაჯარი უფლისწული ‘აბას მირზას (1789-1833) ერთ-ერთი ვაჟიშვილი ფარჰად მირზა მო‘თამად ად-დოულე (1818-1887/1888), რომელმაც თბილისი 1875 წელს გაიარა. როგორც ჩანს, მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მუზეუმის ზოოლოგიურმა განყოფილებამ დატოვა, რადგან ჰიჯრის 1292 წლის 3 შავალით (ანუ 1875 წლის 2 ნოემბრით) დათარიღებულ ჩანაწერებში მუზეუმზე მსჯელობისას მხოლოდ ამ განყოფილების ექსპონატებს ახსენებს:

„ნაშუადღევს მუზეუმის დასათვალიერებლად წავედით. იქ ძალიან კარგი ჩიტები იყო. დიდი, დაახლოებით 3 *ზარ‘ი* სიგრძის, შავი თევზი, რომელსაც ისეთი სქელი კანი ჰქონდა, თითქოს შავი ტყავის ნაჭერი გადაუკრავთო. შარშან სალიანში დაუჭერიათ. ასევე ვნახეთ მშვენიერი პეპლები, ორი ვეფხვი, უზარმაზარი, ვირისტოლა ტახი და იმხელა გარეული კამეჩი, როგორიც არასოდეს მინახავს.“[4]

კავკასიის მუზეუმისა და მისი ექსპონატების აღწერისას გაცილებით უფრო სიტყვაუხვია ირანის ხელმწიფე ნასერ ად-დინ შაჰი (1848-1896), რომელმაც ეს მუზეუმი პირველად 1878 წელს მოინახულა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მასზე ცხოველების ფიტულებმა მოახდინა, რადგან ეს ტექნიკა ირანელებისთვის სიახლე იყო. უმაღლესი რანგის ირანელმა სტუმარმა ექსპონატები თავად მუზეუმის იმჟამინდელი დირექტორის გუსტავ რადეს თანხლებით დაათვალიერა და მისი ვრცელი აღწერილობა დატოვა. სახელდობრ, ჰიჯრის 1295 წლის 12 ჯუმადა I-ით

3 *Safar-name-ye Mirza Mohammad Hoseyn Hoseyni Farahani*, be-kushesh-e Mas‘ud Golzari, Tehran, 1362/1983, 81; *Panjah safar-name-ye hajj-e Qajari*, be-kushesh-e Rasul Ja‘fariyan, Vol. 5, Tehran, 1389/2010, 84.

4 *Safar-name-ye Farhad Mirza*, tashih va tahshiye-ye Gholamreza Tabataba’i, Tehran, 1366/1987, 57; *Safar-name-ye Farhad Mirza Mo‘tamad ad-Dowle*, be-ehtemam-e Esma‘il Navvab Safa, Tehran, 1366/1987, 73; *Panjah safar-name-ye hajj-e Qajari*, be-kushesh-e Rasul Ja‘fariyan, Vol. 3, Tehran, 1389/2010, 77.

(ანუ 1878 წლის 14 მაისით) დათარიღებულ მისეულ ჩანაწერში ვკითხულობთ:

„ ... შემდეგ წავედით თბილისის მუზეუმში, რომელიც ბაღიდან ერთი ქუჩის დაშორებით მდებარეობს. დირექტორმა, რომელსაც ... ერქვა და ფრანგულად მშვენივრად ლაპარაკობდა, მთელი მუზეუმი დაგვათვალიერებინა. უფლისწულებიც იქ იყვნენ და ყველანი ფრანგულად ვლაპარაკობდით. მუზეუმში ცოცხალი ცხოველები და ჩიტები – ხოხობი, დურაჯი, და სხვა – ვნახეთ. იქ უამრავი ნაირგვარი ექსპონატი იყო: სხვადასხვა ქვეყნის ძველი და ახალი ნივთები, დიდი და პატარა ცხოველები და ფრინველები. მკვდარი ცხოველებისგან გაეკეთებინათ ფიტულები, რომლებიც ცოცხალს ჰგავდა. მათ შორის იყო ვეფხვი, ლეოპარდი, ტახი, ბიზონი ანუ გარეული კამეჩი და შავი ზღვის დელფინი, რომელიც ძალიან იშვიათი ცხოველია; აგრეთვე მკვდარი აქლემი, სვავი, ყვავი, მელა, ტურა და კიდევ ბევრი ცხოველი, რომელთა ფიტულები მართლაც რომ ოსტატურად იყო გაკეთებული. მუზეუმში ასევე ინახებოდა კავკასიის რეგიონის წიაღისეულის, ყვავილების, მცენარეების და ხეების ნიმუშები... მუზეუმში ერთი საოცარი ერკემალიც ვნახე. მომკვდარიყო და მისგან ფიტული გაეკეთებინათ. რქები ჩვენი ცხვრების რქებს მიუგავდა, მაგრამ უკან ჰქონდა გადაწეული. შავი კანი, საშინელი ყვითელი თვალები, უცნაური დრუნჩი და ძალიან, ძალიან მოკლე ხელ-ფეხი ჰქონდა. ეს ცხოველი კავკასიის მთებში ბინადრობს.“[5]

ნასერ ად-დინ შაჰმა ამ ვიზიტის დროს (შეგახსენებთ, რომ ეს იყო მისი მეორე ვიზიტი თბილისში; პირველად ის თბილისს ეწვია 1873 წელს რუსეთსა და ევროპაში მისი პირველი მოგზაურობის დროს) კავკასიის მუზეუმს თავისი ხელით შესრულებული ჩანაწერი უსახსოვრა. ირანის შაჰის ეს სამახსოვრო ავტოგრაფი-ხელწერა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რელიკვია, თურმე მეტად თვალსაჩინო და საპატიო ადგილას იყო

5 *Ruzname-ye khaterat-e Naser ad-Din Shah dar safar-e dovvom-e Farangestan*, be-kushesh-e Fatemeh Qaziha, Tehran, 1379/2000, 80-81, 85; *A Diary Kept by His Majesty The Shah of Persia during His Journey to Europe in 1878,* from the Persian, by Especial Permission of His Majesty, by Albert Houtum Schindler and Baron De Norman, London, 1879, 82-83.

გამოფენილი – ის ამშვენებდა კავკასიის მუზეუმის შესასვლელი დარბაზის ერთ-ერთ ნიშას[6] და მოთავსებული იყო რუსეთის იმპერატორებისა და საიმპერატორო ოჯახის წევრების პორტრეტებისა და ავტოგრაფების გვერდით.[7]

1889 წელს თბილისში მორიგი სტუმრობისას ნასერ ად-დინ შაჰი ხელმეორედ ეწვია კავკასიის მუზეუმს, რომლის შესახებ ჰიჯრის 1306 წლის 15 რამაზანით (ანუ 1889 წლის 15 მაისით) დათარიღებულ მისეულ ჩანაწერში აღნიშნულია შემდეგი:

„ამ მუზეუმში წინა ჩამოსვლაზეც ვიყავით. ახლა მასზე კიდევ ერთი სართული დაეშენებინათ და სხვადასხვა ექსპონატები, მათ შორის ჩიტები, ხეები, ცხოველები და სხვა დაემატებინათ. მუზეუმში ნაციონალურ ტანსაცმელში ჩაცმული კავკასიელების ცვილის ფიგურები იდგა. დავათვალიერეთ ცხოველები, მცენარეები, მინერალები, ქვები და სხვა ნივთები. ყველა მათგანი ან კავკასიიდან ან მისი მეზობელი რეგიონებიდან იყო ჩამოტანილი.“[8]

---

6 ამის შესახებ იხ.: Г. И. Радде, *Краткий путеводитель Кавказского музеума*, Тифлис, 1881, 1; Г. И. Радде, *Краткий путеводитель по Кавказскому музею,* Тифлис, 1887, 1; Г. И. Радде, *Краткий путеводитель по Кавказскому музею,* Тифлис, 1899, 6-7; გ. ჩხაიძე, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932),* თბილისი, 2003, 83, 119.

7 იგულისხმება რუსეთის იმპერატორები ალექსანდრე II (1855-1881) და ალექსანდრე III (1881-1894), რომლებმაც კავკასიის მუზეუმი მოინახულეს ოჯახის წევრების თანხლებით 1871 წლის 24 სექტემბერს (ალექსანდრე II) და 1888 წლის 29 სექტემბერს (ალექსანდრე III); იხ.: Г. И. Радде, *Краткий путеводитель Кавказского музеума*, Тифлис, 1881, 1; Г. И. Радде, *Краткий путеводитель по Кавказскому музею,* Тифлис, 1887, 1; Г. И. Радде, *Краткий очерк истории развития Кавказского Музея в первые 25 лет существования*, Тифлис, 1891, 31-32, 42, 51 (= G. Radde, *Kurze Geschichte der Entwickelung des Kaukasischen Museums während der ersten 25 Jahre seines Bestehens*, Tiflis, 1891, 29, 31, 42, 51); Г. И. Радде, *Краткий путеводитель по Кавказскому музею,* Тифлис, 1899, 6-7; В. Потто, *Царская семья на Кавказе 18 сентября – 14 октября 1888 года*, Тифлис, 1889, 144; გ. ჩხაიძე, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932)*, 83, 119.

8 *Ruzname-ye khaterat-e Naser ad-Din Shah dar safar-e sevvom-e Farangestan*, be-kushesh-e Mohammad Esma‘il Rezvani va Fatemeh Qaziha, Vol. I, Tehran, 1378/1999, 120.

შაჰმა კმაყოფილებით აღნიშნა მუზეუმში თავისი ადრინდელი სამახსოვრო ავტოგრაფის არსებობა, თერთმეტი წლის შემდეგ აქ (ანუ ამ მუზეუმში) მშვიდობიანად დაბრუნებისთვის ღმერთს მადლობა შესწირა და კავკასიის მუზეუმს სახსოვრად თავისი ხელით შესრულებული კიდევ ერთი წარწერა დაუტოვა.[9] აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, ნასერ ად-დინ შაჰის ორ სამახსოვრო ჩანაწერთან ერთად კავკასიის მუზეუმში ინახებოდა ირანის ხელმწიფის თანმხლები მინისტრების ავტოგრაფებიც და აგრეთვე კიდევ ერთი იმდროინდელი მაღალი რანგის ირანელი სახელმწიფო მოღვაწის ჰაჯ მეჰდიყოლი ხან ჰედაიათის (1863-1955) ავტოგრაფი – მის მიერ შეთხზული შემდეგი ორბეითიანი ლექსი, რომელიც მან ჰიჯრის 1316 წლის ზუ ‘ლ-ჰიჯას თვის 12 რიცხვში (ანუ 1899 წლის 27 აპრილს) თბილისში ვიზიტის დროს მუზეუმის დავთარში თავისი ხელით ჩაწერა:

---

9 თბილისში ვიზიტების დროს ნასერ ად-დინ შაჰის ცხოველ ინტერესს კავკასიის მუზეუმისადმი და მის მიერ ამ მუზეუმში დატოვებულ ავტოგრაფებს საგანგებოდ შეეხო გ. ბერაძე თავის მოხსენებაში „ნასერ ად-დინ შაჰ ყაჯარი და კავკასიის მუზეუმი“, რომელიც წაკითხულ იქნა გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში 2010 წლის ივნისში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ირანი და კავკასია: კულტურული და ისტორიული ურთიერთობები“. სამწუხაროდ, კავკასიის მუზეუმში ირანის შაჰის ვიზიტებთან დაკავშირებული ამ მემორიალური ექსპონატების შემდგომი ბედი უცნობია. გაურკვეველია, გაუძლეს თუ არა მათ 1910-იანი და 1920-იანი წლების ბობოქარ და სისხლიან ქარტეხილებს. მიუხედავად ხანგრძლივი ძიებისა, ირანის შაჰის ავტოგრაფებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებში დღემდე ვერ მივაკვლიეთ, თუმცა ამავე მუზეუმის კოლექციებში მოღწეულია, მაგალითად, იმავე ნასერ ად-დინ შაჰის სხვადასხვა მედიაში შესრულებული და სხვადასხვა ზომის რამდენიმე პორტრეტი (ზოგიერთი ასეთი პორტრეტის შესახებ იხ.: ი. კოშორიძე, *საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება, XVI-XIX საუკუნეები,* თბილისი, 2011, 209-210, სურ. 74, 75; ი. კოშორიძე, მ. დგებუაძე, გ. ბერაძე, „ახალი მხატვრული ტენდენციები და პორტრეტის პრობლემა XIX საუკუნის ირანულ მინიატურულ ხელოვნებაში“, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე,* საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, № 4 (49-B), თბილისი, 2013, 438, 454).

این جهان چون موزه است ای هوشیار
سعی کن در موزه آثاری گذار
آخر از موزه برون خواهی شدن
وان اثر چندی بماند یادگار

„ეს ქვეყანა მუზეუმის მსგავსია, კეთილგონიერო!
ეცადე, რომ მუზეუმში კვალი დატოვო.
ბოლოს, როცა მუზეუმიდან წახვალ,
ეს ნაკვალევი სახსოვრად დარჩება.“[10]

ზემოთ ჩვენ გაკვრით ვახსენეთ მირზა მოჰამად ჰოსეინი ფარაჰანი (1847-1912) და მუზეუმთან დაკავშირებით მისი ერთი ფრაზის ციტირებაც მოვახდინეთ. ყაჯართა პერიოდის ეს თვალსაჩინო ირანელი მწერალი და სახელმწიფო მოხელე, რომელიც თბილისში 1885 წლის ივლისის ბოლოს ამიერკავკასიის გავლით მექაში ჰაჯის შესასრულებლად მოგზაურობისას მოხვდა, თავის „მოგზაურობის წიგნში“ საკმაოდ ვრცელ ადგილს უთმობს ამ ქალაქისა და მისი ღირშესანიშნაობების მიმოხილვას. მის მიერ ნახსენებ ადგილობრივ დაწესებულებებსა და ობიექტებს შორის არის კავკასიის მუზეუმიც, რომლის შესახებ ირანელი ავტორი თავის თანამემამულეებს (ანუ ირანელ მკითხველებს) შემდეგ ინფორმაციას აწვდის:

„მეფისნაცვლის სასახლისა და ბაღის გვერდით ერთი შენობაა, რომელსაც „მუზეუმს“ ეძახიან. მუზეუმის დარბაზებში სხვადასხვა სახის ექსპონატებია გამოფენილი.

პირველ დარბაზში – ძველი და ახალი ქვეყნების ნივთები.

მეორეში – ცოცხალი ფრინველები და ცხოველების ფიტულები, მათ შორის სხვადასხვა ჯიშის ჩიტები, ღამურები, დელფინი, აქლემი, ვირი, ორბი და სხვა.

მესამეში – დიდი და პატარა მკვდარი ცხოველები, მათ შორის ვეფხვი, ლეოპარდი, ინდური კამეჩი, ტახი და სხვა, რომელთაც ცხიმს უსვამენ და ისე ინახავენ, რომ ცოცხალისგან ვერ განასხვავებ.

მეოთხეში – მინერალური ქვები, ხის ჯოხები, ლამაზფოთლებიანი ხეები და ყვავილები.

---

10 Hajj Mehdiqoli Hedayat (Mokhber as-Saltane), *Khaterat va khatarat*, Tehran, 1375/1996, 109-110.

ყველას, ვინც მუზეუმის დასათვალიერებლად მიდის, ფულს ახდევინებენ და [მუზეუმში] ისე უშვებენ."[11]

ყაჯართა პერიოდის ირანელ ავტორთა შორის კავკასიის მუზეუმის ყველაზე ვრცელი აღწერა დატოვა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწემ გენერალმა ჯემშიდ ხან აფშარ ორუმი მაჯდ ას-სალთანემ. პირველად ის თბილისში ჰიჯრის 1312 წლის ჯუმადა II-ის თვის 16 რიცხვში (ანუ 1894 წლის 15 დეკემბერს) სამკურნალოდ ჩამოვიდა და აქ 50 დღე დაჰყო. სწორედ მის ამ პირველ ვიზიტთან დაკავშირებულ მემუარულ ჩანაწერებში თბილისის თეატრებთან, კლუბებთან, სასტუმროებთან და სხვა „ევროპულ დაწესებულებებთან" (ირანელებისთვის) ერთად, იგი საკმაოდ დეტალურად აღწერს მუზეუმსაც:

„კავკასიის ნაციონალური მუზეუმი ქალაქის ცენტრში დიდ ბულვარზე მდებარეობს. მართალია, კავკასიის მუზეუმი ჰქვია, მაგრამ მასში ირანისა და სხვა ქვეყნების სიძველეებიც მრავლად არის. მუზეუმი სამსართულიანი შენობაა. პირველ სართულზე განლაგებულია სხვადასხვა სახის მინერალური ქვები, როგორიცაა ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი ლითონები, ასევე გრანიტი, პორფირი, მარმარილო და სხვა. მათ შორის არის ქვის ორი ფილა, რომლებიც მთვარის ვულკანებიდან[12] ჩამოვარდა. აქვეა გამოფენილი წყლისა და ხმელეთის ცხოველებისა და ფრინველების საოცარი ოსტატობით გაკეთებული ფიტულები, რომლებიც ცოცხალისგან არ განსხვავდება. ცხოველებიდან მხოლოდ *კროკოდილი* და *ჰიპპოპოტამი* აკლია, ფრინველებიდან კი – სამოთხის ჩიტი. აქ გამოფენილია ჩონჩხი უძველესი ცხოველისა, რომელიც ადამიანის გაჩენამდე არსებობდა. ჩონჩხი სიდიდით სამი აქლემის ხელა იქნება. როგორც ჩანს, სპილოსა და მარტორქის მსგავსი ცხოველი იყო. კედელზე სამყაროს

11 *Safar-name-ye Mirza Mohammad Hoseyn Hoseyni Farahani*, be-kushesh-e Masʿud Golzari, Tehran, 1362/1983, 81; *Panjah safar-name-ye hajj-e Qajari*, be-kushesh-e Rasul Jaʿfariyan, Vol. 5, Tehran, 1389/2010, 84; *A Shiʿite Pilgrimage to Mecca 1885-1886*: The *Safarnâmeh* of Mirzâ Mohammad Hosayn Farâhâni, Edited, Translated, and Annotated by Hafez Farmayan and Elton L. Daniel, University of Texas Press, Austin, 1990, 84.

12 ავტორის სქოლიო: „ვულკანი ცეცხლისმფრქვეველ მთას ჰქვია."

ყველა რასის წარმომადგენლის ძალიან კარგი ნახატები კიდია: აფრიკელი ზანგებისა და ყვითელკანიანების, ამერიკელი და ავსტრალიელი წითელკანიანების, მონღოლების და სხვა.

მეორე სართულზე გამოფენილია სხვადასხვა ხალხთა ქანდაკებები, მათი ტანსაცმელი და სახლის მოწყობილობა. ორი-სამი ექსპონატის რაობა ჩემთვის გაუგებარი დარჩა. აქ მრავლად არის საბრძოლო იარაღი და მუსიკალური ინსტრუმენტები, რომელთა უმრავლესობა ირანულს ჰგავს. მუზეუმში ბევრი ძველი ირანული მოჭიქული ჭურჭელია. ორი-სამი მათგანი *რაფლე მოთალიყის*[13] უძველესი ტექნიკით არის შესრულებული და ძალიან ლამაზია. აქ იმდენი ოქროსა და ვერცხლის მონეტაა, რომ ყველაფრის დათვალიერება შეუძლებელია.

მესამე სართულზე გამოფენილია ფერწერული ტილოები, მათ შორის განსვენებულ მეფეთა, მეფისნაცვალთა და საქართველოს მმართველთა პორტრეტები. იქვე კიდია ორლულიანი თოფი ლეკების შეიხისა[14], რომელიც წლების განმავლობაში რუსეთს ებრძოდა. ვნახე ღვინის ქვის ჭურები, რომლებსაც ზარათუშტრას ეპოქამდელ ირანში მიცვალებულთა სამარხებად იყენებდნენ. მათზე თარიღი ძველი ირანული ლურსმული დამწერლობით არის ამოტვიფრული. შენობის მარჯვენა მხარეს მრავლად არის ჩინური, ძველი ირანული, ევროპული და რუმის[15] ჭურჭელი. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, მუზეუმში კიდევ ბევრი ექსპონატია, მაგრამ ყველა მათგანი რომ დავასახელო, ამისთვის მუზეუმის დავთარი უნდა ვთარგმნო და დავურთო. ამიტომ, ამჯერად მოკლე აღწერით დავკმაყოფილდები.“[16]

---

13 ავტორის სქოლიო: „რაფლე მოთალიყი მოჭიქვის უძველესი ტექნიკაა, რომელიც ჭურჭლის ოქროთი მოვარაყებას და შეფერადებას ნიშნავს. ახლა ეს ტექნიკა დაკარგულია და ევროპელი ხელოსნები მის აღდგენას ვერ ახერხებენ“.

14 იგულიხმება იმამი შამილი (1797-1871), რუსეთთან მებრძოლი ჩრდილოკავკასიელი მთიელების ცნობილი მეთაური.

15 ანუ ოსმალური.

16 მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა,* ტექსტი გამოსცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა, თბილისი, 1971, 100-101*; საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში* (*სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა),* კრებული

თბილისში ნამყოფი ზოგიერთი იმდროინდელი ირანელი ავტორის ჩანაწერებში მუზეუმი მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები, რაიმე აღწერილობითი მსჯელობის გარეშე. ასე, მაგალითად, ირანის სამეფო კართან დიდად დაახლოვებული დუსთ'ალი მო'აიარ ალ-მამალექი (1875-1966) თავის მოგონებებში წერს, რომ ჰიჯრის 1318 წლის რაბი' I-ში (ანუ 1900 წლის ივლისში) თბილისში ერთი დღე-ღამით ყოფნისას მან მოახერხა ქალაქის რამდენიმე ღირშესანიშნაობის გაცნობა, რომელთა შორის ის მუზეუმსაც ასახელებს.[17] ასევე საკმაოდ ლაკონური, თუმცა გაცილებით უფრო ემოციურია ცნობილი ირანელი პოლიტიკური მოღვაწისა და დიპლომატის სეიდ ჰასან თაყიზადეს (1878-1970) შემდეგი მემუარული ჩანაწერი, რომელიც 1905 წელს თბილისში მის ხანმოკლე სტუმრობას ეხება: „თბილისი ძალიან მაინტერესებდა, რადგან ჩემთვის ის ევროპული მმართველობის ქალაქს წარმოადგენდა. ღამღამობით მთელი ქუჩები განათებული იყო. თეატრში ვიყავი და მუზეუმიც ვნახე. დიდებული მუზეუმი იყო და შესასვლელში დაღესტნელი შეიხ შამილის ქანდაკება იდგა."[18]

შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბილისი, 2016, 449-450; იგივე ირანელი ავტორი მაჯდ ას-სალთანე რამდენიმე წინადადებით ეხება აგრეთვე სამხედრო-ისტორიულ მუზეუმს (ანუ ე.წ. „დიდების ტაძარს"), რომელიც 1888 წელს დაარსდა დ განთავსებული იყო დღევანდელი ეროვნული გალერეის შენობაში: „სამხედრო მუზეუმი ქალაქის ცენტრში, საზოგადოებრივი ბაღის ბოლოს დიდ ბულვარზე მდებარეობს. ის ერთსართულიანი შენობაა და მის გარშემო გარკვეულ რიგზე განლაგებულია ჯაჭვით გადაბმული ქვემეხები და ყუმბარები, რომლებიც რუსეთის ჯარმა მტერს წაართვა. თითოეული ქვემეხის თავზე მოოქრული სახელმწიფო გერბი – არწივია დამაგრებული. ქვემეხების უმეტესობას ოსმალეთის გერბი აქვს. მუზეუმში რუსეთის ომების ამსახველი სურათები კიდია და მათ ქვეშ მცირე განმარტებებია მიწერილი. თქვენი მონა-მორჩილი ამჯერად ამ მოკლე აღწერით შემოვიფარგლები" (მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, 101; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 450).

17 Dust'ali Mo'ayar al-Mamalek, "Hashtad o panj sal-e zendegi dar chand safhe", *Yaghma*, No. 132, Tehran, 1338/1959, 82.

18 *Zendegi-ye tufani, Khaterat-e Seyyed Hasan Taqi Zade*, be-kushesh-e Iraj Afshar, Tehran, 1368/1989, 40.

ინფორმაციის სისრულისთვის, საკუთრივ ირანელ მოგზაურთა გარდა, გვინდა შევეხოთ აგრეთვე მუსლიმური აღმოსავლეთის სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ იმ ავტორებს, რომლებიც კავკასიის მუზეუმს თავიანთ სპარსულენოვან თხზულებებში ახსენებენ.

პირველი ასეთი ავტორი ბუხარის ემირი სეიდ ‘აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანია (1885-1910), რომელიც თბილისში პირველად ჩამოვიდა 1892 წლის 19 დეკემბერს (ძველი სტილით; ახალი სტილით 1892 წლის 31 დეკემბერს), როდესაც ის ოფიციალური ვიზიტით ბუხარიდან სანკტ-პეტერბურგში მიემგზავრებოდა უზუნადას, ბაქოს, თბილისის, ვლადიკავკაზის და მოსკოვის გავლით.[19] ამ პირველი ვიზიტის დროს (იგი მომდევნო წლებშიც

19 სხვათა შორის, ეს ის ემირია, რომელსაც ქალაქ ბუხარაში პირადად შეხვდა გამოჩენილი ქართველი მხატვარი გიგო გაბაშვილი (1862-1936) 1894 წელს შუა აზიაში მისი ცნობილი მოგზაურობის დროს. ბუხარის ემირს გიგო გაბაშვილის ნახატები ძალიან მოსწონებია და მისი რამდენიმე ნამუშევარი შეუძენია კიდეც, ხოლო ამის შემდეგ ქართველი მხატვრისთვის მადლიერების ნიშნად სამახსოვრო საჩუქრებიც გაუგზავნია. ბუხარის ემირთან დაკავშირებული რამდენიმე დეტალი , თავად გიგო გაბაშვილისავე მონაყოლზე დაყრდნობით, შემდეგნაირადაა გადმოცემული მხატვრის მეუღლის ოლიმპიადა მიუნცლერ-მიულბაუმის მემუარულ ჩანაწერებში “Гиго Габашвили. Из воспоминаний жены художника” (ამ ჩანაწერების საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში): “Во время пребывания в Бухаре его работой сильно заинтересовался Эмир Бухарский. Он приобрел у художника несколько его картин, а на другой день, по восточному обычаю, прислал ему подношение: мерлушки для воротника и шапки, шелковое бухарское одеяло и золотое мужское кольцо с сапфиром, которое преподнес ему коленопреклонный слуга на серебряном подносе. Георгий Иванович, вспоминая об этом случае, всегда потом много смеялся и говорил: “Жалко, что обратно серебряный поднос взяли, уж если поднесли, так надо было и серебряный поднос оставить” (იხ.:“Гиго Габашвили. Из воспоминаний жены художника”, 4; G. Beradze, “The Georgian Artist Gigo Gabashvili and His Journey to Central Asia”, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო (The Near East and Georgia),* Vol. IV, Tbilisi, 2005, 90, 95, შენ. 8; G. Beradze, “Georgian Painters in Central Asia”, *Central Asia on Display, Proceedings of the VII Conference of the European Society for Central Asia Studies*, edited by Gabriele Rasuly-Paleczek and Julia Katschnig, Vienna: LIT Verlag, 2005, 189; მ. დუდუჩავა, *გიგო გაბაშვილი.*

არაერთხელ ესტუმრა თბილისს) ბუხარიდან ჩამობრძანებულ საპატიო სტუმარს მასპინძლებმა ქალაქის სხვა ღირშესანიშნაობებთან ერთად დაათვალიერებინეს კავკასიის მუზეუმიც, რომელიც მან სპარსულ ენაზე შედგენილ თავის „მოგზაურობის წიგნში“ (კერძოდ კი, ამ დღიურის ჰიჯრის 1310 წლის 14 ჯუმადა II-ით, ანუ 1893 წლის 3 იანვრით დათარიღებულ ჩანაწერში) მოკლედ ასე დაახასიათა:

„წავედით ერთ შენობაში, სადაც რკინის დიდ გალიებში სხვადასხვა ცხოველები ისხდნენ. გენერალი, რომელიც იქაურობის მცველი იყო, შეგვეგება და თავაზიანად მოგვესალმა. ამის შემდეგ სამსართულიანი შენობის მეორე სართულზე ავედით და ვნახეთ სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინველების ფიტულები, რომლებიც ისე ოსტატურად იყო გაკეთებული, რომ ცოცხალი გეგონებოდა. ამ შენობაში, რომელსაც რუსულად *მუზეი* ჰქვია, შეკრებილია რუსეთის *ვილაიეთებისა* და სხვა ქვეყნების ძველი და ახალი იშვიათი ნივთები. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სახლში დავბრუნდით.“[20]

მონოგრაფია, თბილისი, 1946, 59, შენ. 1; მ. დუდუჩავა, *გიგო გაბაშვილი,* თბილისი, 1963, 80). აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის კერამიკული და ქვის ნაკეთობების ფონდში ინახება სეიდ ‘აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანის მიერ ნაჩუქარი მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით შემკული ფაიანსის 7 დიდი თეფში, რომელიც ბუხარის ემირმა კავკასიის მუზეუმს 1897 წელს უსახსოვრა თბილისში მისი ერთ-ერთი ვიზიტის დროს (ამის შესახებ იხ.: Г. В. Джалабадзе, *Путеводитель по этнографическим фондам Государственного музея Грузии*, Тбилиси, 1985, 34-35). ამავე მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ფონდში ინახება, აგრეთვე, ბუხარის ზემოხსენებული ემირის მიერ თერგის კაზაკთა სამხედრო შენაერთისთვის ნაჩუქარი იარაღასხმული და ფაფახიანი ჩოხოსანი მხედრის ბრინჯაოს ქანდაკება შემდეგი რუსულენოვანი სამახსოვრო წარწერით: “Терскому Казачьему войску от Бухарского Эмира Сеид-Абдул-Ахад-Хана Генерал-Лейтенанта войска, 1895”.

20 *Tahrir-e ruzname-ye safar-e kheyriyat asar*, Qazan, 1312/1894, 17-18; *Точный перевод дневника Его Светлости Эмира Бухарского*, Представляет И. Гаспринский из Бахчисарая, Казанъ, 1894, 14; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 626; O.Yastrebova, “The Bukharan Emir ‘Abd al-Ahad’s Voyage from Bukhara to St. Petersburg”, *Looking at the Coloniser: Cross-Cultural Perceptions in Central Asia and the Caucasus, Bengal, and Related Areas*, edited by Beate Eschment and Hans Harder, Würzburg:

შედარებით უფრო მოკლე აღწერილობით იფარგლება მეორე ბუხარელი ავტორი დიდვაჭარი მირზა სერაჯ ად-დინ ‘აბდ არ-რაუფი, რომელიც თბილისში 1902 წელს ჩამოვიდა და კავკასიის მუზეუმის შესახებ შემდეგი ჩანაწერი დაგვიტოვა თავის სპარსულენოვან თხზულებაში „ბუხარელის ძღვენი“:

„ძალიან კარგი მუზეუმი აქვთ, რომელშიც ძველებური ნივთები ინახება. კედლებზე კავკასიური და დაღესტნური საომარი ტანსაცმელი და ტყავის ჩანთები კიდია. სურათების უმეტესობა მინაშია ჩასმული. მეომრების მუყაოს ქანდაკებებს ეროვნული ტანსაცმელი აცვიათ და ხელშუბები უჭირავთ.“[21]

კავკასიის მუზეუმისადმი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსული მოგზაურების გამორჩეული ყურადღების კიდევ ერთ კონკრეტულ და საკმაოდ თავისებურ ილუსტრაციად შეიძლება მივიჩნიოთ ის კურიოზული ეპიზოდი, რომელიც 1897/98 წლით დათარიღებულ ერთ ანონიმურ სპარსულენოვან ხელნაწერ თხზულებაშია აღწერილი და ეხება შორეული სინდიდან (ახლანდელი პაკისტანის ტერიტორიაზე) ირანის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის გავლით მექაში მიმავალი დიდგვაროვანი ჰაჯი ხოდავერდი ხანის თბილისურ ფათერაკიან თავგადასავალს. თხზულების უცნობი ავტორი მოგვითხრობს, რომ ერთხელ, თბილისში ყოფნისას, ჰაჯი ხოდავერდი ხანმა დაათვალიერა აქაური მუზეუმი, რომელმაც ის დიდად გააკვირვა და აღტაცებაში მოიყვანა. მუზეუმიდან გამოსვლის შემდეგ თავის პირად მსახურთუხუცესთან საუბრისას ჰაჯი ხოდავერდი ხანი ამ დაწესებულების შესახებ შთაბეჭდილებების მოყოლითა და მისი გაუთავებელი ქებით თურმე ისე გაერთო, რომ საფეხმავლო გზიდან ბულვარზე გადავიდა, ტრამვაისთვის განკუთვნილ რელსებზე აღმოჩნდა, სადაც მას გაქანებული ტრამვაი დაეჯახა და კინაღამ სული გააფრთხობინა.“[22]

ERGON Verlag, 2004, 67. თბილისში ბუხარის ემირის ეს ვიზიტი (ისევე, როგორც მისი შემდგომი ვიზიტები) ფართოდ შუქდებოდა ადგილობრივ პრესაში. იხ.: “Кавказ”, № 339 (22 декабря), Тифлис, 1892, 1-2; “Новое обозрение”, № 3094 (21 декабря), Тифлис, 1892, 1.

21 Mirza Seraj ad-Din Hajji Mirza ‘Abd ar-Ra’uf, *Tohaf-e ahl-e Bokhara*, ba moqaddame’i az Doctor Mohammad Asadiyan, Tehran, 1369/1990, 67.

22 *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 271-272. ზე-

ჩვენ მიერ ზემოთ მიმოხილული სპარსულენოვანი წყაროების მასალები ნათლად მეტყველებენ XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XX საუკუნის დამდეგს ირანიდან (და ასევე მუსლიმური აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან) თბილისში ჩამოსული სხადასხვა რანგის მოგზაურებისა და ვიზიტორების ცხოველ ინტერესზე კავკასიის მუზეუმის მიმართ. ამ მასალებში დაცული არც თუ ვრცელი და ზოგჯერ მეტად ფრაგმენტული, მაგრამ საერთო ჯამში საკმაოდ საყურადღებო ინფორმაცია ახალი დამატებითი დეტალებითა და შტრიხებით ავსებს ჩვენს ცოდნას როგორც საკუთრივ კავკასიის მუზეუმის ისტორიის, ისე, ზოგადად, იმდროინდელი თბილისის კულტურული ცხოვრების შესახებ.

ბიბლიოგრაფია

1. ალექსიძე, მ., *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში,* თბილისი, 2009.
2. ბაბუაძე, თ., „როგორ შეიქმნა მუზეუმი", *მუზეუმი*, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დეკემბერი, 2012, თბილისი, 2012, 18-27.
3. ბერაძე, გ., „თბილისი-ბუხარა-სამარყანდი: რამდენიმე ეპიზოდი 1890-იანი წლების პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებიდან", *აკადემიკოს გიორგი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეციერო კონფერენციის მასალები,* თბილისი, 2004, 17-18.
4. ბერაძე, გ., „ნასერ ად-დინ შაჰ ყაჯარი და კავკასიის მუზეუმი", 2010 (მოხსენება, წაკითხული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინს-

---

მოხსენებულ „ტრამვაის ინციდენტს" პირველად შეეხო გ. ბერაძე თავის მოხსენებაში "An Illustrated Persian Manuscript of the Late Nineteenth Century: Hajji Khodaverdi Khan Firuzabadi's Pilgrimage to Mecca", რომელიც ჰაჯი ხოდავერდი ხანის მოგზაურობის ამსახველი ხელნაწერი თხზულებისა და მასში ჩასმული ფერადი ილუსტრაციების აღწერა-დახასიათებას მიეძღვნა და წაკითხულ იქნა 2003 წლის 27 ივნისს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ქ. ვენეციაში (იტალია).

ტიტუტში 2010 წლის ივნისში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ირანი და კავკასია: კულტურული და ისტორიული ურთიერთობები"; მოხსენების ტექსტი გამოქვეყნებული არ არის).
5. დუდუჩავა, მ., *გიგო გაბაშვილი. მონოგრაფია,* თბილისი, 1946.
6. დუდუჩავა, მ., *გიგო გაბაშვილი,* თბილისი, 1963.
7. *თბილისი. ენციკლოპედია,* თბილისი, 2002.
8. კოშორიძე, ი., *საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება, XVI-XIX საუკუნეები,* თბილისი, 2011.
9. კოშორიძე, ი., დგებუაძე, მ., ბერაძე, გ., *საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური კოლექციები (Oriental Collections of the Georgian National Museum),* თბილისი, 2012.
10. კოშორიძე, ი., დგებუაძე, მ., ბერაძე, გ., „ახალი მხატვრული ტენდენციები და პორტრეტის პრობლემა XIX საუკუნის ირანულ მინიატურულ ხელოვნებაში", *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე,* საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, № 4 (49-B), თბილისი, 2013, 432-461.
11. მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა, თბილისი, 1971.
12. ჟორდანია, გ., *კავკასიური მუზეუმის დაარსება,* თბილისი, 1951.
13. *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში (სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა),* კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბილისი, 2016.
14. ჩხაიძე, გ., „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის სათავეებთან", *კავკასიის მაცნე,* № 3, თბილისი, 2001, 73-87.
15. ჩხაიძე, გ., *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932*), თბილისი, 2003.
16. *A Diary Kept by His Majesty The Shah of Persia during His Journey to Europe in 1878,* from the Persian, by Especial Permission of

His Majesty, by Albert Houtum Schindler and Baron De Norman, London, 1879.
17. Alexidze, M., "Persians in Georgia (1801-1921)", *Journal of Persianate Studies,* Vol. I, No. 2, Leiden & Boston: Brill, 2008, 254-260.
18. Alexidze, M., *Georgia and the Muslim East in the Nineteenth Century*: *Studies in the History of Culture, Religion and Life*, Tbilisi, 2011.
19. *A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-1886:* The *Safarnâmeh* of Mirzâ Mohammad Hosayn Farâhâni, Edited, Translated, and Annotated by Hafez Farmayan and Elton L. Daniel, University of Texas Press, Austin, 1990.
20. Beradze, G., "Georgian Painters in Central Asia", *Central Asia on Display, Proceedings of the VII Conference of the European Society for Central Asia Studies*, edited by Gabriele Rasuly-Paleczek and Julia Katschnig, Vienna: LIT Verlag, 2005 (Vienna Central Asian Studies, Vol. I), 183-191.
21. Beradze, G., "The Georgian Artist Gigo Gabashvili and His Journey to Central Asia", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* (*The Near East and Georgia*), Vol. IV, Tbilisi, 2005, 89-104, 317.
22. Beradze, G., "An Illustrated Persian Manuscript of the Late Nineteenth Century: Hajji Khodaverdi Khan Firuzabadi's Pilgrimage to Mecca", 2003 (მოხსენება, წაკითხული 2003 წლის 27 ივნისს საერთაშორისო კონფერენციაზე ქ. ვენეციაში (იტალია); მოხსენების ტექსტი გამოქვეყნებული არ არის).
23. Dust'ali Mo'ayar al-Mamalek, "Hashtad o panj sal-e zendegi dar chand safhe", *Yaghma*, No. 132, Tehran, 1338/1959, 181-190.
24. Hajj Mehdiqoli Hedayat (Mokhber as-Saltane), *Khaterat va khatarat*, Tehran, 1375/1996.
25. Mirza Seraj ad-Din Hajji Mirza 'Abd ar-Ra'uf, *Tohaf-e ahl-e Bokhara*, ba moqaddame'i az Doctor Mohammad Asadiyan, Tehran, 1369/1990.
26. *Panjah safar-name-ye hajj-e Qajari*, be-kushesh-e Rasul Ja'fariyan, Vol. 3, Tehran, 1389/2010; Vol. 5, Tehran, 1389/2010.

27. Petersen, W., *Aus Transkaukasien und Armenien, Reisebriefe von Wilhelm Petersen*, Leipzig, 1885.
28. Radde, G., *Kurze Geschichte der Entwickelung des Kaukasischen Museums während der ersten 25 Jahre seines Bestehens*, Tiflis, 1891.
29. *Ruzname-ye khaterat-e Naser ad-Din Shah dar safar-e dovvom-e Farangestan*, be-kushesh-e Fatemeh Qaziha, Tehran, 1379/2000.
30. *Ruzname-ye khaterat-e Naser ad-Din Shah dar safar-e sevvom-e Farangestan,* be-kushesh-e Esma'il Rezvani va Fatemeh Qaziha, Vol. I, Tehran, 1378/1999.
31. *Safar-name-ye Farhad Mirza*, tashih va tahshiye-ye Gholamreza Tabataba'i, Tehran, 1366/1987.
32. *Safar-name-ye Farhad Mirza Mo'tamad ad-Dowle*, be-ehtemam-e Esma'il Navvab Safa, Tehran, 1366/1987.
33. *Safar-name-ye Mirza Mohammad Hoseyn Hoseyni Farahani*, be-kushesh-e Mas'ud Golzari, Tehran, 1362/1983.
34. *Tahrir-e ruzname-ye safar-e kheyriyat asar*, Qazan, 1312/1894.
35. Ter-Oganov, N., "Two Iranian Authors, Majd os-Saltaneh and Yahya Dowlatabadi, on Tbilisi", *ტიპოლოგიური ძიებანი* (*Typological Researches*), Vol. 4, Tbilisi, 2000, 399-408.
36. Ter-Oganov, N., "Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens Majd os-Saltaneh et Yahya Dawlatabadi", *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irè ne Natchkebia, Paris, 2009, 261-272.
37. Thielmann, Freiherr Max von, *Streifzüge in Kaukasus, in Persien und in der asiatischen Türkei*, Leipzig, 1875.
38. Yastrebova, O., "The Bukharan Emir 'Abd al-Ahad's Voyage from Bukhara to St. Petersburg", *Looking at the Coloniser: Cross-Cultural Perceptions in Central Asia and the Caucasus, Bengal, and Related Areas*, edited by Beate Eschment and Hans Harder, Würzburg: ERGON Verlag, 2004, 63-73.
39. *Zendegi-ye tufani, Khaterat-e Seyyed Hasan Taqi Zade*, be-kushesh-e Iraj Afshar, Tehran, 1368/1989.
40. Джалабадзе, Г. В., *Путеводитель по этнографическим фондам Государственного музея Грузии,* Тбилиси, 1985.
41. "Кавказ", № 339 (22 декабря), Тифлис, 1892.

42. “Новое обозрение”, № 3094 (21 декабря), Тифлис, 1892.
43. Потто, В., *Царская семья на Кавказе 18 сентября – 14 октября 1888 года,* Тифлис, 1889
44. Радде, Г. И., *Краткий путеводитель Кавказского музеума,* Тифлис, 1881.
45. Радде, Г. И., *Краткий путеводитель по Кавказскому музею,* Тифлис, 1887.
46. Радде, Г. И., *Краткий очерк истории развития Кавказского Музея в первые 25 лет существования,* Тифлис, 1891.
47. Радде, Г. И., *Краткий путеводитель по Кавказскому музею,* Тифлис, 1899.
48. *Точный перевод дневника Его Светлости Эмира Бухарского,* Представляет И. Гаспринский из Бахчисарая, Казанъ, 1894.

Marina Alexidze, Grigol Beradze

THE CAUCASIAN MUSEUM IN NINETEENTH-CENTURY PERSIAN SOURCES

The Caucasian Museum in Tbilisi was one of the sights that attracted the nineteenth-century Iranian travelers. Descriptions of the museum made by Iranian visitors in their travel books and memoirs provide interesting details of its exhibitions and management and serve as an additional source for the study of its history. Besides they show how Iranians perceived and evaluated public museums, which were unknown in their homeland in that period. Thus, these descriptions are significant as a vivid reflection of the cultural interaction of Iranians with the rest of the world.

მარინა ალექსიძე

საქართველო ყაჯართა პერიოდის ირანელ მოგზაურთა თვალით

„მოგზაურობათა წიგნებს“ („საფარ-ნამე“) სპარსულ ლიტერატურაში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. XI საუკუნის პოეტი და ფილოსოფოსი ნასერ ხოსროვი იყო პირველი, ვინც ეგვიპტეში მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებები საკუთარ თხზულებაში აღწერა. სამოგზაურო ლიტერატურამ განსაკუთრებულ პოპულარობას ყაჯარულ პერიოდში (1794-1925) მიაღწია. ამ დროს მოხდა მისი ცალკე ჟანრად ჩამოყალიბება.[1] ირაჯ აფშა-

1 სპარსულ ლიტერატურაში მოგზაურობის ჟანრის განსაზღვრისა და კლასიფიკაციისათვის იხ.: B. G. Fragner, *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans*, Wiesbaden, 1979; H. Farman Farmayan, “The Forces of Modernization in Nineteenth Century Iran: A Historical Survey”, *Beginnings of Modernization in the Middle East: The Nineteenth Century*, ed. W. R. Polk and R. L. Chambers, The University of Chicago Press, Chicago & London, 1968, 133-136; Hafez Farman Farmayan, “Observations on Sources for the Study of Nineteenth- and Twentieth-Century Iranian History”, *International Journal of Middle East Studies*, Vol. 5, No.1, 1974, 38-49; О.С. Меликов, “Персидская мемуарная литература XIX века как источник по истории Ирана”, *Иран и Турция: Вопросы истории*, Баку, 1986, 5-60; M. R. Ghanoonparvar, *In a Persian Mirror: Images of the West and Westerners in Iranian Fiction,* University of Texas Press, Austin, Texas, 1993, 11-38; Īraj Afshār, “Safar-nāmehā-ye fārsī tā rūzgār-e esteqrār-e Mashrūtīyat”, *Jashn-nāme-ye ostād Zabīhollāh Safā*, be kūshesh-e Seyyid Mohammad Tarābī, Tehran, 1377/1998, 45-82; Iraj Afshar, “Persian Travelogues: A Description and Bibliography”, *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honor of Hafez Farmayan*, ed. Elton L. Daniel, Costa Mesa, CA, 2002, 145-162; Mohammad Rezā Hājj Bābā’ī, *Khāterāt va safar-nāmenevīsī dar ʻasr-e Qājār*, Tehran, 1385/2006; W. L. Hanaway, “Persian Travel Narratives: Notes Toward the Definition of a Nineteenth-Century Genre”, *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honor of Hafez Farmayan*, 249-268; K. Rastegar, *Literary Modernity Between the Middle East and Europe*: *Textual Transactions in Nineteenth-Century Arabic, English and Persian Literatures*, London & New York, 2007, 77-84; Hoseyn Mesrat, “Ahamīyat-e safar-nāmehā-ye fārsī”, *Āyyīne-ye Mīrās*, No. 7, Tehran, 1386/2007, 3-42; Naghmeh Sohrabi, *Taken for Wonder: Nineteenth-Century Travel Accounts from Iran to Europe*, Oxford University Press, Oxford & New York, 2012.

რის მიხედვით, XVIII საუკუნის ბოლოდან კონსტიტუციურ რევოლუციამდე დაწერილი „მოგზაურობის წიგნების“ რიცხვი ხუთასს აღწევს.[2]

შუა საუკუნეების სპარსული „მოგზაურობის წიგნების“ ავტორები, როგორც წესი, ან მექასა და სხვა მუსლიმური სიწმინდეების მომლოცველები იყვნენ, ან ხელისუფალთა მიერ უცხო ქვეყნებში დავალებით გაგზავნილი ელჩები, სავაჭრო ემისრები და სხვა. XIX საუკუნიდან შესამჩნევად გაფართოვდა მოგზაურთა მიზნები. მომლოცველთა და სახელმწიფო მოხელეთა გვერდით გაჩნდნენ განათლების მისაღებად, გასართობად თუ შემეცნებითი მიზნით მოგზაური სპარსელებიც, რომლებიც ნანახს თავიანთ წიგნებში აღწერდნენ. შორეულ მოგზაურობებში და, განსაკუთრებით, დასავლეთის ქვეყნებში, ძირითადად, საზოგადოების უმაღლესი კლასის წარმომადგენლები დადიოდნენ, რადგან ასეთი მოგზაურობა დიდ თანხებს მოითხოვდა. მოგზაურ წარჩინებულთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ორ ირანელ მონარქს – ნასერ ად-დინ შაჰსა (1848-1896) და მოზაფარ ად-დინ შაჰს (1896-1907). ნასერ ად-დინ შაჰი შვიდი მოგზაურობის წიგნის ავტორია: ორი აღწერს მოგზაურობას ხორასანში, სამი – ევროპაში, ერთი – ათაბათში (ცენტრალურ ერაყში) და ერთიც – ირანულ ერაყში. ყაჯარ უფლისწულთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულებები ეკუთვნით ხოსროვ მირზას, მოჰამად მირზა სეიფ ად-დოულეს, ფარჰად მირზას, აბას მირზა მოლქარას და სხვა. საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ირანელი ახალგაზრდები, რომლებიც ევროპაში „სასარგებლო მეცნიერებებისა და ენების შესასწავლად“ მიდიოდნენ. ამ მისწრაფებით XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდში მრავალი ათეული ირანელი სტუდენტი გაემგზავრა საზღვარგარეთ. პირველი ასეთი ჯგუფი 1815 წელს ინგლისში ჩავიდა. ამ ხუთკაციანი ჯგუფის წევრი იყო მირზა სალეჰ შირაზი, რომელიც XIX საუკუნის ერთ-ერთი პირველი „მოგზაურობის წიგნის“ ავტორია.

ირანელთა ევროპაში მოგზაურობის ამსახველი წიგნები განსაკუთრებით საინტერესოა კულტუროლოგიური თვალსაზრისით. ისინი მნიშვნელოვანია, როგორც ტრანსკულტურაციის

2 Iraj Afshar, “Persian Travelogues: A Description and Bibliography”, 146.

სპარსული მაგალითი, რადგან ცოცხლად წარმოაჩენს მსოფლიო სისტემის პერიფერიაზე აღმოჩენილი ქვეყნის წარმომადგენელთა მცდელობას განსაზღვრონ, რა შეიძლება იქნეს ათვისებული მოწინავე ქვეყნებისაგან და რა სიკეთეს ნახავს ამით მათი ქვეყანა.

XIX საუკუნე იყო პერიოდი ძირეული ცვლილებებისა ირანში. დასავლეთთან დაახლოების შედეგად ქვეყანაში მიდიოდა ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესები, ხდებოდა ტრადიციისა და ისტორიის გადააზრება და ამასთან დაკავშირებული ცვლილებები იდენტობასა და კულტურაში. დასავლეთის ქვეყნებში მოგზაურ ირანელთა მთავარი მიზანი იყო ახალი ეპოქის („'ასრ-ე ჯადიდ") შეცნობა, რაც გამოიხატებოდა ახალი ტექნოლოგიების, განათლების ახალი სისტემის, ახალი კანონებისა და მმართველობის ფორმების ათვისებაში. ამ მხრივ „მოგზაურობის წიგნების" როლი მეტად მნიშვნელოვანი იყო. უცხო ქვეყნების გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული დახასიათების პარალელურად, ისინი მათ სამეცნიერო, კულტურულ, ეკონომიკურ და, რაც მთავარია, პოლიტიკურ მიღწევებს გვამცნობენ. სწორედ დასავლეთში მოგზაურობის ამსახველ წიგნებში გვხვდება პირველად ისეთი თემები, როგორიცაა დემოკრატიული საკანონმდებლო სისტემა, სასამართლო ინსტიტუტები, პოლიტიკური თავისუფლება და ჩნდება ირანში მმართველობის სისტემის შეცვლის იდეაც. ნასერ ად-დინ შაჰის შერისხული ძმა აბას მირზა მოლქარა თავის მოგზაურობის ჩანაწერებში პირველად ხმარობს სიტყვას „კონსტიტუციური" მისი პოლიტიკური მნიშვნელობით – რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე ირანში კონსტიტუციურ მმართველობაზე ლაპარაკი დაიწყებოდა. 1810 წელს ინგლისში ჩასული დიპლომატი აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩი, რომელიც პირველად იგებს სიტყვა „პარლამენტს", გულისტკივილით აღნიშნავს: „სირთულე ის არის, რომ სიტყვა პარლამენტი აქამდე გაგონილი არ მქონდა. რაც უფრო ღრმად შევდივარ ამ უცხო წალკოტში, სულ უფრო და უფრო მეტ სიახლეს ვაწყდები."[3]

3 Behzād Jāme Bozorg, "Nokhostīn daryāfthā-ye safar-nāme-nevīsān-e īrānī az nehād-e pārlamān (bā ta'kīd bar safar-nāmehā-ye īrānī-ye doure-ye Fath'alī Shāh Qājār)", *Payām-e Bahārestān*, Vol. 2, No. 10, Tehran, 1389/2011, 155.

აღწრდნენ რა უცხო ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს, მოგზაურები ძალაუნებურად ადარებდნენ მას საკუთარ ქვეყანაში გამეფებულ მდგომარეობას. ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის შეფასებისას ისინი შედარებით მეთოდს მიმართავდნენ და კრიტერიუმი მათთვის მათივე ქვეყანა იყო. „მოგზაურობის წიგნები“ ევროპული „სხვას“ და ირანული „მეს“ დიქოტომიურ მოდელზეა აგებული. თანამედროვე მკვლევარი მონიკა რინგერი მათ განიხილავს, როგორც ევროპული სიძლიერის საიდუმლოსა და ირანის „ნაკლულობის“ მიზეზების ძიების საშუალებას.[4]

მოგზაურები დასავლური იდეების პროპაგანდას, ძირითადად, შეფარვით ეწეოდნენ. მათი მიზანი იყო მეფეებსა და მაღალი თანამდებობის პირებში გაეჩინათ სურვილი, რომ სოციალურ-პოლიტიკური თუ არა, სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურული სიახლეები მაინც გადმოეღოთ. 1829 წელს ფათჰალი შაჰის მიერ რუსეთში გაგზავნილი „მოსანანიებელი მისიის“ ერთ-ერთი წევრი მოსტაფა აფშარი ტულის იარაღის ქარხნის ნახვის შემდეგ ოცნებობდა: „ნეტავ, ირანის მთავრობამ ამ ქარხანაში გამოგზავნოს თავისი გამოცდილი ახალგაზრდები, რომლებიც მოკლე დროში მცირე დანახარჯებით სხვადასხვა პროფესიების დაუფლებას შეძლებდნენ.“[5]

ირანისა და დასავლეთის ასეთი დაახლოება, რასაც ირანელების მიერ მათი ფუნდამენტური ღირებულებების თანდათანობითი გადააზრება მოჰყვა, აშინებდათ ირანის კონსერვატიულ წრეებს. ნასერ ად-დინ შაჰის მინისტრი ამინ ად-დოულე კატეგორიულად აცხადებდა: „ჩემი ქვეყნის ხალხი არ უნდა იცნობდეს ირანის გარდა სხვა ადგილს ... სიტყვა „პარიზის“ ან „ბრიუსელის“ გაგონებისას, მათ არ უნდა იცოდნენ, ეს საჭმელია თუ ტანსაცმელი“[6]. ამიტომ „მოგზაურობის წიგნები“ ცენზურას

4 M. M. Ringer, “The Quest for the Secret of Strength in Iranian Nineteenth-Century Travel Literature: Rethinking Tradition in the *Safarnamah*”, *Iran and the Surrounding World: Interactions in Culture and Cultural Politics*, ed. N. R. Keddie and R. Matthee, University of Washington Press, Seattle & London, 2002, 148.

5 Д.С. Комиссаров, “Персидская художественная проза XIX-XX столетий”, *История персидской литературы XIX-XX веков*, Москва, 1999, 230.

6 M. M. Ringer, “The Quest for the Secret of Strength”, 153.

გადიოდა. ცნობილია, რომ ნასერ ად-დინ შაჰის მინისტრის ფაროხ ხანის „მოგზაურობის წიგნი", რომელშიც ავტორი ევროპული ლიბერალური კანონების, მრეწველობის, კულტურისა და განათლების შესახებ საუბრობდა, შაჰის კარის მოხელის მირზა აყა ხანის ბრძანებით არ დაიბეჭდა.[7]

საქართველოსა და ქართველების თემას სპარსულ სამოგზაურო ლიტერატურაში არც თუ უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ჩვენი ქვეყნის შესახებ ინფორმაცია სპარსულ „საფარ-ნამეებში" ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში ჩნდება. ცნობილი ირანელი პოეტი და მოგზაური ნასერ ხოსროვი 1047 წელს ნილოსის არხის გახსნისადმი მიძღვნილი ცერემონიალის აღწერისას ფატიმიანთა სამეფო კარის სტუმრებს შორის ასახელებს ქართველ უფლისწულებს – „ქართველ მეფეთა ვაჟებს."[8] ერთ-ერთი პირველი შუასაუკუნოვანი სპარსელი ავტორი, ვინც საქართველო თავის „მოგზაურობის წიგნში" პოეტურად აღწერა, იყო ისმაილიტი პოეტი ნეზარი ყოჰესთანი, რომელმაც 1279-1281 წლებში იმოგზაურა ამიერკავკასიაში.[9] საქართველოს, კონკრეტულად კი მის ერთ-ერთ პუნქტს ახალციხეს, პოეტურად აღწერს XV საუკუნის ავტორი მირ სეიდ ჰოსეინ აბივარდი თავის ავტობიოგრაფიულ

---

7 Д.С. Комиссаров, "Персидская художественная проза XIX-XX столетий", 231.

8 *Safar-nāme-ye Nāser Khosrov*, be kūshesh-e Mohammad Dabīrsīyāqī, Tehran, 1375/1996, 84. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ვ. გაბაშვილი, „საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.)", *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები,* თბილისი, 1968, 69-71; გ. ჟორჟოლიანი, „ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან", *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები,* II, თბილისი, 1979, 52-66; მ. ცინცაძე, „საქართველო და ქართველები X-XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე,* ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1984, № 4, 84-94.

9 *Safar-nāme-ye hakīm Nezārī Qohestānī*, be tashīh va moqābele-ye Chengīz GholāmʿAlī Bāybūrdī, be ehtemām-e doctor Mahmūd Rafīʿī, Tehran, 1391/2012, 15-16, 59-62, 177. ნეზარი ყოჰესთანის „საფარ-ნამეს" შესახებ იხ.: Ч. Г. Байбурди, *Жизнь и творчество Низари*, Москва, 1966, 87-101; Iraj Afshar, "Persian Travelogues: A Description and Bibliography", 145-146; N.E. Jamal, *Surviving the Mongols: Nizārī Quhīstānī and the Continuity of Ismaʿili Tradition in Persia*, London & New York, 2002, 108-146.

პოემაში „ოთხი სამეფო ტახტი.“[10] ამ თვალსაზრისით, აგრეთვე აღსანიშნავია სეფიანთა ეპოქის სპარსელი ავტორის ფაღფურ ლაჰიჯანის ლექსების ციკლი (ე.წ. „შაჰრ-აშუბი“), რომელშიც პოეტურად არის გადმოცემული 1592 წელს კახეთის სამეფოში მისი სტუმრობის შთაბეჭდილებები[11] და XVIII საუკუნის სპარსელი პოეტი საფი ხალხალის ვრცელი პოემა-მესნევი „ქალაქ თბილისის ქება.“[12]

განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი საქართველოსადმი XIX საუკუნეში. დიდ კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყანა როგორც აღმოსავლელი, ისე დასავლელი მოგზაურების ყურადღებას იპყრობდა. განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი თბილისისადმი. აღმოსავლური და დასავლური ყოფისა და კულტურის თანაარსებობა თბილისს განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა. „კავკასიის დედოფალი“, „ტკბობის ქალაქი“, „სამოცდაათი ენის ქალაქი“, „ქალაქი, რომელიც არაფერს ჰგავს ამქვეყნად თავისი თავის გარდა“ – აი, ეპითეტების ის მცირე ჩამონათვალი, რომლითაც მოგზაურები თბილისს ამკობდნენ. „ეს მხარე, ჭეშმარიტად, ამქვეყნიური სამოთხეა და ჭკუათმყოფელი კაცი თავისი ნებით ამ ქვეყნიდან არსად წავაო“, წერს სეიფ ად-დოულე.[13]

---

10 მ. თოდუა, „სპარსული წყარო საქართველოში თორქმანთა შემოსევის შესახებ“, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბილისი, 1975, 173-194.

11 გ. ბერაძე, „ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს. სპარსელი პოეტის ლექსები საქართველოზე)“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე,* ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1979, № 2, 160-173; G. Berādze, “Dīplomāsī va she‘r: Safahāti az tārīkh-e ravābet-e motaqābel-e Īrān va Gorjestān dar avākher-e qarn-e 16”, *Ta’sīrāt-e motaqābel-e tārīkhī va farhangī-ye Īrān va Gorjestān (Majmū‘e-ye maqālāt)*, Tehran, 1380/2001, 139-150.

12 მ. თოდუა, „საფი ხალხალის „თბილისის ქება“, *ქართულ-სპარსული ეტიუდები,* II, თბილისი, 1975, 294.

13 *Safar-nāme-ye Seyf ma‘rūf be Safar-nāme-ye Makke*, neveshte-ye Seyf ad-Dowle Soltān Mohammad, be tashīh va tahshīye-ye ‘Alī Akbar Khodāparast, Tehran, 1364/1985, 85; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა.* კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბილისი, 2016, 167-68.

მაგრამ დასავლელი და აღმოსავლელი მოგზაურების დამოკიდებულება და ინტერესი საქართველოსადმი და, განსაკუთრებით, თბილისისადმი რადიკალურად განსხვავდებოდა. ევროპელებისთვის და რუსებისთვის თბილისი იყო ერთგვარი „კარი აღმოსავლეთში“ და მათ აქ, ძირითადად, აინტერესებდათ სწორედ აღმოსავლური ეგზოტიკა – აზიური უბანი ვიწრო ქუჩებითა და ძველი ბანიანი სახლებით და, განსაკუთრებით, აღმოსავლური ტიპის ბაზრები, სადაც საკუთარი დუქნების წინ აღმოსავლური წესით ფეხმორთხმული მედუქნეები სპარსულ ხალიჩებს, ფარდაგებს, იარაღს, სამკაულებს და სხვა საქონელს ჰყიდდნენ. თბილისის აღმოსავლური უბნის რომანტიზაციის ტენდენცია XIX საუკუნის ბოლო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა. ორიენტალური ეგზოტიკის მოტრფიალე დასავლელი და რუსი ავტორები აქ შთაგონების განსაკუთრებულ წყაროს ხედავდნენ. ზოგიერთი მათგანი სპარსულ დუქანს და ყავახანას წარმოგვიდგენს ერთგვარ მისტიკურ ადგილად, სადაც „ბევრი, ბევრი შეუცნობელი რამ იმალება განდობილთათვის.“[14]

განსხვავებულად აღიქვამდნენ საქართველოსა და მის დედაქალაქს აღმოსავლელი და, კერძოდ, ირანელი მოგზაურები. ირანისთვის რუსეთი წარმოადგენდა გეოგრაფიულად უახლოეს დასავლურ ქვეყანას, ხოლო საქართველო – რუსეთის იმპერიის უახლოეს რეგიონს, სადაც დასავლური ცივილიზაციის მიღწევების გაცნობა შეიძლებოდა. ირანელ მოგზაურთათვის თბილისი იყო „კარი დასავლეთში“ ანუ ფაქტობრივად პირველი ევროპული ტიპის ქალაქი, რომელსაც ისინი გზად ნახულობდნენ. „თბილისი ნამდვილი ევროპული ქალაქის ნიმუშია, – წერს ყაჯარი უფლისწული ფარჰად მირზა, – როგორც ამბობენ, ერთი პეშვით ერთ ხარვარს შეიცნობ“[15] (ანუ მცირედით დიდი გამოიცნობა). ამდენად, მათი ინტერესების სფეროც განსხვავებული იყო. მათ ყურადღებას, პირველ რიგში, იპყრობდა თბილისის ახალი, ევროპული უბნები, ფართო ქუჩები, ახალი სახლები, ფაბრიკები,

14 Г. Евангулов, “Тифлисские очерки”, *Республика*, № 8, Тифлис, 1917.

15 *Safar-nāme-ye Farhād Mīrzā,* tashīh va tahshīye-ye Gholāmrezā Tabātabā'ī, Tehran, 1366/1987, 50; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში,* 261.

სასტუმროები, საავადმყოფოები, თეატრები, მუზეუმები, კლუბები, სტამბა და სხვა „ევროპული დაწესებულებები“. ირანელი მოგზაურები ამ ჟანრის ლიტერატურისთვის დამახასიათებელი პედანტურობით აღწერდნენ ყველა იმ სამეცნიერო თუ ტექნიკურ სიახლეს, რომელსაც ამ ქვეყანაში ხვდებოდნენ და რომელთაც, ხშირად, ან თვითონ არქმევდნენ სახელს ან რუსულ და ევროპულ დასახელებებს იყენებდნენ, რადგან შესატყვისი ტერმინი სპარსულ ენაში ჯერ არ არსებობდა.

ირანელი მოგზაურების ინტერესი საქართველოსადმი კიდევ ერთი ასპექტით იყო განპირობებული. მათი უმეტესობისთვის საქართველო იყო ნაწილი იმ დიდი ერთობისა, რომელსაც სპარსულენოვან სამყაროს ეძახიან. საქართველოს გასვლას ირანის დაქვემდებარებიდან და მის რუსეთის იმპერიასთან მიერთებას ისინი ისტორიულ უკუღმართობად აღიქვამდნენ. ბუნებრივია, ასეთი განწყობა გაცილებით ძლიერი იყო XIX საუკუნის დასაწყისის ავტორებთან, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვდათ დრო, როცა საქართველო პოლიტიკურად და კულტურულად ირანზე იყო გადაჯაჭვული. ამ პოლიტიკური და კულტურული კავშირის წარმოსაჩენად, ისინი დიდი ენთუზიაზმით გვამცნობენ, რომ თბილისი, თურმე, სპარსელი მეფის ანუშირვანის აგებულია, მტკვრის ნაპირზე მდგარი მეჩეთი, მინარეთი და ეკლესიაც კი – შაჰ აბასის, კობის ციხე-სიმაგრე და დარიალის ხეობის სხვა ძეგლები – დარიოსის და სხვა. ძირითადად, ეს მათში ერთგვარ ნოსტალგიურ განწყობილებას იწვევს. „კაცი სანამ საკუთარი თვალით არ ნახავს კავკასიის დედაქალაქს, დანარჩენ დიდ ქალაქებს, სოფლებს, ნათესებს, მდინარეებსა და ამწვანებულ მინდვრებს, ვერ მიხვდება, ირანის სახელმწიფო მოღვაწეებისა და ხალხის სისულელისა და უვიცობის გამო ჩვენი ძვირფასი სამშობლოს სხეულს რა მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყდა და კასპიის ზღვის გადაღმა რა მდიდარი ქვეყანა დავკარგეთ“, – დანანებით წერს იაჰია დოულათაბადი[16]. ზოგი კი, მაგალითად, ირანელი მხედართმთავარი ფაშა ხან შოჯა‘ ალ-მოლქი, უფრო აქტიური ქმედებების მომხრეა: „ამ ვითარების შემყურე თავს შეურაცხყო-

16 Yahyā Doulatābādī, *Hayāt-e Yahyā*, j. 3, Tehran, 1387/2008, 853; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში,* 574.

ფილად ვგრძნობ. მოგზაურობიდან დავბრუნდები თუ არა, დიდებულ შაჰინშაჰს მუხლებში ჩავუვარდები, რომ 30000-იანი ლაშქარი მომცეს, რათა თბილისი რუსებისგან უკან დავიბრუნო."[17] ეს განწყობა, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში ირანელებს ემოციადღა შემორჩათ, საუკუნის პირველ ათწლეულებში ჯერ კიდევ დიდწილად განსაზღვრავდა ირანის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. როგორც მირზა აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩის მემუარული თხზულებიდან „ჰეირათ-ნამე" (საოცრებათა წიგნი) ვიგებთ, 1809-1810 წლებში ინგლისის მეფის კარზე ჩასული ირანის საელჩო მისიისთვის საქართველოს საკითხი ერთ-ერთი საკვანძო იყო. ინგლისის მეფესთან შეხვედრაზე ილჩიმ მას გადასცა შაჰის თხოვნა, დახმარებოდა თბილისის რუსებისგან გამოხსნაში ისე, როგორც ოსმალეთის სულთანს დაეხმარა ეგვიპტიდან ფრანგული არმიის განდევნაში.[18]

ზოგიერთი ავტორი ირანის მიერ საქართველოს დაკარგვაზე პასუხისმგებლობას როგორც ქართველ, ისე ირანელ მეფეებს აკისრებს. მაგალითად, ფარჰად მირზა გულისტკივილით აღნიშნავს: „ირანის შაჰები საქართველოს მმართველებს მეტად რომ გაფრთხილებოდნენ, შესაძლოა, მათ თავი არ შეერცხვინათ და ამდენი ხნის დინასტია ასე უცებ ქარს არ გაჰყოლოდა."[19]

ირანელი მოგზაურების საქართველოსადმი ასეთი „მესაკუთრული" დამოკიდებულება ლაიტმოტივად გასდევს მათ თხზულებებს. ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი მოელოდნენ, რომ ამ მეზობელ ქვეყანაში, რომელიც დიდი ხნის განმავლობა-

---

17 *Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk*, be kūshesh-e Manūchehr Mahmūdī, Tehran, 1351/1972, 16; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 151-52.

18 *A Persian at the Court of King George, 1809-10: The Journal of Mirza Abul Hassan Khan*, Translated and Edited by M. M. Cloake, Introduction by D. Wright, London, 1988, 60, 64, 69, 91, 117, 119, 164; ი. ნაჭყებია, *ნარკვევები საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისი),* თბილისი, 2002, 88-91; G. Beradze, I. Natchkebia, "Une question de Tbilissi dans les négotiations de Mirza Abul Hassan Khan (1809-1810)", *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century"*, Abstracts, Tbilisi, 2002, 18-19.

19 *Safar-nāme-ye Farhād Mīrzā,* 47; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში,* 259.

ში ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, იგივე ან თითქმის იგივე კულტურული და ყოფითი ტრადიცია დახვდებოდათ, რაც მათ სამშობლოში იყო. ზემოთნახსენები „სხვა-მე“-ს დიქოტომიური მოდელი საქართველოსთან მიმართებაში ერთგვარ ტრანსფორმაციას განიცდის: „მე“ და „სხვა“, რომელიც ადრე „მე“-ს ნაწილი იყო. ამდენად, მოულოდნელობის ეფექტი აქ განსაკუთრებული სიმძაფრით იჩენს თავს და, დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, სხვაობა ძლიერ გაღიზიანებას იწვევს. ახალი, „გაევროპულებული“ საქართველოს აღწერისას მოგზაურები მძაფრად აკრიტიკებენ ფოსტის სადგურებსა და საბაჟოებზე გამეფებულ მექრთამეობას, გზებზე ყაჩაღობასა და ძარცვას. მათი განსაკუთრებული გაკიცხვის საგანია ქალების სოციალური სტატუსი, მათი ჩაცმულობა და ქცევის სტილი, რომელსაც ისინი „რუსულს“ უწოდებენ. ისინი აღნიშნავენ საქართველოში ზნეობის დაცემას და ამას რუსეთის „დამღუპველ“ ზეგავლენას მიაწერენ. მაგრამ ამ მკაცრი კრიტიკის პარალელურად, მოგზაურები მოწონებით აღწერენ ქვეყნის ეკონომიკურ მიღწევებს და აღიარებენ, რომ საქართველოში, ირანისგან განსხვავებით, აღმშენებლობის პროცესი მიდის. „ჩემ წინ გაშლილი აყვავებული მიწები ღიმილით მეუბნებიან, – წერს იაჰია დოულათაბადი, – ირანის შემადგენლობაში რომ დავრჩენილიყავით, განა ასეთ კეთილდღეობას მივაღწევდით? უეჭველია, წლების განმავლობაში ისევ ისე გავერანებულები, ვირებისა და საფორანე ცხენების წიხლებქვეშ გათელილები და გაქელილები ვიქნებოდით. ახლა კი რკინიგზის ხაზები ვენებისა და არტერიების მსგავსად ჩვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებენ და ჩვენს ძარღვებს სიცოცხლეს შთაბერავენ.“[20]

ირანელი მოგზაურების ასეთი დამოკიდებულება განსაზღვრავს იმ საკითხებსა და თემებს, რომლებიც მათ თხზულებებში საქართველოსთან დაკავშირებით წამოიჭრება. ესენია საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და ბუნება; მოსავალი და საკვები; გზები და ტრანსპორტი; მოსახლეობა; ზნეობრივი გარემო; გა-

20 Yahyā Doulatābādī, *Hayāt-e Yahyā*, 853; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში,* 574; Ter-Oganov, N., "Two Iranian Authors, Majd os-Saltaneh and Yahya Dowlatabadi, on Tbilisi", *ტიპოლოგიური ძიებანი,* IV, თბილისი, 2000, 408.

ნათლების სისტემა და სკოლები; სასტამბო საქმე და პრესა; ჯანდაცვა; ვაჭრობა; საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის მიკრომოდელი ისეთ საკითხებში, როგორიცაა ჯარი, ადმინისტრაცია, პოლიცია და ჯაშუშური სისტემა; გასართობი დაწესებულებები (თეატრი, ცირკი, მუზეუმი, კლუბი და სხვა).

XIX საუკუნის სპარსული „სამოგზაურო წიგნებით“ შეიძლება თვალი გავადევნოთ საქართველოს ქალაქების და, განსაკუთრებით, თბილისის ურბანული განვითარების ასწლიან (1814-1925) პერიოდს. თუ საუკუნის დასაწყისში ჩამოსულ მირზა აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩის, მირზა სალეჰ შირაზისა და ხოსროვ მირზას დახვდათ ლამაზი, მაგრამ პატარა (3/4 ფარსახი გარშემოწერილობის) ქალაქი ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, ერთ ან ორსართულიანი ბანიანი სახლებითა და ხის ბაზრებითა და დუქნებით, საუკუნის მიწურულის „მოგზაურობის წიგნებში“ თბილისი უკვე „ევროპული ტიპის ქალაქია“ ფართო ქვაფენილებით, რკინის ხიდებით, ხუთ და ექვსსართულიანი ქვის სახლებით, სასტუმროებით, თეატრებით, კლუბებით. ირანელების შეფასებით, „ამ ქალაქში ყველა პირობაა შექმნილი, რომ მოგზაურმა კარგი დრო გაატაროს“: შუაღამემდე გაზის ფარნებით განათებულ ქუჩებში ხალხი ფეხით და ფაეტონებით სეირნობს, ბაღებიდან და სამიკიტნოებიდან მხიარული მუსიკა და ჟრიამული გამოდის, კლუბებში კი იმართება საცეკვაო საღამოები „ბალები“ და „ბალმასკარადები“, რომლებზეც, მათდა გასაოცრად, ქალები და კაცები დროს ერთად ატარებენ, „ხელიხელჩაკიდებულები“ ცეკვავენ და „ცეკვის დროს მიღებულია ზრდილობიანი შეკითხვები, გალანტურობა და მსუბუქი ფლირტი.“[21]

ბუნებრივია, ირანელი მოგზაურები გამორჩეულად ინტერესდებოდნენ საქართველოში მცხოვრები თავიანთი თანამემამულეებით და, ზოგადად, ირანული კვალით ამ ქვეყანაში. ისინი გვაწვდიან ცნობებს საქართველოს ირანულ თემზე – დიპლომატებზე, სახელმწიფო მოხელეებზე, სასულიერო პირებზე, პოლი-

21 მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა, თბილისი, 1971, 32.

ტიკურ ემიგრანტებზე, ვაჭრებზე, მშენებლებზე, ხელოსნებზე და სხვა. განსაკუთრებით დიდია მათი ინტერესი საქართველოს დედაქალაქში და საპორტო ქალაქებში – ბათუმსა და ფოთში მოქმედი ირანის საკონსულოებისადმი. ირანელი მოგზაურები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოში ირანელები ადგილობრივ მცხოვრებლებთან ისე არიან არეული, რომ ირანის ქვეშევრდომს მხოლოდ სამოსით თუ იცნობო. მკვიდრ მოსახლეობაში ირანელთა ინტეგრაციის ფაქტის შეფასება სხვადასხვა ავტორებთან ძლიერ სხვაობს. უმეტესობას აღიზიანებს, რომ „აქაურმა ირანელებმა მუსლიმური ადათ-წესები სულ დაივიწყეს ..., ღვინოს სვამენ და ყოველგვარ უზნეობასა და უწესობას სჩადიან."[22] მათი კრიტიკის ობიექტი მეტწილად საქართველოში მცხოვრები ირანელი ქალები არიან, რომელთაგან ზოგიერთები სახეს არ იფარავენ ან თუ იფარავენ, ისეთი მოკლე ჩადრით იმოსებიან, რომ ან თავი უჩანთ, ან ფეხი. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც სრულიად ნეიტრალურად უყურებენ იმ ვითარებას, რომ „აქაური მუსლიმები ქრისტიანებს ჰგვანან, არ იცავენ კვების [მუსლიმურ] წესებს, ჭამენ [ქრისტიანულ] საკვებს და ქრისტიანების მიერ დაკლულ საქონელს და სვამენ ყველა სახის მათრობელ სასმელს."[23]

ირანელ მოგზაურთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა თბილისის ის ადგილები, რომლებიც, გარკვეულწილად, ირანს უკავშირდება. ასეთი ადგილი, უპირველეს ყოვლისა, არის „მოჯთაჰედის ბაღი" (ცნობილი მუშტაიდის ბაღი), რომელიც თავრიზის სასულიერო ლიდერმა აყა მირ ფათაჰ მოჯთაჰედმა თბილისში ცხოვრების პერიოდში ააშენა.[24] როგორც მოგზაურ,

---

22 *Safar-nāme-ye Mīrzā Abū'l-Hasan Khān Shīrāzī (Īlchī) be Rūsīye,* be qalam-e Mīrzā Mohammad Hādī ʻAlavī Shīrāzī, be kūshesh-e Mohammad Golbon, Tehran, 1357/1978, 29; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში,* 65.

23 *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī,* be kūshesh-e Masʻūd Golzārī, Tehran, 1362/1983, 82; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში,* 403.

24 აყა მირ ფათაჰ მოჯთაჰედის საქართველოსთან კავშირზე იხ.: მ. ალექსიძე, „მირ ფათაჰ მუშტაიდისა და მისი ბაღის ისტორია: ლეგენდები და სინამდვილე", *აღმოსავლეთმცოდნეობა*, № 3, თბილისი, 2014, 221-233.

ისე ადგილობრივ ირანელებში ძალიან პოპულარული იყო მამადავითის ეკლესიაც, სადაც მათ აღმოსავლეთში კარგად ცნობილი შეიხ სანაანის საფლავი ეგულებოდათ.[25]

და ბოლოს, სამოგზაურო ლიტერატურაზე, როგორც ისტორიულ წყაროზე საუბრისას, დგება მის ავტორთა ობიექტურობის საკითხი. ბუნებრივია, მათი უმეტესობა ასე თუ ისე მიკერძოებულია თავისი პოლიტიკური თუ იდეოლოგიური სიმპათია-ანტიპათიების შესაბამისად. მაგრამ მოგზაურ ავტორთა სუბიექტურობა მათ შეფასებებსა და ემოციებს არ სცილდება და ფაქტებს ისინი, მეტწილად, სწორად გადმოსცემენ. ამდენად, ზემოხსენებული თხზულებები წარმოადგენს საყურადღებო წყაროს როგორც საქართველოს, ისე ირანის ისტორიისათვის. თუმცა მათი მთავარი ღირებულება მაინც ირანელთა საქართველოსადმი დამოკიდებულების ძალიან ცოცხალი ილუსტრირებაა. მოგზაურთა ნაწერებით კარგად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ აღიქვამდნენ საქართველოს ყაჯართა ეპოქის ირანელები. მეტიც, ეს ნაწერები გვიჩვენებს „გაევროპულებული“ საქართველოს აღქმის პრიზმაში გარდატეხილ დამოკიდებულებას დასავლური ცივილიზაციისადმი. უფრო ფართოდ კი ისინი გვეხმარება, გავიგოთ რთული და წინააღმდეგობრივი რელიგიურ-იდეოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური თუ ფსიქოლოგიური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა ევროპასთან დაახლოების გზაზე დამდგარ ირანში.

25 შეიხ სანაანის თბილისთან კავშირზე იხ.: მ. ალექსიძე, *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 2009, 9-26; M. Alexidze, “Le Cheikh Sana‘an et Tiflis/Tbilissi”, *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, Paris, 2009, 73-85; ‘Alī Javāher Kalām, “Mazār-e Sheykh Sana‘ān dar Teflīs”, *Armaghān*, Vol. 39, No.11-12, Tehran, 1349/1971, 761-764.

ბიბლიოგრაფია

წყაროები და თარგმანები

1. მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა, თბილისი, 1971.
2. *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა,* კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბილისი, 2016.
3. *Sa*far-nāme-ye Hakīm Nezārī Qohestānī, be tashīh va moqābele-ye Chengīz Gholām'Alī Bāybūrdī, be ehtemām-e doctor Mahmūd Rafī'ī, Tehran, 1391/2012.
4. *Safar-nāme-ye Farhād Mīrzā, tashīh va tahshīye-ye Gholāmrezā Tabātabā'ī ,* Tehran, 1366/1987.
5. *Safar-nāme-ye Mīrzā Abū'l-Hasan Khān Shīrāzī (Īlchī) be Rūsīye,* be qalam-e Mīrzā Mohammad Hādī 'Alavī Shīrāzī, be kūshesh-e Mohammad Golbon, Tehran, 1357/1978.
6. *Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk,* be kūshesh-e Manūchehr Mahmūdī, Tehran, 1351/1972.
7. *Safar*-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī, be kūshesh-e Mas'ūd Golzārī, Tehran, 1362/1983.
8. *Safar-nāme-ye Nāser Khosrov*, be kūshesh-e Mohammad Dabīrsīyāqī, Tehran, 1375/1996.
9. *Safar-nāme-ye Seyf ma'rūf be Safar-nāme-ye Makke*, neveshte-ye Seyf ad-Dowle Soltān Mohammad, be tashīh va tahshīye-ye 'Alī Akbar Khodāparast, Tehran, 1364/1985.
10. Yahyā Doulatābādī, *Hayāt-e Yahyā, j.* 3, Tehran, 1387/2008.

ლიტერატურა

1. ალექსიძე, მ., „მირ ფათაჰ მუშტაიდისა და მისი ბაღის ისტორია: ლეგენდები და სინამდვილე", *აღმოსავლეთმცოდნეობა,* № 3, თბილისი, 2014, 221-233.

2. ალექსიძე, მ., *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 2009.
3. ბერაძე, გ., „ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს. სპარსელი პოეტის ლექსები საქართველოზე)", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე,* ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1979, № 2, 160-173.
4. გაბაშვილი, ვ., „საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.)", *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები,* თბილისი, 1968, 69-71.
5. თოდუა, მ., „საფი ხალხალის „თბილისის ქება", *ქართულ-სპარსული ეტიუდები,* II, თბილისი, 1975, 195-197.
6. თოდუა, მ., „სპარსული წყარო საქართველოში თორქმანთა შემოსევის შესახებ", *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბილისი, 1975, 173-194.
7. ჟორჟოლიანი, გ., „ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან", *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები,* II, თბილისი, 1979, 52-66.
8. ცინცაძე, მ., „საქართველო და ქართველები X-XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის* მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1984, № 4, 84-94.
9. Afshar, Iraj, "Persian Travelogues: A Description and Bibliography", *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honour of Hafez Farmayan*, ed. E.L. Daniel, Costa Mesa, CA, 2002, 145-162.
10. Alexidze, M., "Le Cheikh Sanaʿan et Tiflis/Tbilissi", *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, Paris, 2009, 73-85.
11. Berādze, G., "Dīplomāsī va sheʿr: Safahāti az tārīkh-e ravābet-e motaqābel-e Īrān va Gorjestān dar avākher-e qarn-e 16", *Taʾsīrāt-e motaqābel-e tārīkhī va farhangī-ye Īrān va Gorjestān (Majmūʿe-ye maqālāt),* Tehran, 1380/2001, 139-150.
12. Jamal, N.E., *Surviving the Mongols: Nizārī Quhīstānī and the Continuity of Ismaʿili Tradition in Persia*, London & New York, 2002.

13. JāmeBozorgBehzād,"Nokhostīndaryāfthā-yesafar-nāme-nevīsān-e īrānī az nehād-e pārlamān (bā ta'kīd bar safar-nāmehā-ye īrānī-ye doure-ye Fath'alī Shāh Qājār)", *Payām-e Bahārestān*, Vol. 2, No. 10, Tehran, 1389/2011, 153-159.
14. J*avāher Kalām, 'Alī, "Mazār-e Sheykh Sana'ān dar Teflīs", Armaghān*, Vol. 39, No.11-12, Tehran, 1349/1971, 761-764.
15. Ringer, M. M., "The Quest for the Secret of Strength in Iranian Nineteenth-Century Travel Literature: Rethinking Tradition in the *Safarnamah*", *Iran and the Surrounding World: Interactions in Culture and Cultural Politics*, ed. N. R. Keddie and R. Matthee, University of Washington Press, Seattle & London, 2002, 146-161.
16. Байбурди, Ч. Г., *Жизнь и творчество Низари,* Москва, 1966.
17. Комиссаров, Д.С., "Персидская художественная проза XIX-XX столетий", *История персидской литературы XIX-XX веков,* Москва, 1999, 226-285.
18. Евангулов, Г., "Тифлисские очерки", *Республика,* № 8, Тифлис, 1917.

Marina Alexidze

GEORGIA IN THE EYES OF IRANIAN TRAVELLERS OF THE QAJAR PERIOD

Persian travel and memoir literature has a history of a thousand years. The earliest preserved travelogue in Persian was written by Nāser Khosrow in the mid-eleventh century. However, medieval and early modern travel narratives did not form a particular genre of Persian literature until the Qajar period. Beginning from the early nineteenth century, writing travel notes and accounts became increasingly popular. According to recent studies, there were about five hundred travelogues written in the Qajar period. Apart from their role in the development of the Persian literary style, many of these travelogues were the means of transferring scientific knowledge, new economic and political ideas, and cultural and educational innovations. Thus, they are significant as a most vivid reflection of the cultural interaction of Iranians with the rest of the world.

Georgia appears in dozens of books written by Iranian travellers in the nineteenth and early twentieth centuries. Almost all of them visited Georgia on their way to other countries. Two major routes – to Mecca and to Western Europe – went through Georgia. Generally, pilgrims from Northern Iran carrying out *hajj* traveled to Istanbul via Georgia and from there proceeded to Mecca. That was a long and difficult journey, but safer and more pleasant than other routes. Georgia is described in many travelogues written by pilgrims the most well-known of whom were Farhad Mīrzā, Mīrzā Mohammad Hoseyn Farāhānī, Amīn ad-Dowle, Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī, Mīrzā Abd al-Hoseyn Khān Afshār Orūmī and Seyf ad-Dowle Soltān Mohammad.

Travellers to Western Europe and Central Russia formed another important group of Iranians who passed through Georgia. As a rule, these were well-educated people who considered writing travelogues to be an essential outcome of their trips. Among them, there were two royal persons: Nāser ad-Dīn Shāh and Mozaffar ad-Dīn Shāh, as well as many notables, government officials, military men, and diplomats (Mīrzā Abū'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī, Mīrzā Saleh Shīrāzī, Seyf al-

Molk, Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk, E'temād as-Saltane, Majd as-Saltane, Zahīr ad-Dowle, Mīrzā Serāj ad-Dīn Abd ar-Raūf, Rezā Alī Dīvān Bīgī, etc). Also, Western Europe was the main destination for rare independent intellectuals among whom the most famous was the indefatigable traveller Hājj Sayyāh. Actually, his eighteen-year tour around the world started in Tbilisi.

Southern Caucasus in general and Georgia in particular was a gateway to the West for Iranians. In fact, the route to Europe through Georgia had no alternative. The importance of that route significantly increased after the opening of the Transcaucasian Railway in 1883, which provided fast and cheap transportation from Baku to the Black Sea ports. Iranian pilgrims to Mecca also normally used this railway line.

Persian travelogues and memoirs of the Qajar period, which contain notes on Georgia, cover the period of more than a century from the 1810s to the 1920s. They are valuable sources of how Iranians of the Qajar period saw Georgia. Being very different from each other in literary form and taste, as well as in their authors' interests, they deal with various aspects of the country such as history, geography, climate, population, government, law, education, industry, transport, society, religion, moral, everyday life, leisure, food, etc.

What was Georgia in the eyes of Iranian travellers? The following aspects should be mentioned here.

The first is that the Iranians saw Georgia as a part of the great entity that we call the Persianate world. Subjugation of Georgia to the Russian Empire and its political and cultural consequences were considered by Iranians an error of history, something abnormal and upsetting. Naturally, this feeling of vexation is stronger in the writings of the early Qajar period travelling authors such as Mīrzā Abu'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī and Mīrzā Saleh Shīrāzī, who visited Georgia respectively in 1814 and 1815. These two noblemen remembered the times of the sole domination of Iran in the South Caucasus, when Georgia was politically and culturally closely linked to it. They believed that Iranian domination in Georgia was the normal state of things having a centuries-old history and being of benefit both for the Iranians and for the Georgians. One can easily imagine the contradictory feelings that

seized them when in Georgia. Unlike Paris and London where crowds used to assemble to gaze at exotic guests, nobody was surprised at their beards and native costumes in Tbilisi. The inhabitants of Georgia were well accustomed to seeing Iranians in their own cities and towns. Iranian travellers met people whose standards and style of everyday life were very similar to their own. But this feeling of being in a familiar cultural environment was clouded by the fact that this land belonged to a foreign – and actually hostile – power. Ilchī and Mīrzā Saleh Shīrāzī saw Georgia that had become a province of the Russian Empire just a few years before their visit and their attitude to this new political reality was very deprecative and somehow jealous. Ilchī believed that the lowering of moral standards was the main result of the Russian rule in Georgia. He was outraged by the relaxed manners of the Georgians, which he ascribed to the pernicious Russian influence. Generally, the "Russian style of behaviour" is the object of his sharp criticism and the underlying message of that criticism is a reproach to the Georgians for their cultural choice in favour of Russia.

Accusations of immorality and indecency can be found in the writings of later Iranian as well. In 1854, Seyf ad-Dowle Soltān Mohammad wrote: "This country strikingly differs from our country. Here one can find everything except piety and decency. May God protect a Muslim traveller in this country from Satan's temptations and depravity!"

Some Iranian travellers blamed the breaking off of Iranian-Georgian relations not only on Georgian kings, but also on the Shahs of Iran who were criticised for their aggressive attitude and lack of flexibility. Farhād Mīrzā wrote in 1856: "Perhaps the centuries-old alliance [of Iran and Georgia] would not go with the wind if the Shahs treated Georgian rulers with more respect". Here and there, the idea of revenge upon Russia occurs in nineteenth-century Persian travelogues. Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk, who was a member of the Iranian diplomatic mission to London in 1863, wrote in his travelogue that Pashā Khān Shoja al-Molk, the head of the mission, promised to ask Nāser ad-Dīn Shāh to send 30,000 soldiers to drive Russians out of Georgia.

Iranian travellers often quoted legends and stories, which aimed to stress the civilizing role of Iran in Georgia. According to Farāhāni,

concerning Tbilisi "some have said that it is one of the constructions of Anushīrvān". Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī and Seyf ad-Dowle Soltān Mohammad wrote that Shah 'Abbas built not only a mosque and a minaret, but also a church in Tbilisi.

The nostalgia for the previous close Persian-Georgian relations is peculiar, to more or less extent, to almost all Iranian travellers. The loss of the dominant position in the South Caucasus by Iran was a bitter reality that upset them. But sentiments did not prevent them from being interested in what happened in the region after Iran had left. In the first place, their eyes were directed towards Tbilisi, the "Queen of the Caucasus", which reflected most fully the economic and cultural development of the region in the nineteenth century. Tbilisi was considered the fourth capital of the Russian Empire, after St Petersburg, Moscow, and Warsaw. It had a "royal court" of its own – the palace of the Viceroy. Since the 1850s, there was everything that one could find in any European city: banks, clubs, hotels, hospitals, schools, libraries, theatres, museums, etc. Thus, from economic, social, and cultural points of view, the city could serve as a certain narrow-scale model of the Russian Empire and – to a certain degree – of Europe as well for those who wanted to gain a first-hand knowledge of the European modernity. The importance of the Caucasian capital was intensified by the fact that it was the first europeanized (at least partly) city that met Iranian travellers on their way and accordingly the place where they could observe for the first time the wide variety of the fruits of European civilization. Reading travelogues one can easily note that unlike European travellers who were attracted by picturesque narrow streets and boisterous markets of the Oriental quarter of Tbilisi, Iranian visitors were mostly interested in "European" Tbilisi with its modern institutions and establishments.

Iranian travellers did not fail to notice that along with European progress, the Russian rule brought its ubiquitous bureaucracy and corruption to Georgia. Seyf al-Dowle vividly described Russian bribetaking officials in the post office and their methods of extortion.

Iranian travellers paid particular attention to their compatriots living in Georgia, specifically in Tbilisi and Batumi. An Iranian community existed in Tbilisi since the Middle Ages. Centuries of coexistence side by side with Christians noticeably affected their customs and mode of

life. Farāhānī, one of the most observant travellers, noted in 1885: "the Muslims there are like Christians: they never obey the dietary laws [of Islam]; they eat [Christian] food and animals slaughtered by Christians; and they use all kinds of intoxicating beverages." Many travellers observed with a heavy heart the cheerless life of Persians in Tbilisi.

It is natural that Iranian travellers in Georgia drew attention to the holy places related to Islam. The most important among them was the alleged grave of Sheykh Sanaʿān, a highly venerated semi-legendary personage. According to the local version of his story that developped in Tbilisi in the eighteenth and nineteenth centuries, the sheykh died in Tbilisi and was buried on the slope of the Mt Mtatsminda, in the graveyard of the Church of St David. Moreover, in folk conception, Sheykh Sanaʿān was identified with a Christian holy man, St David of Gareja, to whom the church is dedicated. Several Iranian travellers beginning with Ilchī refer to Sheykh Sanaʿān's grave on Mt Mtatsminda.

მარინა ალექსიძე

მექაში საქართველოს გავლით (საქართველო XIX საუკუნის სპარსულ პილიგრიმულ ლიტერატურაში)

პილიგრიმობა მექაში – ჰაჯი მუსლიმის ხუთი ძირითადი მოვალეობიდან ერთ-ერთია და მისი შესრულება ცხოვრებაში ერთხელ მაინც სავალდებულოა ყველა მუსლიმისთვის. ძველ დროში პილიგრიმები, ჩვეულებრივ, ჯგუფ-ჯგუფად მოგზაურობდნენ და ქარავნებში ერთიანდებოდნენ, რათა გრძელი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა შეძლებისდაგვარად უსაფრთხოდ გაევლოთ. ბევრი მათგანი მოგზაურობიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს დღიურებსა და სამოგზაურო ჩანაწერებში აღწერდა, რათა მომავალ მოგზაურებს მიეღოთ ის პრაქტიკული ინფორმაცია (მანძილი პუნქტებს შორის, გზების მდგომარეობა, ტრანსპორტის სახეობები და მათი ფასები, ფულის ერთეულები და მათი შესაბამისობა ირანულ ფულთან და სხვა), რომელიც მათ მგზავრობას გაუადვილებდა. ასე შეიქმნა სპარული სამოგზაურო ლიტერატურის ყველაზე ძველი და მრავალრიცხოვანი განშტოება – პილიგრიმული ლიტერატურა („საფარ-ნამე-იე ჰაჯჯ“). მათი ავტორები, მეტწილად, სასულიერო პირები და სახელმწიფო მოხელეები იყვნენ. მარტო ყაჯარული პერიოდის ირანში მექასა და სხვა წმინდა ადგილებში მოგზაურობის ამსახველი წიგნების რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს.[1]

1 ყაჯართა პერიოდის სპარსულ პილიგრიმულ ლიტერატურაზე იხ.: Rasūl Jaʿfarīyān, “Hajjgozārī-ye īrānīyān dar doure-ye Qājār”, წიგნში: Rasūl Jaʿfarīyān, *Maqālāt-e tārīkhī*, j. 8, Qum, 1387/2008, 23-44; მისივე ვრცელი შესავალი წერილი წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, be kūshesh-e Rasūl Jaʿfarīyān, j. 1, Tehran, 1389/2010, 9-131; E. L. Daniel, “The Hajj and Qajar Travel Literature”, *Society and Culture in Qajar Iran*: *Studies in Honor of Hafez Farmayan*, ed. by E.L. Daniel, Costa Mesa, CA, 2002, 215-237; Hafez Farmayan, E. L. Daniel, “Introduction”, *A Shiʿite Pilgrimage to Mecca 1885-1886: The Safarnameh of Mirza Mohammad Hosayn Farahani*, Edited, Translated, and Annotated by Hafez Farmayan and E. L. Daniel, University of Texas Press, Austin, Texas, 1990, XIII-XXXII; *One Thousand Roads to Mecca, Ten Centuries of Travelers Writing about the Muslim Pilgrimage*, Edited and

XIX საუკუნეში ირანელი პილიგრიმებისთვის რამდენიმე მარშრუტი არსებობდა.[2] ფარსისა და სამხრეთ რეგიონების მცხოვრებლები საზღვაო გზით სარგებლობდნენ და სპარსეთის ყურიდან – ბასრადან, აბასიდან, ბუშირიდან და სხვა ნავსადგურებიდან გემით კვეთდნენ ომანის ზღვას, ინდოეთის ოკეანეს, წითელ ზღვას და ჩადიოდნენ ჯიდაში. მეორე, უძველესი გზა, რომელსაც ჯაბალის ან ნაჯდის გზას ეძახდნენ, ერაყზე გადიოდა. მესამე სირიის გზა იყო და პილიგრიმები ერაყის ან ანატოლიის გავლით სირიაში ჩადიოდნენ, ევფრატის კალაპოტს მიუყვებოდნენ და ალეპოსა და დამასკოს გავლით მედინასა და მექაში მიდიოდნენ. ეს გზა განსაკუთრებით მოსახერხებელი ჩრდილო-დასავლეთ ირანის მოსახლეობისთვის იყო. მეოთხე გზას ენზელი-სტამბოლის გზას უწოდებდნენ და ის ენზელის, ბაქოს, თბილისის, ფოთის, ბათუმის, სტამბოლის, ალექსანდრიისა და ეგვიპტის გავლით ჯიდაში ჩადიოდა. ამ გზით, მეტწილად, ირანის ჩრდილოეთი რეგიონების მოსახლეობა სარგებლობდა. ისინი საქართველოში, ძირითადად, აღსთაფასა და წითელი ხიდის გავლით შემოდიოდნენ, გარკვეული ხანი თბილისში ჩერდებოდნენ, შემდეგ დასავლეთ საქართველოს გავლით ჯერ ფოთში, იქიდან კი პატარა გემებით ბათუმში ჩადიოდნენ და სტამბოლისკენ მიმავალ დიდ ხომალდებზე სხდებოდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაპროექტდა და აშენდა ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალი, რაც რეგიონში სატრანსპორტო რევოლუციად იქნა შეფასებული. მაგისტრალის მშენებლობა ეტაპობრივად მიმდინარეობდა: 1872 წელს თბილისი ფოთს დაუკავშირდა, ხოლო 1883 წელს გაიხსნა ბაქო-თბილისისა და თბილისი-ბათუმის ხაზები. ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზის – „შემენდეფერის", როგორც მას ირანელი

Introduced by Michael Wolfe, New York, 1997; Mohammad Shahrī Barābādī, "Seyri kūtāh dar safar-nāmehā-ye hajj", *Mashkūt*, No. 25, Mashhad, 1368/1989-90, 182-202; ʿAlīrezā ʿAlī Sūfī, ʿAlī Akbar Zāvar, "Safar-e zyāratī-ye Hajj dar doūre-ye Qājār, bar mabnā-ye Safar-nāmehā-ye rajāl-e doūre-ye Qājār", *Tārīkh dar Āyene-ye Pazhūhesh*, j. 9, shomare-ye 1, Tehran, 2012, 21-48; D. Brower, "Russian Roads to Mecca: Religious Tolerance and Muslim Pilgrimage in the Russian Empire", *Slavic Review*, Vol. 55, No. 3, 1996, 567-584.

2 Rasūl Jaʿfarīyān, "Hajjgozarī-ye īranīyān dar doure-ye Qājār", 23-44.

მოგზაურები ფრანგულ ყაიდაზე ეძახდნენ[3], მშენებლობამ რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთი რეგიონების (ძირითადად, შუა აზიისა და კავკასიის), ასევე ირანის, ავღანეთისა და ინდოეთის მუსლიმებისთვის სტამბოლის გზა არსებითად უალტერნატივო გახადა. მგზავრობა ძლიერ გამარტივდა, დაჩქარდა და, რაც მთავარია, შედარებით უსაფრთხო და იაფი გახდა. სტატისტიკური მონაცემებით, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მარტო რუსეთის იმპერიიდან მექასა და მედინაში ყოველწლიურად 20-25 ათასი პილიგრიმი ჩადიოდა.[4]

ტრანსკავკასიური მაგისტრალი როგორც ევროპელი, ისე ირანელი მოგზაურების აღტაცებას იწვევდა. „სიმშვენიერით ვერაფერი შეედრება ბათუმი-თბილისის რკინიგზის ხაზს", წერდა ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე ჯ. კერზონი, რომელმაც ირანში მოგზაურობის დროს საქართველო გაიარა.[5] რკინიგზის მაგისტრალს აღწერს ევროპელი მოგზაური ე. ჯონ ლარსონიც, რომელმაც თბილისი 1910 წელს მოინახულა: „რკინიგზის ერთი ხაზი თბილისს ირანის საზღვართან აკავშირებს, მეორე კი – თურქეთის მოსაზღვრე ყარსთან. ამჟამად თბილისს გაივლის ბევრად მეტი მოგზაური ირანიდან, თურქეთიდან და შუა აზიიდან, ვიდრე ოდესმე. ტრანსკავკასიური რკინიგზის მაგისტრალი იწყება შავი ზღვიდან და თბილისის გავლით უკავშირდება კასპიის ზღვის პორტს ბაქოს. ტრანსკასპიური სარკინიგზო მაგისტრალი კი კრასნოვოდსკიდან ჩინეთის სასაზღვრო ქალაქ ანდიჯანს უერთდება. ის გაივლის ისეთ მნიშვნელოვან პუნქტებს, როგორებიცაა აშხაბადი, მერვი, ბუხარა, სამარყანდი და კოკანდი. ყველა ამ ქალაქში მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობს. ყოველწლიურად ათასობით პილიგრიმი მოგზაურობს ცენტრალური აზიიდან მექაში თბილისის გავლით და მე ამ ქალაქში კაშგარელ პილიგრიმსაც კი შევხვდი."[6]

---

3 „შემენდეფერი" – ფრ. chemin de fer – „რკინის გზა".

4 G. Beradze, "The Transcaucasian Railway and the Muslim Pilgrimage: Iranians in Tbilisi and Batumi (late nineteenth century)", International Conference *Tbilisi in the Nineteenth Century*, Abstracts, Tbilisi, 2002, 15.

5 G. N. Curzon, *Persia and the Persian Question*, Vol. I, London, 1892, 63.

6 G. Beradze, "The Transcaucasian Railway and the Muslim Pilgrimage", 15.

ტრანსკავკასიური მაგისტრალით აზიის სხვა ქვეყნებთან ერთად ირანელი პილიგრიმებიც სარგებლობდნენ. თუ ადრე მექაში მათი მოგზაურობა რამდენიმე თვე გრძელდებოდა და საშიში და ძვირი იყო, ნელ-ნელა ტრანსპორტირებაც გამარტივდა და მოგზაურობის ტემპიც შეიცვალა. მაგალითად, 1863 წელს ირანელი დიდგვაროვანი სეიფ ად-დოულე თეირანიდან ფოთში სამ თვეში ჩავიდა, 1875 წელს, როცა თბილისი-ფოთის სარკინიგზო ხაზი უკვე ამოქმედებული იყო, ყაჯარმა უფლისწულმა ფარჰად მირზამ ამ გზას თვენახევარი მოანდომა, ხოლო 1885 წელს, ბაქო-თბილისი-ბათუმის დამაკავშირებელი მაგისტრალის დასრულების შემდეგ, ნასერ ად-დინ შაჰის დიდმოხელემ მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანიმ ეს გზა ორ კვირაში დაფარა. ამდენად, გასაგებია ირანელი მოგზაურების გამორჩეული ინტერესი ტრანსკავკასიური მაგისტრალისადმი და მათთვის ამ ახალი ტრანსპორტისადმი, რომელსაც თავიანთ სამოგზაურო ჩანაწერებში რუსულ-ევროპული სახელებით მოიხსენიებენ და ხან „ორთქლის კალიასკას“ ეძახიან, ხან – „მაშინას“, ხან – „ვაგონს“ და ხან – „თრენს“, რადგან რკინიგზის სპარსული სახელი „რაჰ-ე აჰან“ (სპ. „რკინის გზა“) ირანში მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩნდება. მათ „სამოგზაურო წიგნებში“ განსაკუთრებული დეტალიზაცია როგორც თავად მატარებლის, ისე მასზე მგზავრობის წესების აღწერისას სწორედ ამ „უცხო მოვლენის“ საკუთარი ხალხისთვის გაცნობის სურვილით იყო განპირობებული.

აი, ასე აღწერს ტრანსკავკასიურ მაგისტრალს 1879 წელს თავრიზელი პილიგრიმი მოჰამად რეზა თაბათაბაი თაბრიზი თავის თხზულებაში „პილიგრიმთა საჩუქარი“: „შემენდეფერის სისტემა რაც არ უნდა დეტალურად აღვწერო, სანამ კაცი საკუთარი თვალით არ ნახავს, მასზე სრულ წარმოდგენას ვერ შეიქმნის ... ეს რკინიგზა 1863 წელს ინგლისურმა კომპანიამ ააშენა. რუსეთის ხელისუფლებამ ის იყიდა და ახლა რუსეთის საკუთრებაა. თბილისიდან ფოთამდე რკინიგზის ხაზი ცალლიანდაგიანია და მატარებელი მასზე დღე-ღამის განმავლობაში ორჯერ, წინ და უკან, მოძრაობს. მისი აშენება მართლაც რომ დიდ წვალებასთან იყო დაკავშირებული, რადგან ამ გზაზე უამრავი მთა, ტყე, ხეობა და სახიფათო ადგილია, განსაკუთრებით რიონის სადგუ-

რიდან ფოთამდე, სადაც ბევრი ტყე და ჭაობია. ორგან მთა გაჭ-რილია და ორი-სამი წუთის განმავლობაში გვირაბში მიდიხარ.

სადგურში მატარებლის ბილეთის ასაღებად საგანგებო ადგილია მოწყობილი. აქ მგზავრი იმისდა მიხედვით, თუ რო-მელი კლასით უნდა მგზავრობა, შესაბამის თანხას იხდის და ბი-ლეთს იღებს. პირველი კლასის ვაგონი ყველაზე მდიდრული და კომფორტულია. მას ხავერდის ლეიბები აქვს და თბილისიდან ფოთამდე ერთი ბილეთი 16 მანეთი და 46 კაპიკი ღირს. მეორე კლასით მგზავრობა კაცი 12 მანეთი და 36 კაპიკი ჯდება, ხოლო მესამე კლასით, რომელიც ამ ორზე ნაკლებია, – 5 მანეთი და 62 კაპიკი. სატვირთო ვაგონები ცალკეა. იქ მგზავრების ბარგ-სა დ ნივთებს წონიან და ერთ გირვანქაში 22 რუსულ შაჰის[7] იღებენ. მერე ბარგს საცავში ინახავენ და ფოთში ბილეთთან ერთად აბრუნებენ. თბილისიდან ფოთამდე სავაჭრო ტვირთის [გადატანის] ფასი 32 კაპიკია, რაც დაახლოებით 1050 დინარია. თუ კაცს მძიმე ბარგი ან ზედმეტი ტვირთი აქვს, უმჯობესია ეს თანხა გადაიხადოს და ორი დღის მერე თავისი ნივთები ფოთში მიიღოს. ასე უფრო მომგებიანია. რუსული წონის ერთეულები გირვანქა და ფუთია, ერთი გირვანქა 88 მისხალის ტოლია და 40 გირვანქა ერთ ფუთს შეესაბამება.

სამგზავრო ვაგონებში ხელჩანთის, ტანსაცმლის, ქოლგის, პურის და სხვათა გარდა, არაფრის შეტანა არ შეიძლება. თუ ამაზე მეტი ბარგი აღმოგაჩნდება, დიდ გადასახადს გადაგახდე-ვინებენ. ხარბი პილიგრიმები ერთ ამდენ ბარგს იღლიების ქვეშ იდებენ და ეს ე.წ. მგზავრობისთვის აუცილებელი ნივთები და პირველადი საჭიროების ბარგი თან შეაქვთ. ბევრმა მათგანმა [წესები] არ იცის და უნდა გაფრთხილდეს.

გარდა ამისა, გაჩერებაზე მატარებლიდან ჩასული მგზავრი ყურადღებით უნდა იყოს, რომ გამგზავრების მაუწყებელი ზარი არ გამოეპაროს, თორემ დარჩება და ფეხით მოუწევს ხეტიალი. და კიდევ, ბილეთი კარგად უნდა შეინახო, თორემ თუ დაგეკარ-გა, ბილეთისა და ბარგის ფულს თავიდან გადაგახდევინებენ.

---

7 *შაჰი* – ირანული წვრილი ფულის ერთეულია. ამიტომ, სავარაუდოდ, ავტორი „რუსულ შაჰი“-ში რუსულ ხურდა ფულს, ანუ კაპიკს გულისხ-მობს.

თბილისიდან ფოთამდე 292 ვერსია და გზაზე 22 სადგურია. ზოგიერთ მათგანში სასადილო და ყავახანაა გახსნილი და ყველა სახის საჭმელი და საქონელი იშოვება."[8]

ირანელი პილიგრიმები დაწვრილებით აღწერენ მათთვის მოსახერხებელ კიდევ ერთ ტრანსპორტს – გემს. ისინი ახსენებენ ბათუმის პორტში მომუშავე ოთხი ქვეყნის – ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის სანავიგაციო კომპანიებს, რომელთაც განსაზღვრული განრიგი ჰქონდათ. „სამოგზაურო წიგნებიდან" ჩანს, რომ ირანელები უპირატესობას გერმანული კომპანიის გემებს ანიჭებდნენ, რადგან, მათი მტკიცებით, ისინი უფრო კომფორტული, სწრაფი და უსაფრთხო იყო და, რაც მთავარია, მათზე მგზავრებს გამორჩეულად პატივისცემით ექცეოდნენ. მიუხედავად ზღვაზე მოგზაურობასთან დაკავშირებული სიძნელეებისა, ირანელებისთვის და, განსაკუთრებით, პილიგრიმებისთვის ეს გზა ყველაზე მოსახერხებელი იყო.

მატარებლითა და გემით მოგზაურობა ირანელი პილიგრიმებისთვის გარკვეულ კურიოზებთანაც იყო დაკავშირებული. ხშირად მათი წინასწარული ინფორმაცია ამ ტრანსპორტით მგზავრობის შესახებ არ ემთხვეოდა რეალობას, რასაც ისინი ირანელებისთვის ჩვეული უშუალობითა და გულუბრყვილობით თავიანთ თხზულებებში აღნიშნავდნენ. „თავრიზში რამდენიმე კაცმა გაგვაფრთხილა, – წერდა თავრიზელი პილიგრიმი იაყუბ მირზა თაბრიზი, – რომ გემზე ერთ სიძნელეს წავაწყდებოდით: თუ ჰაერში რაიმე საგანს ავაგდებდით, ვარდნისას კედელს მიეჯახებოდა, რადგან გემი მოძრაობდა. გემზე ყოფნისას მისმა აღმატებულებამ მიბრძანა, რაიმე მაღლა მესროლა. ჯიბიდან ფორთოხალი ამოვიღე და სამ-ოთხჯერ ჰაერში ავაგდე. უკან ისე ჩამოვარდა, რომ კედელს არ მიჯახებია. მოკლედ, ეს პრობლემაც გაირკვა. როგორც ჩანს, იმ კაცებმა ეს ამბავი თავად შეთხ-

8 Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī, "Hedāyat al-Hojjāj, Safar-nāme-ye Makke", *Panjāh safar-nāme-ye hājj-e Qājārī,* j. 3, 623-624; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა,* კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ, თბილისი, 2016, 352-353.

ზეს, თორემ გემზე ან *შემენდეფერის* მატარებელში რაც არ უნდა ააგდო, კედელს არ მიეჯახება და თავის ადგილზე დაეცემა."[9]

მაგრამ მიუხედავად მოწესრიგებული გზების, კომფორტული ტრანსპორტის და კეთილმოწყობილი ფოსტის სადგურებისა, ირანელი მოგზაურებისთვის და, მათ შორის, პილიგრიმებისთვის ეს გზა მრავალი სიძნელით იყო აღსავსე. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ბუნებრივი პრობლემები – მკაცრი კლიმატი, მეწყერი და ზვავი მთაში, ქარიშხალი ზღვაზე და სხვა. „მოგზაურობის წიგნები" სამგზავრო თავგადასავლებით არის სავსე. ირანელებს განსაკუთრებით ზღვით მოგზაურობა აშინებდათ. იაყუბ მირზა თაბრიზი გემს ეძახის „სიკვდილის ანგელოზ ესრაფილის სამყოფელს", რომელზეც მგზავრები ათასი „შაჰადათი" და „ბისმილლაჰით"[10] ადიან, თითქოს ჯოჯოხეთში ან ჰაშრის ველზე მიდიანო.[11]

ასევე დიდი პრობლემა იყო ყაჩაღობა გზაზე. ამ მხრივ ყველაზე სახიფათო იყო განჯის რაიონი, სადაც შეიარაღებული ჯგუფები მგზავრებს ძარცვავდნენ ან ტყვედ აჰყავდათ და გამოსასყიდს სთხოვდნენ. ამას ემატებოდა ყოფითი სიძნელეები – უცხო და, ხშირად, მიუღებელი საჭმელი, ენის უცოდინრობა, აგრესიული მოსახლეობა, მექრთამეობა და ქურდობა ფოსტის სადგურებსა თუ საბაჟოებზე და სხვა. გარდა იმისა, რომ პილიგრიმები იძულებული იყვნენ ყველა ფოსტის სადგურში გაჩერებულიყვნენ, პასპორტი და „პოდოროჟნა"[12] წარედგინათ, შიგ ბეჭედი ჩაერტყათ და ამ ყველაფერში ფული გადაეხადათ, ზოგიერთ ფოსტის სადგურში მათ განგებ აყოვნებდნენ და ცხენების გამოცვლაში ან პასპორტში „ყაზანის" ბეჭდის ჩარტყმა-

---

9 Yaʿqūb Mīrzā Tabrīzī, "Hajj-e Mansūr", *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 2, 303; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 162-163.

10 „შაჰადათ" და „ბისმილლაჰ" მუსლიმური სალოცავი ფორმულებია.

11 Yaʿqūb Mīrzā Tabrīzī, "Hajj-e Mansūr", 300*; საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით,* კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ, თბილისი, 2012, 168.

12 „პოდოროჟნა" ანუ „პოდოროჟნაია" (подорожная) იყო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მგზავრის უფლებას ესარგებლა საფოსტო ცხენებით.

ში, რაც შეუფერხებლად მგზავრობის გარანტია იყო, ქრთამს სთხოვდნენ. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, რასაც ირანელი პილიგრიმები რუსეთის იმპერიაში აწყდებოდნენ, საბაჟოებზე გამეფებული ბიუროკრატია და კორუფცია იყო. ქვეყანაში დაწესებული უზარმაზარი საბაჟო გადასახადები ეხებოდა პრაქტიკულად ყველაფერს, რაც მოგზაურს ქვეყნის გარეთ გაჰქონდა, მისი საგზლისა და პირადი ნივთების ჩათვლით. მოგზაურები აღშფოთებით წერენ, რომ მებაჟეები ბარგში იქექებიან, გადამალული ნივთების ძებნაში დასაჯდომ ბალიშებს, საბნებსა და მუთაქებს არღვევენ და ხალხს ჯიბეებსა და იღლიებსაც კი უთვალიერებენ, ამ დროს კი საბაჟოს მოხელეები და ჯარისკაცები აურზაურით სარგებლობენ და საქონელს იპარავენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბათუმის საბაჟო გამოირჩეოდა. მირზა მოჰამად ფარაჰანი ჩიოდა: „ეს ყველაზე ცუდი ქალაქია პილიგრიმებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც უკან ბრუნდება. როცა მათ [პილიგრიმებმა] საბაჟოზე არსებული მდგომარეობა გაიგეს, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ვისაც ტრაბზონში მეგობარი ან ნაცნობი ჰყავდა, თავისი საქონელი, ნაცვამი ტანსაცმელიც კი, მათ გაუგზავნა, რათა ირანში ტრაბზონიდან გადაეგზავნათ. სხვებმა კი პატარა ნივთები, მაგალითად, დანა, ფესი, კრიალოსანი დასაჯდომ ბალიშში, მუთაქაში, ჩალმაში, ჯიბეში და იღლიაში დამალეს. ზოგიერთი მათგანი დაიჭირეს, ჯარიმა გადაახდევინეს და საქონელიც წაართვეს. ვისაც ახალი და სუფთა ტანსაცმელი ჰქონდა, იმის შიშით, რომ საბაჟო გადასახადი არ გადაეხადა, ზემოდან სხვა ტანსაცმელი გადაიცვა. პილიგრიმს, რომელსაც წინა დღეს ნაბდის ქუდი ეხურა და დაგლეჯილი კაბა ეცვა, დღეს თავზე წყვილი ეგვიპტის შალის მოსახვევი აქვს შემოხვეული, ჯუბა, *ყაბა*[13] და მაუდის ჟილეტი აცვია, იღლიაში საათი უდევს, სათვალე უკეთია და ხელში ქარვის კრიალოსანი უჭირავს.“[14]

---

13 ყაბა – აღმოსავლელი მამაკაცის ფართო, გრძელსახელოებიანი პერანგი.

14 *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī,* be kūshesh-e Masʿūd Golzārī, Tehran, 1362/1983, 85-86; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში,* 418. ფარაჰანის საქართველოში მოგზაურობის შესახებ იხ.: მ. ალექსიძე, „ფარაჰანის „მოგზაურობათა წიგნი“

ფარაჰანისვე ცნობით, ბათუმში არსებობდა კორუფციის მთელი სისტემა, რომლის მეშვეობითაც საბაჟოს მოხელეები და მათთან დაკავშირებული დალალები (შუამავლები) ირანელ მგზავრებს ფულს სძალავდნენ. 1885 წელს ამ კორუფციულ სისტემას ორი ურთიერთდაპირისპირებული ირანული დაჯგუფება განაგებდა, რომელთაგან ერთს სათავეში ბათუმში ირანის ხელისუფლების წარმომადგენელი, ვიცე-კონსული თექრან არმანი, მეორეს კი საბაჟოს ჯარისკაცი ჰაჯი ყოლამი ედგნენ. მათი ხელქვეითები ასევე საქართველოში მცხოვრები ირანელები იყვნენ. ისინი ირანელ პილიგრიმებს გემის ტრაპთან ხვდებოდნენ, მათი ენობრივი ბარიერით სარგებლობდნენ, სამშობლოზე საუბრით გულს უჩუყებდნენ და ამასობაში აიძულებდნენ, პასპორტში ორმაგი ფასი გადაეხადათ, ბინა ჩვეულებრივზე მაღალ ფასად ექირავათ, პროდუქტი ძალიან ძვირად ეყიდათ, ხოლო საკუთარი ისე იაფად გაეყიდათ, რომ გაყიდვას აზრიც აღარ ჰქონდა. „საწყალი ირანელი მოგზაური თავგზააბნეულია და არ იცის, რა ქნას, სად წავიდეს, რომელ დაჯგუფებას დაუკავშირდეს, როგორ თქვას უარი თავის საქონელსა და საჭმელ-სასმელზე, როგორ გაუძლოს ამხელა საბაჟო გადასახადს, როგორ დაემალოს ამ რუს ქურდებსა და ირანელ თაღლითებს, ვის მიენდოს, როგორ გადარჩეს. მართლაც, რომ უცნაური სიტუაციაა. „დღეს მამა შვილს ვერ ცნობს", „დღეს ძმა ძმას აღარ ენდობა", „საშინელი სამსჯავროს დღე დადგა"[15], წერს ფარაჰანი. ბათუმელ მოხელეთა თავგასულობასა და დაუსჯელობას ბევრი ირანელი პილიგრიმი აღწერს. ნაიებ ას-სადრ შირაზი იმოწმებს თავად ბათუმელი ირანელების სიტყვებს, რომ „ბათუმი უცხოელებისთვის ძალიან საშიში ქალაქია, განსაკუთრებით, პილიგრიმობის სეზონში, როცა ყველა კუთხეში ავაზაკები სიკვდილივით არიან ჩასაფრებული და საწყალ მოგზაურებს საფულესა და თავს აკარგვინებენ."[16]

საქართველოს შესახებ", *აკაკი შანიძე 120*, თბილისი, 2007, 102-103.

15 იქვე.

16 Mohammad Maʿsūm Nāyeb as-Sadr Shīrāzī, "Safar-nāme-ye Makke, Tohfat al-harameyn va saʿādat ad-dāreyn", *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 5, 369-370; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 163.

ბუნებრივ და ყოფით სიძნელეებს ემატებოდა მორალური პრობლემები – მუსლიმებისთვის მიუღებელი ზნეობრივი გარემო, რაც ირანელი პილიგრიმებისთვის მძიმე გადასატანი იყო. 1863 წელს სეიფ ად-დოულე წერდა: „ეს ქვეყანა ჩვენი ქვეყნისგან რადიკალურად განსხვავდება. აქ ღვთისმოსავობისა და წესიერების გარდა, რასაც მოისურვებ, ყველაფერს იშოვი ... ვისაც როგორი აღვირახსნილი ცხოვრება უნდა, აქ ამისთვის ყველა პირობაა შექმნილი და არანაირი დაბრკოლება არ არსებობს ... ღმერთმა დაიფაროს ამ ქვეყანაში მოხვედრილი მუსლიმი მოგზაური ეშმაკის ცდუნებისა და გარყვნილებისაგან“[17]. იაყუბ მირზა თაბრიზი კი პილიგრიმებს აფრთხილებდა, რომ კავკასიაზე გავლას მოერიდონ, რადგან „ეს ლხინისა და დროსტარების გზაა და არა პილიგრიმობის.“[18]

ამ მორალურ პრობლემებს, რომლებიც ყველა ირანელი მოგზაურის ხვედრი იყო, მომლოცველებისთვის სპეციფიკური რელიგიური დაბრკოლებებიც ემატებოდა. რამდენად დასაშვებია მექას მოსალოცად მიმავალი პილიგრიმისთვის კონტაქტი უცხო რჯულის ხალხთან ან არის თუ არა უცხო ქვეყნის წყალი, რომელსაც ყველა რჯულის ხალხი ეხება, რელიგიური თვალსაზრისით სუფთა – ეს საკითხები ირანელ პილიგრიმებს იმდენად აწუხებდათ, რომ მასზე ხშირად მსჯელობდნენ. მირზა მოჰამად თაყი თაბიბ ქაშანიმ თავის თხზულებას დაურთო ნაწყვეტები იმ ჰადისებიდან, რომლებშიც წიგნის ხალხი (ქრისტიანები) უწმინდურებად არ არის მიჩნეული და, შესაბამისად, მათთან კონტაქტი ცოდვად არ ჩაითვლება.[19] მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანიმ კი თავის „მოგზაურობის წიგნში“ ამ საკითხს მიუძღვნა სპეცი-

---

17 *Safar-nāme-ye Seyf maʿrūf be Safar-nāme-ye Makke*, *neveshte-ye Seyf ad-Dowle Soltān Mohammad*, be tashīh va tahshīye-ye ʿAlī Akbar Khodāparast, Tehran, 1364/1985, 79; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 163.

18 *Yaʿqūb Mīrzā Tabrīzī, “Hajj-e Mansūr”*, 287; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 189.

19 *Mosāferat-e Teflīs: Gozāresh-e safar-e heyʾat-e sīyāsī-ye Īrān be darbār-e emperātūr-e Rūsīye, neveshte-ye Mīrzā Mohammad Taqī Tabīb Kāshānī*, be kūshesh-e Gīorgī Sānīkīdze, Seyyed Hoseyn Razavī Borqeʿī, Tehran, 1389/2010, 88-93; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 208.

ალური თავი „წყლის პრობლემა გზაზე და შიიტი სწავლულების აზრი წყალსა და მის რიტუალურ სისუფთავეზე", რომელშიც დაწვრილებით მიმოიხილა ცნობილი შიიტი თეოლოგების მოსაზრებები ამ საკითხებზე. საბოლოოდ, იგი ურჩევს მუსლიმებს, გაიზიარონ ბევრი სახელოვანი შიიტი სწავლულის მოსაზრება, რომ უცხო რჯულის ხალხთან ფიზიკური შეხება მუსლიმის რელიგიურ სისუფთავეს არ აზიანებს და, შესაბამისად, მათი ხელშენავლები წყალი რიტუალურ სისუფთავეს ინარჩუნებს, რაც მათ უცხო ქვეყნებში მოგზაურობას და მატარებელსა და გემზე რიტუალური განბანვის ჩატარებას გაუიოლებს.[20]

ამ სპეციფიკურ საკითხებსა და პრობლემებს თუ არ ჩავთვლით, პილიგრიმული ლიტერატურა ინფორმაციის სიფართოვითა და თემების მრავალფეროვნებით დიდად არ განსხვავდება ზოგადად სპარსული სამოგზაურო ლიტერატურისგან. გარდა ზემოთნახსენები პრაქტიკული ინფორმაციისა, იგი გვაწვდის შემეცნებით ინფორმაციასაც ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნების, მოსახლეობის, მათი წეს-ჩვეულებების და, განსაკუთრებით, ღირშესანიშნაობებისა და სიახლეების შესახებ. პილიგრიმული თხზულება, როგორც წესი, არის დინამიკური ტექსტი, რომელშიც ქრონოლოგიურ პრინციპზე დალაგებული მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება. მისთვის დამახასიათებელია თხრობის მშრალი, ჟურნალისტურ-დოკუმენტური სტილი, ამდენად შეიძლება ითქვას, რომ პილიგრიმული ლიტერატურა უფრო ენციკლოპედიურ-რეპორტაჟულ სამოგზაურო ლიტერატურას განეკუთვნება, ვიდრე ავტობიოგრაფიულს.

ბიბლიოგრაფია

წყაროები

1. Mohammad Ma'sūm Nāyeb as-Sadr Shīrāzī, "Safar-nāme-ye Makke, Tohfat al-harameyn va sa'ādat ad-dāreyn", *Panjāh safar-nāme-ye*

20 *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī*, 72-73; *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*, 397-398.

hajj-e Qājārī, be kūshesh-e Rasūl Jaʿfarīyān, j. 5, Tehran, 1389/2010, 369-370.
2. Mohammad Rezā Tabātabāʾī Tabrīzī, "*Hedāyat al-Hojjāj, Safar-nāme-ye Makke*", *Panjāh safar-nāme-ye hājj-e Qājārī,* j.3, 623-624.
3. *Mosāferat-e Teflīs: Gozāresh-e safar-e heyʾat-e sīyāsī-ye Īrān be darbār-e emperātūr-e Rūsīye, neveshte-ye Mīrzā Mohammad Taqī Tabīb Kāshānī,* be kūshesh-e Gīorgī Sānīkīdze, Seyyed Hoseyn Razavī Borqeʿī, Tehran, 1389/2010.
4. *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī,* be kūshesh-e Masʿūd Golzārī, Tehran, 1362/1983.
5. *Safar-nāme-ye Seyf maʿrūf be Safar-nāme-ye Makke, neveshte-ye Seyf ad-Dowle Soltān Mohammad*, be tashīh va tahshīye-ye ʿAlī Akbar Khodāparast, Tehran, 1364/1985, 79.
6. Yaʿqūb Mīrzā Tabrīzī, "Hajj-e Mansūr", *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī,* j. 2, 303.

ლიტერატურა

1. ალექსიძე მ., „ფარაჰანის „მოგზაურობათა წიგნი" საქართველოს შესახებ", *აკაკი შანიძე 120*, თბილისი, 2007, 102-103.
2. *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით,* წიგნი პირველი, კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ, თბილისი, 2012.
3. *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა,* კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ, თბილისი, 2016.
4. ʿAlī Sūfī, ʿA., Zāvar, ʿA., "Safar-e zyāratī-ye hajj dar doūre-ye Qājār, bar mabnā-ye Safar-nāmehā-ye rajāl-e doūre-ye Qājār", *Tārīkh dar Āyene-ye Pazhūhesh,* j. 9, shomare-ye 1, Tehran, 2012, 21-48.
5. Beradze, G., "The Transcaucasian Railway and the Muslim Pilgrimage: Iranians in Tbilisi and Batumi (late nineteenth century)", International Conference *Tbilisi in the Nineteenth Century*, Abstracts, Tbilisi, 2002, 15.

6. Curzon. G. N., *Persia and the Persian Question*, Vol. I, London, 1892.
7. Daniel, E. L., "The Hajj and Qajar Travel Literature", *Society and Culture in Qajar Iran*: *Studies in Honor of Hafez Farmayan*, ed. by E.L. Daniel, Costa Mesa, CA, 2002, 215-237.
8. Farmayan, H., Daniel, E.L., "Introduction", *A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-1886: The Safarnameh of Mirza Mohammad Hosayn Farahani*, Edited, Translated, and Annotated by Hafez Farmayan and E. L. Daniel, University of Texas Press, Austin, Texas, 1990, XIII-XXXII.
9. Ja'farīyān, R., "Hajjgozārī-ye īrānīyān dar doure-ye Qājār", წიგნში: Rasūl Ja'farīyān, *Maqālāt-e tārīkhī,* j. 8, Qum, 1387/2008; *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī,* be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, j. 1, Tehran, 1389/2010, 9-131;
10. Nasr-e Esfahani, A., Fehrestvare-ye safarnameha va khaterat-e hajj-e iranian (asar-e montasher shode ta sal-e 1392 shamsi), Ayine-ye Pazhuhesh, Vol.25, No.148, Qom, 1393/2014, 79-103.
11. Shahrī Barābādī, M., "Seyri kūtāh dar safar-nāmehā-ye hajj", *Mashkūt,* No. 25, Mashhad, 1368/1989-90, 182-202.

Marina Alexidze

TO MECCA VIA GEORGIA (GEORGIA IN THE PERSIAN PILGRIMAGE LITERATURE OF THE 19TH C.)

Iranian pilgrims carrying out *hajj* traveled to Istanbul via Georgia and from there proceeded to Mecca. The importance of that route significantly increased after the opening of the Transcaucasian Railway in 1883, which provided fast and cheap transportation from Baku to the Black Sea ports. That was a long and difficult journey, but safer and more pleasant than other routes. Georgia is described in many travelogues written by Iranian pilgrims the most well-known of whom were Farhad Mirza, Mirza Mohammad Hoseyn Farahani, Amin ad-Dowle, Mohammad Reza Tabataba'i Tabrizi, Mirza 'Abd al-Hoseyn Khan Afshar Orumi and Seyf ad-Dowle Soltan Mohammad. Like Persian travelogues and memoirs, Persian pilgrimage literature of the Qajar period deal with various aspects of Georgia, such as history, geography, climate, population, education, transport, society, religion, moral, everyday life, etc.

ლელა მიქიაშვილი

წითელი (გატეხილი) ხიდის აღწერილობა და მისი ფუნქცია XIX საუკუნის ევროპელ მოგზაურთა ნაშრომების მიხედვით[1]

წითელი ანუ გატეხილი ხიდი გვიანი ფეოდალური ხანის ხიდთმშენებლობის ნიმუშია. იგი აგებულია მდ. ხრამზე (ქციაზე), თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 57 კმ-ის დაშორებით. ამ ხიდზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სტრატეგიული მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან, აზერბაიჯანთან და ირანთან აკავშირებდა. დღემდე მოქმედი ეს ოთხთაღოვანი ხიდი ააშენა ქართლის მეფე როსტომმა XVII ს-ის შუა წლებში (ზოგიერთი ცნობით 1653 წ.). მიუხედავად იმისა, რომ ეს ხიდი არასოდეს დაზიანებულა, იგი მაინც „გატეხილი ხიდის" სახელით იყო ცნობილი, რაც იმით აიხსნება, რომ მის მახლობლად (95 მ-ის დაშორებით) მდ. ხრამის ორივე ნაპირზე დღემდეა შემორჩენილი სხვა, უძველესი ხიდის ნაშთები, კერძოდ – საყრდენი ბურჯები. თავისი ფორმებით და საერთო იერით იგი ძალიან ენათესავება ირანულ ხიდებს, რომლებიც, აშკარაა, ნიმუშად ჰქონდათ აშენების დროს.[2]

უძველესი დროიდან ამ მიმართულებით მოქმედებდა ისტორიული საგზაო მაგისტრალი – ფაზისი-ქუთაისი-თბილისი-კასპიის ზღვის სანაპირო; აქვე, ხრამისა და მტკვრის შესართავთან მდებარეობდა უძველესი ქართული ქალაქი ხუნანი (სომხ. ჰნარაკერტი), რომელიც VIII ს-ში მურვან-ყრუს ურდოებს დაუნგრევიათ. როგორც ჩანს, უძველესი ხიდიც ამ დროს განადგურებულა, მის ნანგრევებსა და მიმდებარე ადგილს კი „გატეხილი

1 წინამდებარე სტატია, მომზადებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევებისათვის გაცემული სამეცნიერო გრანტის (№ FR/269/1-10/14) ფარგლებში, პირველად დაიბეჭდა კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", №2, 2017.

2 ვ. ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*. თბილისი, 1974, გვ. 186; ნ. კვეზერელი-კოპაძე, ანტიკური ხანის ორი ხიდი საქართველოში, *„ძეგლის მეგობარი"*, №27-28, 1971, 40.

ხიდი“ შეერქვა. ეს სახელწოდება შემდგომში მემკვიდრეობით გადასულა დღეს არსებულ მოქმედ (როსტომისეულ) ხიდზე, რომელსაც რუსებმა XIX ს-ში „წითელი ხიდი“ დაარქვეს მისი წითელი აგურით ნაგები თაღების გამო.[3] ამას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „ხოლო ნაჯზადინს ქუეით არს ხუნანი; აღმოსავლით და ჩრდილოთ უდის მტკუარი, სამხრით ქცია; აღაშენა ციხე-ქალაქი ქართლოს, პირველ ეწოდა მტკურის ციხე, შემდგომად ხუნანი და აწ მოჰმადიანნი უხმობენ ქალის-ციხე-ყიზყალას, დაბის გამო... შემდგომად ყრუსა მოოხრდა ქალაქი, და ციხე იყო აქამომდე. აქა არს ნახიდვარი. ამის გამო აღაშენა პ(ირველა)თ მეფე როსტომ ხიდი ქვითკირისა, დიდ-შუენიერი, რომლისა სუეტსა შინაარს სახლი შუენიერი, მჭურეტი ამიერ და იმიერ მდინარისა...აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკნი დიდნი და კეთილნი, თლილის ქვისანი.“[4]

ნიშანდობლივია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ხიდის სახელწოდების კიდევ ერთი, განსხვავებული ინტერპრეტაციაც გვხვდება, კერძოდ, აკად. ი. ციციშვილი წერდა: „ხიდის საერთო სიგრძე აღწევს 153 მეტრს. იგი ოთხმალიანია, ისრული ფორმის თაღები გამოყვანილია ბრტყელი აგურით, ხოლო ბურჯები მოპირკეთებულია თლილი ქვით. ხიდის სიგანეა 4,3 მ. თაღები მდინარის დონიდან აღმართულია 12-14 მ-ით. ხიდი გვერდებიდან შუაგულისაკენ თანდათანობით მაღლდება და მთავარი თაღის თავზე გარდატყდება, რის გამოც მას „გატეხილი ხიდიც“ ეწოდება. ხიდის სანაპირო ბურჯებში მოწყობილია ბუხრიანი დიდი ოთახები, რომლებიც ქარვასლის ფუნქციას ასრულებდნენ, ამას გარდა არის მომცრო ოთახი – სადარაჯოსათვის ან მებაჟისათვის.“[5]

ხიდი თავდაპირველი სახითაა შემონახული და ახლაც ამიერკავკასიის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალს ემსახურება. მას ოთხი ლამაზი მოხაზულობის თაღი აქვს, ხოლო მის ბურჯებში

---

3 ნ. კვეზერელი-კოპაძე, დასახ. ნაშრომი, 40.

4 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973, 324.

5 ი. ციციშვილი, წითელი ხიდი: გვიანფეოდალური ხანის ხელოვნება. *ქართული ხელოვნების ისტორია*. თბილისი, 1995, 129.

ფართო ოთახებია განლაგებული: მარცხენა ნაპირის საყრდენში ორი ოთახია, მარჯვენაში კი ერთი. შუა ბურჯში ერთი პატარა ოთახია გუმბათოვანი ჭერით, ბუხრითა და ხიდის ორივე მხარეს გამავალი აივნებით. ამ ოთახში ჩასვლა ხიდიდან არის შესაძლებელი და როგორც ჩანს, ეს დარაჯის ან მებაჟის სამყოფელი უნდა ყოფილიყო; კიდურ ბურჯებში მოწყობილი ოთახები კი განკუთვნილი იყო ქარვასლებისათვის, სადაც მგზავრებს შეეძლოთ გაჩერება.

გატეხილ ხიდზე გადიოდა წინა აზიის ქვეყნებისაკენ მიმავალი საქარავნე გზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდებოდა აზიისა და ევროპის ქვეყნებში გასვლა; შესაბამისად, ამ ხიდს საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხიდის ისტორია სამხედრო თვალსაზრისითაც: 1795 წ. 7 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი 35-ათასიანი ლაშქრით მოადგა გატეხილ ხიდს, სადაც ერეკლე II-ს 200-კაციანი რაზმი ჰყავდა დატოვებული მცველად; უთანასწორო ბრძოლაში ქართველებმა დიდი მსხვერპლის ფასად შეაფერხეს მტრის ჯარის მსვლელობა თბილისისაკენ.[6] 1921 წ. თებერვალში აქვე გაიმართა ბრძოლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მებრძოლთა და ბოლშევიკური წითელი არმიის რაზმებს შორის.

უცხოელ მოგზაურთაგან პირველად ხიდი მოუნახულებია ჟან შარდენს (XVII ს., 1673 წ.), შემდეგ – იოჰან გიულდენშტედტს (XVIII ს., 1768-1774 წწ.), ხოლო XIX ს-ში ხიდის საკმაოდ დეტალური აღწერილობა შემოგვინახეს თავის პუბლიკაციებში ფრანგმა მოგზაურებმა ჟაკ ფრანსუა გამბამ (XIX ს. 20-იანი წწ.) და ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (XIX ს. 30-იანი წწ.).

გიულდენშტედტის გადმოცემით: „ქართველების ქციას თათრები ნახატირს ეძახიან, ქართველები კი – ნახიდურს... ქციის გაყოლებით მივედით ქვის ხიდთან, რომელიც ამ მდინარეზეა აგებული. ხიდი ნაშენია ფილაქნებითა და აგურით, ის შემოფენილია ასევე ფილაქნებით. ის არის 200 ნაბიჯის სიგრ-

6 ი. ცინცაძე, *აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე*. თბილისი, 1969, 174-175; თ. პეტრიაშვილი. *კრწანისის ბრძოლა*. თბილისი, 2016, 17.

ძისა, ხოლო შუაში სიმაღლე აღწევს 30 ფუტს. ის შესდგება 4 თაღისაგან; საძირკველი თლილი ქვისაა, დანარჩენი აგურისაა და შემდეგ რიყის ქვითაა ამოყვანილი. ორივე მხარეს აქვს პატარა ფუნდუკი მგზავრთათვის. შუაში, აღმოსავლეთ მხარეზე, არის კიბე, რომელსაც ჩავყავართ ღია ოთახში. როსტომ მეფემ ის ააშენა შედარებით დაბალი, დანგრეული ხიდის ნაცვლად, რომელთანაც მდინარის ორივე ნაპირზე იყო თითო ქარვასლა. ახლაც ჩანს ძველი ხიდის ნანგრევები, რომელიც ახლისაგან დაახლ. 200 ნაბიჯზე იმყოფება, აღმოსავლეთით. ამიტომ ეძახიან ამ ხიდს გატეხილ ხიდს (დანგრეულ ხიდს).[7]

როგორც ირკვევა, დაახლოებით 10 წლის მანძილზე, გამბასა და დიუბუას მოგზაურობებს შორის შუალედში, ხიდს გარკვეული დაზიანების კვალი დასტყობია; გამბას გადმოცემით, მის დროს მხოლოდ ფენილი და პარაპეტი იყო ოდნავ დაზიანებული, ხოლო დიუბუას მოგზაურობაში ვკითხულობთ: „შარდენის შემდეგ აქ ბევრი რამ შეიცვალა, წითელი აგურის ხიდი კი იმდენად სოლიდურად იყო ნაგები, რომ პირვანდელი სახით შემორჩა; მაგრამ ოთახები, სადაც გადაღლილი მოგზაური ჰპოვებდა თავშესაფარს, გავსებულიყვნენ ნეხვითა და სიბინძურით ისე, რომ მხოლოდ რამდენიმე მათგანში შეიძლებოდა შესვლა. ლამაზი, დახურული აივნები, სადაც გრილი ნიავი უბერავდა, უკვე დანგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ კოჭების რამდენიმე ნამსხვრევი და ის ღრმული, სადაც ეს აივნები იყო ჩაშენებული.“

აქვე მოვიყვანთ ამონარიდებს ამ ორი ავტორის ნაშრომებიდან:

„დემურჩესალის საგუშაგოს შენობები სოღანლუღის შენობათა მოდელის მიხედვითაა ნაგები, ოღონდ უცხოელთათვის განკუთვნილი ბინის ნაწილი ბევრად უფრო მცირე ზომისაა და ნაკლებად კეთილმოწყობილი. აქ მხოლოდ რამდენიმე საათით შევისვენეთ და სალაგლში გავემგზავრეთ. ეს მხარეც ასევე უნაყოფო და დაუმუშავებელი იყო. დემურჩესალიდან ათ ვერსზე მივადექით კრომის (Crome) ანუ ხრამის (Khram) ნაპირებს. იგი ოდნავ მოშორებით ერთვის მტკვარს. მდინარე გადავლახეთ

7 *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* ტექსტი გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი, 1962, 69-70.

აგურისაგან ნაგები, საკმაოდ მყარი ხიდით, რომელიც ყველაზე ამაღლებულ ადგილას იყო აშენებული; (მხოლოდ ფენილი და პარაპეტი იყო ოდნავ დაზიანებული). ამ მივარდნილ ადგილებში შემორჩენილი ეს ძეგლი, რომელიც, როგორც ჩანს, ძალზე ძველი უნდა იყოს, ნამდვილად იმსახურებს მოგზაურთა ყურადღებას. მისი ძირითადი თაღი ისრისებურია და საკმაოდ დახელოვნებული ოსტატის მიერაა შესრულებული. ხელმარჯვნივ, დასავლეთისაკენ, ხიდს სამი, ბევრად უფრო მცირე ზომის სხვა თაღი ამშვენებს, აღმოსავლეთით კი ეს თაღები ამოშენებულია და ისინი ფარავენ მიწისქვეშა კამარით გადახურულ, ოცდათხუთმეტი ნაბიჯი სიგრძისა და რვა ნაბიჯის სიგანის მქონე ადგილს. აქ ხიდის ბოლოში დატანებული კიბით ჩადიან. თუკი ყურადღებით დავაკვირდებით ამ თავისებურ კონსტრუქციას, ბევრგან შევამჩნევთ ჭვარტლის კვალს, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ მშვენიერი ნაგებობის პატრონს ეს ნაწილი ქარვასლისათვის ჰქონდა განკუთვნილი. დიდი თაღის სვეტებში ძალზე მოხერხებულად იყო განლაგებული აგრეთვე ვაჭრების დასაბინავებელი ოთახები. აღმოსავლეთისაკენ, დაახლოებით ოთხასი ტუაზის დაშორებით, მეორე ხიდის ნანგრევებია. კოშკები, მყარად ნაგები კედლების ნაშთები და სხვა ნანგრევები, რომლებიც ძირითადად მდინარის მარცხენა ნაპირზე გვხვდება, წარსულში ამ ადგილას საკმაოდ მნიშვნელოვანი ქალაქის არსებობაზე მიანიშნებენ; სავარაუდოდ, მისი მრავალრიცხოვანი, მშრომელი მოსახლეობა ფართო ვაჭრობაში უნდა ყოფილიყო ჩაბმული, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ მეფეს, რომელიც იმ პერიოდში განაგებდა ქვეყანას, ერთმანეთთან ასე ახლოს აუგია ორი ხიდი. ამ ნანგრევების სიახლოვეს, გამოქვაბულებში ზამთრობით თათრები ცხოვრობენ. მათ შეინარჩუნეს მომთაბარე ცხოვრების ზოგიერთი ტრადიცია: მაისის თვიდან ისინი თავიანთი ცოლ-შვილითა და ცხენების, ხარებისა და ცხვრის ფარების თანხლებით გაუდგებიან ხოლმე გზას მდინარის მარჯვენა მხარეს აღმართული მაღალი მთებისაკენ. აქ ისინი სექტემბრის ბოლომდე ცხოვრობენ კარვებში. ზოგიერთი მათგანი ჩვენი იქ ყოფნისას უკვე დაბრუნებული იყო. ზამთრობით ეს თათრები ქსოვენ ხალიჩებს, რომლებიც მაღალი დონის, სრულყოფილი ხელოვნების ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ. მრეწველობის ეს

დარგი მათთვის მომგებიანია იმდენად, რამდენადაც იგი არაფრით არ არის დამოკიდებული უცხოურ ნედლეულზე: ცხვარი იძლევა მატყლს, მათი ცოლები ართავენ ძაფს, ხოლო ადგილობრივი მცენარეულობისაგან უმტკიცეს და უბრწყინვალეს საღებავებს ამზადებენ."[8]

„დებედას ხიდი. ამ ხიდს რამდენიმე სახელი აქვს: რუსები მას წითელ ხიდს უწოდებენ, ქართველები – გატეხილ ხიდს, თათრები – სინეხკურპეს, Zerekmene-ს; ეს ორი უკანასკნელი სახელი აგრეთვე აღნიშნავს „გატეხილ, დანგრეულ ხიდს." დიდი ხნის მანძილზე ეს ხიდი მართლაც დანგრეული იყო, ვიდრე ქრისტეშობიდან 1647 წელს (337 წელი ქართული წელთაღრიცხვით) საქართველოს მეფემ – როსტომმა არ აღადგინა იგი კირითა და კირხსნარით; მანვე მიუშენა მას მოგზაურთათვის მშვენიერი და მოხერხებული ქარვასლა, რომლის ერთი ნაწილიც ხიდის თაღების ცარიელ ადგილებშია განთავსებული, ხოლო სურსათის შოვნის პრობლემა რომ არ შექმნილიყო, ქარვასლის გვერდით ერთი სოფელი გადმოიტანეს. მეფემ პირადად შეამოწმა სამუშაოები, რათა მომავალში არც ერთი მოგზაური არ დაღუპულიყო.

შარდენმა, რომელმაც აქ 1673 წლის 1 მარტს გაიარა, ნახა ზემოხსენებული სოფელი, რომელშიც 150-მდე სახლი იყო. ხიდის სიახლოვის გამო მან ამ სოფელს კუპრიკენტი (ხიდის სოფელი) უწოდა. შარდენის თანახმად, ერთი შეხედვით ხიდი არ იყო ჩვეულებრივი, თანაბარი ფორმისა იმის გამო, რომ ხრამისა და დებედის კალაპოტში კლდეების ორი დიდი მასა იყო, რომლებიც ორი ძირითადი ბურჯის ჩასადგმელად გამოიყენეს. ხიდს ორი თაღი ჰქონდა; ბოლო ორი ბურჯი ცარიელი იყო და აქ გამვლელთა დასაბინავებლად რამდენიმე პატარა ოთახი და გალერეები მოაწყვეს, რომელთაც თავ-თავიანთი ბუხრები ჰქონდათ. შუაში მოთავსებული ყველაზე დიდი ბურჯი განკუთვნილი იყო კაფეს მსგავსი დარბაზისათვის და იგი შედგებოდა ორი ოთახისაგან, რომელიც ხიდის ორ მხარეს ღია იყო და გადიოდა ორ დიდ, გადახურულ აივანზე; ეს აივნები, სადაც ზაფხულობით

8 Jacques François Gamba, *Voyage dans la Russie Meridionale, et particulierement dans les provinces situees au-dela du Caucase fait depuis 1820 jusqu'a 1824.* Paris, T. 2, 1826, Ch. X.

სასიამოვნო სიგრილით ტკბებოდნენ, ზედ მდინარეზე იყვნენ გადმოკიდებულნი და აქ სქელ პარაპეტში დატანებული კიბით ჩამოდიოდნენ.

ხიდთან ახლოს იყო ქარვასლა, რომელიც უკვე ნგრევის პირას იყო მისული; იგი ძალზე ლამაზად იყო ნაგები, ოთახებს აქაც ასევე ხრამზე ცაკიდული აივნები ჰქონდა მიშენებული.

შარდენის შემდეგ აქ ბევრი რამ შეიცვალა, წითელი აგურის ხიდი კი იმდენად სოლიდურად იყო ნაგები, რომ პირვანდელი სახით შემორჩა; მაგრამ ოთახები, სადაც გადაღლილი მოგზაური ჰპოვებდა თავშესაფარს, გავსებულიყვნენ ნეხვითა და სიბინძურით ისე, რომ მხოლოდ რამდენიმე მათგანში შეიძლებოდა შესვლა. ლამაზი, დახურული აივნები, სადაც გრილი ნიავი უბერავდა, უკვე დანგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ კოჭების რამდენიმე ნამსხვრევი და ის ღრმული, სადაც ეს აივნები იყო ჩაშენებული. ოთახები დაცარიელებულია, ოდესღაც შეთეთრებულ კედლებზე კი ყველა ეროვნების მოგზაურს, ვისაც კი აქ გაუვლია, თავისი სახელი და ხელმოწერა აღუბეჭდავს.

ხიდის სიგრძე 180 ნაბიჯი ანუ 400 ფუტია. ყველაზე ვიწრო ნაწილში მისი სიგანე 6 ნაბიჯი ანუ 13 ფუტია. ჩანს, რომ თავდაპირველად ეს ხიდი არ იყო გათვალისწინებული ისეთი ეტლებისათვის, როგორიცაა ლაფიტისა და კაილარდის ფრანგული დილიჟანები. ხიდის პარაპეტი 2, 1/2 ფუტის სისქისაა.

დიდი და მშვენიერი ქარვასლა აღარ არსებობს: შემორჩენილია მხოლოდ მისი ნაკვალევი; აღარც კუპრიკენტი არსებობს და, საერთოდ, არაფერია ისე გაუდაბურებული, როგორც ამ ხიდის შემოგარენი, – ხიდისა, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა საქართველოში. თანამედროვე ხიდის მოპირდაპირედ უწინ აღმართული იყო ძველი ციხესიმაგრე ხუნანი – ქართველების „მტკვრის ციხე," სომხების „ხუნანი," რომელიც ქართველთა პატრიარქმა – ქართლოსმა დააარსა.

ამ მდებარეობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს იყო ერთადერთი საკომუნიკაციო წერტილი, რომლითაც მტკვრის სამხრეთით მდებარე დიდი დაბლობები და ხეობები სომხითსა და ქართლს უკავშირდებოდა."[9]

9 Frédéric Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase, chez les*

საგულისხმოა, რომ დიუბუას ნაშრომში ეს ძეგლი „დებედას ხიდის“ სახელით იხსენიება, რაც ჩვენი აზრით, ბროსეს მიერ პარიზში გამოცემული (1829 და 1831 წწ.) ქართული მატიანის, „საქართველოს ცხოვრების“ (პარიზის ქრონიკა) ზეგავლენით უნდა აიხსნას; ჩვენი დაკვირვებით, ამ უკანასკნელის ავტორს ეს სახელწოდება ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან აქვს აღებული. ყველა სხვა ქართულ წყაროში კი ამ ძეგლს „გატეხილი ხიდის“ სახელით მოიხსენიებენ. საილუსტრაციოდ გთავაზობთ შესაბამის ამონარიდს:

„მეფემ როსტომ დებედაზედ გატეხილი ხიდი ააშენა, ქვითკირის კამრით, კარგი. და მგზავრთ სადგურათ ქარვანსრა და საჭმლის საშოვნელათ სოფელი აეგოთ, რომ მგზავრი არ გაისარჯოს. იმაების გასასინჯავათ მიბძანდა იქ.“[10]

ამ თხზულების ტექსტი 1829 წ. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან გადმოიწერა და ლითოგრაფიულად გამოსცა მარი ბროსემ. იგი შეიცავს 1373-1683 წწ. საქართველოს ისტორიას. 1831 წ. თხზულების ქართული ტექსტი ფრანგულ თარგმანთან და კომენტარებთან ერთად კვლავ გამოიცა პარიზში. წიგნის თავფურცელზე აღნიშნულია: „ქართული ქრონიკა, თარგმნილი საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ახალგაზრდა წევრის – მარი ბროსეს მიერ. ნაშრომი გამოცემულია ამავე საზოგადოების მიერ. პარიზი, 1831 წელი.“[11] აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ წლიდან იღებს სათავეს მარი ბროსესა და თეიმურაზ ბატონიშვილის მიმოწერა.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ დიუბუა იცნობდა ამ ნაშრომს და მის პუბლიკაციაშიც ამიტომ გაჩნდა ჩანაწერი დებედასა და გატეხილი ხიდის იდენტურობაზე. იგივე ხიდის შესახებ ფარსადან გორგიჯანიძესთან ვკითხულობთ: „როსტომ მეფემ განჯის გზაზე გატეხილს ზეით დებადეზე (სიც) გუნბეთით ხიდი ააგო. სოფელი და ქარვანსარა ააშენა, რომ მგზავრი არ გაისარჯოს,

---

Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Librairie de Gide, Paris, 1839-1849, T. 3.

10 *საქართველოს ცხოვრება (პარიზის ქრონიკა)*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გიული ალასანიამ, თბილისი, 1980, 102.

11 იქვე, 10.

სადგომი და საჭმელი მზად დახვდეს."[12] აქ ჩვენთვის საინტერესოა ამ თხზულების გამომცემლის – ს. კაკაბაძის დასკვნა იმის თაობაზე, რომ „ფარსადანის ისტორიით ცხადად სარგებლობდა „ცხოვრება საქართველოისა"-ს (ე.წ. პარიზის ქრონიკის) ავტორი, რომელიც XVIII ს-ის დასაწყისში წერდა."[13]

რაც შეეხება „დებედას ხიდს", როგორც ჩანს, ამ სახელწოდებით მოიხსენიებენ ე.წ. სანაინის ხიდს, რომელიც მდ. დებედაზე (დღ. ქ. ალავერდში) 1192 წ. აუგია ზაქარია და ივანე მხარგრძელების დას – ნანას (ვანანე/ვანენი) თავისი მეუღლის – აბას კვირიკიანის (1173-1192) ხსოვნის უკვდავსაყოფად. ეს უკანასკნელი ლორის (მაწნაბერდის, ზოგიერთი ვერსიით – გუგარქის?) „მეფედ" მოიხსენიება.[14] ხიდის სიახლოვეს მდებარეობს ახპატისა და სანაინის მონასტრები და აქვეა ქობაირის ტაძარიც, სადაც თამარის ამირსპასალარის – ზაქარია მხარგრძელისა და მისი ოჯახის საძვალე მდებარეობს. ერთთაღიანი ხიდი შემკულია გარეული კატების ქვის ფიგურებით. თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ ეპოქას, როდესაც ეს ხიდი ააგეს, (კერძოდ, XII ს-ის მიწურულს და XIII ს-ის დასაწყისს), იმ დროისათვის სელჩუკებისაგან გათავისუფლებული სომხური ტერიტორიები უკვე საქართველოს შემადგენლობაშია; ვანანდის ოლქი ქ. ყარსითურთ უშუალოდ სამეფო საკუთრებაა, ხოლო დანარჩენი მიწები თამარ მეფემ ამირსპასალარ ზაქარიასა და მის ძმას – ივანეს უწყალობა. ამრიგად, ზაქარიდების ხელში აღმოჩნდა მთელი უწინდელი სომხური სამეფოების – ანისის, ძორაკეთისა და სივნიეთის ტერიტორიები. თამარმა ასევე უწყალობა მიწები ზაქარიდების უმცროსი შტოს წარმომადგენლებსაც, მათ შორის – სარგის მხარგრძელის ძმის შვილმა ზაქარიამ (ვაჰრამის ძემ) მიიღო ვრცელი ტერიტორია მდ. დებედიდან მტკვრამდე: "Захария и Иванэ роздали часть земель, полученных от царицы

12 ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, (ამონაბეჭდი *„საისტორიო მოამბიდან"*, წ. II, 1925), ტფილისი, 1926, 54.

13 იქვე, XIII.

14 https://barevarmenia.ru/ru/armenia_sights/sight503. The medieval bridge of Sanahin (near Alaverdi), built in 1192. https://www.facebook.com/InterestingArmenia/ Санаинский мост – Alaverdi.am. www.alaverdi.am/ru/for-tourist/.../sanahin-bridge.htm

Тамары,своим приближенным и отпрыскам старинных армянских княжеских родов. Последние становились вассалами Захаридов, а Захария и Иванэ считали себя их сеньорами – «патронами».”[15] ბუნებრივია, რომ იმ პერიოდში სომხეთი პოლიტიკურადაც და კულტურული თვალსაზრისითაც მჭიდრო კავშირში იყო ქართულ სახელმწიფოსთან, რასაც ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებიც ადასტურებს:

„ხოლო არს ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთათა აღშენებულნი, ეკლესიანი გუმბათიანნი, კეთილნაშენნი, საეპისკოპოზო. გარნა აწ სხენან სომეხნი, არამედ მეფე ქართლისა დასუამს ეპისკოპოზსა მიწერითა ოქივატერისათა, ვინაითგან რავდენნი სომეხნი ქართლს მსახლობელნი არიან, სამწყსონი მისნი არიან;“[16] შესაბამისად, ეს სიტუაცია აისახა ხალხის მეხსიერებაში და დებედის (სანაინის) ხიდი ხშირად „თამარის ხიდის“ სახელით მოიხსენიებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი მეცნიერულად არ დასტურდება, დღესაც კი ინტერნეტ-სივრცეში უხვად გვხვდება საიტები, სადაც ეს ხიდი თამარის სახელს უკავშირდება; მით უფრო არ არის გასაკვირი დიუბუას მიერ დაშვებული ეს უნებლიე შეცდომა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ბერიძე, ვ. *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*. თბილისი, 1974.
2. კვეზერელი-კოპაძე, ნ. საქართველოს ძველი ხიდების მთავარი სახეები, „*ძეგლის მეგობარი*“, XIX, თბილისი, 1969.
3. კვეზერელი-კოპაძე, ნ. ანტიკური ხანის ორი ხიდი საქართველოში, „*ძეგლის მეგობარი*“, #27-28.
4. *ქსე*, ტ. XI, თბილისი, 1987.
5. *საქართველოს ცხოვრება (პარიზის ქრონიკა)*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გიული ალასანიამ, თბილისი, 1980.

15 *История армянского народа*, часть первая, Ереван, 1951, 164-165.

16 ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* დასახ. გამოცემა, გვ. 308.

6. კაკაბაძე, ს. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, (ამონაბეჭდი „*საისტორიო მოამბიდან*“, წ. II, 1925), ტფილისი, 1926.
7. ცინცაძე, ი. *აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე*. თბილისი, 1969.
8. პეტრიაშვილი, თ. *კრწანისის ბრძოლა*. თბილისი, 2016.
9. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973.
10. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*. ტექსტი გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი, 1962.
11. ციციშვილი, ი. წითელი ხიდი: გვიანფეოდალური ხანის ხელოვნება. *ქართული ხელოვნების ისტორია*. თბილისი, 1995.
12. Dubois de Montpéreux, Frédéric. *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée*.Librairie de Gide, Paris, 1839-1849, T. 3.
13. Jacques François Gamba,*Voyage dans la Russie Meridionale, et particulierement dans les provinces situees au-dela du Caucase fait depuis 1820 jusqu'a 1824.* Paris, 1826, T. 2
14. https://barevarmenia.ru/ru/armenia_sights/sight503.
15. The medieval bridge of Sanahin (near Alaverdi), built in 1192. https://www.facebook.com/InterestingArmenia/ Санаинский мост – Alaverdi.am
16. www.alaverdi.am/ru/for-tourist/…/sanahin-bridge.htm
17. История армянского народа, часть первая, Ереван, 1951.

Lela Mikiashvili

THE DESCRIPTION OF THE RED (BROKEN) BRIDGE AND ITS FUNCTION ACCORDING TO THE WORKS OF EUROPEAN TRAVELERS OF THE 19TH CENTURY

The Red or the Broken Bridge is a monument of the late-feudal period. It is built over the Khrami (Ktsia) River, 57 km from the south-east of Tbilisi. This bridge was an important trade and strategic highway connecting Georgia with Armenia, Azerbaijan and Iran. This four-arched bridge was built by King Rostom of Kartli in the middle of the 17th century (according to some data in 1653).

Caravan route leading to Asia passed through the Broken Bridge; through this route it was possible to get to Asian and European countries. Accordingly, this bridge was of great importance in Georgia's economic and political life. No less important is the history of the bridge from military standpoint. The bridge has preserved its original form and now serves as one of the main highways of Transcaucasia.

The article reviews information on the mentioned bridge in the publications of foreign travelers (Jean Chardin, Johann Güldenstädt, Jacques-François Gamba, Frédéric Dubois de Montpéreux),where in some of them, traces of Georgian sources are revealed.

ლელა მიქიაშვილი

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები მცხეთის შესახებ

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე (1798-1850) იმ მეცნიერ-მოგზაურთა რიგებს მიეკუთვნება, რომელთა ნაშრომებმაც უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში. წარმოშობით შვეიცარიელი ფრანგი, დიუბუა იყო ცნობილი სწავლული – გეოლოგი, ბუნებისმეტყველი და არქეოლოგი. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მან მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ყირიმსა და კავკასიაში იმოგზაურა. 1833 წლის გაზაფხულზე იგი ჩავიდა რუსეთში, საიდანაც ჯერ ყირიმში, შემდეგ კი ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრა. რუსული სამხედრო ხომალდით დიუბუამ იმოგზაურა კავკასიის სანაპირო ზოლის გასწვრივ, ხოლო შემდეგ მოიარა დასავლეთი ამიერკავკასია თბილისის ჩათვლით. მოგზაურობის დროს იგი ადგენდა დღიურებს, სადაც დაწვრილებით აღწერდა ნანახსა და გაგონილს, იმავდროულად იგი აზუსტებდა ანტიკური, შუა საუკუნეებისა და რუსი ავტორების ცნობებს ამ რეგიონის შესახებ. გარდა ამისა, დიუბუას პირადი კონტაქტები ჰქონდა სწავლულ კავკასიოლოგებთან, რომელთაგანაც ხშირად იღებდა ახალ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მასალებს კავკასიის შესახებ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიუბუას ექვსტომიანი ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიის გარშემო, ჩერქეზებთან და აფხაზებთან, კოლხეთში, საქართველოში, სომხეთსა და ყირიმში“[1] წარმოადგენს არა მხოლოდ მოგზაურის ჩვეულებრივ დღიურს, არამედ სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას, სადაც ნათლად ჩანს ავტორის დიდი ერუდიცია. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ აღნიშნული ნაშრომი თავის დროზევე ჯეროვნად იქნა შეფასებული სამეცნიერო წრეების მიერ და მას საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედალი მიენიჭა (1838 წ.).

1 Frederic Dubois de Montpereux, *Voyage autour du Caucase chez les Therkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimee*, t. I-VI. Paris, 1839-1843 (შემდეგში: Voyage).

თავის თხზულებაში დიუბუა უხვად იყენებს ბერძენ და რომაელ ავტორთა ნაშრომებს, ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებს და მისიონერთა რელაციებს; გარდა ამისა, მას საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთან და ხშირად სარგებლობდა მათი კონსულტაციებით. შესაბამისად, დიუბუას „მოგზაურობა...“ ევროპაში დაგროვილი ანტიკური და შუასაუკუნეების ეპოქის ავტორების, მოგზაურებისა და მისიონერების ნაშრომებში კავკასიის შესახებ დაცული მნიშვნელოვანი მასალების ერთგვარ შემაჯამებელ პუბლიკაციადაც გვევლინება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაშრომით დიუბუამ სამეცნიერო ასპარეზზე გამოიტანა იმ დროისათვის სრულიად ახალი ისტორიული მასალა კავკასიის შესახებ.

„მოგზაურობის“ IV ტომის ერთ-ერთი თავი ეძღვნება მცხეთას; სტატიაში წარმოდგენილია აღნიშნული მასალის თარგმანი სათანადო კომენტარის თანხლებით.

* * *

თბილისიდან მცხეთამდე გზა მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიუყვება. ჩვენ გავუყევით ფიქლოვან და ქვიშიან კლდეებს, რომლებიც მდინარის კალაპოტს ავიწროვებენ; ხეობის სიღრმეში ყაზბეგის თეთრი მწვერვალი მოჩანდა [...]

თბილისიდან 4 ვერსზე გადავლახეთ პატარა მდინარე ვერე (Véra)[2], 10 ვერსის შემდეგ შევედით ფართო ხეობაში, რომელსაც დიღმის ველი ეწოდება; მისი სიგრძე რამდენიმე ვერსია, სიგანე კი 2 თუ 3 ვერსი. იგი ცნობილია ფარნავაზთან დაკავშირებული გადმოცემით; საქართველოს მეფეთა რიგი ქრისტეშობამდე დაახლოებით 300 წელს ფარნავაზით იწყება. ჩემ მიერ ზემოთ ნახსენები ეს ლეგენდა[3] სულაც არ არის დაუჯერებელი, ისევე როგორც გამოქვაბულების არსებობა: შეიძლება იგი იყოს

2 ვერე – მდინარე თბილისის ტერიტორიაზე, მტკვრის მარჯვენა შენაკადი, ძველად – სკვირეთის სახელით იყო ცნობილი (ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1973, 329).

3 დიუბუას კომენტარი: „იხილეთ ტ. 2, გვ. 35“.

ერთ-ერთი იმათგანი, რომლებითაც მოფენილია კლდეები თბილისიდან მოყოლებული დიდი ავჭალის[4] გზაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირის აყოლებაზე. სარწმუნოა თუ არა ეს ლეგენდა? ამის დადასტურება შეიძლება ისევე, როგორც სხვა ლეგენდებისა, რომლებიც ყველა ქვეყნის ძველი ისტორიის საფუძველს წარმოადგენენ.

დიღმის ველის შემდეგ კლდესა და მდინარეს შორის მოქცეულ დეფილეებში შევედით. აქ ველური ბუნებაა და ბევრგან მდინარე ულამაზეს პეიზაჟებს ქმნის.

მცხეთის პირდაპირ, იმ ადგილთან ახლოს, სადაც მისი უდიდებულესობა, იმპერატორი ნიკოლოზი კინაღამ მტკვარში გადავარდა[5], ეს უკანასკნელი უეცრად იცვლის მიმართულებას და მკვეთრად უხვევს: აქ კლდეები იხსნება და მტკვარს საშუალება ეძლევა ქართლის ზემო აუზებიდან ბნელი ნაპრალით გავიდეს თბილისის ხეობაში. ამ მოსახვევში, რომელსაც ქართველები „დევის ნამუხლარს“[6] (Devis-namoukhli) უწოდებენ, მტკვარს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მომდინარე არაგვი შეედინება.

ამოვდივართ დეფილედან და მტკვრის მიერ შექმნილ ნაპრალში ჩავდივართ: მდინარის სიღრმიდან ჩვენ თავლწინ ამოიმართა მწვერვალით დაგვირგვინებული უამრავი კლდე, რომლებზეც ციხეებისა კოშკების ნანგრევებია შემორჩენილი. კლდეებს შორის გადებული ძველი ხიდით მოგზაურები გადადიან მტკვრის ერთ-ერთ ტოტზე მდებარე ძველი კოშკისა და სხვა ნანგრევების ძირამდე, რომლებიც პატარა ხიდს უფრო დი-

---

4 ავჭალა – სოფ. მცხეთის რაიონში, დღეს თბილისის შემადგენლობაშია, გარეუბანი თბილისის ჩრდილოეთ ნაწილში. წერლობით წყაროებში პირველად იხსენიება XI ს. 80-იან წლებში, „დიდი თურქობის“ დროს (ვრცლად ამის შესახებ იხ. *ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი*, თბილისი, 2013, 20-22).

5 იმპერატორი ნიკოლოზ I საქართველოში ვიზიტით 1837 წ. შემოდგომაზე იმყოფებოდა, რაც დიუბუას მოგზაურობის შემდეგ მოხდა; სავარაუდოდ, ავტორმა ეს ცნობა მოგვიანებით, პარიზში თავისი ნაშრომის გამოცემის წინ (1839 წ.) ჩაამატა. ასეთი ფაქტები „მოგზაურობაში“ სხვაგანაც გვხვდება.

6 დევის-ნამუხლი – ადგილი მუხათგვერდის ქვემოთ; კლდე, რომელიც კეტავდა თბილისიდან ძეგვისკენ მიმავალ გზას.

დისაგან გამოჰყოფენ; ამ უკანასკნელის შუა ნაწილი ხისაა; თაღი შეცვლილია და უკვე კარგა ხანია, აღარ არსებობს და თუკი მართლაც აქ იყო ხიდი, რომელიც პომპეუსმა ააგო მითრიდატესა და მისი მომხრეების დევნისას, მაშინ იგი დიდი ხანია დაინგრა, მიუხედავად მისი სამშენებლო მასალის სიმყარისა.[7]

კლდის გადაღმა მხარეს შემოვბრუნდით და ვიარეთ იმ კლდეების გასწვრივ, რომლებზეც ოდესღაც სახელგანთქმული გარეუბანი სარკინეა[8] აღმართული; თავის დროზე მას ალყა შემოარტყა ალექსანდრე მაკედონელმა.

ამასთანავე, მტკვარზე გადებული ხიდი სარკინეს გარეუბანს აერთებდა ქართლოსის მთასთან, არმაზის ქალაქთან[9] და ტაძართან. ეს ქალაქი თითქმის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო გაშენებული და ეკავა პატარა ხეობის ძირი, სადაც ახლაც გაედინება ნაკადული არმაზი. რამდენი სიმდიდრეა არქეოლოგთათვის ჩამალული ამ ნანგრევებში, სადაც ჯერ კიდევ არავის დაუდგამს ფეხი!

---

7 იგულისხმება ე.წ. პომპეუსის ხიდი, იგივე – მცხეთის ანუ მოგვთა ხიდი. მდებარეობს მცხეთის შესასვლელთან, მტკვრის კუნძულოვან ზონაში. ამჟამად წყლით არის დაფარული და მისი ნაწილი მხოლოდ მდინარის დონის დაწევის დროს ჩნდება. ეს ხიდი ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორებთან იხსენიება, რომელთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ხიდი პომპეუსის აგებულია, მეორე ნაწილი კი თვლიდა, რომ იგი პომპეუსის მოსვლამდე დიდი ხნით ადრეა აგებული (დაწვრილებით იხ. ნ. კვეზერელი-კოპაძე, მცხეთის ძველი ისტორიული ხიდი მდ. მტკვარზე, *„ძეგლის მეგობარი“*, №14, 1968, 61-65; ვ. ნიკოლაიშვილი, ა. სიხარულიძე, მცხეთის ძველი („პომპეუსის“) ხიდი, თბილისი, 2000).

8 სარკინე/სარკინეთი – მცხეთის უბანი, ლოკალიზდება მცხეთის დასავლეთით 8 კმ-ზე, შიომღვიმის მიდამოებში, ჯოჯოხეთის ხევიდან მდ. ქსნამდე და ნასტაგისამდე. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით თარიღდება ძვ. წ.აღ. II-I სს-ებით (*ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური..,* 448-449).

9 არმაზი – ისტ. ციხე-ქალაქი მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას. ბერძნულ-რომაულ წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიებოდა (ჰარმოზიკე, ჰარმაკტიკა, ჰერმასტუ), XVIII ს. ქართულ წყაროებში კი არმაზციხეს „ბაგინეთს“ უწოდებდნენ. არქეოლოგიური მასალის მიხედვით უძველესი ფენები ძვ. წ. აღ. IV-III სს-ებით თარიღდება (ბიბლიოგრაფია იხ. *ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური..*, 46-52).

როდესაც გავიარეთ სარკინეს ნანგრევები, ვნახეთ ადგილი, სადაც ძველი მცხეთა მდებარეობდა; ეს იყო დაახლოებით ერთი ვერსის სიგრძის მიწაყრილი სარკინეთის მთასა და მტკვრისა და არაგვის შესაყარზე. საქართველოს ამ უძველეს სატახტო ქალაქში, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო სახელგანთქმული სიმდიდრითა და ძლიერებით, დღეს მხოლოდ სიღარიბე და ნანგრევები დამხვდა.

ამ გაჩანაგებულ და სევდისმომგვრელ ადგილას ერთადერთი, რაც თვალში გეცემათ, სვეტიცხოვლის ძველი კათედრალია.[10] იგი მდებარეობს ნანგრევებად ქცეული ციხეებისა და კოშკების ცენტრში. გალავნის შიგნით პატრიარქისათვის განკუთვნილი საცხოვრისები იყო განლაგებული; მათი უმრავლესობა მიტოვებულია და მწვანე პორფირის თლილი ქვისაგან მოხდენილად ნაგები შესასვლელები ჟამთა სვლისაგან დაჩიჩქნილ, უფორმო მასებად ქცეულა. ჩვენ მოგვათავსეს იმ შენობაში, სადაც საქართველოს არქიეპისკოპოსი ჩერდება, როცა მცხეთაში ჩამოდის ხოლმე ღვთისმსახურების ჩასატარებლად. ამაზე უარეს შენობას ვერსად ნახავთ.

ეკლესია, რომელიც ულამაზეს და დახვეწილ ქართულ სტილშია აგებული, პირველია მთელ საქართველოში: მისი თავდაპირველი საძირკველი ჩაუყრია მირიანს[11], რომელმაც წმინდა ნინოს ღვაწლით მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება.

---

10 დიუბუას კომენტარი: „მას აგრეთვე **სამირონესაც** უწოდებენ, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ მისი აღმშენებელია მირიანი. ორესტ ევეცკი თავის ნაშრომში *La statistique de la Géorgie* (გვ.146) აღნიშნავს, რომ ეს მეტროპოლი ნაკურთხი იყო თორმეტი მოციქულის სახელზე“.

ტერმინი „სამირონო“ მართლაც გვხვდება ტაძრის მშენებლობის მოთავე მელქისედეკ კათალიკოსის (XI ს.) წარწერაში: „ქ. ნებითა ღვთისათა განახლდა სამირონო ესე ბრძანებითა ქრისტეს მიერ ქათალიკოზისა მელქიზედეკისათა. შეიწყალე უფალო მონა შენი ამის გალატოზნი ოთხნი ამენ“ (იხ. А. Натроев, *Мцхета и его собор Свети-Цховели*. Тифлис, 1900, 172).

11 მირიანი – ქართლის (იბერიის) პირველი ქრისტიანი მეფე, რომლის დროსაც ქვეყანაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა (IV ს. 20-30-იანი წწ.).

მირდატმა, რომელიც 364-379 წლებში მეფობდა, ეს პირველი ხის სამლოცველო შეცვალა ქვის ეკლესიით[12]. მოგვიანებით, ცხადია, მას მრავალჯერ ჩაუტარეს რესტავრაცია და გადააკეთეს, მაგრამ როდესაც 1414 წელს ალექსანდრე[13] ავიდა ტახტზე, მთელი საქართველო იმდენად იყო გაპარტახებული ულმობელი თემურის[14] მიერ, რომ „აღარ იყო ქვა ქვაზე დარჩენილი მცხეთის დედაქალაქის დიდი კათოლიკე ეკლესიისაგან; იგი თავიდან ბოლომდე იქნა დანგრეული და განადგურებული, ისევე როგორც ბევრი სხვა ტაძარი."[15] ალექსანდრემ მეტროპოლი გააახლა დაახლოებით ისეთივე გეგმით, როგორიც ჰქონდა ძველ ტაძარს და მეც დიდი მსგავსება აღმოვაჩინე მისი აბსიდებისა და ქუთაისის მეტროპოლის აბსიდების სტილს შორის.

1656 წელს ჩამოინგრა გუმბათი; იგი აღადგინა საქართველოს მუსლიმმა მეფემ როსტომმა, რომელიც 1634-1658 წლებში მეფობდა.[16] დაბოლოს, ვახტანგ V-მ, რომელიც 1704-1722 წლებში ზეობდა[17], შეამკო ეს ეკლესია.

---

12 დიუბუა ცდება: ქვის ეკლესია მირდატს არ აუგია, ეს მოგვიანებით, V ს. მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს მოხდა (ვ. ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*. თბილისი, 1974, 137-141). მირდატის მეფობის დათარიღება: ვახუშტი ბატონიშვილი – 364-379; გ. მელიქიშვილი – IV ს. 60-70-იანი წწ; ვ. გოილაძე – 356-368 წწ. (*საქართველოს მეფეები*, თბილისი, 2000, 34-35).

13 იგულისხმება ალექსანდრე I დიდი (1412-1442) – 1425 წელს მან შემოიღო საგანგებო საკომლო გადასახადი, რომლის მეშვეობითაც შეაკეთა სვეტიცხოველი, რუისის ეკლესია და მრავალი სხვა ძეგლი.

14 თემურ-ლენგი (1336-1405) – შუააზიელი მხედართმთავარი, ამირა, გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის ოჯახიდან. 1370 წლიდან ერთპიროვნულად განაგებდა შუა აზიას, აწარმოებდა სისასტიკით გამორჩეულ დაპყრობით ომებს ევროპა-აზიის სავაჭრო-საქარავნო გზებზე კონტროლის მოსაპოვებლად. 1386-1403 წწ. მან რვაჯერ ილაშქრა საქართველოში (*ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი, 1999, 74-75).

15 დიუბუას კომენტარი: იხ. *Chronique géorgienne*, თარგმნილი ბ-ნი ბროსეს მიერ, 2 და 3.

16 როსტომი – ქართლის მეფე 1632-1658 წწ., დავით XI (დაუთ-ხანის) ძე. მან და მისმა მეუღლემ – მარიამმა 1656 წ. აღადგინეს სვეტიცხოვლის გუმბათის ყელი.

17 იგულისხმება ვახტანგ VI, ქართლის გამგებელი/ჯანიშინი (1703-1714

ამ ეკლესიის გეგმა ისეთივეა, როგორც ყველა ქართული ეკლესიისა[18]. მისი ზომებია: სიგრძე – 178 ფუტი, სიგანე – 78,05 ფუტი და სიმაღლე 111 ფუტი. ეს არის ჯვარი, რომლის ცენტრიც გუმბათით არის განათებული და რომლის მთავარი ნავი საკმაოდ ვრცელ სივრცეს ქმნის; ვიწრო ეკვდერები მთავარი ნავისაგან გამოყოფილია ორი არათანაბარი ზომის კამარით.

აფსიდების ფასადი ქართული სტილის საუკეთესო ნიმუშია: ისევე, როგორც ქუთაისში, იგი მორთულია ორი ლამაზი ნიშითა და ცრუ თაღებით; კედლებს ამკობს ორნამენტები და რელიეფები ცხოველთა გამოსახულებით.

ტრანსეპტების ფასადი, ანუ ჯვრის მკლავი იგივე სტილისაა, როგორც აფსიდები. ექსტერიერში მთავარი ნავი მორთულია ოთხი, ნიშის ფორმის პატარა თაღით; ისინი ეყრდნობიან ეკვდერების სახურავს, ისევე როგორც გელათსა და ქუთაისში.

მშენებლობისათვის გამოყენებულია მწვანე ან მოწითალო ფერის პორფირი, ისევე როგორც შემოქმედში.

ეკლესიის ინტერიერი მოხატულია; ზოგიერთ ნახატზე ბერძნული წარწერებია – ეს უძველესი მხატვრობაა, უფრო ახლებს კი ქართული წარწერები აქვთ.

ამ მეტროპოლში ტახტზე ნაკურთხი ქართველი მეფეები მეტწილად აქვე არიან დაკრძალულნი; მათ შორისაა ვახტანგ გორგასალი, დავითი – ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, ლუარსაბ დიდი, სვიმონი და გიორგი.[19] აქვე განისვენებენ პატრიარქებიც. მცირეოდენი ორნამენტებით შემკული საფლავის ქვები მიწის დონეზე არიან განლაგებულნი და მათ ზედაპირზე შემორჩენილია ძნელად გასარჩევი წარწერების ნაშთები. ორი უკანასკნელი მეფის – ერეკლესა და გიორგის საფლავები კანკელის ორივე მხარეს განთავსებულან. ორივე საფლავი თავდაპირველად იატაკის დონიდან შემაღლებული და აგურით ამოშენებული იყო, ზემოდან კი უხეში ტილო ჰქონდა გადაფარებული;

წწ.) და მეფე (1716-1724 წწ.), რომელსაც დიუბუა თავის ნაშრომში შეცდომით ყველგან ვახტანგ V-დ მოიხსენიებს.

18 დიუბუას კომენტარი: „იხილეთ ატლასი, III სერია, ფურც. 52. გიულდენშტედტის მიხედვით მისი სიგრძე მინაშენის გარეშე 80 ნაბიჯია, მინაშენთან ერთად – 90 ნაბიჯი, ხოლო სიგანე 45 ნაბიჯი."

19 დიუბუას კომენტარი: „იხ. Klaproth, *Voyage au Caucase*, etc., I, 510."

მოგვიანებით კი იმპერატორმა ალექსანდრემ ეს ყველაფერი მარმარილოს სარკოფაგებით შეაცვლევინა.

ამ ეკლესიის ნამდვილი საკურთხეველი ტაძრის შიგნით არ არის: იგი შესასვლელის მარცხნივ, ეკვდერის მსგავს ნაგებობაშია, რომელიც განათებულია ნაწილობრივად ორ სვეტზე დაყრდნობილი გუმბათით; სვეტებს შორის ქვის მაგიდა დგას, რომელიც დიდი თაყვანისცემის საგანია; უწინ აქ ინახავდნენ კვართს – იესო ქრისტეს სამოსელის ნაფლეთს. თითოეულ სვეტზე ჩანს წარწერა – ერთი ბერძნულ, მეორე კი ქართულ ენაზე შესრულებული. რადგან მე არ მქონდა დრო რომელიმე მათგანის გადმოსაწერად, ბ-ნმა დე-სტევენმა[20] ნება დამრთო, მესარგებლა მის მიერ 1804 წლის 19 ოქტომბერს გადმოწერილი ბერძნული წარწერით; აქვე მომყავს მისი თარგმანი, გამოქვეყნებული ბ-ნ ჰააზისა (საფრანგეთის ინსტიტუტი) და ბ-ნ ბროსე-უმცროსის (სან-პეტერბურგის აკადემია) მიერ[21]:

„ეს საღვთო და ყოვლად პატიოსანი ტაძარი მარიამისა, ჩვენი დედოფლისა, ღვთისმშობლისა და მარად ქალწულისა [იყო]... შეწევნითა და გარჯითა უფლის ბედნიერი მსახურისა პებანპატოსისა ... ბაგრატი, ვედრებითა წინამძღვრისა, რომლის სახელია ქაიხოსრო გურიელი, ღვთისაგან გვირგვინდებული მთავარი ...“[22]

---

20 ქრისტიან დე-სტევენი (1781-1863) – წარმოშობით შვედი მეცნიერი, ბოტანიკოსი, მედიცინის დოქტორი, ენტომოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონენტი. 1803 წლიდან დანიშნულ იქნა თბილისში, მეაბრეშუმეობის დარგის მთავარ ინსპექტორად. მრავალმხრივი ინტერესების მქონე მკვლევარი საინტერესო ნაშრომების ავტორია (იხ. *Русский биографический словарь в 25-и томах*. под ред. А. Половцова, т. 12, СПБ, 1909, 365-367).

21 დიუბუას კომენტარი: *Explication, de diverses Inscriptions géorgiennes, arméniennes et grecques*, par M. Brosset-jeune, académicien extraordinaire, 103.

22 ამავე წარწერის თ. ყაუხჩიშვილსეული წაკითხვა: „ესე საღვთო და ყოვლად პატიოსანი ტაძარი დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარად ქალწულის მარიამისა შეწევნითა, წარსაგებლითა და ლოცვით ბედნიერისი მხევლისა ღვთისაითა – პებანპატოსითა (?)... ბაგრატი (ბაგრატიონი?) ვედრებითა წინამძღვრისაითა, რომლის სახელი არის გურიელი ქაიხოსრო,... ასული, ღვთისმოსავისა მეუფისა..“ (თ. ყაუხ-

ასეთი აზრი შეიძლება გამოვიტანოთ ამ წარწერიდან, რომ-ლელიც ორივე ბოლოში დაზიანებულია. ბაგრატის სახელის წინ ორი ხაზი გაურკვეველია და ამ დროისათვის შეუძლებელია გა-ვარკვიოთ, თუ რას ითხოვდა მცხეთის ტაძარში იმერეთის მეფე ქაიხოსრო გურიელთან ერთად.

ამასთანავე, იმერეთის ისტორიიდან ვიცით, რომ 1658 წელს, ე. ი. მცხეთის ტაძრის გუმბათის ჩამონგრევიდან ორი წლის შმდეგ, ქაიხოსრო გურიელს ქართლელები ეხმარებოდნენ სამეგრელოს დადიანის წინააღმდეგ ლაშქრობისას; იმერეთის მეფე ბაგრატი[23] სწორედ ამ დროს ადის ტახტზე; შესაძლებე-ლია, რომ გუმბათის აღდგენა იმ მოვლენას უკავშირდება, რომე-ლიც ამ ორ მთავარს ეხებოდა. გამიკვირდა, რომ ეს ამბავი ბერძ-ნულ წარწერაში იყო მოხსენიებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ქართული წარწერის თარგმანი უნდა იყოს, რომელიც მეორე სვეტზეა ამოტვიფრული.

შესასვლელ კარზე, ხელმარჯვნივ, ქართული წარწერაა, რომელიც ბ-ნმა დე-სტევენმა გადმოწერა და ბ-ნმა ბროსემ თარ-გმნა; აი, მისი თარგმანი:

„სახელითა ღვთისაითა (მამისა და ძისა და სულიწმინდისა-თა)... ჩვენ, ბოსტოღანაშვილმა ქრისტეფორემ, კათალიკოსმა, ამ ეკლესიის შიგნითა თაღი მოვხატეთ 334 (1646) წელს, ჩვე-ნი სულის ცხონებისა და ჩვენი ცოდვების შენდობისათვის, მა-მანტიოსის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერის შეწევნით (ვინმე იხილავს ამას და ილოცებს ჩვენთვის), უფალმა ღმერთმა შეგინდოთ.“

აღმოსავლეთის ფასადზე გაკრული ხელით, ძალზე უხე-შად შესრულებული მესამე წარწერაა, რომელიც ასე აღნიშნავს გიორგი XII-ს მეფობის თარიღს:

ჩიშვილი, *ბერძნული წარწერები საქართველოში*. თბილისი, 1951, 221). როგორც თ. ყახჩიშვილი აღნიშნავს, ეს წარწერა, სავარაუდოდ 1813 წ. სამუშაოების დროს დაიფარა და დღეს უკვე აღარ არსებობს.

23 ბაგრატ IV, იმერეთის მეფე 1660-1661, 1663-1668, 1669-1678, 1679-1681 წლებში; მეფედ ეკურთხა ქუთაისში. მისი ზეობის ხანა აღინიშნა ფეოდალური შინაომების გამწვავებით, ტყვეთა სყიდვის გაძლიერე-ბით, ცალკეულ თავადთა დაუმორჩილებლობით.

„იესო ქრისტე, გიორგის (XII) მეფობის წლებია 7180 ადამიდან, 1672 ქრისტეშობიდან, 367 აღდგომიდან. ღმერთო, შეიწყალე მიხლაძე.“

ბ-ნ დე-სტევენს ყურადღება არ მიუქცევია მეოთხე წარწერისათვის, რომელიც გაკრული ასოებით არის შესრულებული და მოთავსებულია სამხრეთის შესასვლელ კარზე; წარწერა საინტერესოა და, ალბათ, ბ-ნ დე-სტევენს ისიც უნდა გადმოეწერა.

1804 წელს, ბ-ნი დე-სტევენის მოგზაურობის დროს, ამ ეკლესიის ირგვლივ 30-40-იოდე მიწური ქოხი იდგა, სადაც გლეხები ცხოვრობდნენ. დღეს კი, ბ-ნ ევეცკის[24] სტატისტიკის მიხედვით, აქ უკვე 124 ქოხია. ეს არის ის, რაც დარჩა ძველი მოსახლეობისაგან, რომელიც, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ბ-ნი დე-სტევენი, არასოდეს იქნებოდა მრავალრიცხოვანი, მცხეთა რომ მხოლოდ სარკინეთის მთასა და ორი მდინარის შესაყარს შორის მოქცეულ ვიწრო სივრცეზე ყოფილიყო გაშენებული; მაგრამ აქ მხოლოდ ორი ქალაქი იყო, ხოლო გარეუბნები და ციხე-სიმაგრეები მცხეთის ირგვლივ განლაგებულიყვნენ, მცხეთა კი მათ ცენტრში იყო მოქცეული.

მე უკვე ვისაუბრე სარკინეთისა და არმაზის შესახებ, რომლებიც მცხეთის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს მდებარეობენ; ზუსტად ჩრდილოეთით გადაჭიმულია სამთავროს ვრცელი უბანი, რომელიც დღემდე ამავე სახელწოდების მშვენიერი ეკლესიით არის ცნობილი; იგი საპატრიარქო ტაძრიდან ჩრდილოდასავლეთით, 300-400 ნაბიჯზეა[25]. მირდატმა[26], საქართველოს

24 ორესტ ევეცკი (1805-1900), რუსი მწერალი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი და სტატისტიკოსი. მისი მნიშვნელოვანი ნაშრომია *Статистическое описание Закавказского края*. СПБ, 1835.

25 დიუბუას კომენტარი: ეკლესიის სრული სახელწოდებაა Ghthaebissa-Samthavro.

26 სამთავროს დიდი ტაძარი XI ს-ის 30-იან წლებს განეკუთვნება. წმ.ნინოს ეკლესია დგას ეზოში, დიდი ტაძრის აღმ-ით. ამ ადგილზე საქართვ. პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს აუგია ეკლესია, რასაც ადასტურებს „წმ.ნინოს ცხოვრებაში“ მოყვანილი მისი წერილის შინაარსი: „აღვაშენე ეკლესიაი მაყულოვანსა მას შინაი ნინოსსა.“ სამრეკლო, რომელიც დგას ტაძრის ჩრდ.-დას-ით, ბორცვზე, აგებულია XV-XVI სს. (*საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. ტ.5, თბ., 1990, 253-257).

მეფემ 364-379 წლებში, ამ ნაგებობას საძირკველი ჩაუყარა წმინდა ნინოს მოკრძალებული სამლოცველოს გვერდით. მასაც იგივე ბედი ეწია, რაც საპატრიარქო ტაძარს თემურის დროს და ისიც ალექსანდრემ განაახლა იმავე პერიოდში, როცა საპატრიარქო ტაძარი აღადგინა. ხუროთმოძღვრული სტილი, გეგმის კონფიგურაცია, სამშენებლო ქვა, მშენებლობა, ორნამენტები – ეს ყველაფერი ორივე ეკლესიისათვის საერთოა და ეს დასტურდება შედარების საფუძველზე; მხოლოდ სამთავროს პროპორციებია უფრო მცირე ზომისა.

თუკი ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ სამთავრო უფრო ძველია, ვიდრე საპატრიარქო ტაძარი და რომ თუ მისი კედლები ხავსითა და მღიერებით არის დაფარული, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ისეთი სიხშირით არ განახლებულა, როგორც საპატრიარქო ტაძარი, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში მთლიანად იქნა რესტავრირებული. მას უფრო ძველი და დანგრეული იერი აქვს; გარედან – არავითარი წარწერა, არც ინტერიერში შემხვედრია რაიმე წარწერა.

კარი გამიღო მოხუცმა მონაზონმა, რომელიც თავის მეგობრებთან, მასავით ხანშიშესულ ქალებთან ერთად ცხოვრობდა ეკლესიის ირგვლივ შემოვლებულ გალავანზე მიშენებულ საცხოვრისებში (კელიებში). ამბობენ, რომ აქ დაკრძალულია მეფე მირი[27], რომელიც ქრისტეშობიდან დაახლოებით 730 წელს მეფობდა.

შემდეგ მონაზონმა წამიყვანა წმინდა ნინოს სამლოცველოში, რომელიც აბსიდის აღმოსავლეთით რამდენიმე ნაბიჯზეა და ისიც აგრეთვე გალავანზეა მიშენებული. აქ ვნახე პატარა, ათიოდე ფუტის სიგანის ჩამონგრეული ეკვდერი. მისი უხეში კონსტრუქცია ძალიან ძველი დროის ნიშნების მატარებელია. იმ

27 მირი და არჩილი (ქართლი ერისმთავრის სტეფანოზის ძენი) ჯუანშერის მატიანეში მეფეებად იწოდებიან. არაბთა შემოსევისას დასავლეთ საქართველოში აფხაზთა ერისთავ ლეონთან შეაფარეს თავი. აქ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში (ანაკოფიასთან) მირი დაიღუპა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მირი მართლაც მცხეთაში დაკრძალეს: „და მოკუდა მირ და წარმოსცეს მცხეთას, და დაფლეს ზემოსა ეკლესიასა, შესავალსა კარისასა“ (*ქართლის ცხოვრება*. სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I , თბილისი, 1955, 241).

პერიოდში, როცა სამთავროს უბანი კავკასიის მოსახლეობისათვის კარანტინად გამოიყენებოდა, წმინდა ნინოს სამლოცველოში აფთიაქი იყო გახსნილი.

ბოლოს, ჩემმა ხანდაზმულმა და თავაზიანმა მონაზონმა ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ნახევრადდანგრეულ ნაგებობაზე მიმანიშნა... ეს გორგასლის სასახლეაო, მითხრა მან და ამ სახელოვანი მეფის ხსენებაზე თავლები სიამაყით გაუბრწყინდა.

ეკლესიის ირგვლივ ოთხკუთხა გალავანი მრგვალი კოშკებითაა გამაგრებული; იგი უშუალოდ ეკვრის სამთავროს ციხესიმაგრეს, რომლის ერთი ნაწილი სარკინეთის მთაზე გადიოდა.

აი, ყოველივე ის, რაც შემორჩენილია მცხეთისაგან არაგვის მარცხენა ნაპირზე; ამ სატახტო ქალაქს ამავე ნაპირზე კიდევ ერთი უბანი ჰქონდა. წლის გარკვეულ დროს აქ არაგვზე ფონით შეიძლება გადასვლა, რაც აღმოსავლეთის მხრისაკენ მიმოსვლას აიოლებს. ქალაქის ეს ნაწილი მაღალი, დაფერდებული მთის – ზედაზნის ერთ-ერთ შტოქედს ემიჯნება; ზედაზნის მთა არაგვის ხეობას გამოჰყოფს ივრის ხეობისაგან.

მთის წვერზე აღმართულია სტეფანწმინდის ეკლესია, იგივე ჯაჭვის-საყდარი

(Tchatchouis-Zakdari), ანუ ჯავშნის ეკლესია ან ჯვრის მონასტერი (Dvaris-Monastiri).[28] შორიდან ეს ეკლესია დიდებული სა-

---

28 დიუბუას კომენტარი: „სახელწოდება ჯვრის მონასტერი უკავშირდება ხის ჯვარს, რომელიც წმინდა ნინომ სვეტისაგან შექმნა და ჩაასო იმ ადგილას, სადაც, სავარაუდოდ, იდგა ზადენის კერპი, რომელიც უწინ ფარნავაზმა აღმართა ახლანდელი მთის წვერზე და მთასაც ამ კერპის სახელი უწოდა. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, აქ ეკლესია აუგია არჩილს, სხვები კი ამ მშენებლობას გუარამ კურაპალატსა და საქართველოს მეფეს მიაწერენ. სტეფანოზმა, გუარამის ძემ, დაასრულა ეკლესიის მშენებლობა და აქ არქიმანდრიტი დასვა. მთის აღმოსავლეთ ფერდობიდან მშვენიერი, კამკამა წყარო გამოდის."

დიუბუას კომენტარი: „ბ-ნმა ბროსემ (იხ. მისი მოხსენებითი ბარათი, სურ. XI, №43, 108) ამ წარწერიდან მხოლოდ სტეფანოზი ამოიკითხა, რომელიც, მისი ვარაუდით, ქართლის ოპატრიარქია. მე უფრო ასე წავიკითხავდი: „სტეფანოზი, ქართლის პატრიკიოსი", რაც მშვენივრად ეთანხმება ლეგენდას, რომელიც ეკლესიის აღმშენებლად სტეფანოზს, გუარამის ძეს ასახელებს; მას თავისუფლად შეეძლო მიეღო პატრიკიოსის ტიტული, ისევე როგორც მამამისს ჰქონდა ნაბოძები კურაპალატის ტიტული."

VI-VII სს-თა მიჯნაზე აგებული ქართული ხუროთმოძღვრების

ნახავია; იგი დაახლოებით ისეთივეა, როგორც მეტეხის ეკლესია თბილისში: მე არ მომეცა მისი ნახვის საშუალება, ამიტომ მისი აღწერა მომყავს ბ-ნ დე სტევენის დღიურიდან, რომელიც 1804 წლის 19 ოქტომბრით არის დათარიღებული. აქ მოცემულია ამ ეკლესიისათვის დამახასიათებელი საინტერესო ნიშნები, რომლებმაც ბოლო 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს.

ბ-ნ დე სტევენს მეოთხედი საათი დასჭირდა ამ მთაზე ასასვლელად. „ეკლესია – ამბობს იგი, – მთელია, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი დანგრეულია და ხეებით არის დაფარული. ეკლესიის შუაში, ბერძნული წესის საწინააღმდეგოდ, მოთავსებულია დიდი საკურთხეველი (ტრაპეზი?), რომლის ერთ-ერთ ნიშაში გამოსახულია იოანე, რასაც იქვე გვერდით მოთავსებული ბერძნული წარწერაც ადასტურებს. სხვა წარწერა ეკლესიაში ვერ ვნახე. აღმოსავლეთით მდებარე საკურთხეველზე (ტრაპეზზე) ბამბის ქსოვილი იყო გადაფარებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ ჯერ კიდევ სრულდება ღვთისმსახურება.

ეკლესიის შესასვლელში აღმართულ სვეტებს აგვირგვინებენ კაპიტელები, რომლებიც მორთულნი არიან ბრტყელი და და დაუნაწევრებელი კორინთული აკანთის ფოთლების მსგავსი ორნამენტებით.

გარე კედლებზეც სხვადასხვა ორნამენტები და წმინდანთა რამდენიმე ფიგურაა ამოკვეთილი; მათ შორის შეიმჩნევა მამაკაცი, რომელიც კურთხევას აძლევს ბავშვს; მას ქართული წარწერა აქვს.[29] […]

ამ მთის ზემოდან ულამაზესი ხედი იშლება: თქვენ წინაშეა ვიწრო ხეობა, სადაც მტკვარი გაედინება და ხედავთ მის მღვრიე

ძეგლი მცხეთის ჯვარი დგას მცხეთის პირდაპირ მთაზე, არაგვისა და მტკვრის შესართავთან. ძეგლის ქტიტორია ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ I, რომელი ტაძრის ფასადზე გამოსახული რლიეფური ქანდაკების წარწერაში „პატრიკიოსად“ მოიხსენიება (Г. Чубинашвили, *Памятники типа Джвари*. Тбилиси, 1948).

29 სავარაუდოდ, ციხე, რომელიც კასპის რ-ში – ციხისუბანში მდებარეობდა და გვიანფეოდალურ ხანაში თარხნიშვილებს ეკუთვნოდა. დღეისათვის შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. *ტ. 5, 172).*

წყალს არაგვთან შეერთებამდე, რომლის მომწვანო წყლებიც მტკვარში მრავალი ცალკეული ტოტით ჩაედინებიან. ხელმარჯვნივ, ძალზე შორს, ჩანს როგორ მიედინება არაგვი. მისი ხეობა მტკვრის ხეობაზე გაცილებით უფრო ფართოა, მთები კი, რომელთა შორისაც იგია მოქცეული, ციცაბო და უკაცრიელია. აქ არსად ჩანს დამუშავებული მიწები ან თვალისმომჭრელი მწვანე საფარი. მტკვრისა და არაგვის შესაყართან, კუთხეში აღმართულია მცხეთის ძველი და დიდებული ტაძარი; ოდნავ მოშორებით – სამთავროს ძველი მონასტერი, ხოლო ზემოთ, კიდევ უფრო დაშორებულ ციცაბო კლდეზე, რომელიც არაგვს გადმოჰყურებს, ნაციხარის (Natsixari) ნანგრევებია. ერთი მილის ზემოთ, არაგვის აყოლებით, გადაშლილია მუხრანის ხეობა, რომელიც ქვემოთ ტყით არის მოფენილი, ზემოთ კი მაღალი მთებია აღმართული, რომელთა წვერზეც, თავისი ორმაგი, გადათეთრებული თავით, ყაზბეგია წამოჭიმული. ხელმარჯვნივ ჩანს კავკასიონის ალპების შედარებით უფრო დაბალი მწვერვალები. მტკვრის გაღმა მხოლოდ კლდეები და მოტიტვლებული, უკაცრიელი ადგილები ჩანს. უბედური ქვეყანა, რომელსაც თავისი სატახტო ქალაქის ირგვლივაც კი არ შემორჩენია თითქმის არანაირი კვალი კულტურისა და აქა-იქ მხოლოდ ციხესიმაგრეების ნანგრევებითაა მოფენილი. უკან კი ტყეებით გარშემორტყმული თვალწარმტაცი ხეობაა, სადაც მშვენიერი სოფელი შეიძლება გაშენდეს. ხელმარცხნივ საგურამოს დანგრეული ციხის ნაშთები ჩანს. ყველგან მხოლოდ უკაცრიელი ადგილებია."

ტრადიციის თანახმად, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი აგებულია ერთი ხუროთმოძღვრის მიერ, ხოლო სტეფანწმინდა – მისი მოწაფის მიერ და როცა მასწავლებელმა დაინახა, რომ მას მოწაფემ აჯობა, სასოწარკვეთილმა ხელი მოიჭრა.

კიდევ უფრო საოცარი ლეგენდის თანახმად, სტეფანწმინდის ტაძრის ზემოდან, მცხეთის ტაძრამდე რკინის ჯაჭვი იყო გადაჭიმული და ამ ორი ეკლესიის წმინდანი ბერები ერთმანეთთან ამ ჩამოკიდებული ჯაჭვის ხიდით მიმოდიოდნენ. ამბობენ, რომ ამ ეკლესიის სახელწოდება ჯავშნის საყდარი სწორედ ამ

ჯაჭვიდან მომდინარეობს; თუმცა მე აქ ვერავითარ ანალოგიას ვერ ვხედავ[30].

როგორიც არ უნდა იყოს ყველა ეს ლეგენდა თუ გადმოცემა, მე ვფიქრობ, რომ ერთი რამ ცხადია – ამ ნაგებობის, ისევე როგორც მცხეთის სხვა ეკლესიების რესტავრაცია ალექსანდრე მეფემ ჩაატარა.

მცხეთის აღწერას ვასრულებ მისი ისტორიის მოკლე მიმოხილვით.

ქართლოსმა – საქართველოს პირველმა მამასახლისმა, დასაბამი დაუდო მის შემდგომდროინდელ დიდებას, როცა კლდეში მღვიმეები გამოკვეთა და მას თავისი სახელი უწოდა, დღეს რომ არმაზის სახელით არის ცნობილი. იგი ამ მთაზეა დაკრძალული.

მისმა უმცროსმა ძემ და მემკვიდრემ – მცხეთოსმაც მოისურვა ქალაქის გაშენება მტკვრისა და არაგვის შესაყარზე; არ ვიცი, ეს ქალაქი ხისაგან აშენდა თუ, იმდროინდელი წესის თანახმად, აქაც კლდეში ნაკვეთი მღვიმეები იყო. მან ქალაქს საკუთარი სახელი დაარქვა, რომელიც დროდადრო იწოდებოდა აგრეთვე, როგორც დედაქალაქი (Deda-Khalakhi), რადგან მამასახლისებმა აქ თავიანთი რეზიდენცია დააარსეს.

აზიაში სკვითების შემოსევის შემდეგ არენაზე გამოდის ერთი სპარსი, სახელად არდამ[31] და სპარსეთის სახელით მართავს მოხარკე საქართველოს. მან არმაზსა და მცხეთას ქვისა და კირის გალავანი შემოავლო; მშენებლობის ამგვარი წესი მანამდე უცნობის იყო ამ ქვეყანაში. ამგვარად, ორივე ქალაქი ერთ გალავანში მოექცა.

---

30 დიუბუას კომენტარი: "Güldenstädt, Reisen nach Georgien, 1815 წლის გამოც., III. ამ სახელის უკეთეს განმარტებას იძლევა რაინეგსი, როდესაც აღნიშნავს, რომ აქ აწყობდნენ მოწინააღმდეგისათვის ბრძოლებში წართმეულ აბჯარ-იარაღს; ტ. II, 88".

(„ჯაჭვის საყდარი" – იხ. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*. გერმანულიდან თარგმნა გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962, 59; იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გამოსცა გ. გელაშვილმა, თბილისი, 2002, 157. აქვეა სათანადო კომენტარიც ტერმინ „ჯავშნის ეკლესიის" თაობაზე, რაც რაინეგსის ფანტაზიის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ).

31 არდამი – ვახუშტის თანახმად „სპარსთა მეფე აფრიდონის ერისთავი" (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა.., 51).

კირუსის მეფობის დროს თურანელებმა, ორბელიანთა თანამგზავრებმა, სარკინეს უბანი და ციხე დააარსეს.

ყველაფერი შეიცვალა აზონის[32] დროს, რომელიც ამ პროვინციებს ალექსანდრესა და მისი მემკვიდრეების სასარგებლოდ მართავდა; მან დაანგრია ძველი გალავანი, განაახლა იგი და მიუმატა ოთხი ახალი ციხე, სახელდობრ: ერთი – არმაზის, მეორე – მტკვრის მოსახვევთან, არმაზთან, მესამე – მცხეთის ზემოთ, სავარაუდოდ – სამთავრო და მეოთხე – ქალაქის დასავლეთით, სარკინეს ადგილას, რომელიც მიტოვებულ იქნა მას შემდეგ, რაც ქალაქი აიღეს.

ფარნავაზმა, ძველ მამასახლისთა შთამომავალმა, გააძევა მაკედონელთა მოძულებული მმართველი და თავისი ახალი ძალაუფლება გამოიყენა იმისათვის, რომ მისი წინაპრის – ქართლოსის მთაზე არმაზის (სპარსელთა ორმუზდის) პატივსაცემად დიდი კერპი აღმართა და მის მიმართ თაყვანისცემა დააწესა; სწორედ ამ დროიდან მიიღო ამ მთამ სახელწოდება არმაზი. მცხეთის აღმოსავლეთით, არაგვის მეორე ნაპირზე, ზედაზნის მთის წვერზე ფარნავაზმა კიდევ ერთი – ზადენის კერპი აღმართა.

ჩვენი წელთაღრიცხვით 31 წელს, როცა სამეფო ორ, განსხვავებული ძალაუფლების მქონე მეფეს შორის გადანაწილდა, ერთ-ერთი მათგანი მცხეთაში დამკვიდრდა, მეორე კი – არმაზში[33]. პლინიუსი, რომელიც ქრისტეშობიდან 80 წელს მოღვაწეობდა, იბერიის სატახტო ქალაქად ასახელებს მხოლოდ Harmastis-ს სტრაბონმა, მასზე 50 წლით ადრეულმა ავტორმა, უკვე იცოდა ორ ბელადს შორის გადანაწილებული ძალაუფლების თაობაზე და, ისევე როგორც ქართული ქრონიკა, ისიც ასახელებს იბერიის ორ სატახტო ქალაქს – ჰარმოზიკეს – მტკვრის

32 აზონი – ქართლის ცხოვრების მიხედვით ალექსანდრე მაკედონელის სარდალი, რომელიც ფარნავაზმა დაამარცხა.

33 აქ დიუბუა სარგებლობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობით იბერიის მეფე ადეროკის (ძვ. წ. I - ახ. წ. I სს.) მიერ სამეფოს გაყოფის შესახებ მის ორ ვაჟს – ბარტომსა და ქართამს შორის. ერთს შეხვდა მცხეთა და ქართლის ნაწილი მტკვრის ჩრდილოეთით, მეორეს კი – არმაზი და ქართლი მტკვრის სამხრეთით (*საქართველოს მეფეები*, 19-20).

ნაპირას და სევმარას ანუ სევსამორას – (სამთავრო ანუ სამსავრო) არაგვზე[34].

ზემოთ მოთხრობილი იყო მირიანის, მირდატის, არჩილის, სტეფანოზისა და სხვათა მოღვაწეობის შესახებ.

ვახტანგ გორგასალმა (446-486)[35], რომელმაც ქვის მრავალი ნაგებობით დაამშვენა მცხეთა და იქ კათალიკოსიც დაადგინა, ამ სატახტო ქალაქის დიდებას პირველი დარტყმაც მიაყენა, როცა 469 წელს პატარა დაბა თბილისში დააარსა მუნიციპალიტეტი, სადაც მისმა ძემ – დაჩიმ თავისი რეზიდენცია გადაიტანა. ამ დროიდან მოყოლებული, მცხეთა გახდა მხოლოდ ღვთისმსახურების და არა – სახელმწიფოს ცენტრი.

საუკუნეთა მანძილზე მცხეთა არაერთხელ იქნა დაპყრობილი და განადგურებული; მაგრამ არც ერთ შემოსევას ისეთი მძიმე კვალი არ დაუტოვებია, როგორც თემურის, ანუ თემურ ლენგისა. ალექსანდრე I-მა, რომელიც 1414 წელს ავიდა ტახტზე, თავისი მეფობის პერიოდში მცხეთა ნანგრევებიდან აღადგინა. მე უკვე ვისაუბრე იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია იგი დღეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dubois de Montpereux, Frederic. *Voyage autour du Caucase chez les Therkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimee*. t. I-VI, Paris, 1839-1843.
2. ბატონიშვილი ვახუშტი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973.
3. *ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი, 2013.
4. კვეზერელი-კოპაძე, ნ. მცხეთის ძველი ისტორიული ხიდი მდ. მტკვარზე. „*ძეგლის მეგობარი*“, №14, 1968.

34 იხ. *სტრაბონის გეოგრაფია*, გამოსცა თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1957, 129.

35 ვახტანგ გორგასლის მეფობის თარიღის გარშემო მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, დამკვიდრებული თვალსაზრისით იგი მეფობდა V ს. მეორე ნახევარში. შესაბამისად, მისი ძე დაჩი V-VI სს-თა მიჯნაზე მეფობდა (*საქართველოს მეფეები*, 40-43).

5. ნიკოლაიშვილი, ვ., სიხარულიძე, ა. *მცხეთის ძველი („პომპეუსის“) ხიდი*. თბილისი, 2000.
6. Натроев, А. *Мцхета и его собор Свети-Цховели*. Тифлис, 1900.
7. ბერიძე, ვ. *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*. თბილისი, 1974.
8. *საქართველოს მეფეები*. თბილისი, 2000.
9. *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი, 1999.
10. *Русский биографический словарь в 25-и томах*. под ред. А. Половцова, т. 12, СПБ, 1909.
11. ყაუხჩიშვილი, თ. *ბერძნული წარწერები საქართველოში*. თბილისი, 1951.
12. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. ტ.5, თბ., 1990.
13. Евецкий, О. *Статистическое описание Закавказского края*. СПБ, 1835.
14. *ქართლის ცხოვრება*. სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I , თბილისი, 1955.
15. Чубинашвили, Г. *Памятники типа Джвари*. Тбилиси, 1948.
16. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*. გერმანულიდან თარგმნა გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962.
17. რაინეგსი,იაკობ. *მოგზაურობა საქართველოში*. გამოსცა გ. გელაშვილმა, თბილისი, 2002.
18. *სტრაბონის გეოგრაფია*. გამოსცა თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1957.

Lela Mikiasvili

FREDERIC DUBOIS DE MONTPEREUX ABOUT MTSKHETA

Frederic Dubois de Monptereux is a scientist-traveler, whose works promoted the development of European Kartvelology. Frenchman by origin, born in Switzerland, he was an outstanding geologist, naturalist and archeologist. He traveled a lot, including Transcaucasian countries and Georgia among them (1833-1834) which resulted in his extensive work (in 6 volums) "Voyage autour du Caucase chez les Therkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie." The work is written in the genre of keeping a diary, where he described everything heard and seen in detail, precisely defining the information on antique, medieval and his contemporary authors about this region.

The importance of "Travels" for Georgian original source studies should be especially noted: because of the known political events, a certain gap has appeared in Georgian historiography, concerning the description on the history of the first half of the 19-th century (after the conquest of Georgia by Russia). Hence, Dubois's "Travels" acquires the significance of primary source in many historical aspects of the given period.

The article refers to the description of Mtskheta and its historical monuments presented in the fourth volume of the "Travels".

ირინე ნაჭყებია

ფრანგი დიპლომატების ცნობები საქართველოს შესახებ ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში (XIX საუკუნის პირველი ათწლეული)

საუკუნის დასაწყისში ინდოეთში ინგლისელთა სამფლობელოებზე სალაშქროდ ნაპოლეონმა სტრატეგიული მნიშვნელობა სპარსეთს მიანიჭა. 1807 წლის 4 მაისს საფრანგეთსა და სპარსეთს შორის ფინკენშტეინში (აღმ. პრუსია) ხელშეკრულება დაიდო. ამ თექვსმეტ მუხლიანი დოკუმენტის მე-3 მუხლით ნაპოლეონი საქართველოს ფათჰ-ალი შაჰის კანონიერ კუთვნილებად ცნობდა, მე-4 მუხლით კი ვალდებულებას იღებდა აეძულებინა რუსები, რათა მათ დაეტოვებინათ საქართველოსა და სპარსეთის ტერიტორიები.[1] ხელშეკრულების მეორე მუხლის თანახმად, ნაპოლეონი სპარსეთის შაჰს თავისი ტერიტორიის მთლიანობის გარანტიას აძლევდა, რაც, ლოგიკურად, სპარსეთის ფარგლებში იმჟამად შემავალ ტერიტორიას გულისხმობდა და არა შემდგომში მოპოვებულს. მაგრამ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული, თუ რა ტერიტორიას გულისხმობდა საფრანგეთის მხარე საქართველოში. დავაზუსტებთ, რომ სპარსელებისთვის საქართველოში იგულისხმებოდა ქართლ-კახეთის სამეფო ანუ აღმოსავლეთ საქართველო, რომელიც იმ დროს უკვე რუსეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული. ეს დოკუმენტი ძირითადად რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული, შაჰი კი ინდოეთის ექსპედიციაში ფრანგებისთვის ყოველგარი დახმარების გაწევის ვალდებულებას იღებდა. ფრანგი ისტორიკოსის, ლეფევრ დე ბეკურის შეფასებით, ამ ხელშეკრულებაში სპარსეთისთვის უმნიშვნელოვანესს, ერთადერთსა და აუცილებელს წარმოადგენდა მუხლები საქართველოს შესახებ, დანარჩენი კი მხოლოდ ზედმეტი ტვირთი იყო.[2]

1 Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Correspondances Politiques, Perse (CP/Perse), vol. 9, doc. 97, fol. 166r-166v.

2 Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Mémoires et

აქ ჩნდება კითხვა: რა ინფორმაცია ჰქონდა საფრანგეთის იმპერატორს მის მიერ სპარსეთის შაჰისათვის შეპირებული საქართველოს შესახებ?

ფრანგი აგენტების ცნობები საქართველოს შესახებ. XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოსა და კავკასიაში რუსეთის ზრახვების შესახებ ცნობებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მივაკვლიეთ. ამ მასალას ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოვადგენთ.

საქართველოს შესახებ პირველი ცნობების ავტორები არიან ბაღდადში საფრანგეთის გენერალური კონსული ჟან-ფრანსუა-ქსავიე რუსო[3], სინოპში საფრანგეთის კონსული პასკალ ფურკადი და 1796 წელს დირექტორიის მიერ აღა-მაჰმად-ხანთან წარგზავნილი გიიომ-ანტუან ოლივიე. ჟ.-ფ. რუსოს მიერ 1795 წლის 15 ოქტომბერს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საგანგებო წარგზავნილის, მოქალაქე ვერნინაკისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი კავკასიაში აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის სექტემბრის კამპანიას ეხება. მოქალაქე ჟ.-ფ. რუსო კონსტანტინოპოლში იმ ოპერატიულ ინფორმაციას ატყობინებდა, რომელსაც თავისი მეგობრის, იმჟამად ბაღდადში მყოფი ისფაჰანის შეიხ-ულ-ისლამის, მირზა მორთეზასაგან, იგებდა. ამ ცნობების თანახმად, 1795 წლის გაზაფხულზე აღა-მაჰმად-ხანი 150 000-იანი ლაშქრით წასულიყო თეირანიდან საქართველოსაკენ ერევნის, შირვანის, ყარაბაღის პროვინციების გავლით, რომლებიც მას არც გადასახადს უხდიდნენ და არც ემორჩილებოდნენ. თავრიზიდან და ხოიდან მიღებულ წერილებზე დაყრდნობით, ისფაჰანის შეიხ-ულ-ისლამის ცნობითვე, მეფე ერეკლეს, ერევნის მმართველ მეჰმედ ხანს და შუშის მმართველ იბრაჰიმ-ხანს

Documents, Perse (MD/Perse), vol. 8, doc. 25, 1839.

3 ჟან-ფრანსუა ქსავიე რუსო (1738-1808) – სპარსეთში დაბადებული და აღზრდილი ცნობილი ფრანგი დიპლომატი და თვალსაჩინო აღმოსავლეთმცოდნე. Sylvestre de Sacy, Eloge historique de feu Jean-François *Rousseau ancien consul général de France à Bagdad et à Bassora, mort à alep le 12 mai 1808* (S. l.: 1810), 2-3; Régis Pluchet, *André Michaux 1782-1785. L'extraordinaire voyage d'un botaniste en Perse* (Toulouse: Éditions Privat, 2014), 28.

არ სურდათ აღა-მაჰმად-ხანის გაღიზიანება. ერეკლეს მოკავშირეები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ აღა-მაჰმად-ხანთან ხარკისა და წლიური გადასახადის შესახებ. მისივე ცნობით, ისე ჩანდა, რომ რუსები არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ამ ომში, თავისი ბედის პირისპირ მიეტოვებინათ თავიანთი ძველი მოკავშირე ერეკლე, თვითონ კი მშვიდად აგრძელებდნენ ვაჭრობას კასპიის ზღვით ასტრახანიდან რაშთში, დარუბანდსა და ბაქოში, რომლებიც აღა-მაჰმად-ხანს ემორჩილებოდნენ.[4]

1795 წლის 26 ოქტომბერს ჟ.-ფ. რუსო „წარჩინებული და ნდობის ღირსი პირების ცნობებზე დაყრდნობით“ ვერნინაკს ატყობინებდა, რომ აღა-მაჰმად-ხანს დაემარცხებინა ერევნის ხანისა და ქართველების ლაშქარი, რომელსაც ერეკლეს ვაჟი მეთაურობდა. ამ გამარჯვების შემდეგ ერევნის ხანი და ეჩმიაძინის პატრიარქი დამორჩილებიან აღა-მაჰმად-ხანს, ის კი გამარჯვებული შესულიყო ერევანში. პატივისცემის ნიშნად, სომხებს მისთვის დიდი საჩუქრებიც გაეგზავნათ. როდესაც ეს ამბავი თბილისამდე მისულა, ერეკლე, რომელსაც არავინ ეხმარებოდა და წინააღმდეგობის გაწევაც არ შეეძლო, წარჩინებულ ქართველებთან ერთად თბილისიდან კახეთს გადასულიყო, აღა-მაჰმად-ხანი კი თბილისის ასაღებად წასულიყო. ჟ.-ფ. რუსო, რომელსაც ახალგაზრდა აღა-მაჰმად-ხანი ქერიმ ხანის კარზე ყოფნისას გაეცნო, წინასწარ ვარაუდობდა, რომ მისი სასტიკი ხასიათიდან გამომდინარე, მძიმე იქნებოდა იმ უკიდურესი სისასტიკის წარმოდგენა, რასაც ის განახორციელებინებდა თავის მებრძოლებს ამ ქრისტიანულ, მუდამ სპარსეთის მოხარკე, ქერიმ ხანის გარდაცვალების (1779) შემდეგ კი მის წინააღმდეგ აჯანყებულ ქვეყანაში. იმჟამად ბაღდადში მყოფი ზოგიერთი სპარსელი და ქართველი წარჩინებული ისევე, როგორც სხვა განათლებული პირები, ხედავდნენ, რომ ამ ომში რუსები საერთოდ არ გამოჩენილან ქართველების არც დასახმარებლად და არც მათთან მოსალაპარაკებლად. ეს ფაქტი შეფასებული იყო როგორც „რუსეთის კარის ბარბაროსული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომელსაც ერეკლე და საქართველო გასანადგურებლად მიეტოვებინა აღა-მაჰმად-ხანისათვის, თავის ძალებს კი სრულიად

4 AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 39, fol. 141r-142r.

საქართველოს დასაპყრობად და მისი, როგორც დაპყრობილის, სამუდამოდ შესანარჩუნებლად, შემდეგ აამოქმედებდა“[5].

1796 წლის შემოდგომაზე ჟ.-ფ. რუსო კონსტანტინოპოლში ინფორმაციას უკვე აღა-მაჰმად-ხანის მიერ საქართველოში შემოჭრის შედეგების შესახებ აწვდიდა. იგი წერს: „(...) საჭურისის ლაშქარმა ტიფლისში ჩაიდინა ყველა ის საშინელება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ომმა, მოლაშქრეთა აღვირახსნილმა სისასტიკემ და ბარბაროსობამ. ამას გარდა, დამპყრობლის ბრძანებით, გაანადგურეს და დაანგრიეს ოცდაათზე მეტი ქრისტიანული ეკლესია და ორი სუნიტური მეჩეთი, რომლებიც ქალაქში იყო, გადაწვეს და გაძარცვეს ყველა სახლი და ფორტიფიკაცია; ამ დანაშაულისა და სისასტიკის შემდეგ მონად აქციეს 40 ათას ადამიანზე მეტი, რომელთაგან თითქმის სამი მეოთხედი ქართველი, დანარჩენი კი სომხები და სუნიტი მუსლიმები იყვნენ. ეს ციფრი გაზვიადებული არ უნდა იყოს, რადგან ბაღდადში ირწმუნებიან, რომ ტყვეთა რაოდენობა 70 ათასი იყო[6]. ყველა მონა გაგზავნეს და გაფანტეს სპარსეთში და დარწმუნებულნი უნდა იყოთ, რომ მრავალი მათგანი უკვე მოკვდა ან კვდება გაჭირვების, სისასტიკისა და ძალადობის გამო, განსაკუთრებით კი – დარდით. ამ მონობის რამდენიმე მაგალითმა ბაღდადამდეც მოაღწია. სომეხი ვაჭრის მიერ აქ ჩამოყვანილი ერთი ექვსიოდე წლის ბიჭუნა ძალით წაიყვანა ბაღდადის ფაშამ, რომელიც თავად ქართველი მონა იყო; ეს ბავშვი, მიუხედავად კარგი მოპყრობისა და ალერსისა, სულ ტიროდა და თავის დედ-მამას ითხოვდა.“[7] სავარაუდოა, რომ ჟ.-ფ. რუსოს ინფორმატორები სომეხი ვაჭრები იყვნენ.

1804 წელს ჟ.-ფ. რუსო უკვე რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს მოქცევის ამბავს და კასპიისპირეთში რუსების ზრახვებს ეხება. იგი წერს: „მშვენიერ და ვრცელ მხარეს, საქართველოს, რომელიც გამუდმებით სპარსეთის მოხარკე იყო,

5 AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 39, fol. 141r-142r, 146v-147v.

6 ირანელი ისტორიკოსი საიდ მულიანი რეზა-ყული ხან ჰედაიათის ცნობაზე დაყრდნობით წერს, რომ სპარსელებმა საქართველოდან 15000 ტყვე გაიყვანეს. Sayd Muliany, *Ğāygāh-e dar tārikh va farhang va tamaddon-e Irān* (Isfahān: Enteshārāt-e Yektā, 1379/2001) 193.

7 Henri Dehérain, *La vie de Pierre Ruffin, orientaliste et diplomate*, 1742-1824 (Paris: Édition P. Geuthner, 1929-1930), I, 36.

უკვე რამდენიმე ხანია, რაც თავისი მეფე ერეკლე გარდაეცვალა და მთლიანად შევიდა რუსეთის ბატონობაში. ეს უკანასკნელი ხშირი შემოსევებით სპარსელებს მოსვენებას არ აძლევს. ცოტა ხნის წინ რუსეთი დარუბანდს, ბაქოს და კასპიის ზღვის სხვა ნავსადგურებს დაეპატრონა და სპარსეთის ჯარის მრავალგზის დამარცხების შემდეგ, დაიკავა ქალაქები განჯა და ერევანი.[8] ერეკლეს ერთ-ერთი ვაჟი (ალექსანდრე ბატონიშვილი – ი.ნ.), რუსების შემოჭრისთანავე სპარსეთში გაიქცა და იქ რუსების წინააღმდეგ ლაშქრის მეთაურად დაინიშნა. რუსებმა უკუაგდეს სპარსეთის ლაშქარი და ლამის თავრიზიც აიღეს. ნათელია, რომ რუსების ერთადერთი მიზანი კასპიის ზღვაზე საუკეთესო პორტების, განსაკუთრებით კი გილანის ნაყოფიერი და მდიდარი მხარის დაპყრობა არის."[9]

სინოპში საფრანგეთის კონსული, პასკალ ფურკადი თავის მოხსენებით ბარათში შემდეგ საკითხებს ეხება: 1. 1783 წლიდან რუსეთის დაპყრობებს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე; 2. რუსების დომინირების ფორმას ტერორითა და ავან-პორტებით;[10] 3. რუსების წინსვლას ერთის მხრივ ტრაპიზონისაკენ, მეორეს მხრივ კი თავრიზისა და ასთარაბადისაკენ, რაც მათ შავსა და კასპიის ზღვებზე – სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით – 400 ლიეზე[11] უფრო გრძელ შესანიშნავ საზღვარს სძენდა.[12]

---

8 ჟან-ფრანსუა რუსო აქ უზუსტობას უშვებს, რადგან ქალაქი ერევანი და ერევნის სახანო რუსებმა რუსეთ-სპარსეთის მეორე, 1826-1828 წლების ომის დროს აიღეს.

9 AMFAE, CP/Perse, vol. 8, doc. 158, fol. 386r.

10 ავან-პორტი – მდინარის შესართავის შორიახლო აგებული, მთავარ პორტთან შეწყვილებული ნავსადგური.

11 ლიე – სიგრძის ძველებური ფრანგული საზომი, უდრის დაახლოებით 4,5 კმ-ს.

12 „რუსები, – კასპიის ზღვის, ევქსინის პონტოს (შავი ზღვის – ი.ნ.), ევფრატის სათავეებისა და თავროსის მთის ხეობების ბატონები, – ტერორითა და ავან-პორტებით დომინირებენ სპარსეთის ყოველ ქალაქსა თუ დაბაზე, რომლებიც არარატის მთასა და კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზე მდებარეობენ. მათთვის, ამ ზღვისა და მიმდებარე ხეობების ბატონთათვის, მეტად ადვილია სპარსეთში გასაგზავნი ჯარის შენახვა და დაკომპლექტება. თავიანთი ოპერაციების გაადვილების მიზეზით მათ დააწიოკეს თურქეთის ტერიტორია ფაზისის

გიიომ-ანტუან ოლივიეს მოხსენებითი ბარათიდან (1804) საფრანგეთის მთავრობა შეიტყობდა, რომ: 1. 1783 წლამდე რუსეთმა ვერც კავკასიონის ქედი ვერ გადალახა და ვერც თერგსა და კასპიის სანაპიროზე დაარსებული თავისი დასახლებები; 2. ადრე „სპარსეთს დაქვემდებარებული“ საქართველო 1783 წელს რუსეთის ბატონობაში გადავიდა; 3. ერეკლემ და მისმა მემკვიდრეებმა რუსეთის „უზენაესი ძალაუფლება“ სცნეს, ამის შედეგად კი აღა-მაჰმად-ხანმა „ტიფლისი გააჩანაგა“[13]; 4. გრაფმა ვალე-

(მდ. რიონის – ი.ნ.) მიდამოებში და მოსახლეობას ეპიზოდური ბრძოლების წარმოებისაკენ უბიძგეს, რაც მათთვის აშკარა საბაბი იყო შავ ზღვაზე ფორტის ასაშენებლად. ეს ფორტი (რედუტ-ყალე – ი.ნ.), როგორც ჩანს, აშენებულია რუსების დასაცავად ფაზისელი ბარბაროსების წინააღმდეგ, რუსებს ამკვიდრებს შავი ზღვის ამ ნაწილში, აახლოებს მათ კავშირებს ერთის მხრივ ტიფლისთან, მეორეს მხრივ – კონსტანტინოპოლსა და ყირიმთან, უწყობს ხელს მათი სამხედრო ნაწილების გადმოსხმას, დაბოლოს, უმორჩილებს მათ იმერეთში მცხოვრებ პატარა მთავრებს, ისევე, როგორც იმ მთებში (კავკასიონი – ი.ნ.) გაფანტულ დამოუკიდებელ ხალხებს, რომლებიც შავი ზღვისაგან გამოყოფს საქართველოში რუსულ სამფლობელოებს. ამგვარად, რუსებმა მიიმატეს ორივე ზღვა და დაასრულეს მათი გამყოფი ყელის დაპყრობა. 1783 წლის შემდეგ რუსებმა დაიპყრეს კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროები თერგიდან მტკვრის შესართავამდე, კასპიის ზღვასა და საქართველოს შორის მდებარე სპარსული პროვინციები, მთელი საქართველო და არმენიის ერთი ნაწილი ერევნამდე, იმერეთი და ის პატარა სამთავროები, რომლებიც შავი ზღვისაგან გამოყოფდნენ საქართველოს, დაბოლოს, შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები; ე.ი. რუსებმა დაიპყრეს სანაპიროს დაახლოებით 150 ლიე კასპიის ზღვაზე, 50-60 ლიე შავ ზღვაზე, ორივე ზღვას შორის 100 ლიეზე მეტი ფართობი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და 200 ლიეს ფართობი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ისინი, ერთი მხრივ, ტრაპიზონს ემუქრებიან, მეორე მხრივ – თავრიზსა და ასთარაბადს. ამგვარად, ისინი მთლიანად ფლობენ ორივე ზღვას და მათ სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით 400 ლიეზე უფრო გრძელი შესანიშნავი საზღვარი ექნებათ“. AMFAE, CP/Perse, vol. 8, doc. 156, fol. 384r-384v.

13 საგულისხმოა, რომ თბილისი XX საუკუნის დასაწყისშიც იპყრობდა აღა-მაჰმად-ხანის შთამომავალთა ყურადღებას. ყაჯართა ოჯახის აწ გარდაცვლილმა მეთაურმა პრინცმა სოლთან ალი ყაჯარმა (1929-2011), საგანგებო თხზულება მიუძღვნა თავის წინაპართა, ყაჯართა დინასტიის შაჰების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამ წიგნს ერთვის ერთადერთი ილუსტრაცია – მისი ყდა გაფორმებულია XX საუკუნის 30-იან წლებში სპარსელი ფერმწერის მიერ საფრანგეთში შესრულე-

რიან ზუბოვმა აიღო დარუბანდი, ბაქო, შემახა და განჯა, ჯარის ნაწილი მოხსნა საქართველოს დასაკავებლად, მდ. მტკვრის აყოლებით თბილისამდე; 5. რუსების განზრახვა შემდეგი იყო: შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ყველა ქვეყნის დაკავება და საზღვრის გავლება ტრაპიზონიდან არზრუმამდე, რაშთამდე და ასთარაბადამდე; 6. ამ დაპყრობათა მნიშვნელობა რუსეთისათვის: აღნიშნული ტერიტორიების ხელსაყრელი სამხედრო და სავაჭრო მდებარეობა.[14]

ბული ნახატით, რომელზეც გამოსახულია „ყაჯართა დინასტიის პირველი დიდი სუვერენი აღა-მაჰმად ხანი საქართველოს დედაქალაქის, ტიფლისის, აღებისას". ამ სიუჟეტის შესახებ ავტორი შემდეგს წერს პროლოგში: „სახლში, რომელშიც 30-იან წლებში ვცხოვრობდით, ჩემმა ბებიამ, სპარსეთის დედოფალმა მალექე ჯაჰანმა, მოჰამად შაჰის მეუღლემ, ირანელ მხატვარს შეუკვეთა უზარმაზარი ტილო, რომელიც წარმოადგენს ჩვენი დინასტიის პირველ დიდ სუვერენს, აღა-მაჰმად-ხანს თბილისის, საქართველოს დედაქალაქის აღებისას. ეს ტილო მუდამ ჩვენ გვაქვს და მე ის ჩემს ახალ რეზიდენციაში გადავატანინე. აღა-მაჰმად-ხანს თავი მნახველისკენ აქვს მიმართული და ყველა იმავეს განიცდის, რასაც თავად მე განვიცდიდი ჩემს ბავშვობაში..." (Prince Ali Kadjar, *Les Rois oubliés, l'épopée de la dynastie Kadjare* (Paris: Kian, 1992). ცხენზე ამხედრებული საჭურისი ხანის თბილისისაკენ მიმართული ხელი მეტად გვაგონებს ბონაპარტის ცნობილ ჟესტს დავიდის ტილოზე.

14 „რუსეთმა ნელ-ნელა მიუერთა თავის სახელმწიფოს ჩერქეზეთი და ყველა ქვეყანა, მდებარე აზოვის ზღვასა და ვოლგის შესართავს შორის, მაგრამ 1783 წლამდე მან ვერც კავკასიონის ქედი გადალახა და ვერც კასპიის სანაპიროზე, თერგზე, თავის დაარსებულ დასახლებას გასცდა. ადრე სპარსეთს დაქვემდებარებული საქართველო 1783 წელს რუსეთის ბატონობაში გადავიდა. პრინცმა ერეკლემ ხელშეკრულებით ივალდებულა, რომ არც თავად და არც მისი მემკვიდრეები არ ცნობდნენ სხვა უზენაეს ხელისუფლებას, გარდა რუსეთის იმპერატრიცისა და მისი მემკვიდრეებისა. ამ ხელშეკრულების შედეგად ერეკლემ, რომელსაც სპარსეთის ახალმა მეფემ, აღა-მაჰმად-ხანმა, 1794 წელს ერთგულების ფიცი მოსთხოვა, უარი უთხრა მორჩილებაზე და განუცხადა, რომ არ ცნობდა სხვა სუვერენს, გარდა ეკატერინესი. ამ უარის საპასუხოდ 1795 წელს მაჰმადმა ჯარი შეკრიბა, დაამარცხა ერევნისა და შუშას ხანების ლაშქართან გაერთიანებული ქართველთა ლაშქარი და დაიძრა ტიფლისისაკენ, რომელიც გააცამტვერა. ერეკლეს ვაჟმა (გიორგი XII – ი.ნ.) მიაღწია მშვიდობას, აიღო რა ვალდებულება, რომ თვითონაც და მამამისიც ერთგულებას შეჰფიცებდნენ სპარსეთის მეფეს და გადაუხდიდნენ იმ ყოველწლიურ გადასახადს, რომელსაც მისი

ალექსანდრ რომიეს ცნობები საქართველოს შესახებ. 1805 წლის აპრილში ნაპოლეონმა სპარსეთში გაგზავნა გენერალი ანტუან-ალექსანდრ რომიე.[15] მას ევალებოდა სპარსეთის სამხედ-

---

სახელმწიფო ადრეც იხდიდა. 1796 წელს რუსეთის იმპერატრიცამ გრაფ ვალერიან ზუბოვის* მეთაურობით გაგზავნა ჯარი, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით აიღო დარუბანდი, ბაქო, შემახა, განჯა და ჯარის ნაწილი მოხსნა საქართველოს დასაკავებლად, მტკვრის აყოლებით ტიფლისამდე. ეს ექსპედიცია ეკატერინეს სიკვდილთან ერთად დასრულდა; რუსეთის ჯარმა უკან დაბრუნების ბრძანება მიიღო, რაც შეასრულა კიდეც: გაიყვანა ჯარი განჯიდან, შემახიდან, ზურგის ყველა ქალაქიდან და ციხე-სიმაგრიდან და დატოვა ჯარის ნაწილები ტიფლისში, ბაქოსა და დარუბანდში. 1797 წელს მაჰმადმა თავიდან შეკრიბა ჯარი ერეკლეს მეორედ დასასჯელად და რუსებისათვის ბაქოსა და დარუბანდის წასართმევად, მაგრამ ის მოკლულ იქნა. მაჰმადის სიკვდილის შემდეგ იმპერატორმა ალექსანდრემ გაგზავნა ჯარის ნაწილები, რომლებმაც თავიდან აიღეს განჯა, შემახა, შუშა, შირვანისა და ზემო არმენიის ყველა სიმაგრე და ბოლოს ერევანზე მიიტანეს იერიში. ისე ჩანს, რომ რუსეთს დაგეგმილი აქვს შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ყველა მხარის დაკავება, იქიდან საზღვრის გატარება ტრაპიზონიდან არზრუმზე და რაშთზე გავლით ასთარაბადამდე. ეს დაპყრობა ადვილია და რუსები უზრუნველყოფილნი იქნებიან იმ ყოველგვარი უპირატესობით, რასაც ხელსაყრელი სამხედრო და სავაჭრო მდებარეობა იძლევა." AMFAE, CP/Perse, vol. 8, doc. 157, fol. 385r-385v.

*1796 წელს ვალერიან ზუბოვის სარდლობით რუსეთის ჯარმა დაიკავა დარუბანდი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ცენტრალური ქალაქები. რუსეთის ჯარის სამხედრო მოქმედებები კასპიისპირეთის მიმართულებით 1803 წლიდან განახლდა. 1805 წლის ზაფხულში შექის, შირვანისა და ყარაბაღის ხანები რუსეთის მხარეს გადავიდნენ, ხოლო მომდევნო წელს რუსეთის ჯარმა ერევნისა და ნახჭევანის სახანოების გარდა თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიკავა. Николай Дубровин, *Закавказье от 1803-1806 года* (СПб.: Типография департамента уделов, 1866), 418.

15 ბრიგადის გენერლი ანტუან-ალექსანდრ რომიე დე სეგიური (1764-1805) 1801-1804 წლებში ნაპოლეონმა კორფუში კომერციული ურთიერთობების გენერალურ კომისრად და საქმეთა რწმუნებულად მიავლინა. იმპერიის მარშლის, ბერნადოტის შუამდგომლობით 1804 წლის 13 ივნისს იგი საპატიო ლეგიონის ოფიცერი გახდა. Archives Nationales de France (AN), Légion d'Honneur (LH), 2628/33. AN, Légion d'Honneur, 2278/13, n. 878, fol. 6; Gotteri: № 468, 412-413 Nicole Gotteri, "Antoine-Alexandre Romieu (1764-1805), général et diplomat". *Revue drômoise, archéologie, histoire, géographie* 468 (1993): 412-413; Irène

რო შესაძლებლობების და სპარსეთის მიმართ რუსეთის მომავალი გეგმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რათა საფრანგეთის იმპერატორს განესაზღვრა, თუ რამდენად გამოადგებოდა ეს ქვეყანა ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ პოტენციურ სამხედრო პოლიგონად.[16] ტალეირანის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში, რომიე მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით აღწერს სპარსეთის სავალალო მდგომარეობას. ფრანგი გენერალი გაოგნებული დარჩა სპარსეთის სრული სამხედრო უსუსურობისა და სისუსტის გამო და მისი დასკვნით, სპარსეთს ძლიერ გაუჭირდებოდა მეორე ფრონტის გახსნა ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ. ამასთან, იგი მეტად საღად აფასებს რუსების ზრახვებს სპარსეთისა და თურქეთის მიმართ და სპარსეთის ურთიერთობას მეზობლებთან. იგი წერს: „სპარსეთის ყველაზე დიდი და ჭეშმარიტი წუხილი რუსეთის მხრიდან მოდის. ის სპარსეთისთვის საშინელი მტერია და როდესაც მასზე იერიშის მიტანას მოინდომებს მთელი ძალით, რაც აღიარებული ჭეშმარიტებაა, ის ადვილად შეაღწევს იმპერიის ცენტრამდე." რომიეს შეფასებით, სპარსეთის ჯარი ორჯერ მეტიც რომ ყოფილიყო, მაინც მუდამ დამარცხებული იქნებოდა მიუხედავად იმისა, რომ რუსები იმჟამად მეტად მცირერიცხოვანნი იყვნენ საქართველოში, ჯარისკაცები კი დეზერტირობენ. მათ მეთაურობდა წარმოშობით ქართველი, გენერალი Sisin-ი.[17] წლების

Natchkebia,"La Perse vue par deux émissaires de Napoléon", *Studia iranica* 26 (2002): 317.

16 AMFAE, CP/Perse, vol. 8, doc. 25, fol. 238r.

17 პავლე ციციშვილი (1754-1806) 1803-1806 წლებში საქართველოს მთავარმართებელი იყო. ფრანგი მეცნიერი შარლ ბელანჟე მასზე შემდეგს წერდა: „იგი საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამის ნათესავი იყო, მაგრამ რუსეთის არმიის გენერალი და თავისი ახალი სამშობლოს სრულიად ერთგული. კიდევ ახსოვთ, თუ რა სისასტიკით გააუჩინარა საქართველოდან ამ თავადმა უკანასკნელი ნაშიერები მონარქიისა, რომელიც 97 მეფეს ითვლიდა, დაივიწყა რა სამეფო ოჯახთან სისხლით ნათესაობა." Charles Bélanger, *Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques et autres sur le Pergou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte-Héène pendant les années 1827, 1828 et 1829* (Paris: Librairie-éditeur Arthus Bertrand, 1838), II, 64.

მანძილზე, რუსეთი მხოლოდ თავდაცვით ომს აწარმოებდა და საქართველოში 10,000-12,000 კაცზე მეტი არ ჰყავდა. უმეტესი ნაწილი მოსკოვურ ყაიდაზე გაწვრთნილი ქართველები იყვნენ, დანარჩენები – კაზაკები. ამასობაში, ასე მცირე ძალებით რუსეთი წინააღმდეგობას უწევდა 40,000 სპარსულ ლაშქარს და არასოდეს ჰქონდა რაიმე მნიშვნელოვანი წარუმატებლობა.[18] ეს ინფორმაცია ნაპოლეონისათვის მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი ინდოეთის ლაშქრობაში სპარსეთს ზურგის ფუნქციას ანიჭებდა.

ამედე ჟობერის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსეთში 1806 წლის მაისში ჩასული ნაპოლეონის ემისარი, ამედე ჟობერი[19], ნაპოლეონისთვის 1807 წლის 3 მარტს წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ რუსები სპარსელების წინააღმდეგ არც დიდი ხელოვნებით და არც დიდი შემართებით არ იბრძოდნენ. ყოველ გაზაფხულზე ალყას არტყამდნენ ერევანს – ქალაქს, რომელიც მხოლოდ კედლით და ცუდი თხრილით იყო დაცული, მაგრამ მის აღებას ვერ ახერხებდნენ. ალყა და კამპანია შემოდგომაზე მთავრდებოდა. ამ მხარეში გავრცელებული დაავადებებისაგან დასუსტებული რუსები თოვლის მოსვლისთანავე ტიფლისში ბრუნდებოდნენ თავიანთ ყაზარმებში, სადაც მათ ის გარყვნილი ჩვევები და სამარცხვინო თავაშვებულობა შეეტანათ, რაც პეტერბურგში ცივილიზაციად და ევროპულ ზრდილობად ითვლებოდა; ამგვარად, მათ დაეკარგათ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის კეთილგანწყობა. თავად ციციანოვს თბილისის 60 წარჩინებული პირი გამოემწყვდია, მეფე ერეკლეს ორი ვაჟი[20] კი სპარსეთის შაჰთან იყო გაქცეული.

---

18 AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 27, fol. 55v-60v, 12.10.1805, თეირანი.

19 თვალსაჩინო ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე პიერ-ამედე-პრობ-ემილიენ ჟობერი (1779-1847) საპატიო ლეგიონის ოფიცერი, დიპლომატი და საფრანგეთის პერი იყო. Hellot-Bellier, Florence. France – Iran, quatre cents ans de dialogue. Avec le concurs de L'UMR 7528 «Mondes iranien et indien». *Studia Iranica*. Cahier 34. Assosiation pour l'avancement des études iraniennes (Paris: Peeters Press, 2007) 94-96).

20 იგულისხმებიან ერეკლე II-ს ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი და გიორგი XII-ს ვაჟი თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ჟობერმა აგრეთვე ერეკლე II-ს ვაჟად მიიჩნია. ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-

ნაპოლეონის ემისრის აზრით, სპარსეთის ტერიტორიაზე რუსეების წარუმატებლობის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი სირთულე სამხედრო ნაწილების გადაყვანა იყო „საქართველოს მთებში“ მცხოვრები ლეკების გამო, რომლებიც საკმაოდ ძლიერები იყვნენ თავიანთ მიწა-წყალზე. რუსების ჯარი მცირერიცხოვანი იყო – არ აღემატებოდა 10,000 კაცს, მაგრამ ამ მცირე ძალებითაც წარმატებით უწევდა წინააღმდეგობას 40,000-80,000 სპარსეთის ლაშქარს. რუსეთ-სპარსეთის ომის მიუხედავად, ქარავნები მიმოდიოდნენ ტიფლისში, კასპიის ზღვაზე კი, ისევე როგორც მშვიდობიან დროს, ორივე ერის გემი დაცურავდა. ჟობერის სხვა ცნობით, თბილისი საქარავნო გზა იყო ოსმალეთის იმპერიასა და სპარსეთს შორის – ქარავნები ბაღდადიდან, მოსულიდან, მარდინიდან და დიარბექირიდან ტიფლისში, იქიდან კი სპარსეთის დასავლეთ ნაწილში მიდიოდნენ.[21]

სავარაუდოა, რომ ზემოთ მოყვანილი ცნობები აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შესახებ ფრანგებისთვის ასოცირდებოდა იმ სრულიად განადგურებულ ქალაქთან, რომლის დაპყრობა ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, რომ უკვე საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულების შედგენის პროცესში გათვალისწინებული იქნებოდა ამედე ჟობერის ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთ-სპარსეთის (1804-1813) ომის დროს რუსეთს საქართველოში 10,000-12,000 ჯარისკაცზე მეტი არ ჰყავდა.

1844) საქართველოდან სპარსეთში გაიქცა 1801 წელს, თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846) კი 1803 წლის 25 თებერვალს გაიქცა, იმ ღამეს, როდესაც დავით და ფარნაოზ ბატონიშვილები რუსეთში გადაასახლეს. ეს პავლე ციციშვილის მიერ იყო ინიცირებული. ორივე ბატონიშვილი მეფისწულ აბას-მირზას კარზე იყო და სპარსელებთან ერთად იბრძოდა რუსების წინააღმდეგ. იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, (თბილისი: მეცნიერება, 1983) 4; ეთერ ორჯონიკიძე, *ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები* (თბილისი: მეცნიერება, 1999), 3.

21 Archives Nationales de France (AN), AF IV, 1686, Relations extérieures, Perse (Re/Perse), 16, fol. 4-8, 15; AMFAE, CP/Perse, vol. 8, doc. 133, fol. 334r Pierre-Amédée Jaubert, *Voyage en Arménie et en Perse, fait dans les années 1805-1806* (Paris: Chez Pélicier, 1821), 58, 138.

ჟოზეფ რუსოს ცნობები საქართველოს შესახებ. ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ მოცემულია ბასრაში საფრანგეთის გენერალური კონსულის, ჟოზეფ რუსოს[22] მიერ სპარსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ საგანგებოდ ნაპოლეონისათვის დაწერილ, 1807 წლით დათარიღებულ თხზულებაში.[23] ჟოზეფ რუსო საქართველოს ჰავას ჯანსაღს, ტერიტორიას კი მარცვლეულით, ხილითა და ბოსტნეულით ნაყოფიერს უწოდებს. სხვა კონსულთა მსგავსად, იგი აგრეთვე აღნიშნავს ქართველებზე აღა-მაჰმად-ხანის „მახვილითა და ცეცხლით“ ლაშქრობას. იგი წერს: „ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ (1798), როდესაც ტახტზე მისი ვაჟი ავიდა, სპარსელთა ტირანიის პირისპირ აღმოჩენილმა ქართველებმა თავიანთი ბედი ბატონის შეცვლით იმედოვნეს და რუსები მოიწვიეს თავიანთი ქვეყნის დასაპატრონებლად, რათა ისინი ახალი უბედურებისაგან დაეცვათ.[24] რუსებმა, რომლებიც უკეთესს ვერც კი

22 ჟან-ბატისტ-ლუი-ჟაკ (ჟოზეფ) რუსო, ბარონი (1780-1831), ჟან-ფრანსუა რუსოს ვაჟი, ცნობილი ფრანგი დიპლომატი და აღმოსავლეთმცოდნე. საფრანგეთის გენერალური კონსული ბასრაში (1805-1808), ალეპოში (1808-1814), ბაღდადსა (1814-1824) და ტრიპოლიში (1824-1831), საფრანგეთის დამწერლობისა და სიტყვიერების აკადემიის წევრი. J.-B. Louis Jacques Rousseau, *Voyage de Bagdad à Alep (1808)*. Publié d'après les manuscrits inédits de l'auteur, par Louis Poinssot, Membre de la Société de Géographie de Paris (Paris: J. André, Editeur, 1899), iv-xv; Dehérain, *La vie de Pierre Ruffin*, II, 26-27.

23 ეს თხზულება1806 წლის მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში დასრულდა. ვფიქრობთ, რომ თხზულებაზე მითითებული თარიღი, 1807 წელი, ტალეირანის კანცელარიის არქივში მისი მიღების დროს უნდა აღნიშნავდეს.

24 ბელგიელი პოლკოვნიკი ბერნარ ეჟენ-ანტუან როტიე, 1808-1818 წლებში კავკასიაში, რუსეთის ჯარში, მსახურობდა. თავის თხზულებაში მას მოჰყავს ძველი სტილით 1799 წლის 23 ნოემბერს მის უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორს, პავლე I-სა და საქართველოს *ცარს*, ერეკლეს ვაჟს, გიორგი XI-ს შორის ტიფლისში დადებული ხელშეკრულების ტექსტი. ეს დოკუმენტი მას რუსეთსა და სპარსეთს შორის 1813 წლის 24 ოქტომბერს გულისტანის ზავის დადების შემდეგ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა, გენერალმა თევდორე სიმონოვიჩმა გადასცა. Rottiers. *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, par le Colonel Rottiers, commandeur, chevalier de différens ordres, membre de plusieurs académies, etc. (Bruxelles: Chez H. Tarlier, Libraire, 1829), 63-67.

ინატრებდნენ, სასწრაფოდ გაგზავნეს იქ ჯარი და ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში წაართვეს სპარსელებს ეს მშვენიერი მხარე, რომელიც მას შემდეგ რუსების მორჩილებაშია. ქართველები ხშირად იცვლიან რწმენას ანგარების გამო, მათ არ უყვართ ბევრი მუშაობა და უპირატესობას სამხედრო საქმეს ანიჭებენ." ამ ცნობებს იგი შემდეგი დასკვნით ასრულებს: „ქართველები იწყებენ გამოფხიზლებას იმ აზრისაგან, რომელსაც თავიდან იქმნიდნენ რუსეთის მმართველობის ზომიერების შესახებ. ისინი უკვე ჩივიან მათი სიმკაცრის გამო და მოუთმენლად ელიან შესაძლებლობას, რომ მოიხსნან სპარსელებისაზე ის არანაკლებ მძიმე უღელი, რომელიც თავად დაიდგეს."[25] ჟოზეფ რუსოს მიერ ამ თხზულებაში საქართველოს საკითხის ცალკე ქვეთავად გამოყოფა ინდოეთის ლაშქრობის მარშრუტში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ყანდაჰარის სამეფოსთან ერთად, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უკვე რუსეთის შემადგენლობაში მოქცეული აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობას.

ფრანგული პრესა სპარსეთისა და საქართველოს შესახებ. ცნობები საქართველოს შესახებ საფრანგეთის სამთავრობო გაზეთის, "Journal de l'Empire"-ის სამ ნომერში ფინკენშტეინის ხელშეკრულების დადებამდე, 1807 წლის მარტსა და აპრილში გამოქვეყნდა. ამ მეტად ვრცელი საგაზეთო წერილების ავტორი იყო საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი დანიელი მეცნიერი კონრად მალტ-ბრუნი (1775-1826). თავისი წერილების წყაროდ იგი წმ. ალექსანდრე ნეველის არქიმანდრიტის, ევგენი ბოლხოვიტინოვის, 1802 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ ნაშრომს უთითებს.[26] დავაზუსტებთ, რომ რუსი არქიმანდრიტის ეს თხზულება 1804 წელს გერმანულად თარგმნა ფილოსოფიის დოქტორმა ფრიდრიხ შმიდტმა.[27] ვფიქრობთ, საგაზეთო წე-

25 AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 167r-168r.

26 Tableaux historique, politique, ecclésiastique et littéraire de la Géorgie, par Eugénius, acchimandrite du cowent de Saint-Alexandre Newski (*Journal de l'Empire*, Mardi, 10 Mars 1807).

27 Friedrich Schmidt, *Georgien oder historisches Gemälde von Grusien in politischer, kirchlicher und gelehrtet Hinsicht*. Aus dem Russischen übersetzt von Friedrich Schmidt. Doktor der Philosopie (Riga: und Leipzig, Kaffka, 1804).

რილების მომზადებისას მალტ-ბრუნმა სწორედ ამ თარგმანით ისარგებლა. მალტ-ბრუნის მიერ "Journal de l'Empire"-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა დედანს და გერმანულ თარგმანს შევუდარეთ; რუსი არქიმანდრიტის ნაშრომის შინაარსი საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული[28], ზოგიერთ ცნობას კი მალტ-ბრუნი თავის კომენტარსაც ურთავს.

პირველი წერილის შესავალში მალტ-ბრუნი აღნიშნავს, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში საფრანგეთის მთავრობა კავკასიის მიმართულებით რუსეთის გაფართოების მნიშვნელობაზე მიუთითებდა, ხოლო კავკასიისათვის მზერის მიპყრობისას სახელმწიფო მოღვაწე დაინახავდა, რომ საქართველო რუსეთის გუბერნიად იყო გადაქცეული, კავკასიის დაუმორჩილებელი ხალხები კი ყოველი მხრიდან „მოსკოველების ჯარით" იყვნენ გარშემორტყმულნი; ამის გამო „სპარსეთსა და აზიურ თურქეთს საქართველოსთან აღარ ჰქონდათ ბუნებრივად არსებული საზღვარი". მისი კომენტარით, რუსების მიერ დაპყრობილ ამ მშვენიერ ქვეყანაში გეოგრაფები, ბუნებისმეტყველნი, ისტორიკოსები და ლიტერატორები საინტერესო მოვლენებს, დიდებულ ბუნებას, უძველეს ხალხს, ნაკლებად ცნობილ ენებს, დაბოლოს, სამეცნიერო კვლევებისათვის ვრცელ ასპარეზს ჰპოვებდნენ. მეცნიერი ავტორი მკითხველს აწვდიდა ზოგად ცნობებს კავკასიის შესახებაც. სტატიის დასასრულს, მალტ-ბრუნის შეჯამებით, ამგვარი იყო რუსების მიერ დაპყრობილი მშვენიერი ქვეყანა, რომელზეც შემდეგ კვლავ ისაუბრებდა.[29]

მეორე წერილში გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან და სრულდება 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-ის მანიფესტით, რომლის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.[30] მესამე წერილი საქართველოს რელიგიის, კულტურისა და ცივილიზაციის საკითხებს ეძღვნებოდა. თავის მხრივ, მალტ-ბრუნი

---

28 ირინე ნაჭყებია, „არქიმანდრიტ ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომის ფრანგული თარგმანის შესახებ", *რუსთველოლოგია* IV (2005-2006), 281-284.

29 *Journal de l'Empire*, 10.03.1807, Variété.

30 *Journal de l'Empire*, 18.03.1807, Variétés.

აღნიშნავდა, რომ ქართველებს მრავალი უძველესი ხელნაწერი ჰქონდათ, ბევრი მათგანი კი დიდი ღირებულებისა და მეცნიერთა ყურადღების ღირსი იყო. საგაზეთო წერილებში მოყვანილი ორი ცნობა მიუთითებდა საქართველოს გარკვეულ კავშირს მისგან ტერიტორიულად მეტად დაცილებულ ინდოეთთან. მალტ-ბრიუნი იმეორებდა არქიმანდრიტის სუბიექტურ მოსაზრებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ინდური პოემის მიბაძვა იყო და მას ასე იმიტომ ეწოდებოდა, რომ მისმა გმირმა ინდოელმა პრინცმა, სახელად ტარიელმა, ქვეყნიერება ვეფხის ტყავით შემოსილმა მოიარა. ამავე წერილში ხაზგასმული იყო, რომ ნადირ-შაჰმა სათანადოდ შეაფასა ქართველთა ვაჟკაცობა და ქართულმა კავალერიამ მას უდიდესი სამსახური გაუწია დიდი მოგოლის წინააღმდეგ წარმოებულ ცნობილ ექსპედიციაში.[31]

ის ფაქტი, რომ საფრანგეთის ოფიციალურ პრესაში დაბეჭდილი ფართო საზოგადოებისათვის განსაზღვრული სტატიების ავტორი მალტ-ბრუნი იყო, იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს საკითხის ასე ფართოდ გაშუქება მთავრობის ინტერესებს ემსახურებოდა. ნაპოლეონმა შესანიშნავად იცოდა ამგვარი პროპაგანდის მნიშვნელობა და მას საჭიროებისამებრ იყენებდა.[32]

გიიომ ანტუან ოლივიეს თხზულების მესამე ტომი. გიიომ-ანტუან ოლივიეს „მოგზაურობის“ მესამე ტომი[33] სწორედ ფინკენშტენის ხელშეკრულების დადების დროს, 1807 წელს გამოსცეს. ცნობები საქართველოს შესახებ თხზულების მესამე ტომის XX თავშია მოცემული. ოლივიეს მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს „სპარსეთის საქართველოდ“ მოხსენიება ევროპელი მკითხველის

31 *Journal de l'Empire*, 6.04.1807, Variétés.

32 Jean Tulard, *Napoléon ou le mythe du sauveur*. Nouvelle édition revue et completée. Avec une chronologie, une filmographie et des tableaux annexes (Fayard, 1995), 35.

33 აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონი იმდენად იყო დაინტერესებული სპარსეთით, რომ როდესაც ოლივიემ იმპერატორს წიგნის გამოსაცემად დაპირებული 15,000 ფრანკი მოსთხოვა, ნაპოლეონს მისთვის საკმაოდ უხეშად უპასუხია, რომ იგი ამ თანხას მხოლოდ სპარსეთის შესახებ მესამე ტომის გამოსვლის შემდეგ მიიღებდა. Paul Gaffarel, *La politique coloniale en France de 1789 à 1830* (Paris: Felix Alcan, Éditeur), 1908, 391.

ცნობიერებაში ამკვიდრებდა იმ აზრს, რომ აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის კუთვნილი და მათთვის რუსების მიერ წართმეული ქვეყანა იყო. ყურადღებას იმსახურებს ფრანგი ავტორის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის 1-13 მუხლების გამოქვეყნება (სეპარატიული მუხლების გარეშე), რაც ამ დოკუმენტის პირველი პუბლიკაცია დასავლეთ ევროპაში.[34] ტრაქტატის დადებას იგი იმ გარემოებას უკავშირებდა, რომ ეს დოკუმენტი ქერიმ ხანის გარდაცვალებიდან (1779) ოთხი წლის შემდეგ, იმ პერიოდში დაიდო, როდესაც სპარსეთის ტახტის მოსაპოვებლად მრავალი პრეტენდენტი ებრძოდა ერთმანეთს. სპარსეთის სამხრეთი პროვინციების დამორჩილების შემდეგ აღა-მაჰმად-ხანის მიერ დაბარებულმა ერეკლემ უარი განაცხადა მორჩილებაზე და უპასუხა, რომ მხოლოდ ეკატერინეს ძალაუფლებას სცნობდა. შედეგად აღა-მაჰმად ხანმა ილაშქრა ტიფლისზე, მოსახლეობა ამოჟლიტა და მონებად გაიყვანა, ყოველივე ღირებული წაიღო, სახლები გადაწვა, სასახლე დაანგრია. ოლივიეს განმარტებით „აღა-მაჰმად-ხანს არ შეეძლო უარი ეთქვა იმ უფლებებზე, რომლებიც მას საქართველოზე ჰქონდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის ღირსებას შელახავდა და თავის მიერ უზურპირებული გვირგვინის ტარების ღირსი არ იქნებოდა“[35]. ფრანგი ავტორის ეს ცნობა ნათლად მოწმობს ყაჯართა ახალი დინასტიისათვის აღმოსავლეთ საქართველოს დაპატრონების დიდ მნიშვნელობას როგორც მორალური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ნაპოლეონის ორმაგი პოლიტიკა. ფინკენშტეინში დადებული ხელშეკრულებიდან 65 დღის შემდეგ, 1807 წლის 7 ივლისს, ნაპოლეონსა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს შორის

34 ამ აზრს იზიარებს რუსი ისტორიკოსი, ტ. აშურკოვიც. Т. Т. Ашурков. Путевые записки франкоязычных путешественников в первой трети XIX в., как источник по новой истории Ирана. *Проблемы всеобщей истории*. Вестник Томского государственного университета. История. 2014. № 3 (29), 80.

35 *Guillaume-Antoine* Olivier, *Voyage dans l'Empire Othoman, l'Égypte et la Perse*, fait par ordre du Gouvernement, pendant les six premières années de la République (Paris: Chez H. Agasse Imprimeur-Libraire. 1807) III, 404, 409, 420.

ტილზიტში დაიდო საზავო ხელშეკრულება[36], რომელშიც საერთოდ არ იყო ნახსენები სპარსეთი და ამგვარად, ფაქტობრივად აბათილებდა საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულებას. ნაპოლეონის მიერ ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი ხელშეკრულების დადების მიუხედავად, 1807 წლის 4 დეკემბერს თეირანში ჩავიდა საფრანგეთის მისია სრულუფლებიანი მინისტრის, გენერალ კლოდ-მატიე გარდანის[37] მეთაურობით. ნაპოლეონის მიერ საგანგებოდ გენერლისთვის მიცემული ინსტრუქციების მე-8-ე პუნქტის თანახმად გენერალს ხელსაყრელ მომენტში რუსეთის საზღვართან ძლიერი დივერსიის წარმოება ევალებოდა, რათა სპარსელებისთვის „ჯარითა თუ ინტრიგებით“ წართმეული საქართველოს ის პროვინციები დაებრუნებინათ, რომლებიც რუსებმა ამ ქვეყნის „უკანასკნელ პრინცს დაათმობინეს.“[38] ნაპოლეონის არგუმენტი შემდეგი იყო: რუსები არ იყვნენ იქ კარგად დამკვიდრებულნი და მოსახლეობა თავის ძველ პატრონებს მისტიროდა.[39] ამ დავალებიდან ჩანს საფრანგეთის იმპერატორის მიერ საქართველოში რუსების მდგომარეობის შესახებ ზემოთ მოყვანილი ცნობების გათვალისწინება.

უკვე 1808 წლის ივნისში გენერალ გარდანისადმი საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრის, დე შამპანის დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ ფინკენშტეინის ხელშეკრულება სპარსეთის მხოლოდ იმჟამინდელ ტერიტორიულ მთლიანობას ადასტურებდა, ხოლო იმის გამო, რომ სპარსელებს უკვე და-

36 Antoine-Vincent Arnault, *Vie politique et militaire de Napoléon* (Paris: Librairie F. De Nobele, 1826), I, 84.

37 კლოდ–მატიე დე გარდანი, გრაფი (1766-1818) – ნაპოლეონის ადიუტანტი, ბრიგადის გენერალი. 1807-1809 წლებში სპარსეთში საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი. მონაწილეობდა აუსტერლიცის, იენისა და ეილაუს ბრძოლებში. Numa Broc, *Dictionnaire illustré des explorateurs et grands voyageurs français du XIX*e *siècle*. Asie, avec la collaboration de Gérard Siary (Paris: Edité par Comit&eacute, 1992) II, 204.

38 იგულისხმება ერეკლე II-ს უფროსი ვაჟი, გიორგი XII (1798-1800), ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე.

39 Archives du Ministère des Affaires étrangères, France. Protocoles C 13, Copie des instructions pour M. le général Gardane. Au campe Impérial de Finkenstein, le 10 mai, 1807, fol. 3; Alfred de Gardane, *Mission du Général Gardane en Perse sous le Premier Empire* (Paris: Librairie de Ad. Lainé, 1865), 82.

კარგული ჰქონდათ საქართველო, ტილზიტის ხელშეკრულების შემდეგ საფრანგეთი ვეღარ ჩაერეოდა რუსების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნების საკითხში.[40] თავის მხრივ, თეირანის კარი საფრანგეთის მინისტრისგან მუდმივად მოითხოვდა ფინკენშტეინში დადებული ხელშეკრულების შესრულებას, მაგრამ ევროპაში ომებით დაკავებულ ნაპოლეონს იმჟამად აღარც სპარსეთისთვის ეცალა და აღარც ინდოეთზე სალაშქროდ. ამ ვითარებაში 1809 წლის 12 მარტს თეირანში სპარსეთსა და ინგლისს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც უარყოფდა სპარსეთის მიერ სხვა ქვეყანასთან მანამდე დადებულ ყველა შეთანხმებას[41], რაც სპარსელთა მხრიდან ტილზიტის ზავის საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი იყო. ამგვარ ვითარებაში გენერალმა გარდანმა უსარგებლოდ მიიჩნია სპარსეთში დარჩენა და თავისი მისიის წევრებთან ერთად 1809 წლის 17 აპრილს თავრიზიდან ერევნისა და საქართველოს გავლით გაემგზავრა ევროპისკენ.[42]

8 მაისს რუსეთ-სპარსეთის საზღვართან მისიას ორი რუსი მაიორი დახვდა, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ ფრანგების გაცილება თბილისამდე, სადაც ისინი 15 მაისს ჩავიდნენ.[43] თბილისში ჩასული ფრანგების ფინანსური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო[44], რომ ისინი იძულებულები გამხდარან გაეყიდათ პირადი ნივთები, გენერალ გარდანს კი ოფიციალურად უსესხია 2,000 ჩერვონეცი გენერალ ტორმასოვისაგან[45], რომელსაც მაშინვე დაუკმაყოფილებია „მოკავშირე სახელმწიფოს“ წარმომადგენლის ეს თხოვნა.[46] საქართველოს მთავარმართებელს,

40 Edouard Driault, *La politique orientale de Napoléon – Les missions de Sébastiani et de Gardane, 1806-1809* (Paris: Editeur Félix Alcan, 1904) 329.

41 AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 40, fol. 221r

42 AMFAE, CP/Perse, vol. 14, doc. 289, fol. 294r.

43 Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Correspondances Politiques, Perse (CP/Perse), vol. 11, doc. 209, fol. 344r-350v)

44 AMFAE, CP/Perse, vol. 11, doc. 211, fol. 352v.

45 ალექსანდრე პეტრეს ძე ტორმასოვი (1752-1819) – რუსეთის იმპერიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. საქართველოს მთავარმართებელი 1808-1811 წლებში.

46 ნიკოლოზ ქორთუა, *საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქე-*

ტორმასოვს, უმაღლესი ხელისუფლების შემდეგი საგანგებო მითითებები ჰქონდა: მას დიდი პატივით უნდა მიეღო ფრანგები, გენერალ გარდანისათვის კი იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელით უნდა გადაეცათ, რომ თუკი იგი პეტერბურგში მოისურვებდა გაჩერებას, იმპერატორს ეს ძლიერ ესიამოვნებოდა.[47] არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის იმპერატორის ხაზგასმული ყურადღება მხოლოდ ზრდილობით არ იყო ნაკარნახევი: ჩანს, რუსებს სპარსეთის შესახებ სანდო ცნობების მიღება უშუალოდ ნაპოლეონის იმ გენერლისაგან სურდათ, რომლის მისიის ოფიცრების დამსახურებაც იყო ის ფაქტი, რომ 1808 წლის შემოდგომაზე ფელდმარშალმა გუდოვიჩმა[48] ვერ შეძლო ერევნის ციხის აღება.[49]

გენერალ გარდანის ცნობები თბილისის შესახებ. გენერალ გარდანის 1809 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებული მოხსენებითი ბარათი, რომელშიც არის მცირე ცნობები თბილისის შესახებ, დაცულია ვენსენის სამხედრო არქივში. ამ ცნობებს სრულად წარმოვადგენთ. გენერალი წერს: „ტიფლისი. ტიფლისში არის 28%-დან 40%-მდე გოგირდის შემცველი ცხელი წყლები. ბატონი მთავარსარდალი ტორმასოვი რუსეთის ჯარს მეთაურობს. იგი უყვარს ჯარს და ქართველებს. საქართველოს უწარჩინებულესი გვარებია ბაგრატიონი (Bagration) და ორბელიანოვი (Erbellianoff); თავიანთი შვილები საქართველოდან პეტერბურგში რომ აღარ გაგზავნონ სასწავლებლად, მათთვის ტიფლისში ახლახანს დააარსეს კადეტთა სკოლა და სემინარია,

---

თის ომში (თბილისი: ცოდნა, 1964), 292-293..

47 Jean-Baptiste Dumas, *Un fourrier de Napoléon vers l'Inde: les papiers du Lieutenant Général Trézel* (Paris: Henri Charles-Lavauzelle – Éditeur militaire, 1915) 75.

48 ივანე ვასილის ძე გუდოვიჩი (1741-1820) – გრაფი (1797), რუსეთის არმიის ფელდ-მარშალი (1807). 1806 წელს ალექსანდრე I-მა იგი ჯარების სარდლად დანიშნა კავკასიაში; გუდოვიჩმა დაიპყრო ბაქო, შაქისა და დარუბანდის სახანოები, 1807 წელს ოსმალთა ჯარი დაამარცხა არფაჩაისთან, მაგრამ ვერ აიღო ახალქალაქი (1807) და ერევანი (1808). 1809-1812 წლებში იყო მოსკოვის მთავარსარდალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი და სენატორი.

49 Irina Natchkebia, "Envoys of Napoleon: The Mission of General Gardane in Persia (1807-1809)", *Qajar Studies* VII, (2007), 38.

გახსნეს სკოლაც 200 ქართველისათვის, რომლებიც რუსულს სწავლობენ. გეგმაშია მაუდის ფაბრიკისა და ტყავის ქარხნის დაარსებაც; შალი კარგია, მისი გამოტანა სპარსეთიდანაც შეიძლება. 1801-ში საქართველო რუსეთის სახელმწიფოდ გამოცხადდა; ქართველები მამაცები არიან და შეიძლება მათგან სარგებლობის ნახვა, მაგრამ ეს ცვალებადი ბუნების ხალხი, ისევე როგორც აზიის ყველა ხალხი და ის ხედავს, რომ რუსებთან ერთად ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი."[50]

ლეიტენანტ ტრეზელის ცნობები საქართველოს შესახებ. ვენსენის სამხედრო არქივშია დაცული გენერალ გარდანის ადიუტანტის, სამხედრო ინჟინერი-გეოგრაფის, ლეიტენანტ კამილ-ალფონს ტრეზელის[51] 1809 წლის 31 მაისით დათარიღებული ვრცელი მოხსენებითი ბარათი „ცნობები საქართველოს შესახებ" (Notice sur la Géorgie). „ცნობებში" დეტალურადაა დახასიათებული საფრანგეთის მისიის წევრების მიერ გავლილი მარშრუტი ერევნიდან მოზდოკამდე თბილისის გავლით. მოცემულია ინფორმაცია ამ მხარეების ფიზიკური გეოგრაფიის, ჰავის, მდინარეთა ქსელის, გზების მდგომარეობის, დასახლებული პუნქტებისა და მოსახლეობის შესახებ. საგანგებო ყურადღება ეთმობა ამ ტერიტორიებზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ძალების შეფასებას, აგრეთვე ქართველებთან და მთის ხალხებთან რუსების ურთიერთობებს. „ცნობებს" ერთვის 1. მარშრუტები ერევნიდან თბილისამდე, თბილისიდან არზრუმამდე, თბილისიდან

50 Château de Vincennes, Service historique de l'Armée de Terre (Shat). Perse 1807-1857, 1M n°1673, doc. 4/52, fol. 1. Cracovie, non paginé, 11.08.1809, non paginé.

51 კამილ-ალფონს ტრეზელი (1780-1866) – საფრანგეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საპატიო ლეგიონის ოფიცერი (1813), დივიზიის გენერალი (1837), საფრანგეთის პერი (1846), 1847 წელს 9 მაისიდან 1848 წლის თებერვლის რევოლუციამდე – საფრანგეთის სამხედრო მინისტრი და საფრანგეთის მარშალი, ხელმძღვანელობდა ლუი-ფილიპეს შვილიშვილების, ტახტის მემკვიდრის – პარიზის გრაფის ორლეანის პრინცისა და შარტრის ჰერცოგის სამხედრო აღზრდას. Archives Nationales de France (AN), Légion d'Honneur (LH), 2628/33; AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 32bis.

ახალციხემდე; 2. დასახლებულ პუნქტებში არსებული სახლების რაოდენობა.[52]

„ცნობებში“ მოცემულია საფრანგეთის მისიის მიერ განვლილი მარშრუტი ერევნიდან მოზდოკამდე, საქართველოში რუსეთის ჯარის განლაგების ადგილები და მისი შემადგენლობა. საფრანგეთის მისია ერევნიდან სპარსული ესკორტის თანხლებით 1809 წლის 6 მაისს გავიდა, ღამე ეჩმიაძინის მონასტერში გაათენა. სოფელ ამამლოდან (დღეს სპიტაკი) მოშორებით უკვე რუსეთის ჯარი იდგა – იქ მისიას დონის პოლკის კაზაკებისა და სარატოვის პოლკის ოფიცრები დახვდნენ. ამ საგუშაგოს ერთი ბატალიონი და კაზაკთა ერთი ასეული იცავდა; გიუმრიში დაბანაკებული იყო ტიფლისის პოლკის ჯარისკაცების შენაერთი, იქ იყვნენ სარატოვსკის პოლკის პოლკოვნიკი, რამდენიმე ოფიცერი და არტილერიის ერთი მაიორი. დაბა კარაკლისში (დღეს ვანაძორი) სარატოვის პოლკის შტაბი იდგა; მის შემადგენლობაში იყვნენ პოლკოვნიკი პოპოვი, მაიორი ბარკოვი, რამდენიმე ოფიცერი, სარატოვის პოლკის ოთხასი ჯარისკაცი და არტილერიის მაიორი მოროზოვი, რომელიც დონის კაზაკების ერთ ესკადრონს მეთაურობდა. 10 მაისს საფრანგეთის მისიას ესკორტად ინფანტერიის 120 და 30 კაზაკი გააყოლეს. ლეიტენანტი ტრეზელი აღნიშნავს ძველ ციხე ახტალის (Achtalski)[53] მახლობლად არსებულ ტყვიისა და ვერცხლის საბადოებს. ამ საწარმოს ხელმძღვანელობდა ბარონი დ’ეიშფელდი (d’Eichfeld).[54] მან ამ თა-

52 Château de Vincennes, Service historique de l’Armée de Terre (Shat). Notice sur la Géorgie, 31.05.1809, 1M n°1486, doc. 13, fol. 1-76.

53 ტრეზელი გულისხმობს X საუკუნის ფორტიფიცირებულ ქალაქს ლორეს პროვინციაში, რომელიც ადრე საქართველოს საზღვრის სიახლოვეს, თბილისიდან სამხრეთით 87, ერევნიდან კი 185 კმ-ში მდებარეობს. XX საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული ახტალა ამ კუთხის სხვა ძველ ქართულ ეკლესიებთან და მონასტრებთან ერთად, სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩნდა და დღესაც მის ფარგლებში შედის.

54 ბარონი დ’ეიშფელდი, სამთო კორპუსის კაპიტანი, 1803 წლიდან იკვლევდა საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეებს. 1818, 1819 და 1820 წლებში მან მოიარა ბორჩალო, განჯის ოლქი, ბაქო და კუბა. Frédéric Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Avec un*

ნამდებობაზე შეცვალა გრაფი პუშკინი[55], რომელმაც რუსეთის მთავრობას პირველმა მიაქცევინა ყურადღება საქართველოს შიდა რესურსებზე და ამ მხარეში რამდენიმე საწარმოც დააარსა. ლეიტენანტის ცნობით, ბარონის ძალისხმევის მიუხედავად, პროდუქცია ვერ უზრუნველყოფდა სათანადო შემოსავალს და საბადოების დამუშავება ძველებურად გრძელდებოდა გუმუშხანელი ბერძნების მიერ, რომლებიც მათ მიერ მოპოვებულ ყველა ლითონს ერთხელ დადგენილი ფასით აბარებდნენ. მართვის ამგვარ ფორმას თურქეთის მთავრობა ყველა საბადოში იყენებდა. კაზაკების ძლიერი საგუშაგო იყო სოფელ შულავერშიც, სადაც კავკაზსკის გრენადერების ორი ასეულიც იდგა. სოღანლუღისა და სადახლოს გავლით საფრანგეთის მისია ტიფლისში 15 მაისს შევიდა და იქიდან 25 მაისს გავიდა.[56]

ლეიტენენტ ტრეზელის ცნობით, რუსეთის საჯარისო ნაწილები იდგა მთელი სამხედრო გზის გაყოლებაზე – მცხეთაში, ანანურში, სოფელ არაგვისპირში, ფასანაურში, კაიშაურში, კობში, სტეფანწმინდასა და ლარსში. ნაპოლეონის ოფიცრის შეფასებით, გზაზე შემხვედრი დრაგუნების ასეულს კარგი

Atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique etc. Ouvrage qui a remporté le prix de la Société de Géographie de Paris en 1838 (Paris: Librairie de Gide, 1840), IV, 127.

55 რუსეთისათვის საქართველოს მიერთების მნიშვნელობა ნათლად აისახა რუსი მეცნიერის – ქიმიკოსის, ფიზიკოსისა და მინერალოგის, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრის – გრაფ აპოლო აპოლოს ძე მუსინ-პუშკინის (1744-1817) მოხსენებით ბარათში. 1800 წელს მან იმპერატორ პავლე I-ს წარუდგინა დოკუმენტი, რომელმაც „რუსეთის სამთავრობო წრეებში საქართველოს ანექსიის საკითხი გადაწყვიტა". მუსინ-პუშკინი წერდა: „მიერთებული იქნება ფიზიკური თვალსაზრისით მდიდარი და ნაყოფიერი ქვეყანა; 2. გარანტირებული იქნება კავკასიის ხაზი მთის ხალხების ჩაკეტვით; 3. გაიხსნება ფართო ასპარეზი სპარსეთთან და ინდოეთთან სავაჭროდ; 4. პორტასთან უთანხმოების შემთხვევაში, რუსეთი ანატოლიის მხრიდან შეძლებს საშიში გახდეს როგორც სპარსეთისათვის, ისე თურქეთისათვის. 5. ქართლ-კახეთის მიერთება გამოიწვევს იმერეთისა და სამეგრელოს ანექსირებას იმპერიის მიერ." Хелтуплишвили, М. В., – *Вступление Грузии в состав Российской империи.* Дозволено цензурою, Москва 31 Августа 1901, года (Кутаисъ: Типографія Киладзе и Хеладзе, 1901), 32-33.

56 Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 9, 16-29. 69.

მხედრული გამართულობა ჰქონდათ. სტეფანწმინდაში საფრანგეთის მისია რუსეთის ჯარის პოლკოვნიკმა, ქართველმა თავადმა ყაზბეგმა მიიღო. გენერალ გარდანთან მისასალმებლად იგი არტილერიის ახალგაზრდა ოფიცრის თანხლებით მოვიდა, რომელიც ფრანგულად ლაპარაკობდა. სოფელ სტეფანწმინდის მოსახლეობა რუსებს პატივს არ სცემდა, მის მიდამოებში მცხოვრები ოსები კი მუდამ მზად იყვნენ ჯარისკაცებზე თავდასასხმელად. სტეფანწმინდის ქვევით საინჟინრო საქმის ოფიცრებსა და მუშებს, მთის ფერდობზე და სალ კლდეში მეტად კარგი გზა გაჰყავდათ. დარიალსა და ლარსს შორის მდებარე ველი უფრო დიდი და ხშირი ტყით იყო დაფარული. კლდეებში გზის გასაყვანად კარგი სამუშაო იყო ჩატარებული. რუსეთის იმპერატორი კი დიდ თანხებს იხდიდა თბილისიდან მოზდოკამდე ეტლების სავალი გზის კეთილმოსაწყობად. ყველაფერში უზარმაზარ ფასს იხდიდა ჯარიც, რომლისთვისაც სურსათი რუსეთიდან ჩამოჰქონდათ, მაგრამ მთელ ფულს საქართველოში ტოვებდა. ტრეზელის დასკვნით, დაპყრობილის შენარჩუნება დიდ ხარჯს მოითხოვდა. ლარსის ზემოთ ინფანტერიის ერთი ასეული და ორი ზარბაზანი იყო განლაგებული. ეს იყო ოსებით დასახლებული პირველი სოფელი. საფრანგეთის მისიის უსაფრთხოების მიზნით, ლარსში ადგილობრივ ოს ბელადს შეუთანხმდნენ, რომელსაც რუსეთის არმიის ვიცე-პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა და რომელმაც ლეიტენანტ ტრეზელს სამოც თუმნად ერთ-ერთი ახალგაზრდა კაცის მონად მიყიდვაც კი შესთავაზა. ლეიტენენტი რუსეთის არმიაში გავრცელებულ კორუფციასაც შეეხო. მისი ცნობით, გეორგიევსკში საფრანგეთის მისია სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის იველიჩის გასასამართლებლად პეტერბურგიდან გამოგზავნილ გენერალს შეხვდა.[57] 31 მაისს წმ. ელისა-

57 1805-1810 წლებში გენერალი იველიჩი ვლადიკავკაზის კომენდანტი და გარნიზონის პოლკის მეთური იყო. მის შესახებ კლაპროტი შემდეგს წერს: „გრაფი იველიჩი მონტენეგროდან, მეზობელად ბინადარ ყაჩაღებს მფარველობდა და მათთან ერთად იყოფდა რუსებისათვის წართმეულ მთელ ნადავლს. ეს ურჩხული ამ სამარცხვინო ვაჭრობას რამდენიმე წლის მანძილზე ეწეოდა. ამ ქმედებებმა ისეთი სკანდალური სახე მიიღო, რომ მას ბრალდება წარუდგინეს და სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს." Julius von Klaproth, *Voyage au Mont Caucase et en Géorgie* (Paris: Librairie de Charles Gosselin, 1823) I, 318).

ბედის სიმაგრესთან[58] საფრანგეთის მისიას დახვდა ესკორტი, რომელიც შედგებოდა ინფანტერიის ორი ასეულის, კაზაკების ერთი ასეულის, ერთი ზარბაზნისა და ერთი ჰაუბიცისაგან. ტრეზელის ცნობით, რამდენიმე დღის წინ ყაბარდოელებს მოზდოკიდან მომავალი ფქვილის აღალი გაეტაცებინათ და დაცვის 8 თუ 10 ჯარისკაციც მოეკლათ. მთის ხალხები განსაკუთრებით ოფიცრების დატყვევებას ცდილობდა რუსეთის მთავრობისაგან დიდ გამოსასყიდს მიღების იმედით. ტრეზელი შეხვდა გენერალ დელპოცოს[59], რომელიც ჩეჩნებს 15 თვის განმავლობაში ჰყავდათ ტყვედ. მოხსენებით ბარათში ლეიტენენტი დაწვრილებით აღწერს გენერლის მონათხრობს ამ ტყვეობის შესახებ. საფრანგეთის მისიამ ერევნიდან მოზდოკამდე დაახლოებით 110 ლიე (488,9კმ) გაიარა.[60]

კავკასიაში გაგზავნილ გენერლებს რუსეთის მთავრობისგან ნაბრძანები ჰქონდათ ახალდაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის ნდობის მოპოვება. ქართველები, განსაკუთრებით კი მთის ხალხი, გაოცებული იყო ასე დიდი ერის ყურადღებით და რუსებთან ლაღად ეჭირათ თავი. ტრეზელის კომენტარით, აღსაშფოთებელი იყო იმის ხილვა, რომ ღირსეული კაცები, ორდენოსანი ვეტერანი რუსი ოფიცრები, ყოველგვარ სამხედრო პატივს მიაგებდნენ პატარა ტომის ბელადს, რომელიც ჯარში მაიორის თუ პოლკოვნიკის ჩინის დათანხმებას ინებებდა. სამხედრო აღალის მის სამფლობელოზე გავლისას, დაცვა მისთვის უნდა ეთხოვათ, რადგან რუსების თუნდაც დიდი ესკორტი განადგურდებოდა, თუ მას თავის ხალხით ოსების ბელადი ან რომელიმე მისი ყაჩა-

58 ელისაბედის სიმაგრე მდებარეობდა ვლადიკავკაზათნ, თერგის ერთ ერთ შენაკადზე, მდ. კამბილეევკასთან.

59 გენერალ-მაიორი ივანე პეტრეს ძე დელპოცო (1739-1821) 1795 წელს პოლკოვნიკის ჩინით კავკასიის ხაზის ქვეითთა პოლკის მეთურად დაინიშნა. 1798 წელს იგი გადააყენეს თანამდებობიდან და თერგზე, ციხესიმაგრე ივანოვსკში დასახლდა. 1802 წელს იგი მთიულებმა დაატყვევეს, გერმენჩუკში წაიყვანეს და ბორკილები დაადეს. მის გასათავისუფლებლად ერთი წლის შემდეგ თავადმა ციციანოვმა 8400 რუბლი გადაიხადა (Василий Потто, Кавказская война въ очеркахъ, эпизодахъ, легендахъ и біографіяхъ. *Ермоловское время* (СПб: Тип. Е. Евдокимова, 1887) I, 728-731.

60 Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 36-48, 52-57, 69.

ღი არ გაჰყვებოდა; ასეთ შემთხვევებში მათ მუდამ უხვად უხდიდნენ ფულს.[61]

რუსეთის ჯარი შედგებოდა ხაზის ინფანტერიის დაახლოებით 35 ბატალიონის, დრაგუნების სამი ასეულისა და დონის კაზაკების ხუთი ასეულისაგან. პირადი შემადგენლობაში 30,000 ჯარისკაცი იყო. საჯარისო ნაწილები იდგა მთელი საქართველოში, იმერეთში, დაღესტანში, შირვანსა და პამბაკის ოლქში. რამდენიმე სამხედრო ნაწილი იცავდა რუსეთის მთავრობის მფარველობის ქვეშ გადასულ ასტარასა და ლენქორანის ხანს.[62] ტიფლისის მთავარი შტაბის არტილერიის სარეზერვო პარკში 12, 8, 4 და 2 კალიბრის 45 დანადგარი იყო. რუსებს კამპანიაში მხოლოდ 17 ბატალიონის, დრაგუნების ორი პოლკის და კაზაკების ნაწილის – დაახლოებით 12,000 კაცის გაყვანა შეეძლოთ, რაც იმჟამად საკმარისი იყო პოზიციების შესანარჩუნებლად და სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.[63] ტრეზელის აზრით, პეტერბურგის კარი არასოდეს გაგზავნიდა იქ დიდ ძალებს, ფათჰ-ალი შაჰი კი, პირიქით, მთელ ძალებს იქით გადაისვრიდა. ეს ჯერ არ იყო საშიში რუსებისათვის, თუკი ისინი კარგად გაძლიერდებიან საქართველოში და მშვიდად დაეპატრონებიან კავკასიას, რაც ლეიტენანტის აზრით, კარგი იქნებოდა. საქართველოს მთავარი შტაბის კავშირი სხვადასხვა ადგილებში განლაგებულ საჯარისო ნაწილებთან რთული იყო: კაზაკების საკვებით მომარაგება ყოველდღიურად იყო საჭირო, რადგან ისინი ვერ სცილდებიან თავიანთ პოსტებს ლეკების, ოსების ან თურქების თავდასხმის შიშით. თბილისში საფრანგეთის მისიის ჩასვლის წინ ლეკებს ქალაქიდან ერთი ლიეს დაცილებით მდგა-

61 Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 70.

62 იგულისხმება თალიშის ხანი, მირ მუსტაფა, რომელიც რუსეთის მფარველობაში შევიდა, 1803 წელს ალექსანდრე I-მა მას გენერალ-ლეიტენანტის ჩინი უბოძა.

63 გენერალი გარდანი მოხსენებით ბარათში იმასაც აღნიშნავდა, რომ 1808 წლის შემოდგომაზე ერევნის ციხის ალყაში მონაწილე 1,200 ჯარისკაცს ფეხები მოეყინა, ამპუტაცია კი მხოლოდ სამს გაუკეთეს. პურის ნაცვლად მათ ხორბალი ჰქონდათ, რომელსაც ორი ქვით ფქვავდნენ, აზიური წესის მიხედვით მიწაში ხვრელს აკეთებენ და ასე აცხობდნენ პურს. Shat, 1M n°1673, doc. 4/52, fol. 1.

რი ხერსონის ინფანტერიის პოლკიდან ყველა ცხენი წაეყვანათ. პამბაკისა და გიუმრის პოლკებიც საკვებს და აღჭურვილობას თბილისიდან იღებდნენ; ისინი ჯარის დანარჩენი ნაწილისაგან მოწყვეტილები იყვნენ და მეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, თუკი მათ სპარსელები და ახალციხელი თურქები ერთდროულად დაესხმებოდნენ თავს აღალის წასართმევად. ამ ორი ხალხის საერთო ძალისხმევა საქართველოში რუსებისათვის მეტად დამანგრეველ ომს გააჩაღებდა. თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად რუსებს სჭირდებოდათ ქალაქების: ახალციხის, ყარსის, ბაიაზეთის, ერევნისა და ნახჭევნის დაკავება.[64]

მოხსენებით ბარათში ლეიტენანტიც აღნიშნავს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებას და სპარსელების მიერ საქართველოდან ორივე სქესის მთელი ახალგაზრდობის მონებად გაყვანას, რომელთა დიდი ნაწილი, ტრეზელის სპარსეთში ყოფნის დროს, დაბალ თანამდებობებზე მსახურობდა მთავრობასა და ჯარში.[65] ფრანგი ოფიცერი სპარსელების მიერ თბილისის

64 Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 66-69.

65 Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 64.
ტრეზელი აღნიშნავდა, რომ მთავარმართებელ ტორმასოვს ჯარი დიდ ნდობას უცხადებდა (Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 66). ლეიტენანტის დღიურში დაცულია შემდეგი ცნობები რუსეთის სამსახურში მყოფი მაღალი ჩინის ოფიცერების შესახებაც: „აი უფროს ოფიცერთა აზრი ზოგიერთ გენერალზე: იმპერატორ ალექსანდრე I ადიუტანტი, პალენი და ოსტერმანი დიდი ღირსების მქონენი არიან. კამინსკი ვაჟი, კარგი სამხედროა. პრინცი ბაგრატიონი აგრეთვე კარგი სამხედროა, მაგრამ ძლიერ ფიცხია. ბუკსგევდენი მეტად საშუალოა. ბენიგსენი საუკეთესოა. კუტუზოვი აუსტერლიცის შემდეგ შერისხულია... გრაფ იველიჩს მნიშვნელოვან თანამდებობამდე მისაღწევად, ჩანს, გარეგნობამ და მანერებმა შეუშალეს ხელი. პოლკოვნიკი პოპოვი სარატოვსკის პოლკიდან საშუალოა; თავადი ურაკინი ტიფლისის პოლკიდან საშუალოა; ტიტოვზე, ხერსონის პოლკიდან, ამბობენ, რომ მშიშარა და გაიძვერაა. პარტნიაგინი ნარვის დრაგუნთა პოლკიდან, კარგია; დიკტირიოვს ბორისოგლებსკის დრაგუნთა პოლკიდან, ჩინი ჩამოართვეს; სტალი ძალიან კარგია... საქართველოს არმიის გენერალური შტაბის მეთაური, პიერ პაულუჩი, იგივე პავლოვსკი – იტალიელი, ყბედია; მე თავად მქონდა ამაში დარწმუნების საშუალება." Jean-Baptiste Dumas, *Un fourrier de Napoléon vers l'Inde: les papiers du Lieutenant Général Trézel*, 24.

დარბევიდან 14 წლის შემდეგ, უკვე რუსეთის გამგებლობაში მოხვედრილი ქალაქის საოცრად ცოცხალ სურათს გვიხატავს და ქალაქს თავდაცვის კუთხითაც აფასებს. იგი წერს: „მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ბორცვის ძირში, ხით, ქვითა და მიწით ნაგები ეს ქალაქი საკმაოდ სასიამოვნო ამფითეატრს ქმნის. იქ დაახლოებით 2,000 სახლი (10,000 მოსახლე – კ.ტ.) და თლილი ქვით ნაგები საკმაო რაოდენობის საჯარო შენობაა, ძირითადად ეკლესიები ან მონასტრები. ძველი სუვერენები მდინარის მარცხენა ნაპირზე, კლდეზე მდებარე ციხესიმაგრეში ცხოვრობდნენ და ქალაქს ხის ძველი ხიდით უკავშირდებოდნენ. როგორც ყველა ის ციხესიმაგრე, რომელიც მე აზიაში ვნახე, ესეც მრავალ საცხოვრებელ სახლს მოიცავს და თავდაცვის სხვა საშუალება, გარდა საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში არსებული დაკბილული კედლისა, არ გააჩნია. მაგრამ ისე ჩანს, რომ შესაძლებელია ზედა მხარეების წარმატებით დაცვა. ბორცვებზე, რომლებიც ქალაქს მარჯვენა ნაპირიდან დაჰყურებს, დაინახავ ძველ ნაგებობებს, რომლებიც ტიფლისის აჯანყებული მოსახლეობისაგან თავდასაცავად შესანიშნავ თავშესაფარს წარმოადგენს.

მტკვარი აქ სწრაფია და ვიწროვდება ხიდთან, ორ პატარა დაბალ კლდეს შორის, რომელთა შორის მანძილი დაახლოებით 15 ტუაზია[66], უფრო ქვევით კი ფართოვდება. სწორედ ამ მარცხენა ნაპირთანაა თბილი გოგირდიანი წყლები. ის მეტად გამჭვირვალეა და სუნი თითქმის არა აქვს. სათავიდან გამოდინებისას წყალი იმდენად ცხელია, რომ მასში ხელის გაჩერება ვერ შევძელი. ამასობაში, ერთი სომეხი ვნახე, რომელიც ნელ-ნელა კისრამდე ჩავიდა აუზში და იქ 15 წუთის განმავლობაში გაჩერდა. საქართველოს საბადოების დირექტორმა, ბ-ნმა ბარონმა დ'ეიშფელდმა ცოტა ხნის წინ გააკეთა წყლის ანალიზი და იქ კანის მრავალი დაავადებისათვის მეტად უებარი აბანოები დააარსეს.

ტიფლისი ის პირველი ქალაქია, სადაც ხელახლა სიამოვნებით ვიხილეთ ევროპულ წესებთან მსგავსება. ჩვენ მოწყენილები ვიყავით ორი წლის განმავლობაში აზიის მდუმარე ქალაქებში ცხოვრებით, სადაც ვიწრო და უკაცრიელ ქუჩებში მხო-

66 ტუაზი – ძველი ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 1,95 მ-ს. 15 ტუაზი=29,25 მ-ს.

ლოდ შიშველი კედლების რიგია, რომლებიც გავარვარებული მტვრის ბუღს ირეკლავს. ჩვენ დიდად გავიხარეთ ქრისტიანული ქალაქის ცხოვრებით და იმ ათასი რაღაცით, რაც ადრე ჩვენი ყურადღების მიღმა რჩებოდა ან მომაბეზრებელი გვეჩვენებოდა: საკვებით, იარაღით და საომარი აღჭურვილობით დატვირთული ურმების ხმაური, რამდენიმე ძვირფასი ეტლის სწრაფი მოძრაობა, ეკლესიების ზარების არათანაბარი ხმა, ხმაურიანი ბაზრები, სადაც ერთმანეთში არეულან ქართველები, სომხები, სპარსელები და უამრავი რუსი ჯარისკაცი, სიმღერები, ჯარის ნაწილების მუსიკა – სიახლის ეს უწესრიგო ნარევი სამშობლოს გვაგონებდა და ჩვენში უცნაურ ემოციას იწვევდა."[67]

ლეიტენანტ ტრეზელის მიერ თბილისის დახასიათება მეტად საგულისხმოა: 1795-1798 წლებში იგი Pale-Bourbon-ში საჯარო სამუშაოების ცენტრალური სკოლის (École central des travaux publics, მომავალი École polytechnique) თავისუფალი მსმენელი იყო, სადაც მან ინჟინერ-გეოგრაფის საქმე შეისწავლა. თავისი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარდა ევროპული ქალაქებისა, ინდოეთში სალაშქრო მარშრუტების შესწავლის მიზნით 1807-1809 წლებში მან თურქეთის აზიური ნაწილის და სპარსეთის მრავალი ქალაქიც დაზვერა. ამიტომ, ტრეზელის მიერ თბილისის გამორჩევა „აზიის მდუმარე ქალაქებისაგან", სადაც მან „ევროპულ წესებთან მსგავსება" იხილა, საინტერესოა ევროპელის თვალით დანახული, რუსების მმართველობაში მოქცეული თბილისის ისტორიისათვის კვლევის თვალსაზრისით.

გენერალ ტორმასოვის[68] მიერ საფრანგეთის მისიის პატივსაცემად გამართულ საზეიმო ვახშამზე სტუმრად მიწვეულები

67 Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 31-33.

68 ტრეზელი აღნიშნავდა, რომ მთვარმართებელ ტორმასოვს ჯარი დიდ ნდობას უცხადებდა (Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 66). ლეიტენანტის დღიურში დაცულია შემდეგი ცნობები რუსეთის სამსახურში მყოფი მაღალი ჩინის ოფიცერების შესახებაც: „აი უფროს ოფიცერთა აზრი ზოგიერთ გენერალზე: იმპერატორ ალექსანდრე I ადიუტანტი, პალენი და ოსტერმანი დიდი ღირსების მქონენი არიან. კამინსკი ვაჟი, კარგი სამხედროა. პრინცი ბაგრატიონი აგრეთვე კარგი სამხედროა, მაგრამ ძლიერ ფიცხია. ბუკსგევდენი მეტად საშუალოა. ბენიგსენი საუკეთესოა. კუტუზოვი აუსტერლიცის შემდეგ შერისხულია... გრაფ იველიჩს მნიშვნელოვან თანამდებობამდე მისაღწევად, ჩანს, მისმა გარეგნო-

იყვნენ: იმერეთის ყოფილი დედოფალი, რომელსაც მალე თავისი ვაჟი პეტერბურგში უნდა წაეყვანა სასწავლებლად[69]; ერეკლე მეორეს შვილები – კათალიკოსად დანიშნული პრინცი ანტონი[70] და პრინცესა, მისი და[71]; სომეხთა პატრიარქი[72] და ერთი ქართველი დიდგვაროვანი – გენერალ ბაგრატიონის ძმა.[73] ტრეზელის თქმით, ამ სტუმართაგან არც ერთს არ ესმოდა არც ფრანგული და არც რუსული, მაგრამ ჩანდა, რომ ყველა შესანიშნავად

ბამ და მანერებმა შეუშალეს ხელი. პოლკოვნიკი პოპოვი სარატოვსკის პოლკიდან საშუალოა; თავადი ურაკინი ტიფლისის პოლკიდან საშუალოა; ტიტოვზე, ხერსონის პოლკიდან, ამბობენ, რომ მშიშარა და გაიძვერაა. პარტნიაგინი ნარვის დრაგუნთა პოლკიდან, კარგია; დიკტირიოვს ბორისოგლებსკის დრაგუნთა პოლკიდან, ჩინი ჩამოართვეს; სტალი ძალიან კარგია... საქართველოს არმიის გენერალური შტაბის მეთაური, პიერ პაულუჩი, იგივე პავლოვსკი – იტალიელი, ყბედია; მე თავად მქონდა ამაში დარწმუნების საშუალება." Jean-Baptiste Dumas, Un fourrier de Napoléon vers l'Inde: les papiers du Lieutenant Général Trézel (Paris: Henri Charles-Lavauzelle, Éditeur militaire, 1915), 24.

69 იგულისხმება იმერეთის მეფის, დავით II-ს მეუღლე ანა, მამუკა ორბელიანის, ქალიშვილი. იგი თავის ვაჟთან, კონსტანტინესთან ერთად, 1810 წელს ჩავიდა რუსეთში. მიხეილ გონიკიშვილი, ბაგრატიონთა დასახელება და მოღვაწეობა რუსეთში (თბილისი: მეცნიერება, 1986) 135-136. კონსტანტინე ბატონიშვილი მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში. დააჯილდოვეს ვლადიმირის ორდენით. მისი ვაჟები რუსეთში იმერეტინსკებად ან ბაგრატიდ-იმერეტინსკებად იწოდებოდნენ.

70 ანტონ II (1764-1827) – ერეკლე I-ის ძე, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. 1811 წელს იგი რუსეთში გაიწვიეს, ცხოვრობდა ნიჟნი-ნოვგოროდში, დაკრძალულია იქვე, ხარების ტაძარში.

71 ვფიქრობთ, რომ გენერალ გარდანისა და ლეიტენანტ ტრეზელის მიერ საქართველოს უწარჩინებულეს ოჯახებად სწორედ ბაგრატიონებისა და ორბელიანების დასახელება დაკავშირებული იყო ამ საზეიმო ვახშმის დროს მიღებულ ინფორმაციაზე. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ამ საღამოზე დამსწრე ერეკლე II-ს შვილი – „პრინცესა", რომლის სახელიც არ არის მოხსენიებული, რუსეთის არმიის პოლკოვნიკის, ვახტანგ ორბელიანის მეუღლე, თეკლე ბატონიშვილი (1776-1846), უნდა ყოფილიყო.

72 იგულისხმება სომეხთა კათალიკოსი ნერსესი (1760-1857).

73 გენერალ პეტრე ბაგრატიონის (1765-1812) ძმები – რომანი (რევაზ) და ალექსანდრე – რუსეთის სამხედრო სამსახურში იდგნენ და შესაბამისად, მათ კარგად უნდა სცოდნოდათ რუსული ენა მაინც.

ეწყობოდა ევროპულ სუფრას. ამ საღამოზე სამეფო ოჯახის წევრებისა და თბილისის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლების დაპატიჟებით გენერალ ტორმასოვს, ჩანს, ნაპოლეონის წარგზავნილთათვის საქართველოში რუსეთის ხელისუფლებისა და სამეფო ოჯახების ურთიერთკეთილი დამოკიდებულების დემონსტრირება სურდა. რუსებმა იცოდნენ, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პიროვნებები არ წყვეტდნენ სპარსელებთან ურთიერთობას და ერეკლეს შვილიშვილი და მისი შვილთაშვილები[74] კვლავ სპარსეთში იმყოფებოდნენ.[75] ლეიტენანტის აზრით, ჩანდა, რომ საქართველოს მოსახლეობა ძნელად ეგუებოდა რუსების წესებს, თბილისში განლაგებული კავკასიის არმიის მთავარი შტაბის ოფიცრები კი ჩიოდნენ, რომ ქართველები მათ ჯერ კიდევ არ იწვევდნენ საოჯახო შეკრებებზე[76].

გენერალ გარდანის მსგავსად, ლეიტენანტიც წერს, რომ თბილისში იყო სემინარია და სამხედრო სასწავლებელი. ტრეზელის ცნობით, საქართველოს მთავარი ოჯახებისათვის გაზრდილი იყო საგანგებო უფლებები და თანამდებობები. უამრავი თავადი მთავრობისაგან პენსიას იღებდა. მათთვის მინიჭებული ყველა ამ უპირატესობის მიუხედავად, ქართველები მცირე მონდომებას იჩენდნენ. რუსეთის ერთადერთ მხარდამჭერ დიდ გვარებად დასახელებულები არიან ორბელიანები, ციციანოვები და ბაგრატიონები, სხვები კი გრძნობდნენ რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბების ნაცვლად საქართველო რუსეთის იმპერიის პატარა პროვინცია ხდებოდა და ეს დამცირება ლახავდა მათ თავმოყვარეობას.[77] რუსების სასარგებლოდ მათი ძალის-

74 იგულისხმებიან ერეკლე II-ის ვაჟი, ბატონიშვილი ალექსანდრე და შვილიშვილები – გიორგი XII-ის ვაჟი ბატონიშვილი თეიმურაზი და ბატონიშვილი იულონის ვაჟი, ლევანი.

75 Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 70-72.

76 Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 31-34.

77 შარლ ბელანჟე წერს, რომ ქართველები შეურაცხყოფილები იყვნენ იმის გამო, რომ მათი ქვეყანა ციხედ ქცეულიყო დამნაშავე ოფიცრებისა და მფლანგველი ბუღალტრებისათვის. რუსეთი საქართველოში მათ იმაზე უფრო დაბალ თანამდებობებზე გზავნიდა, ვიდრე იმპერიაში ეჭირათ. ისინი პატივს არ სცემდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-წესებს და თავიანთი არასაკმარისი ჯამაგირის ასანაზღაურებ-

ხმევა იმდენად მცირე იყო, რომ რუსებმა ქართველებისგან მხოლოდ 400-500 კაციანი ბატალიონის შექმნა შეძლეს და მეტის შეიარაღებას ვერ ბედავდნენ. მათ იცოდნენ, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პიროვნებები არ წყვეტდნენ სპარსელებთან ურთიერთობას და ერეკლეს შვილიშვილი და მისი შვილთაშვილები[78] კვლავ სპარსეთში იმყოფებოდნენ. ტრეზელის აზრით, სპარსელებს ჯერ კიდევ შეეძლოთ რუსებისთვის საქართველოს გამოგლეჯა, თუკი ქართველებს ძველი მთავრობისა და უკეთესად მოწყობილი შიდა მმართველობის აღდგენას დაჰპირებოდნენ, ქართველები კი სიამოვნებით აღადგენდნენ იმ სუსტ კავშირებს, რომლებიც მათ სპარსეთის იმპერიასთან აკავშირებდათ. ამგვარი ცვლილება რუსეთისთვის უმნიშვნელო არ იქნებოდა, რადგან მას წაართმევდა საუკეთესო სამშენებლო ხის მასალას იმერეთიდან და გილანისა და ერევნის მდიდარი პროვინციების ბრინჯს, ღვინოს, აბრეშუმს, შაქრის ლერწამს და ყოველგვარ სამხრეთულ ხილს.[79]

დასკვნა. ოსმალეთის იმპერიაში მყოფი საფრანგეთის კონსულები, ისევე, როგორც 1806 წელს სპარსეთში ჩასული გენერალი რომიე და ამედე ჟობერი, საქართველოში არ ყოფილან და თავიანთ მოხსენებით ბარათებში ცნობებს აღმოსავლეთ საქართველოსა და იქ რუსების მდგომარეობის შესახებ პირადი კონტაქტების, ვაჭრებისა და ადგილზე მიღებული ინფორმაციის მეშვეობით იღებდნენ. მათი მოხსენებითი ბარათებიდან საფრანგეთის მთავრობისთვის ცნობილი ხდებოდა, რომ რუსეთ-სპარსეთის პირველი ომის (1804-1813) დროს აღმოსავლეთ საქართველო, რომელიც „სპარსეთის საქართველოდაც“ იხსენიება, რუსების მიერ სპარსელებისთვის წართმეული ქვეყანა იყო. აღნიშნული იყო რუსეთის ჯარის სიმცირე, რომელიც ვერ ახერხებდა ერევნის ციხის აღებას. ინდოეთზე ლაშქრობის გეგმის კონტექსტში ეს სწორედ ის ცნობები იყო, რომლებმაც გა-

ლად ფულს მოსახლეობას ძალავდნენ. Charles Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 64-65.

78 იგულისხმებიან ერეკლე II-ს ვაჟი, ბატონიშვილი ალექსანდრე და შვილიშვილები – გიორგი XII-ის ვაჟი ბატონიშვილი თეიმურაზი და ბატონიშვილი იულონის ვაჟი, ლევანი.

79 Shat, 1M n°1486, doc. 13, fol. 70-72.

ნაპირობეს ფინკენშტეინის ხელშეკრულებაში მე-3-ე და მე-4-ე მუხლების შეტანა და გენერალ გარდანისთვის მიცემულ ინსტრუქციებში სპარსეთისა და რუსეთის საზღვართან დივერსიის მოწყობა. ნაპოლეონის მიერ 1805-1807 წლებში თეირანის კარზე წარგზავნილი ყველა პირი, ისევე, როგორც გენერალ გარდანის მისია, სპარსეთში ოსმალეთის იმპერიის გავლით ჩავიდა და ევროპაშიც ამავე გზით დაბრუნდა. მაგრამ ტილზიტის საზავო ხელშეკრულების შემდეგ, 1809 წელს, გენერალ გარდანის მისია ევროპაში უკვე საქართველოს გავლით დაბრუნდა. აქ გამოიკვეთა თბილისის, როგორც აზიასა და ევროპას შორის სატრანზიტო ფუნქციის მქონე ქალაქის მნიშვნელობა.

ლეიტენანტ ტრეზელის მოხსენებითი ბარათის შინაარსი სცდება თავის სათაურს და უფრო ფართო მასალას მოიცავს, როგორც საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს, ისე კავკასიის, მთის ხალხისა და იქ რუსების მდგომარეობის შესახებ. საფრანგეთის მისიის მიერ გავლილ ამამლო-ვლადიკავკაზის მარშრუტზე რუსეთის სამხედრო ძალების განლაგება მოწმობს, რომ რუსეთ-სპარსეთის პირველი ომის დროს თბილისი რუსების სამხედრო ინტერესებს ემსახურებოდა და მას კასპიისპირეთისა და სპარსეთისკენ მიმავალი სამხედრო გზის სტრატეგიული ფუნქცია დაეკისრა, რაც რეგიონში რუსეთის პოლიტიკურ დამკვიდრებას ემსახურებოდა. ოსმალეთში მყოფი ფრანგი კონსულებისა და ნაპოლეონის ემისრების ცნობებისაგან განსხვავებით, ლეიტენანტ ტრეზელის მოხსენებითი ბარათიდან ნათლად ჩანს საქართველოსა და კავკასიის მიმართ რუსეთის იმპერიის მიერ გატარებული პოლიტიკისადმი დადებითი დამოკიდებულება, რაც, ჩანს, იმჟამად საფრანგეთის მოკავშირე რუსეთის მიმართ ტილზიტის ზავის შედეგი იყო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გონიკიშვილი, მიხეილი. *ბაგრატიონთა დასახელება და მოღვაწეობა რუსეთში.* თბილისი: „მეცნიერება“, 1986.
2. თეიმურაზ ბაგრატიონი. *ახალი ისტორია.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბილისი, „მეცნიერება“, 1983.

3. ნაჭყებია, ირინე. „არქიმანდრიტ ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომის ფრანგული თარგმანის შესახებ“, *რუსთველოლოგია* IV (2005-2006), 281-284.
4. ნაჭყებია, ირინე. ამედე ჟობერი. *მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში*. თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები ირინე ნაჭყებიასი. თბილისი, „მეცნიერება“, 1997.
5. ორჯონიკიძე, ეთერი. *ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები*. თბილისი: „მეცნიერება“, 1999.
6. ქორთუა, ნიკოლოზი. *საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში*. თბილისი: „ცოდნა“, 1964.
7. Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Correspondances Politiques, Perse (CP/Perse): vol. 8: doc. 25, 133, 156, 157, 158; vol. 9, doc. 97; vol. 11, doc. 209, doc. 211; vol. 14, doc. 289.
8. Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Mémoires et Documents, Perse (MD/Perse): vol. 2, doc. 39; vol. 6, doc. 19, doc. 40; vol. 8, doc. 25.
9. Archives du Ministère des Affaires étrangères, France. Protocoles C 13. Copie des instructions pour M. le général Gardane. Au campe Impérial de Finkenstein, le 10 mai, 1807.
10. Archives du Musée d'histoire naturelle (AMHN): MS 74, Légation du général Gardane en Perse 1807-1809. Documents manuscrits, Ms 74, cahier 16.
11. Archives Nationales de France (AN), AF IV, 1686, Relations extérieures, Perse (Re/Perse), doc. 16.
12. Archives Nationales de France (AN), Légion d'Honneur (LH), 2278/13, n. 878, 2628/33.
13. Arnault, Antoine-Vincent. *Vie politique et militaire de Napoléon*. T. I-II. Librairie F. De Nobele, Paris, 1826.
14. Bélanger, Charles. *Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques et autres sur le Pergou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance*

et Sainte-Héène pendant les années 1827, 1828 et 1829. II. Paris: Librairie-éditeur Arthus Bertrand, 1838.
15. Broc, N. *Dictionnaire illustré des explorateurs et grands voyageurs français du XIXe siècle. I-II, Asie*, avec la collaboration de Gérard Siary. Paris: Editions du Comité des Travaux Historiques et Scientifiques, 1992.
16. Château de Vincennes, Service historique de l'Armée de Terre (Shat). Notice sur la Géorgie, 1M n°1486, Russie jusqu'en 1811, 31.05.1809, doc. 13, fol. 1-76.
17. Château de Vincennes, Service historique de l'Armée de Terre (Shat). Perse 1807-1857, 1M n°1673, Cracovie, non paginé, 11.08.1809, non paginé, doc. 4/52.
18. Dehérain, Henri. *La vie de Pierre Ruffin, orientaliste et diplomate, 1742-1824.* I-II. Paris: Édition P. Geuthner, 1929-1930.
19. Driault, Edouard. *La politique orientale de Napoléon – Les missions de Sébastiani et de Gardane, 1806-1809.* Paris: Editeur Félix Alcan, 1904.
20. Dubois de Montpéreux, Marie-*Frédéric. Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Avec un Atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique etc*. Ouvrage qui a remporté le prix de la Société de Géographie de Paris en 1838. IV. Paris: Librairie de Gide, 1840.
21. Dumas, Jean-Baptiste. *Un fourrier de Napoléon vers l'Inde: les papiers du Lieutenant Général Trézel*. Paris: Henri Charles-Lavauzelle – Éditeur militaire, 1915.
22. Gaffarel, Paul. *La politique coloniale en France de 1789 à 1830.* Paris: Felix Alcan, Éditeur, 1908.
23. Gardane, Alfred de. *Mission du Général Gardane en Perse sous le Premier Empire*. Paris: Librairie de Ad. Lainé, 1865.
24. Gotteri, Nocole. Antoine-Alexandre Romieu (1764-1805), général et diplomat // *Revue drômoise, archéologie, histoire, géographie*, t. 88, trimestriel, № 468, pp. 411-456, №469, pp. 476-564, Paris, 1993.
25. Hellot-Bellier, Florence. France – Iran, quatre cents ans de dialogue. Avec le concurs de L'UMR 7528 «Mondes iranien et

indien». *Studia Iranica*. Cahier 34. Assosiation pour l'avancement des études iraniennes. Paris: Peeters Press, 2007.
26. Klaproth, Julius von. *Voyage au Mont Caucase et en Géorgie*. T. I-II. Paris: Librairie de Charles Gosselin, 1823.
27. Jaubert, Pierre-Amédée. *Voyage en Arménie et en Perse, fait dans les années 1805-1806*. Paris: Chez Pélicier, 1821.
28. *Journal de l'Empire*, 1807, mars-avril.
29. Kadjar, Prince Ali. *Les Rois oubliés, l'épopée de la dynastie Kadjare*. Paris: Kian, 1992.
30. Muliany, Sayd. *Ğāygāh-e dar tārikh va farhang va tamaddon-e Irān*. Isfahān: Enteshārāt-e Yektā, 1379/2001.
31. Natchkebia, Irène. "La Perse vue par deux émissaires de Napoléon", in: *Studia iranica*. Cahier 26, Iran questions et connaissances. Actes du IVe congrès européen des études iraniennes organisé par la Societas Iranologica Europea, Paris, 6-10 septembre 1999, vol. II: Périodes médiévale et moderne, texte réunis par Maria Szuppe. Paris, 2002, pp. 317-338.
32. Natchkebia, Irina. "Envoys of Napoleon: The Mission of General Gardane in Persia (1807-1809)". In: *Qajar Studies*: "Diplomats and Travelers in the Qajar Era". Journal of the International Qajar Studies Association, Vol. VII, Rotterdam/Gronsveld/Santa Barbara/Tehran, 2007, pp. 8-51.
33. Olivier, *Guillaume-Antoine. Voyage dans l'Empire Othoman, l'Égypte et la Perse, fait par ordre du Gouvernement, pendant les six premières années de la République*. Avec atlas. T. I-VIII. Paris: Chez H. Agasse Imprimeur-Libraire, 1807.
34. Pluchet, Régis. André Michaux 1782-1785. *L'extraordinaire voyage d'un botaniste en Perse*. Toulouse: Éditions Privat, 2014.
35. Rousseau, J.-B. Louis Jacques. *Voyage de Bagdad à Alep (1808)*. Publié d'après les manuscrits inédits de l'auteur, par Louis Poinssot, Membre de la Société de Géographie de Paris. J. Paris: André, Editeur, 1899.
36. Sacy, Sylvestre de. *Eloge historique de feu Jean-François Rousseau ancien consul général de France à Bagdad et à Bassora, mort à alep le 12 mai 1808. Précédé de quelques détails curieux et intéressans*

sur le voyage de son père à la cour de Perse, au commencement du dix-huitième siècles. S. l., 1810.
37. Schmidt, Friedrich. *Georgien oder historisches Gemälde von Grusien in politischer, kirchlicher und gelehrtet Hinsicht*. Aus dem Russischen übersetzt von Friedrich Schmidt. Doktor der Philosopie. Riga und Leipzig: Kaffka, 1804.
38. Tulard, Jean. *Napoléon ou le mythe du sauveur*. Nouvelle édition revue et completée. Avec une chronologie, une filmographie et des tableaux annexes. Fayard, 1995.
39. Vandal, Albert, comte. *Napoléon et Alexandre Ier, l'Alliance Russe sous le Premier Empire, De Tilsit à Erfurt*. T. I-II. Paris: E. Plon, Nourrit et Cie, 1891-1893.
40. Ашурков, Т. Т. Путевые записки франкоязычных путешественников в первой трети XIX в., как источник по новой истории Ирана. *Проблемы всеобщей истории.* Вестник Томского государственного университета. 2014. № 3 (29), сс. 80-82.
41. Дубровин, Николай. *Закавказье от 1803-1806 года.* Санкт-Петербург: Типография департамента уделов, 1866.
42. Потто, Василий. Кавказская война въ очеркахъ, эпизодахъ, легендахъ и біографіяхъ. II, *Ермоловское время.* Выпуск 1-й. I-V. Санкт-Петербург: Тип. Е. Евдокимова, 1887-1889.
43. Хелтуплишвили, М. В. *Вступление Грузии в состав Российской империи.* Дозволено цензурою, Москва 31 Августа 1901, года. Кутаисъ: Типографія Киладзе и Хеладзе, 1901.

Irine Natchkebia

FRENCH DIPLOMATS INFORMATION ABOUT GEORGIA IN THE CONTEXT OF NAPOLEON'S EASTERN POLICY (THE FIRST DECADE OF THE 19TH CENTURY)

At the turn of the 19th century in order to include Persia in the plan of the Indian expedition Napoleon inserted the issue of Eastern Georgia which was annexed by Russia in 1801. According the Franco-Persian Treaty (4.05.1807), Napoleon recognized Georgia as the legal property of Fath-Ali Shah (Art. 3), charged himself to force the Russians to leave the territories of Georgia (Art. 4). What information did the Emperor of France have about Georgia that he promised to Shah?

Some manuscripts dealing with this theme are kept in the Archive of the Ministry of Foreign Affairs of France. Their authors were J.-F. Rousseau – the General Consul in Bassora, G. Olivier – French naturalist, P. Fourcade – the Consul in Synop, Joseph Rousseau – the Consul in Alepo, Napoleon's envoys the General Romieu and orientalist Jaubert. The mentioning of the kingdom of the former kingdom of Kartli and Kakheti as the "Georgia of Persia" reinforced in the mind of French the idea that Georgia was a country which belonged to Persia, taken away by Russia by force. In some manuscripts are noted the aspiration of Russia to establish itself on the territories from the port of Trabizond to the port of Astarabad because of their advantageous military and commercial location**s.** It is very significant, that information about Georgia was published also in March and April in three issues of *Journal de l'Empire*. This fact testified that the profuse elucidation of the theme of Georgia before the conclusion of the Franco-Persian Treaty, served the interests of the government.

Lieutenant Trézel's report "Notice sur la Géorgie" describes in detail the itinerary of the French mission from Yerevan to Mozdok via Tiflis/Tbilisi and Georgievsk in May, 1809. The *Notice* gives information about the landscape, climate, rivers, roads, population (amount, nationality, religion, occupation), small setlements, agriculture, military forces of Russia, and other issues. Lieutenant draws a vivid picture of Tiflis which

gradually adopted some traits of the European cities under the Russian rule. Unlike the notes of the French consules and Napoleon's emissaries, Trézel has a positive attitude towards the Russian Empire's policy in Georgia and the Caucasus, which it was due to Tilsit peace.

So, Tbilisi served to the strategic interest of Russia in the Caucasus and contributed to the Russians' advance to the Caspian regions of Persia and of the Central Asia.



ჟან-ფრანსუა-ქსავიე რუსოს მოხსენებითი ბარათი (1804). – AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29, fol. 147r.



156

384

Maîtres de la Carpienne, du Pont-Euxin, des sources de l'Euphrate, des défilés du Mont Taurus, les Russes dominent par la terreur et par des avant-portes dans toutes les villes ou bourgades persannes que resserrent le Mont Ararat et la Côte sud-ouest de la Carpienne. Souverains de cette mer et des défilés qu'elle baigne, il leur est très facile d'entretenir et de recruter leur armée de Perse. Sous prétexte de faciliter ses opérations, ils ont violé le territoire turc aux environs du phare, et provoqué les habitans à des combats partiels qui ont été pour eux un motif apparent de construire un fort sur le Pont-Euxin. Ce fort bâti en apparence pour se mettre à l'abri des insultes des barbares du phare, établit les Russes dans cette partie de la mer noire, rend leurs relations plus intimes entre Téflis d'une part, Constantinople et la Crimée de l'autre, favorise le débarquement de leurs troupes, et leur a soumis enfin les petits princes établis dans l'Imirette, ainsi que les peuplades indépendantes éparpillées sur les montagnes qui séparent du Pont-Euxin les possessions Russes en Georgie. Ainsi les Russes ont joint les deux mers, et achevé la conquête de l'Isthme qui les sépare./

AFFAIRES ÉTRANGÈRES R.F. ARCHIVES

სინოპში საფრანგეთის კონსულის, პასკალ ფურკადის მოხსენებითი ბარათი (1804).
– AMFAE, CP/Perse, vol. 8, doc. 156, fol. 384r.



Olivier.
13.

(157)

La Russie a réuni peu à peu à ses Etats la Circassie et tous les pays situés entre la mer d'Azof et l'embouchure du Volga; mais jusqu'en 1783, elle n'avoit pas franchi le Caucase, ni dépassé l'établissement qu'elle s'étoit fait à Terek sur la Caspienne.

En 1783 la Géorgie soumise auparavant à la Perse, passa sous la domination de la Russie. Le prince Héraclius s'engagea par un traité ~~à ne reco~~ pour lui et ses successeurs, à ne reconnoître d'autre autorité supérieure que celle de l'Impératrice de Russie et de ses successeurs.

ARCHIVES ÉTRANGÈRES R.F. ARCHIVES

En conséquence de ce traité, Sa[illegible] soumis en 1794 de prêter serment de fidélité à Aga Méhémet-Khan nouveau Roi de Perse, refusa d'obéir et déclara qu'il ne reconnoissoit d'autre souverain que Catherine.

Sur ce refus Méhémet rassembla une armée en 1795, battit les troupes Géorgiennes réunies à celles des Khans d'Erivan et de Chutcha, et marcha sur Tiflis qu'il s'avagea. Le fils d'Héraclius obtint la paix en s'engageant tant pour lui que pour son pere à prêter serment de fidélité au Roi de Perse, et à payer le tribut annuel auquel son Etat étoit autrefois soumis.

En 1796 l'Impératrice de Russie fit marcher une armée sous les ordres du Comte Valérien Soubof, qui s'empara successivement de Derbent, Bakou, Chamaki, Candjea, et détacha un corps de troupes pour occuper la Géorgie, en remontant le Kur jusqu'à Tiflis. La mort de Catherine mit fin à cette expédition; l'armée Russe reçut ordre de se retirer, ce qu'elle fit en bon ordre, évacuant Candjea, Chamaki, et toutes les villes et forteresses de l'Intérieur, et laissant des corps de troupes à Tiflis, Bakou et Derbent.

CP/Perse, vol. 8. doc. 157

გიიომ-ანტუან ოლივიეს მოხსენებითი ბარათის ფრაგმენტი (1804). – AMFAE, CP/Perse, vol. 8, doc. 157, fol. 385r.



ჟოზეფ რუსოს თხზულების ფრაგმენტი (1806/1807).
– AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 167r.



ამედე ჟობერის მოხსენებითი ბარათის ფრაგმენტი (1807). – AN, Relations extérieures, Perse, AF IV, 1686, doc. 16, fol. 5.



ლეიტენანტ ტრეზელის მოხსენებითი ბარათის ფრაგმენტი (1809). – Shad, n°1486, 1M, fol. 32, 34.

ირინე ნაჭყებია

ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურების თვალი დანახული თბილისელი ქალები (XIX საუკუნის მეორე ნახევარი)

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ქალის შესახებ მოცემული ცნობები ძირითადად მათ გატაცებასა და გაყიდვას ეხებოდა. „სპარსეთისა და ოსმალეთის ჰარამხანების მშვენებებად“ მოხსენიებული ქალები ოსმალეთის იმპერიასა და ირანში ძირითადად სამი მიზეზით ხვდებოდნენ: ომიანობის დროს ისინი ტყვეებად გაჰყავდათ, მშვიდობიანობის დროს მათ იტაცებდნენ, თავიანთ ქალიშვილებს ხშირად მშობლები თვითონ ყიდდნენ, რაც ზოგიერთი მოგზაურის აზრით, მრავალშვილიანი ოჯახების მძიმე ყოფით იყო გამოწვეული. ადგილზე მიღებული ცნობების თანახმად, მოგზაურები ირანისა თუ კონსტანტინოპოლის ბაზრებზე მათ გასაყიდ ფასსაც ასახელებდნენ, აღმოსავლელებისთვის მათ მნიშვნელობას კი მათი გარეგნობას, ხასიათს და მყიდველისათვის კარგი მემკვიდრეობის მიცემის უნარს.[1] XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთმა თითქმის მთლიანად აღკვეთა „კომერციულ ფასეულობად“ წოდებული ქართველი ქალებით „კონტრაბანდული ვაჭრობა“ და შემდგომ წლებში გამოქვეყნებულ თხზულებებში ფრანგი მოგზაურები ამ თემას წარსულ დროში ახსენებენ. 1905 წელს თბილისში რევოლუციის დღებში მყოფი ფრანგი ჟურნალისტი, კლოდ ანე, შემდეგს წერდა ქართველ ქალებზე: „საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ქალების სილამაზე მეტად ცნობილი იყო და არც ცდებოდნენ. ისინი ოდესღაც აღმოსავლეთის ჰარამხანების ულამაზესი მონები იყვნენ. (...) თურქები გვიან მივიდნენ იმ სიბრძნემდე და ბოლოს და ბოლოს აღმოაჩინეს კიდეც, რომ უბედურებისთვის (ან

1 Archives du Ministère des Affaires Étrangères, France (AMFAE). Mémoires et Documents, Perse, vol. 6, doc. 19, 106v, 167r; ამედე ჟობერი, მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში. თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები ი. ნაჭყებიასი (თბილისი: „მეცნიერება“, 1997) 187-188;

ბედნიერებისთვის, მაგრამ ეს უფრო იშვიათია – კ. ა.) ერთი კაცისთვის ერთი ლეგიტიმური ცოლიც საკმარისია. ლამაზი ქართველი ქალები აღარ გაჰყავთ მონებად.[2]

XIX საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მოგზაური ევროპელები ყველაფერს აკვირდებოდნენ და აფასებდნენ.[3] მათი აზრით, თბილისელი ქალები უხვად სარგებლობდნენ კოსმეტიკური საშუალებებით, რასაც არ საჭიროებდნენ.[4] მათი შეფასებები „მთელ აღმოსავლეთში საყოველთაოდ ცნობილი ქართველი ქალების მოხდენილობისა და სილამაზის" შესახებ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთი მათგანი ქართველი ქალის უნაკლო სწორ ნაკვთებს, დიდ თვალებსა და გულგრილ გამომეტყველებას მონოტონურს უწოდებდნენ.[5] ნაპოლეონ ნეი კი ეჭვს გამოთქვამდა და კითხვას სვამდა: „ქალები, თავიანთი სილამაზით ცნობილი ქართველი ქალები იყვნენ კი იმდენად ლამაზები, რომ აქ მოდიოდნენ სულტნებისთვის ცოლების საძებნელად?... ჩემთვის დიდად სამწუხაროდ, ჯერ ერთი ლამაზიც კი ვერ ვნახე."[6] ზოგი მოგზაურის აზრით, ქალები ამართლებდნენ

2 Claude Anet, *Les Roses d'Ispahan – La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase*. A la princesse Georges Valentin Bibesco et à Madame Michel Charles Phérékyde je dédie respectueusement le récit d'un voyage dont elles ont partagé avec moi, et ennobli, les émotions (Paris: Société d'Edition et de Publication, Librairie Félix Juven, 1907), 105.

3 ირინე ნაჭყებია, ფრანგი ავტორების ცნობები ქართველი ქალის შესახებ (XVIII-XIX სს.). *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, X (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017), 259.

4 Service historique de l'Armée de Terre. Notice sur la Géorgie, 1M, n°1486, doc. 13, fol. 10; Moritz Kotzebuë, *Relation d'un voyage en Perse, fait en 1817 à suite de l'Ambassade Russe*, par Moritz de Kotzebue. Traduit de l'Allemand par M. Breton, orné de gravures coloriées (Paris: Chez A. Nepveu, Libraire), 1819, 44; Drouville, Voyage en Perse, I, 70-72.

5 Max Franz Guido von Thielmann, *Le Caucase, la Perse, et la Turquie d'Asie. Souvenirs de voyage*. D'après la relation de M. le baron de Thielmann par le Baron Ernouf. Ouvrage enrichi d'une carte et de vingt gravures (Paris, E. Plon et Cie, 1876), 80; Lady Mary Leonora Sheil, *Glimpses of Life and Manners in Persia. With Notes on Russia, Koords, Toorkomans, Nestorians, Khiva, and Persia. With Illustrations* (London: John Murray, Albemarle Street, 1856), 62. Ernest Orsolle. *Le Caucase et la Perse*. (Plon, Nourrit et Cie, Paris, 1885), 32.

6 Napoléon Ney, *En Asie Central à la vapeur*. Preface de Pierre Véron, dessins de

თავიანთი სილამაზის შესახებ სახელს[7], ხოლო უნგრელი თავადი, შარლ ბესი, გორიდან ქუთაისისკენ მიმავალ გზაზე, „ამ ნაკლებად ცივილიზებულ ქვეყანაში მსოფლიოში ულამაზესი, ელეგანტური და მეტად ღირსეული იერის მქონე“ ახალგაზრდა თავადის ქალით მოიხიბლა. თავის თხზულებაში მას მოჰყავს ლექსი, რომლის თანახმად სილამაზის იდეალი საქართველოში იყო:

„სადაც ყველაფერი სიხარული, სიყვარულის ვნებიანი
იმპერიაა,
სადაც მენდომება სიკვდილი.
ეს საქართველოა, მომხიბლავი ქალებით,
ფერმკრთალი, სიყვარულით მკვდარი, გზნებით
დაქანცული,
რომელთა ბაგე ცეცხლია, ტუჩები მთრთოლვარე,
და სუნამოს ტკბილი და ნაზი სურნელი;
ფანტასტიკური ფორმებით მოსილი არსებები;
რასაც თვალი ხედავს,
ვინ იქნება, ცხოვრების ხარჯვით და თავაწყვეტილი
ხელით
საყვარლის მოსახვევად.
აქ მკერდი თოვლისაა და კანი ატლასის,
სქელი თმა ქუსლებს ეხება;
სახეები მშვიდი აისის ცოცხალი ფერით,
წარბები მორკალულია, თვალები შავი და გრძელი.

Dick de Longlay, avec deux cartes (Paris: Garnier Frères – Editeurs, 1888), 113.

7 Louis-Auguste-Félix de Beaujour, *Voyage militaire dans l'Empire othoman, ou Description de ses frontières et de ses principales défenses, soit naturelles, soit artificielles*... par le baron Félix de Beaujour, I-II (Paris: F. Didot Frères, 1829), II, 47; Jean-Pierre Moynet, "Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir. De Bakou à Tiflis 1859 (Inédit)". Texte et dessins de M. Moynet. *Le Tour du monde*, 1860, vol. I, 326; Gaston Sansrefus, *De Paris à Tiflis. Impressions de route*. Preface de C. Fuster. Dessins de H. Bertaux (Paris: Ernest Flammarion – Editeur, 1897), 445; Jane Dieulafoy, *La Perse, la Chaldée et la Susiane*, par Mme Jane Dieulafoy, Chevalier de la Légion d'honneur, officier d'Académie, relation du voyage (Paris: Librairie Hachette et C, 1887), 11; Claude Anet, Les Roses d'Ispahan – La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase, 105.

ყოველივე ლამაზია, ყოველივე შავი, თეთრი და
ვარდისფერია,
ყოველივე მზადაა მოსახიბლად.
აქ დაღლილი გული არასოდეს ისვენებს,
აქ ცხოვრება სიყვარულია.“[8]

ქართველი ქალის სამოსი. საქართველოში XIX საუკუნეში მოგზაურ ფრანგთაგან ლეიტენანტი ტრეზელი პირველი თვითმხილველია, რომელმაც *ტიფლისელი* ქალების სამოსი ასე აღწერა: „მათი სპილოსძვლისებრი შუბლი შემორკალული იყო პატარა თეთრი დიადემით, მასზე დამაგრებული სელის გრძელი ვუალით, რომელიც მათ სხეულს დიდ სინატიფესა და დიდებულებას ანიჭებდა.[9]

საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, რუსეთის მთავრობა სხვადასხვა ხერხებით ცდილობდა ადგილობრივ მოსახლეობაში თავისი ცხოვრების წესის შეტანას. ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის ცნობით, 1811-1812 წლებში საქართველოს მთავარმართებელი, ფილიპ პაულუჩი, რუსულ საზოგადოებასთან ქართველი თავადის ქალების ინტეგრაციას და „გაევროპელებას“ ცდილობდა. იგი წერს: „გენერალ-გუბერნატორის მეუღლე[10] ყოველ საღამოს იღებს ქართველ ქალებს, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი თავადის ქალია, ზოგიერთი კი პრინცესაა მეფის ოჯახიდან. მათგან ყველაზე საინტერესო მეფე ერეკლეს ქალიშვილი თეკლაა, გათხოვილი თავად ორბელიანზე. ცხენებზე ამხედრებული ეს ქალბატონები მსახურების თანხლებით მობრძანდებიან. ისი-

8 Besse, Voyage en Crimée au Caucase, 352. 356-361, 365-367. შარლ ბესი არ უთითებს ამ სტრიქონების ავტორს, მაგრამ დავადგინეთ, რომ ის ფრანგი პოეტისა და ლიტერატორის, ემილ სალადენის, ლექსის ნაწყვეტია (Emile Saladin. “Un Voyage au coin du feu”, dans: *La France Littéraire*, XVII, Bureaux-Paris, 1835, 136-139). სავარაუდოა, რომ სალადენმა ეს ლექსი ევროპაში XVII-XVIII საუკუნეებში გამოცემულ „მოგზაურობებში“ არსებული ცნობების გავლენით დაწერა, რადგან ცნობა საქართველოში მისი მოგზაურობის შესახებ ვერ მოვიძიეთ.

9 Shad, n°1486, 1M, fol. 33.

10 გენერალ პაულუჩის მეუღლე, ვილჰელმინა-ფრანცისკა (1778-1824), რომის საღვთო იმპერიის გრაფის, კურლანდიელი იოსებ-ვილჰელმ ფონ კოკსულის ქალიშვილი იყო.

ნი თავიდან ფეხებამდე თეთრ ვუალში არიან გახვეულები და შორიდან, სიბნელეში, მოჩვენებებს ჰგვანან. გენერალმა გამოთქვა სურვილი, რომ ეს უცნაური სამოსი ევროპულით შეცვალონ. ზოგიერთ ქართველ თავადის ქალს უკვე აღმოაჩნდა ამ ინოვაციის მიღების გამბედაობა." მისივე ცნობით, თბილისელ ქალებს კვლავ ჰქონდათ შენარჩუნებული ძველი წესი და სახეს ვუალით იფარავდნენ, რომელსაც თვალებისთვის ორი ჭრილი ჰქონდა.[11] რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართველ წარჩინებულთა ინტეგრაციის პროცესს შარლ ბელანჟეც შეეხო. იგი მოწმე იყო, რომ 1825 წელს გენერალი ალექსეი ერმოლოვი მეჯლისებზე ადგილობრივ ქალებსაც იწვევდა, რომელთა სწრაფვა, დასწრებოდნენ ყველა დღესასწაულს ნაციონალურ ტანისამოსში უკვე შეტანილი ცვლილებებით, სიამოვნებისა და ევროპული ფუფუნების საგნებისადმი მათ მიდრეკილებას მოწმობდა.[12] წარჩინებული ოჯახების ტიფლისელი ქალების ფუფუნებისადმი ლტოლვას არც უნგრელმა თავადმა ჟან-შარლ ბესმა აუარა გვერდი. მისი თქმით, მეტად ელეგანტურ რუს ქალებთან ურთიერთობაში მყოფი ეს კოპწია ქალბატონები მათ ბაძავდნენ თავიანთი მეტად მოდური ტუალეტებით და უყვარდათ თავის მორთვა ყოველივე იმ ელეგანტურით, რასაც საფრანგეთში, გერმანიასა და რუსეთში აწარმოებდნენ.[13]

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობით, 1834 წლის იანვარში ბარონ როზენისა[14] და მისი მეუღლის მიერ გამართულ მეჯლისებზე დასწრებას მრავალი ევროპელი ქალბატონიც ისურვებდა, რათა დამტკბარიყო სხვადასხვა ეროვნების ხალხისა და მათი კოსტიუმების ხილვით. ერეკლე II-ს ქალიშვილს – ბატონიშვილს[15], რომელსაც იგი *tzarine*-ს უწოდებს, ყველა შე-

11 Freygang, 1816: 151-153.

12 Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 51-55, 59-60.

13 Besse, *Voyage en Crimée au Caucase*, 351-352, 393.

14 გრიგოლ როზენი (1782-1841) რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1831-1837 წლებში.

15 ავტორი ბატონიშვილის სახელს არ გვაწვდის, მაგრამ სავარაუდოდ იგი ერეკლე II-ს ქალიშვილს, თეკლე ბატონიშვილს (1776-1846) გულისხმობს, რომელიც იმჟამად 58 წლისა იყო.

საბამისი პატივით იღებდა და თუმცა იგი უკვე ასაკოვანი იყო, არასოდეს არ ტოვებდა არც ერთ ამ ზეიმს. იგი ქართული სამოსის ყველა დეტალს ინარჩუნებდა და რაც დიდ კონტრასტს ქმნიდა ბარონესა როზენის ფრანგულ ტუალეტთან. ამავე მეჯლისს ესწრებოდნენ პრინცესა და პრინცი დადიანები, ბაგრატიონები, ორბელიანები, რომლებიც თავადებთან, გოლიცინსა და პოტოცკისთან ერთად ევროპულ კოსტიუმებში გამოწყობილები ცეკვავდნენ ფრანგულ კარდილს. დიუბუა დე მონპერე აგრეთვე *tzarine*-ად მოიხსენიებს ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლეს, მარიამს.[16] სადად და დაუდევრად ჩაცმული ბატონიშვილის მეუღლე პირველად საკმაოდ უხერხულად გრძნობდა თავს თბილისში, რადგან ერევნიდან წამოსვლამდე პირისპირ მამისა და ქმრის გარდა სხვა კაცი არ ენახა, მაგრამ იგი მალე შეჩვევია თავის ახალ მდგომარეობას და საჯაროდ დაუფარავი სახით გამოჩენას.[17]

ფლორიან ჟილი თბილისელი ქალის სამოსს მრავალი დეტალის დაზუსტებით აღწერს: „აბრეშუმის გულისპირი (*goulispiri*)[18], როგორც ამას სახელი მიუთითებს, გულის ჭრილს ფარავს; ის მკვეთრი ფერისაა, მაგალითად ვარდისფერი შავ კაბაზე; ქათიბი (*khatibé*)[19] – ზემოდან მოსაცმელი მოკლე კაბაა, ბროწეულისფერი ხავერდის, გრძელი ჩამოკიდებული სახელოებით, მსხვილი, მოჩუქურთმებული ვერცხლის ღილებით; შემდეგ ის, რაც ასე დამახასიათებელია – თავსაკრავი (*thawsacrawi*) – აბრეშუმის ქსოვილის ჭეშმარიტად დედოფლის საკადრისი გვირგვინის

16 ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე, მარიამი (1808-1882), სომეხი წარჩინებულის, სააკ მელიქ-აგამალიანის ქალიშვილი იყო.

17 Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, III, 256-258.

18 „გულისპირი ცალკე მზადდებოდა და ზონრებით ან ღილებით უკან კისერთან იკვრებოდა. იგი ოქრომკედით, თვალ-მარგალიტით ან მძივებით იყო ნაკერი. გულისპირის საკისრე ოდნავ იყო ამოჭრილი“ – ნინო გვათუა, *ჩაცმულობის ისტორიიდან. ქალის ქართული ჩაცმულობა. XIX ს. და XX ს. დასაწყისი*. თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967, 62.

19 „ქათიბი მრავალნაირი იყო, XIX საუკუნეში მუხლამდე მოკლე. ის წინ მთლიანად გახსნილი იყო, მხოლოდ გულისპირთან იკვრებოდა რამდენიმე ღილით ან ხრიკით“. – გვათუა, *ჩაცმულობის ისტორიიდან,* 65.

მსგავსი; უმაღლესი ელეგანტურობის ნიშანია არასოდეს არ გაიკეთო ორჯერ ერთი და იგივე თავსაკრავი. ახალგაზრდა ქალების თავსაკრავი ხასხასა ფერის ყვავილებით ნაქსოვი აბრეშუმისაა, უფრო ასაკოვანი ქალების თეთრი ხავერდისაა, მასზე ამაგრებენ ალმასებიან ქინძისთავს ან ყვავილებით მომინანქრებულ ოქროს ფირფიტას – ხელოვნების შედევრებს, რომელთა შექმნით განსაკუთრებით სპარსელი ხელოსნები გამოირჩევიან. თავსაკრავზე დამაგრებულია მსუბუქი, თეთრი ფერის გამჭვირვალე ქსოვილის ვუალი – ლეჩაქი (*létchaki*)[20]; დაბოლოს, სახლიდან გასვლისას ისინი ეხვევიან დიდ ვუალში, ჩადრში (*tchadri*), რომელსაც არასოდეს არ ატარებენ ქათიბთან ერთად. მდიდრებისა და ღარიბების ამგვარი მოსასხამი მხოლოდ ქსოვილის სინაზით განსხვავდება. ქართველი ქალები თავიანთ კოსტიუმზე ზოგჯერ მოსევადებული ვერცხლის ქამარს ატარებენ, რომელზეც პატარა ელეგანტური ხანჯალი ან პისტოლეტი კიდია."[21] ფრანგი გრაფი სიუზანე ქართველი ქალის თავის მორთულობას დიადემას უწოდებს, რომელიც მასზე დამაგრებული თეთრი მუსლინის ვუალით მათ იმპოზანტურ შესახედაობას ანიჭებდა.[22] თბილისელი ქალის სამოსის თემას ფრანგი მხატვარი ფარამონ ბლანშარიც შეეხო. მისი ცნობით, მარგალიტით დამშვენებული ბარონის გვირგვინის მაგვარი ბრტყელი ლენტიდან – თავსაკრავიდან (*tavsakravi*)[23], ოქრომკედით ან ვერცხლის ძაფებით მოარშიებული აბლაბუდის მსგავსი მსუბუქი მუსლინის ვუალი ყურს უკან ეცემოდა და სახეს აჩენდა. მისი ცნობით, ტიფლისის თავადაზნაურობის, *დუმისა*[24] და ვაჭრების მიერ თავად ბარიატინსკის სა-

---

20 „ლეჩაქი თავსაბურის ყველაზე თვალსაჩინო ელემენტად ითვლებოდა. ლეჩაქად იხმარებოდა მეტად თხელი, და გამჭვირვალე ქსოვილები." – გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, 27.

21 Floriant Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée, ouvrage enrichi de trente vignettes dessinées d'après nature, et d'une carte dressée au dépot topographique de la guerre à St. Pétersbourg* (Paris: Gide, Libraire-Editeur, 1859), 274-275.

22 Suzannet, *Les Provinces du Caucase*, 91-92.

23 თავსაკრავი ნაპირებგადაკეცილი ქსოვილის განივ ზოლს წარმოადგენდა. თავსაკრავის მასალად სხვადასხვა ფერის აბრეშუმს და ხავერდს იყენებდნენ. – გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, 25.

24 ქალაქი, უფრო სწორად, მერია. დუმაში იგულიუსხმება შენობა და

პატივცემულოდ გამართულ მეჯლისებზე გამოირჩეოდა ძალიან დიდ კრინოლინიანი ევროპული და *ტიფლისელი* ქალბატონების დიდნაოჭებიანი და განიერი კაბები.[25] ბელანჟესგან განსხვავებით, მხატვარი ჟან-პიერ მუანე თავად ბარიატინსკისთან ახალ წელს (1859) შეკრებილი ულამაზესი ქართველი ქალების მეტად ელეგანტურ ეროვნულ სამოსს შუა საუკენეების დედოფლების სადარს უწოდებს.[26] ფრანგმა მწერალმა, ანრი კანტელმა, თავის მოთხრობებში აღწერა ქართველი თავადის ქალის და მდიდარი სომეხი ქალის საქორწინო ცერემონიები და მისი ცნობებიდან ჩანს, რომ თბილისის მაღალი წრის ქართულ და მდიდარ სომხურ ოჯახებში XIX საუკუნის სამოციან წლებში პატარძალს ქორწილში კვლავ ტრადიციული სამოსი ეცვა.[27] თბილისელი ქალების ასე ყურადღებით აღწერილი სამოსი შესანიშნავად არის წარმოდგენილი გრიგორი გაგარინის ტილოებზე.[28]

ჟიულ-შარლ ტეიულის აზრით იმერელი ქალების სამოსს არ აკლდა არც ძვირფასი მორთულობა და არც კარგი გემოვნება, რაც თავისთავად იყო სამკაული.[29] ქართველი ქალები პროვინციებშიც ითვალისწინებდნენ ფრანგულ მოდას. გერმანელი დიპლომატის, მაქს ფონ ტიელმანის ცნობით, სოფელ ლაილაშში პრისტავის (პოლიციის უფროსის) ცოლს, ქართველ ქალს, ორი წლის წინანდელი ფრანგული მოდის მიხედვით ეცვა. ქართველი ქალის კლასიკური სამოსიდან ტიელმანისთვისაც ყველაზე აღსანიშნავი აჟურულ ვუალიანი, ოქრომკედითა და მარგალი-

---

ამავე დროს თავი, ანუ მერი და ქალაქის საკრებულო (ბლანშარის შენიშვნა).

25 Blanchard, "Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)". *Le Tour Du Monde* , II (1860): 114-115.

26 Moynet, "Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir", I, 326.

27 Henri Cantel: 1. "Le Prince Domenti, scènes de la vie géorgienne". *Revue des Deux Mondes* 40 (1862): 730; 2. "Héraklés, scènes de la vie géorgienne", *Revue des deux mondes* 46 (1863): 454.

28 [Gagarin]. *Le Caucase pittoresque*. Dessiné d'après nature par le Prince Grigori Grigorievitch Gagarine. Texte par le Comte Ernest Stackelberg. Paris: Imprime par Plon Freres, 1847.

29 Teule, *Pensées et notes critiques*, II, 59.

ტებით მორთული წითელი ხავერდის თავის მოსართავი იყო[30]. ფრანგმა მრეწველმა, ალფრედ კეშლენ-შვარცმა, ყურადღება ტიფლისური სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელი მაღალი და ლამაზი ქალების სამოსს მიაქცია: ისინი ელეგანტურად და გემოვნებით იყვნენ ჩაცმულები, მაგრამ დეპუტატი გაოცებული იყო იმის გამო, რომ ეს ქალბატონები მტვერში მიათრევდნენ შლეიფიან კაბას და მუყაოსავით მკვრივ, გახამებულ ქვედაბოლოებს, რომლებიც მიწას ეხახუნებოდა და მტვრის კორიანტელს აყენებდა.[31]

ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნეიეჰოლტის აზრით, ის, რაც კარგად აჩვენებდა და შესანიშნავად ამშვენებდა ქართველ ქალს, მათი მეტად მდიდრული სამოსი იყო, რომელიც მათ შუა საუკუნეების დედოფლების იერს სძენდა, ისეთს, როგორსაც ძველ სურათებსა და ხელნაწერების მინიატურებზე ნახავდი. იგი აგრეთვე დეტალურად აღწერს ქართველი ქალის სამოსს და აღნიშნავს, რომ ეს მორთულობა ხაზგასმული იყო ჭეშმარიტად მბრძანებლის საკადრისი, სამოსის ყველაზე ორიგინალური ნაწილით – თავსაკრავით. ავტორი იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ასე თავისებური და მოხდენილი ეროვნული კოსტიუმი ყოველდღიურად ქრებოდა და მას ევროპული მოდა ანაცვლებდა, თუმცა ქართველ თავადაზნაურობას ტრადიციულ სამოსში გაცილებით დიდებული შესახედაობა ჰქონდა. მის მიერ გამოთქმულ გულდაწყვეტაზე ქართველების პასუხი შემდეგი იყო: „ევროპელთან მსგავსება მოდური გახდა." მოგზაურის თქმით, ასე გაგებული პატივმოყვარეობისა და ეგოიზმის წინაშე ტრადიცია სწრაფად გაქრებოდა და ძველი კოსტიუმი, როგორც ქალების, ისე კაცების, მხოლოდ ცნობისმოყვარეობის საგნად იქცეოდა, თუმცა იგი მეტად ელეგანტურს უწოდებს მეჯლისზე და კონცერტზე ნანახ „ტიფლისურ მაღალ და მრავალრიცხოვან საზოგადოებას," სადაც რუსი და ქართველი ლამაზი ქალბატონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავიანთი ტუალეტებითა და გრაციოზული მანერებით. მისი თქმით, ეს იყო ტუალეტების გამოფენა, რაც წარმოაჩენ-

30 Thielmann, *Le Caucase, la Perse*, 60, 80.

31 Alfred Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase: Volga, Caspienne, Caucase* (Paris: J. Hetzel et Cie, Editeurs, 1881), 270.

და ტიფლისში ფრანგი მკერავებისა და „მოდისტკების“ ყოფნას, რომლებიც ისევე ამკვიდრებდნენ მოდას კავკასიაში, როგორც ევროპის ქალაქებში.[32]

XIX საუკუნის მიწურულს თბილისის ვიწრო ქუჩებში სეირნობისას სხვა გასაყიდ საქონელს შორის, ახალგაზრდა ფრანგი მწერალი, გასტონ სანსრეფუსი, ასახელებს აბრეშუმის სუტაჟიან[33] კოფტებს მაქმანის საყელოებით, მაგრამ იქვე დახვეწილს უწოდებს ქართველი ქალის თავსაკრავს, რომელიც მას ფრანსუა I-ის[34] კარის კეთილშობილი ქალბატონების ფერონიერს[35] აგონებდა, შავ ნაწნავებს კი ბებიების დროინდელ "anglaises"[36] ადარებს, რომლებიც შესანიშნავ ჩარჩოდ ეფინებოდა სახის სრულყოფილ ოვალს და მას მეტად ჰარმონიულ, უსასრულოდ მშვენიერ სრულქმნილებად ხდიდა. ქალის ეროვნულ სამოსს იგი მდიდრულ და კურიოზულად არქაულს უწოდებს[37].

ჰერცოგინია ერმინი დე როანის ცნობით, XX საუკუნის პირველ წლებშიც, თავიანთი სილამაზით ძლიერ სახელგანთქმულ ქართველ ქალებს კვლავ ჰქონდათ შენარჩუნებული ეროვნული სამოსი. მისი თქმით, მათი მუქი კულულები, შუბლზე შავი ხავერდის თავსაკრავი, უკან გადაგდებული მაქმანის ვუალი და კაბის მოქარგული ქობა მათ სიარულს არისტოკრატიულ ღირსებას სძენდა. მისივე აზრით, სალხინოში ახალგაზრდა ქალიშვილები საფრანგეთის პროვინციაში მცხოვრებ ქალებზე უფრო მეტი გემოვნებით იყვნენ ჩაცმულები და იგი მათ სამოსს ელეგანტურს უწოდებს[38].

---

32 Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie, au Caucase et en Perse*, I, 416-417, 390, 451-452.

33 ბრტყელი და წვრილი დაწნული აბრეშუმის ფერადი ზონარი, ქალის ტანსაცმლის კაბის გასაწყობი.

34 ფრანსუა I – საფრანგეთის მეფე 1515-1547 წლებში.

35 ფერონიერი (ფრ. *La ferronnière*) – რენესანსის დროინდელი შუბლზე შემოსაკრავი, ქალის თავსამკაული – სალტე, ლენტი ან ძეწკვი, დამშვენებული პატიოსანი თვლებით.

36 იგულისხმება ინგლისელების თმის ვარცხნილობა – კულულები.

37 Sansrefus, *De Paris à Tiflis*, 445-446.

38 სალომე დადიანის ცნობებზე დაყრდნობით, ერმინი დე როანის თხზულებიდან ვიგებთ, რომ ტიულრიში იმპერატორ ნაპოლეონ III-სთან და

XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, ევროპული გავლენა ჩაცმა-დახურვის სფეროშიც შეიჭრა. ქართული ჩაცმულობა თანდათან იცვლებოდა ევროპული ტანსაცმლით, რომელიც უფრო სადა და ადვილად სახმარი იყო, ქართული ჩაცმულობა კი თავისი რთული შემადგენლობით, საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში მოგზაური მაღალი წრის თუ ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელი ევროპელები ქვეყანაში გატარებული დიდი თუ მცირე დროის მიუხედავად, დადებითად ან კრიტიკულად ახასიათებენ ქართველ ქალს, გამოთქვამენ თავიანთ შეფასებას ქართველი ქალის მიერ გამოყენებული კოსმეტიკური საშუალებებისა და მათ ცხოვრებაში აბანოს ფუნქციის შესახებ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ XIX საუკუნეში ქართველი ქალები კვლავ სარგებლობდნენ ტრადიციული, ნატურალური მცენარეებით დამზადებული საშუალებებით. მოგზაურები ქართველების ცხოვრებაში ევროპული მოდის შეჭრასაც აღნიშნავენ, მაგრამ დაწვრილებით ქართველი ქალის ტრადიციულ სამოსს, განსაკუთრებით კი თავსაკრავს აღწერენ. მათი ირონიული თუ დადებითი შეფასებები და დეტალური აღწერები გვაწვდის ინფორმაციას ქართველი ქალის სამოსის შემადგენელი კომპონენტების, თარგის, ქსოვილების, ფერებისა და მორთულობის შესახებ.

იმპერატრიცა ევგენიასთან ვახშმად დაპატიჟებულ პრინცესა სალომეს მაღალი მოდის დამაარსებელი დიდი კუტურიეს, შარლ-ფრედერიკ უორსის სახელოსნოში შეკერილი მოვერცხლილი ქსოვილის კაბა ეცვა, რომელიც გემოვნებისა და ელეგანტურობის შედევრი ყოფილა. სხვა ცნობის თანახმად, ნაპოლეონ I-ის ძმის, ჟერომის ქალიშვილთან, პრინცესა მატილდასთან სტუმრად მყოფ ნასერ ად-დინ შაჰს ძლიერ მოსწონებია მასპინძლის მიერ დახატული ბალერინები და ამიტომ მას ეს სურათი აჩუქეს. ამ საჩუქრით ძლიერ გახარებულმა შაჰმა ის თან წაიღო ირანში და ამის შემდეგ მრავალმა ირანელმა ქალბატონმა, რომელიც მანამდე მხოლოდ გრძელ და განიერ სამოსს ატარებდა, მუხლებამდე მოკლე ქვედა ბოლო ჩაიცვა. ამ საკითხის შესახებ ფრანგი ჰერცოგინია წერს: „ტიფლისში რამდენიმე რეპროდუქცია ვნახრე – ქალების ფეხები იმდენად სქელი იყო, რომ ათასწილად სჯობდა მათი განიერ შარვალში დამალვა." Rohan, Les Dévoilées du Caucase. Notes de Voyage. A son Altesse La Princrsse Salome Murat, qui m'a fait ouvrir avec une grace sans pareille les portes de son merveilleux Caucase, je dédie ces modestes lignes (Paris: Calmann-Lévy, Editeur, S.d.), 67-68, 236, 242.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გვათუა, ნ. *ჩაცმულობის ისტორიიდან. ქალის ქართული ჩაცმულობა. XIX ს. და XX ს. დასაწყისი*. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.
2. ნაჭყებია, ი. ფრანგი ავტორების ცნობები ქართველი ქალის შესახებ (XVIII-XIX სს.). – ახლო *აღმოსავლეთი და საქართველო*. X. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, 248-273.
3. ჟობერი, ამედე. *მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში*. თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები ი. ნაჭყებიასი. თბილისი: „მეცნიერება“, 1997.
4. Anet, Claude. *Les Roses d'Ispahan – La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase*. A la princesse Georges Valentin Bibesco et à Madame Michel Charles Phérékyde je dédie respectueusement le récit d'un voyage dont elles ont partagé avec moi, et ennobli, les émotions Paris: Société d'Edition et de Publication, Librairie Félix Juven, 1907.
5. Archives du Ministère des Affaires Étrangères, France (AMFAE). Mémoires et Documents, Perse, vol. 6, doc. 19.
6. Beaujour, Louis-Auguste-Félix de. *Voyage militaire dans l'Empire othoman, ou Description de ses frontières et de ses principales défenses, soit naturelles, soit artificielles*… par le baron Félix de Beaujour, I-II. Paris: F. Didot Frères, 1829.
7. Bélanger, Charles. *Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques, statistiques et autres sur le Pégou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte Hélène pendant les années 1825, 1826, 1827, 1828 et 1829*. I-II. Paris: Authus Nertrand, Libraire-éditeur, 1838.
8. Besse, Jean-Charles de. *Voyage en Crimée au Cavcase, en Géorgie, en Arménie, en Asie-Mineure, et à Constantinople, en 1829-1830*. Pour servir à histoire de Hongrie, par Jean-Charles de Besse. Ouvrage orné de cinq planches lithographées. Paris: Delaunau-Libraire, 1838.

9. Blanchard, Pharamon. “Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)”. *Le Tour Du Monde* II (1860): 113-127.
10. Henri Cantel. “Le Prince Domenti, scènes de la vie géorgienne”. *Revue des Deux Mondes* 40,1862, 730
11. Henri Cantel. “Héraklés, scènes de la vie géorgienne”, *Revue des deux mondes* 46,1863, 454.
12. Dieulafoy, Jane. *La Perse, la Chaldée et la Susiane*, par Mme Jane Dieulafoy, Chevalier de la Légion d’honneur, officier d’Académie, relation du voyage. Paris: Librairie Hachette et C°, 1887.
13. Drouville, Gaspard. *Voyage en Perse, fait en 1812 et 1813,* par Gaspard Drouville, Colonel de la cavalerie au service de S.M. L’empereur de toutes les Russes, Chevalier de plusiers ordres. I-II. Paris: A la librairie Nationale et Etrangere, 1825.
14. Dubois de Montpéreux, Frédéric. *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Avec un Atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique etc*. Ouvrage qui a remporté le prix de la Société de Géographie de Paris en 1838. par Frédéric Dubois de Montpéreux. I-VI. Paris: Librairie de Gide, 1839-1840, 1843.
15. Ernouf, Alfred-Auguste. *Le Caucase, la Perse, et la Turquie d’Asie. Souvenirs de voyage*. D’après la relation de M. le baron de Thielmann par le Baron Alfred-Auguste Ernouf. Ouvrage enrichi d’une carte et de vingt gravures. Paris: E. Plon et Cie, 1876.
16. Freygangs. *Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies, d’une relation d’un voyage en Perse, en 1812.* Hambourg: Chez Treutter & Wurtz, 1816.
17. [Gagarin]. *Le Caucase pittoresque*. Dessiné d’après nature par le Prince Grigori Grigorievitch Gagarine. Texte par le Comte Ernest Stackelberg. Paris: Imprime par Plon Freres, 1847.
18. Gille, Floriant. *Lettres sur le Caucase et la Crimée, ouvrage enrichi de trente vignettes dessinées d’après nature, et d’une carte dressée au dépot topographique de la guerre à St. Pétersbourg*. Paris: Gide, Libraire-Editeur, 1859.
19. Koechlin-Schwartz, Alfred. *Un touriste au Caucase: Volga, Caspienne, Caucase.* Paris: J. Hetzel et Cie, Editeurs, 1881.

20. Kotzebuë, Moritz. *Relation d'un voyage en Perse, fait en 1817 à suite de l'Ambassade Russe*, par Moritz de Kotzebue. Traduite de l'Allemang par M. Breton, orné de gravures coloriées. Paris: Chez A. Nepveu, Libraire, 1819.
21. Lycklama A Nijeholt, Tinco Martinus. *Voyage en Russie, au Caucase et en Perse exécuté pendant les années 1866, 1867 et 1868.* T. I. Paris-Amsterdam: Arthus Bertrand, Libraire-Editeur/C. L. Van Langenhuysen, Libraire-Editeur, 1872.
22. Moynet, Jean-Pierre. "Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir. De Bakou à Tiflis 1859". (Inédit). Texte et dessins de M. Moynet. *Le Tour du monde*, I, (1860), 312-326.
23. Ney, Napoléon. *En Asie Central à la vapeur*. Preface de Pierre Véron, dessins de Dick de Longlay, avec deux cartes. Paris: Garnier Frères-Editeurs, 1888.
24. Orsolle, Ernest. *Le Caucase et la Perse*. Paris: Plon, Nourrit et Cie, 1885.
25. Rohan, Douchesse de. *Les Dévoilées du Caucase. Notes de Voyage*. A son Altesse La Princesse Salome Murat, qui m'a fait ouvrir avec une grace sans pareille les portes de son merveilleux Caucase, je dédie ces modestes lignes. Paris: Calmann-Lévy, Editeur, S.d.
26. Saladin, Emile. "Un Voyage au coin du feu", dans: *La France Littéraire*, XVII, Bureaux-Paris, 1835.
27. Sansrefus, Gaston. *De Paris à Tiflis. Impressions de route*. Preface de C. Fuster. Dessins de H. Bertaux. Paris: Ernest Flammarion – Editeur, 1897.
28. Service historique de l'Armée de Terre (Shat). Notice sur la Géorgie, 1M, n°1486, doc. 13, 31.05.1809.
29. Sheil, Lady Mary Leonora. *Glimpses of Life and Manners in Persia. With Notes on Russia, Koords, Toorkomans, Nestorians, Khiva, and Persia.* With Illustrations. London: John Murray, Albemarle Street, London, 1856.
30. Suzannet, Le Comte de. "Les Provinces du Caucase sous la domination russe. La Géorgie, le Daghestan, le littoral de la mer Caspienne et les rives du Kouban", *Revue des Deux Mondes*, 4/26 (1841): 50-106.

31. Teule, Jules Charles. *Pensées et notes critiques extraites du journal des mes voyages dans l'empire du sultan de Constantinople, dans les provinces russes géorgiennes et tartares du Caucase et dans le royaume de Perse*. I-II. Arthus Bertrand, Librairie-Editeur, Paris: 1841.

Irine Natchkebia

WOMEN OF TIFLIS/TBILISI SEEN BY THE FRENCH AND FRANCOPHONE TRAVELERS IN GEORGIA (SECOND HALF OF THE 19TH CENTURY)

In this article is presented the information of the French and francophone authors, traveling with different purposes in Georgia in the 19th century, we quote the notes about general characteristic of Georgian women. The authors have paid attention to the cosmetic means, they were using, and to the function of the bathhouse in their life. From these notes, it is evident that in the 19th century Georgian woman was still using traditional means prepared from the natural plants, and bathhouse was accomplishing the function of a kind of a beauty salon. A special attention has been paid to the national clothes. Independently from how the travelers were appreciating them – critically, ironically or positively, – their descriptions and attention to the details give us the information about the components of these clothes, their patterns, fabrics, colors, decoration. The authors do not describe the European clothes, already accepted by Georgians, but some references evidence that together with the Georgian clothes, European clothes little by little were coming into common use.

ირინე ნაჭყებია, გიორგი სანიკიძე

თბილისი ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურების თხზულებებში (XIX საუკუნე–XX საუკუნის დასაწყისი)

წინამდებარე სტატია წარმოადგენს XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი წლების თბილისის შესახებ ფრანგი და ფრანგულენოვანი ავტორების ცნობების თავმოყრისა და ანალიზის მცდელობას.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგი ავტორების თხზულებებში დაცული ინფორმაცია სამეცნიერო თვალსაზრისით მეტად ფასეულია და შეეხება როგორც თბილისის გარეგნულ იერსახეს, ისე საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს. ხაზგასასმელია, რომ თუ საუკუნის დასაწყისის ინფორმაცია უფრო პოლიტიკური ხასიათისაა (ამ ხანებში საფრანგეთი საკმაოდ აქტიურია ახლო აღმოსავლეთში), შემდეგ ყურადღება უფრო მახვილდება ეკონომიკურ საკითხებზე (აღმოსავლეთთან საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის თბილისში საფრანგეთის საკონსულოც კი გაიხსნა). მოგვიანებით კი თბილისმა ასევე მიიპყრო ფრანგ მოგზაურთა ყურადღება ტურისტული თვალსაზრისით, რაც აისახა სტატიაში განხილულ თხზულებებში.

სტატიის პირველ ნაწილში ქრონოლოგიური პრინციპითაა განხილული ფრანგი ავტორების ცნობები. მეორე ნაწილში კი ყურადღება განახვილებულია საქალაქო ცხოვრებისა ამა თუ იმ ასპექტზე.

XIX საუკუნის პირველი ნახევარი

თბილისი XIX საუკუნის პირველ მეოთხედში.[1] გენერალ ფილიპე პაულუჩის მმართველობის დროს, 1811-1812 წლებში

1 XIX საუკუნის დასაწყისში ფრანგთაგან პირველი ცნობები თბილისის შესახებ ეკუთვნით ნაპოლეონის მიერ 1807-1809 წლებში ირანში მივლინებულ საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიან მინისტრს, გენერალ კლოდ-მატიე გარდანსა და მის ადიუტანტს, საინჟინრო-საქ-

თბილისში მყოფი რუსი დიპლომატის, ვილჰელმ ფონ ფრეიგანგის მეუღლის, ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის ცნობით, თბილისის უდიდესი ნაწილი გაშენებული იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც ქვის ხიდით უკავშირდებოდა ქალაქის მარცხენა ნაპირს. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში კვლავ იყო 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად დარჩენილი „სევდის მომგვრელი ძეგლები“ – ნანგრევები, იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ნარიყალას ციხესიმაგრე, მთის ფერდობებზე შეფენილი სახლები და ბაღები „ხელოვანი მხატვრის ფუნჯის ღირსი“ იყო. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, შემაღლებულ ადგილზე იდგა გენერალ პაულუჩის ნახევრად ევროპული სტილის არქიტექტურის მიხედვით აგებული ლამაზი სახლი, რომლის წინ დიდი და თვალწარმტაცი ბაღი გაეშენებინათ. ეს ქართველებისთვის შეთავაზებული მოდელი იყო, მაგრამ იმჟამად ისინი არავითარ გემოვნებას ან სურვილს არ იჩენდნენ ბაღების მიმართ. მის მახლობლად აეგოთ არსენალი, ქვით ნაგები საკმაოდ სუფთა საავადმყოფო და ბოტანიკური ბაღი. ქალაქში იყო საჯარო სკოლა ქართველი ვაჟებისთვის, საინტერესო საბუნებისმეტყველო მუზეუმი და გრაფი მუსინ-პუშკინის[2] ბიბლიოთეკა, მაგრამ კავკასიის ცხოველების,

---

მეთა ლეიტენანტს, კამილ-ალფონს ტრეზელს, რომლებიც თბილისში დიდი პატივით მიიღო გენერალმა ალექსანდრე ტორმასოვმა, საქართველოს მთავარმართებელმა 1809-1811 წლებში. მათი ცნობები თბილისის შესახებ ცალკე სტატიაშია წარმოდგენილი.

2 რუსეთთან საქართველოს მიერთების მნიშვნელობა ნათლად აისახა რუსი მეცნიერის – ქიმიკოსის, ფიზიკოსისა და მინერალოგის, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრის – გრაფი აპოლო აპოლოს ძე მუსინ-პუშკინის (1744-1817) მოხსენებით ბარათში. 1800 წელს მან იმპერატორ პავლე I-ს წარუდგინა დოკუმენტი, რომელმაც „რუსეთის სამთავრობო წრეებში საქართველოს ანექსიის საკითხი გადაწყვიტა.“ მუსინ-პუშკინი წერდა: „მიერთებული იქნება ფიზიკური თვალსაზრისით მდიდარი და ნაყოფიერი ქვეყანა; 2. მთის ხალხების იზოლირებით მოხდება კავკასიის ხაზის დაცვის გარანტირება; 3. გაიხსნება ფართო ასპარეზი სპარსეთთან და ინდოეთთან სავაჭროდ; 4. ქართლ-კახეთის მიერთება გამოიწვევს იმერეთისა და სამეგრელოს ანექსირებას იმპერიის მიერ“ (М. В. Хелтуплишвили, *Вступление Грузии в состав Российской империи*. Дозволено цензурою, Москва 31 Августа 1901, года (Кутаисъ: Типографія Киладзе и Хеладзе, 1901), 32-33. ზურაბ ავალიშვილის ცნობით, პავლე I მუსინ-პუშკინის ამ მოხსენებისა და ქართველი

ჩიტების, ოთხფეხებისა და მინერალების კოლექცია ცუდ მდგომარეობაში იყო.

ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის თქმით, თბილისში, განსაკუთრებით თავადაზნაურობას შორის, „კარგ ტონად“ ითვლება სპარსული ენის ცოდნა და სპარსული წესების მიბაძვა. ამ კონტექსტში საინტერესოა მისი ცნობა თბილისში დამკვიდრებული შექის ხანის, ჯაფარ-ყულის, შესახებ, რომელსაც რუსეთის ქვეშევრდომობა და ლეიტენანტ-გენერლის ჩინი ჰქონდა მიღებული. თუმცა მას ხელები ზაფრანასავით ყვითლად, ფრჩხილები კი ალისფრად ჰქონდა შეღებილი, იგი ევროპულ წესების მიბაძვას ცდილობდა: თავისთან სადილად მიწვეულ გენერალ პაულუჩის მეუღლესა[3] და ფრედერიკა ფონ ფრეიგანგს თეფშები და დანა-ჩანგალი მიართვეს, მაგრამ თვითონ *à la Persan* ხელით მიირთმევდა, სადილის ბოლოს კი სპარსელის კვალობაზე საკმაოდ კარგად პოლონეზიც კი უცეკვია. ჯაფარ-ყული ხანი სპარსული ადათ-წესების მიხედვით ყველგან მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით დადიოდა, თბილისიდან გასვლის შემდეგ კი ტახტრევანით მგზავრობდა.

საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, რუსეთის მთავრობა სხვადასხვა ხერხებით ცდილობდა ადგილობრივ მოსახლეობაში თავისი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის ცნობით, 1811-1812 წლებში საქართველოს მთავარმართებელი, ფილიპ პაულუჩი, რუსულ საზოგადოებასთან ქართველი თავადის ქალების ინტეგრაციას და „გაევროპელებას“ ცდილობდა. იგი წერს: „გენერალ-გუბერნატორის მეუღლე ყოველ საღამოს იღებს ქართველ ქალებს, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი თავადის ქალია, ზოგიერთი კი პრინცესაა მეფის ოჯახიდან. მათგან ყველაზე საინტერესო მეფე ერეკლეს ქალიშვილი, თეკლეა, გათხოვილი თავად ორბელიანზე. ცხენებზე ამხედრებული ეს ქალბატონები მსახურების

წარჩინებულების თხოვნის შემდეგ გადაწყვიტა საქართველოს მიერთება. Зураб Авалов, *Присоединение Грузии к России* (СПб: Издательство, Тип. А.С. Суворина, 1901), 258.

3 გენერალ პაულუჩის მეუღლე, ვილჰელმინა-ფრანცისკა (1778-1824), კურლანდიელი გრაფის, იოსებ-ვილჰელმ ფონ კოკსულის ქალიშვილი იყო.

თანხლებით მობრძანდებიან. ისინი თავიდან ფეხებამდე თეთრ ვუალში არიან გახვეულები და შორიდან, სიბნელეში, მოჩვენებებს ჰგვანან. გენერალმა გამოთქვა სურვილი, რომ ეს უცნაური სამოსი ევროპულით შეცვალონ. ზოგიერთ ქართველ თავადის ქალს უკვე აღმოაჩნდა ამ ინოვაციის მიღების გამბედაობა." მისივე ცნობით, თბილისელ ქალებს კვლავ ჰქონდათ შენარჩუნებული ძველი წესი და სახეს ვუალით იფარავდნენ, რომელსაც თვალებისთვის ორი ჭრილი ჰქონდა.

თბილისის მოსახლეობის სიღარიბეზე მოწმობდა ის ფაქტი, რომ შუშის ნაცვლად ძირითადად გასანთლულ ქაღალდს იყენებდნენ. ეს ფრეიგანგის აზრით, არა გაჭირვების, არამედ წარმოების შეზღუდული შესაძლებლობების ბრალი იყო. სამრეწველო ნაწარმის შემოტანა ძვირი ჯდებოდა, მოსახლეობას კი არ ჰქონდა სასარგებლო ნივთები და მათ არც ამზადებდნენ. თბილისში კარგად ქსოვდნენ ხალიჩებს, მაგრამ მოსახლეობა ყველა სხვა საქმის მიმართ არც მიდრეკილებას და არც მისწრაფებას არ იჩენდა. ავეჯიც კი, მეტად ძვირად, რუსეთიდან შემოჰქონდათ.[4]

თბილისის აღდგენა რუსეთ-ირანის პირველი ომის დასრულების შემდეგ, 1816-1827 წლებში გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს დაიწყო. იმპერატორი ალექსანდრე I (1801-1825) მას არაფერზე ეუბნებოდა უარს და გენერალს თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლება ჰქონდა. ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურების ცნობებით, გენერალ ერმოლოვის მმართველობის დასაწყისში თბილისში კვლავ მიწაყრილები, ცარიელი მოედნები, ბანიანი მიწურები, ვიწრო, ჭუჭყიანი და ნანგრევებით ჩახერგილი დაკლაკნილი ქუჩები იყო. წვიმის დროს ქუჩები ტალახდებოდა, კარგ ამინდში კი მტვრით ივსებოდა, რაც თბილისს მიწისძვრით დანგრეული ქალაქების და არა ხალხმრავალი და სავაჭრო დედაქალაქების რიგში აყენებდა. 1817-1818 წლებში გენერლის მითითებით ქალაქის ძველი ნაწილის გარშემო თხრილები ნელ-ნელა ამოავსეს და ეს ადგილები ახალ ქალაქს შეუერ-

4 Freygangs, *Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies, d'une relation d'un voyage en Perse*, en 1812 (Hambourg: Chez Treutter & Wurtz, 1816), 101, 102, 116, 143-149, 151-158.

თეს. ძველი ხიდის ნაცვლად აგურის მყარი საყრდენებზე ხის ერთთაღიანი ხიდი ააშენეს, რათა ის მტკვრის სწრაფ დინებას არ დაეზიანებინა. ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გენერლის მითითებით თურქ და სპარსელ ტყვეებს ქალაქიდან ნანგრევები გაატანინეს, ზოგიერთ უბანში დიდი წვიმის დროს თითქმის გაუვალი ქუჩები გააფართოვეს და მოკირწყლეს, გაჭრეს არხი, რათა წვიმა ქუჩები არ დაგროვილიყო. პოლიციის უფროსმა ინჟინრებთან ერთად ქუჩების სიგანე ისე განსაზღვრა, რომ ეტლს შესძლებოდა გავლა იმ ადგილებში, სადაც ტერიტორია 60 ფუტის (18 მ) სიგანის ქუჩების გაყვანის საშუალებას იძლეოდა. უსაფრთხო ადგილზე ხორბლის დასაფქვავად წყლის წისქვილი დადგეს.[5]

ქალაქში გავრცელებელი ავადმყოფობების ერთ-ერთი მიზეზი თბილისის ბრტყელი და ძირითადად თიხით გადახურული სახურავებიდან ჩასული წვიმით დანესტიანებული სადგომები იყო. ამ ვითარების აღმოსაფხვრელად გენერალმა ერმოლოვმა წაახალისა კერძო სახლების რეკონსტუქცია. ახალი მშენებლობის ხელშესაწყობად მიწის უზარმაზარ ნაკვეთზე ჯარისკაცებს ამუშავებდნენ აგურების დასამზადებლად და ტყეებში მუხის ხეების საჭრელად, რასაც გორიდან თბილისამდე მტკვრით აცურებდნენ. ვინაიდან ქალაქში მშენებლობისთვის საჭირო იარაღები არ იყო, ასტრახანიდან შემოიტანეს ნაჯახები, ნიჩბები და ჩაქუჩები. ქალაქში ბევრი კალატოზი იყო. მთავარ კალატოზე-

5 Moritz Kotzebuë, *Relation d'un voyage en Perse, fait en 1817 à suite de l'Ambassade Russe*, par Moritz de Kotzebue. Traduit de l'Allemand par M. Breton, orné de gravures coloriées (Paris: Chez A. Nepveu, Libraire), 1819, 50; J.-F. Gamba, *Voyage dans la Russie meridionale, et particulierement dans les provinces situees au - dela du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824* par la chevalier Gamba, consul du roi a Tiflis, I-II, (Paris, 1826), II, 154; Félix de Beaujour, *Voyage militaire dans l'Empire Othoman, ou Description de ses frontières et de ses principales défenses, soit naturelles, soit artificielles*, I-II, F. Didot Frères, Paris, 1829, II. 40; Charles Bélanger, *Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques, statistiques et autres sur le Pégou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte Hélène pendant les années 1825-1829*. I-II (Paris: Authus Nertrand, Libraire-éditeur, 1838), II, 29, 41.

ბად სპარსელები ითვლებოდნენ და შეუძლებელი იყო უკეთესი ხელოსნების მოძიება. გამომწვარი და მზეზე გამომშრალი აგურით აშენდა ყაზარმები, საავადმყოფოები და ადმინისტრაციული შენობები. მოსახლეობას მცირე დრო მისცეს 12-15 ფუტის (3.5-4,5 მ) სიმაღლის აგურის სახლების ასაშენებლად. თუკი შეძლებული ქართველები და სომხები ხელს უწყობდნენ საჯარო პროექტების განხორციელებას, ხალხი, – ისე როგორც ყველა აზიურ ქალაქში, – ძლიერ უნდობლად ეკიდებოდა მამაპაპისეული სახურავის შეცვლას. მფლობელის მიერ სახლის ახალი გეგმის მიხედვით ასაშენებლად ერმოლოვის ერთგული ჯარისკაცები ქუჩაში გავლისას ძალიან ძველ სახლს დასანგრევად აგურებს აცლიდნენ. რამდენიმე ლამაზი შენობა და ახალი მშენებლობებისათვის მომზადებული ხარაჩოები კონტრასტს ქმნიდა იმ ქოხმახებთან, რომლებიც თბილისს თითქმის მთლიანად ფარავდა. ხალხიც მიხვდა, რომ უკეთესი იყო საცხოვრებლად მოხერხებულ და კოხტა სახლებში ცხოვრება, ქუჩაზე გამავალი ფანჯრებით. ქალაქის ცენტრში, დიდ ფართობზე მდებარე ძველი სასაფლაო გააუქმეს, საფლავის ქვები ოჯახებს გადასცეს, ნიადაგი კი მოასწორეს. იქ, სადაც ადრე ვიწრო და დაბინძურებული გასასვლელები იყო, ლამაზი მოედნები გააშენეს. აქ კი უკვე თავისუფლად მოძრაობდა ჰაერი. გარშემო მდებარე სახლები მორთეს ფასადებით და ისეთი მოედანი გააშენეს, რომელიც ნებისმიერ ევროპულ ქალაქს დაამშვენებდა. ერთ საღამოს იქ კონცერტი და ფოიერვერკი გამართეს.

ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის მიერ ნახსენები გუბერნატორის ადრინდელი სახლი, რომელიც მორის კოცებუს აზრით, აზიური და ევროპული არქიტექტურის შეუსაბამო ნაზავს წარმოადგენდა, დაანგრიეს. მის ნაცვლად ბორცვის ფერდობზე ააშენეს თანამედროვე სტილის შენობა, რომელიც მოხდენილი კოლონადებით და მშვენიერი ქანდაკებებით იყო მორთული. ქართველები ჯერ გაოცებულები იყვნენ ამ დეკორაციის გამო, მაგრამ შემდეგ შეეჩვივნენ. პოლკოვნიკ როტიეს ცნობით, 1810-1821 წელს თბილისში ცხოვრობდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გამორჩეული ბელგიელი მოქანდაკე და არქიტექტორი,

ჟოზეფ კამბელენი (1756-1821).[6] არ არის გამორიცხული, რომ სასახლე სწორედ მისი ქანდაკებებით ყოფილიყო დამშვენებული. სასახლის გემოვნებით გაშენებულ ბაღში, რომელიც ღია იყო საზოგადოებისთვის, სხვა მცენარეებთან ერთად ხარობდა შირაზის ვარდებიც. სასახლის მახლობლად რუკების საცავი მდებარეობდა.[7]

ადგილობრივი თავადები, მდიდარი სომხები და გენერლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და თავის გამოჩენას ცდილობდნენ თავიანთი ახალი სახლების ელეგანტურობითა და ფუფუნებით. მათ შორის საგანგებოდ გამოირჩეოდა სომეხი თავადის, მადათოვისა და თავად ბებუთოვის დიდი გემოვნებით აშენებული ბაღით დატერასებული სახლები. ახალი უბნის განაშენიანებისთვის გამოყოფილ ერეკლე მეფის ვერხვებითა და ალვის ხეებით დამშვენებულ ბაღში აშენებულ ლამაზ სახლებს ახალი პარიზული შენობების სტილში წინ თაღიანი გალერეები ჰქონდათ. ძველი და ღარიბი ქალაქის ნანგრევებზე ჩნდებოდა ახალი და მდიდარი ქალაქი, მაგრამ ნაგვით და მასალით დაფარული ტერიტორიის დიდი ნაწილი კვლავ ასათვისებელი იყო. ქალაქის ღარიბი მოსახლეობა მიწურებში ცხოვრობდა, რაც სამწუხარო კონტრასტს ქმნიდა მოხდენილი და ლამაზი ნაგებობების გვერდით. ამის მიუხედავად, ჟაკ ფრანსუა გამბას აზრით (1820 წ.) სამი წელი აღმოჩნდა საკმარისი, რომ თბილისს ისეთი იერსახე მიეღო, რომლითაც ცივილიზებული ევროპის ქალაქები გამოირჩეოდა. იულიუს კლაპროთი 1823 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ თზხულებაში აღნიშნავდა: „ტიფლისიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების მიხედვით, გენერალ ერმოლოვის პატრიოტული ზრუნვის წყალობით ეს ქალაქი დღითიდღე მშვენიერდება; მან თითქმის მთლიანად თავიდან ააშენა ქა-

6 1805-1810 წლებში სანკტ-პეტერბურგში, ვასილევსკის კუნძულზე აშენდა ბირჟის შენობა, არქიტექტორი ჟან ტომა დე ტომონი, ქანდაკებების ავტორი კი ჟოზეფ კემბერლენი იყო.

7 Kotzebuë, *Relation d'un voyage en Perse*, 43-44, 48, 51-52; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 155-157; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 20; Rottier, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, par le Colonel Rottiers, commandeur, chevalier de différents ordres, membre de plusieurs académies, etc. (Bruxelles: Czes H. Tarlier, Libraire, 1825), 105-106.

ლაქი და ქართველებისთვის ევროპული არქიტექტურის მიმართ გემოვნების გაღვივება შესძლო“[8]. ფრანგი დიპლომატის, ამედე ჟობერის შეფასებით, თუმცა ძველ ქალაქში კვლავაც თვალსაჩინო იყო სპარსელების შემოსევის შედეგი, გენერალ ერმოლოვის მიერ მიღებული ენერგიული ზომებით თბილისში ევროპული ქალაქების მსგავსი ცხოვრება და წესრიგი მკვიდრდებოდა.[9] 1825 წელს თბილისში ჩასული ფრანგი მეცნიერის, შარლ ბელანჟეს თქმით, ქალაქში ევროპული არქიტექტურის მიხედვით ნაგები ლამაზი სახლები მას საფრანგეთს ახსენებდა.[10] გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს თბილისში ჩასულმა ყველა მოგზაურმა შეამჩნია, რომ იგი თბილისს ევროპული მოდელის მიხედვით შენდებოდა, მაგრამ არავინ იხსენებდა, რომ რუსებმა არ შეუშალეს ხელი აღა-მაჰმად ხანს თბილისის დანგრევაში, რათა შემდეგ თავისი ინტერესების შესაბამისად დაეწყოთ მისი აღდგენა.[11]

ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით, თუ ოციოდე წლის წინ თბილისში აზიური ადათ-წესები იყო გავრცელებული და ყველა თავისი მასპინძლობის შეეთავაზებას ცდილობდა, რადგან თბილისში მოგზაურის ჩასვლა იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა,

8 Kotzebuë, *Relation d'un voyage en Perse*, 48; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 157, 180-182; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 41; J. Klaproth, *Voyage au Mont Caucase et en Géorgie*, II, 1.

9 [Jaubert], Sciences morales et politiques. Voyage dans la Russie Méridionale, et particulièrement dans les provinces situées au-delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824, par le chevalier Gamba, consul du Roi a Tiflis. – *Revue Encyclopédique*, Paris, 1827, t. 34, p. 102.

10 Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 20.

11 ბაღდადში საფრანგეთის კონსულის, ჟან-ფრანსუა რუსოს მოხსენებით ბარათში (26.X.1795) საქართველოში აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს რუსების ჩაურევლობა შეფასებული იყო როგორც „რუსეთის კარის“ ბარბაროსული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომელსაც მოკავშირე ერეკლე და საქართველო გასანადგურებლად მიატოვა, თავის ძალებს კი სრულიად საქართველოს დასაპყრობად და მის, როგორც დაპყრობილის სამუდამოდ შესანარჩუნებლად, შემდეგ აამოქმედებდა (Archives du Ministère des Affaires étrangères, Mémoires et Documents, Perse, vol. 2, doc. 29, fol. 146v-147v). ეს აზრი გამეორებული იყო 1807 წლის 18 აპრილის საფრანგეთის ოფიციალურ (*Journal de l'Empire*, 18.03.1807).

იმჟამად ქალაქში უკვე იყო სომხების რამდენიმე დუქანი, ერთი რესტორანი და პურის ორი ფრანგი მცხობელი.[12] შარლ ბელანჟე არ ასახელებს სასტუმროს, რომელშიც გაჩერდა, მაგრამ აღნიშნავს, რომ ის ერთ ფრანგს ეკუთვნოდა და თბილისში ამ დანიშნულების ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ მოუწყობელი დაწესებულება იყო – ოთახის კარი ცუდად იხურებოდა, იქ მხოლოდ ერთი მაგიდა, რამდენიმე სკამი და ხალიჩაგადაფარებული ხის ორი ტახტი იდგა, არ იყო ბუხარი.[13] ვიზიარებთ დავიდ ხოშტარიას მოსაზრებას, რომ ბელანჟეს მიერ ნახსენები ჯერ კიდევ მოუწყობელი სასტუმროს პატრონი ნაპოლეონის არმიის ყოფილ ჯარისკაცი, ჟან-პოლი[14], უნდა ყოფილიყო.

მოსახლეობა და რელიგია. რუსი დიპლომატის, ალექსანდრ ნეგრის ცნობით, XVIII საუკუნის ბოლოს თბილისში 4,000 სახლი და 20,000, 1795 წლის სპარსელების შემოსევის შემდეგ, 1803 წლის მონაცემებით – 14,620 სული იყო. 1807 წელს მოსახლეობის რაოდენობა 18,000-მდე გაიზარდა და მასში არ იგულისხმებოდნენ რუსი სამხედრო პირები და მოხელეები. ფელიქს ბოჟურის ცნობით, 1818 წელს თბილისის მოსახლეობა 20,000 სულს არწევდა, მაგრამ მასში არ იგულისხმებოდა 5,000 კაციანი გარნიზონი. ჟაკ-ფრანსუა გამბას ცნობით, 1820 წელს, თბილისის მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 24,000 იყო; 1825 წელს თბილისსა და მის შემოგარენში 2,500 სომხების, 1,500 ქართველების, 500 – თათრებისა და სპარსელების ოჯახი ცხოვრობს. ე.ი. სულ 4,500 ოჯახში; თითოეულში 6 სულზე ნაკლები არ იყო, რაც ჯამში 27,000 სული იყო. ამ ციფრს ემატებოდა გარნიზონის შემადგენლობა, მოხელეები და უცხოელები – 6,000 სული. სულ 33,000 სული და ეს ციფრი მუდმივად იზრდებოდა სპარსეთიდან და თურქეთიდან ემიგრირებული ქრისტიანების ხარჯზე. ამასთანავე, თბილისში „თათრებისა და სპარსელების 500 ოჯახი ცხოვრობდა, თითოეულ ოჯახში კი, სულ მცირე, ექვსი წევრი

12 Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 160-163, 182-183.

13 Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 21.

14 დავით ხოშტარია, *თბილისი. ძველი სასტუმროები* (თბილისი: არტანუჯი, 2011), 11.

იყო.“ [15] შარლ ბელანჟე არ იზიარებდა გამბას მოსაზრებას და მიაჩნდა, რომ თბილისის მოსახლეობა 24,000 არ აღემატებოდა.

კონსულ ჟაკ ფრანსუა გამბას მისია თბილისში.[16] XIX საუკუნის 20-იან წლებს ემთხვევა თბილისში საფრანგეთის კონსულის ჟაკ ფრანსუა გამბას მოღვაწეობა. გამბას მისიის ძირითად მიზანს საქართველოს გზით საფრანგეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობების განვითარება წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, საქართველო მანამდეც მოექცა საფრანგეთის ინტერესებში. XVIII ს-ის შუა ხანებში ფრანგი მოგზაური პეისონელი წერდა: „თბილისი საუკეთესო ადგილია ირანთან სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად... აქ შეგიძლია ნებისმიერი სახის საქონელი შეიძინო.“[17]

1813 წლის გოლესთანის ზავის შემდეგ რუსეთისა და ირანის ვაჭრობა კავკასიის და კეძოდ, თბილისის გზით გაცხოველდა. ირანიდან იმპორტირებული საქონლის ბაჟი სულ 5%-ს შეადგენდა, ეს კი ადგილობრივ ვაჭრებს ფინანსური კაპიტალის დაგროვების საშუალებას აძლევდა. 1821 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ევროპული საქონლისთვისაც დააწესა ე. წ. „შეღავათიანი ტარიფი“ 10 წლით. ტარიფის შემოღება განაპირობა სამხრეთ კავკასიაში რუსული ჯარის მომარაგების აუცილებლობამ, კავშირმა ფრანგულ კაპიტალთან და მეტოქეობამ ინგლისთან.[18] აზიასთან ვაჭრობისთვის შეიქმნა ახალი გზა: ოდესა-რედუტ-კალე[19]-თბილისი. „1821 წლის 8 (20) ოქტობრის უკაზით, უცხოეთიდან საქართველოში შემოსული ყოველგვა-

15 Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, 58.

16 გამბას მოღვაწეობა საქართველოში უფრო დაწვრილებითაა განხილული კრებულში შესულ სხვა სტატიებში.

17 M. de Peyssonel, *Essay sur les troubles actueles de Perse et de Georgie* (Paris, 1754), 153.

18 George Sanikidze, An Historical Survey of Georgian-Iranian Relations in the Nineteenth Century. *Journal of Persianate Studies*, Vol. I, No.2. (Leiden: Brill, 2008), 156-157.

19 რედუტ-კალე (ყულევი) შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე უმნიშვნელოვანესი ნავსადგური იყო. დაინგრა ყირიმის ომის დროს. (იხ. მ. პაჭკორია. *რედუტ-კალე*. თბილისი, 1968; К. Спасский-Антонов, Редут-Кале. *Отечественные записки*, 55, VIII, 1847, 21-33

რი საქონელი დაიბეგრება ამ საქონელზე გამოცხადებული ფასის მხოლოდ 5%-ით, მსგავსად გოლესთანის ხელშეკრულების საფუძველზე ირანიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებული ბაჟისა."[20]

მართალია, 5%-იანი ტარიფი და თავისუფალი ტრანზიტი ნიშნავდა სამხრეთ კავკასიის და ირანის ბაზრების ევროპის ქვეყნებისათვის, კერძოდ საფრანგეთისათვის ხელში ჩაგდებას, მაგრამ რუსეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ შეღავათიანი ტარიფის ვადაში, 10 წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიისა და ირანის ბაზრები გაფართოვდებოდა, გაიზრდებოდა მოთხოვნილება ევროპულ საქონელზე და ვადის დამთავრებისას, უკვე შექმნილ ბაზრებს რუსეთის ბურჟუაზია გააკონტროლებდა.

მიუხედავად იმისა, რომ შეღავათიანი ტარიფი გარკვეულწილად ინგლისელთა წინააღმდეგ იყო მიმართული და უპირველესად საფრანგეთის ინტერესებს ემსახურებოდა, ამ პერიოდში ინგლისელებიც სარგებლობდნენ საქართველოს სატრანზიტო გზით. გამბა 20-იანი წლების შუა ხანებში წერდა: „ტფილისზე გავლით უკანასკნელ ხანებში მრავალი ინგლისელი ბრუნდება ინდოეთიდან ევროპაში. ბომბეიდან გამოსული ისინი ზღვით 15-20 დღეში აღწევენ ბენდერ-ბუშეჰრის ნავსადგურს სპარსეთის ყურეში. ამ ნავსადგურში არის ინგლისის გენერალური კონსული, ინგლისელები აქ დიდი ვაჭრობას ეწევიან, ავრცელებენ აქედან მთელ სპარსეთში ინდოეთისა და თავიანთი სამშობლოს მანუფაქტურას. ბენდერ-ბუშეჰრიდან ისინი ექვს კვირაში ადვილად აღწევენ ტფილისს ქარავნებით."[21]

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების მიწურულს, 1831 წელს, თბილისში შეიქმნა „კავკასიის სავაჭრო დეპო." ამ კომერციული კავშირის საქმიანობა ირანთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას ისახავდა მიზნად: „ირანელი ვაჭრები, რომელთაც უცხოური საქონელი თავის ქვეყანაში შეაქვთ კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის გზით, შესაძლებლობა ექნებათ რა იგივე

20 ჟაკ ფრანსუა გამბა. *მოგზაურობა ამიერკავკასიაში.* ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. ტ. 1 (თბილისი, 1987), 235.

21 J.-F. Gamba. *Voyage dans la Russie*..., II, p. 159.

საქონელი სასურველი რაოდენობით შეიძინონ თბილისში, სულ უფრო ხშირად ჩამოვლენ ამ ქალაქში, და ბოლოს, ევროპული ვაჭრობა ირანში, რაც ფასების კონკურენციას ემყარება, დაკარგავს თავის ძალას, რამდენადაც თბილისიდან გაზიდული საქონელი ირანში უფრო იაფი იქნება."[22]

განსაზღვრული ვადის დასრულებამდე ოდნავ ადრე, რუსეთმა გააუქმა ევროპული საქონლისათვის დაწესებული შეღავათიანი ტარიფი. ევროპულ საფეიქრო საქონელზე 1832 წელს უზარმაზარი ტარიფი დაწესდა. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას სასურველი შედეგები რუსეთის იმპერიისათვის არ მოუტანია.

უცხოურ საქონელზე შეღავათიანი ბაჟებისა და თავისუფალი ტრანზიტის გაუქმებას თვალსაჩინო ცვლილებები მოჰყვა. ევროპიდან ირანისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც XIX ს-ის 20-იან წლებში აღორძინდა, ამიერიდან ძალას კარგავდა. ევროპის „აზიური ვაჭრობის" მთავარ მაგისტრალს ტრაბზონის გზით კონკურენტი (რედუტ-კალე-თბილისი-ბაქო) ჩამოაცილეს. ტრაბზონში ჩამოყალიბებულმა ინგლისურმა სავაჭრო კომპანიამ აღმოსავლეთის ბაზარი თავისი საქონლით აავსო.[23]

ტარიფის გაუქმების შემდეგ, ევროპის ქვეყნებსა და ირანს შორის ვაჭრობამ ტრაბზონ-ერზერუმის გზისაკენ გადაინაცვლა. მთელმა მოგებამ, რომელსაც თავისუფალი ტრანზიტის შედეგად იღებდა თბილისი და რედუტ-კალე, ტრაბზონ-ერზერუმისაკენ გადაინაცვლა. მრავალმა თბილისელმა ვაჭარმაც არჩია ევროპული საქონლით სატრანზიტო ვაჭრობა ტრაბზონ-ერზურუმის გზით და ამ საქონლის ირანში ჩატანა.

თბილისი XIX საუკუნის ოცდაათიან და ორმოციან წლებში. გენერალ ერმოლოვის ძალისხმევის მიუხედავად, გენერალ პას-

22 პ. გუგუშვილი. *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.-ში.* (თბილისი, 1979), 261-262.

23 მ. დუმბაძე, (რედ.). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV. თბილისი, 1973, 914.

კევიჩის (1827-1831)[24], ბარონ როზენისა (1831-1837)[25] და გენერალ გოლოვინის (1837-1842)[26] მმართველობების დროს თბილისში მყოფი მოგზაურების ცნობით თბილისის საერთო იერსახე არაფრით იყო ყურადსაღები – საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ომების შედეგად, კედლის ნაკვალევის გარდა ქალაქში სხვა ძველ ძეგლებს ვერ შეხვდებოდით. თბილისს დაკარგული ჰქონდა თავისი განსაკუთრებული იერსახე და რუსეთის საკუთრებად იყო ქცეული, თუმცა ეს სულაც არ იწვევდა სინანულს იმის ფონზე, რაც მისგან იყო გადარჩენილი. აზიის თითქმის ყველა ქალაქის მსგავსად, თბილისიც ცუდად იყო ნაგები. ვიწრო, დაკლაკნილი ქუჩები ნაგვით იყო სავსე, ქოხებს არ ჰქონდა არც ფასადი, არც ფანჯრები და სინათლე მხოლოდ კარიდან შედიოდა. ახალ ქალაქში, რომელიც სწრაფად იზრდებოდა და ძველ ქალაქს უერთდებოდა, ქუჩები უსწორმასწორო და ცუდად იყო მოკირწყლული, მშრალი ამინდის დროს კვლავ აუტანელი მტვერი იდგა, წვიმის დროს ღრმა საფლობები ჩნდებოდა და რამდენიმე საათის შემდეგაც კი შეუძლებელი იყო ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა, წყალდიდობების გამო მტკვრის ძლიერ დინებას ხიდები მიჰქონდა. გრაფ სიუზანეს აზრით, კავკასიის პროვინციის გუბერნატორს გენერალ გოლოვინს სურდა „მისთვის მინდობილი ხალხის კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა“, მაგრამ მისი სურვილები ყოველთვის ვერ სრულდებოდა – თბილისის ერთ-ერთი მრავალჯერ დანგრეული ხიდის ნაცვლად მყარი ხიდის ასაშენებლად ევროპელი ინჟინრების ჩამოსაყვანად მას პეტერბურგიდან სჭირდებოდა ნებართვის მიღება. ამგვარად,

24 ივანე პასკევიჩი (1782-1856) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი (1825), გენერალ-ფელდმარშალი (1829), რუსეთ-სპარსეთისა (1826-1828) და რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829) ომების დროს კავკასიის ჯარების მთავარსარდალი. 1828 წელს მან ერევნის ციხესიმაგრე აიღო და მას ერევნის გრაფის – პასკევიჩ-ერივანსკის – წოდება მიენიჭა. თბილისის მოსახლეობის მიერ მისი სადღესასწაულო შეხვედრის ადგილს (დღევანდელი თავისუფლების მოედანი), პასკევიჩ-ერივანსკის მოედანი ეწოდა.

25 გრიგოლ როზენი (1782-1841) რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1831-1837 წლებში.

26 ევგენი გოლოვინი (1782-1858) – რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1837-1842 წლებში.

გაუმჯობესების ბევრი გეგმა ქაღალდზე რჩბოდა; ან იწყებოდა, მაგრამ ვერ სრულდებოდა.

კრიტიკულ შენიშვებთან ერთად მოგზაურები ძველი ქალაქის ხიბლსაც აღნიშნავენ. ავლაბარში, რიყეზე დასახლებული დიუბუა დე მონპერეს სახლის გალერეიდან მთელი ქალაქი ამფითეატრივით იშლებოდა. მისი თქმით, ძველი თბილისის ყველაზე ლამაზ და დასახლებულ უბანს სიონის მომიჯნავე მხარე, კალა წარმოადგენდა. თვალწარმტაცი სანახავი იყო ძველ ქალაქში მთაზე შერჩენილი ციხესიმაგრის დანგრეული კედლები, პატარა ობსერვატორია, ბოტანიკური ბაღი, მთიდან გადაშლილი ქალაქის ულამაზესი ხედი, სადაც ერთმანეთში ირეოდა ეკლესიები, კოშკები, გუმბათები, სახლები, კედლები და ბაზრები. ხიდთან მდებარე ქარვასლასთან ჩანდა აქლემების ქარავნები და ნახშირით დატვირთული ვირები. შარლ ბესი მტკვრის ნაპირებზე მდებარე ბაღებს არნოს[27] ნაპირების ხედს ადარებს. ტეიულმა ყურადღება მიიქცია მტკვრის მარცხენა ნაპირზე შეღობილ ფართობზე საქართველოში შემოტანილი სხვადასხვა მცენარეების სანერგეს, სადაც წარმატებით ახარებდნენ ჩინურ ინდიგოს. რომლისგანაც ლამაზი ფერის საღებავს იღებდნენ. მისი თქმით, ეს სასარგებლო დაწესებულება ქართველი გლეხების საქმიანობაზე გავლენას ვერ ახდენდა.[28] ფრანგი ლეიტენანტის ჟიულ პიშონის სიტყვებით, ირანში გატარებული ორი წლის შემდეგ თბილისის ლამაზი ნაგებობებით გარშემორტყმული მოედანი, ყაზარმების შენობები და დროშკების განუწყვეტელი მოძრაობა მას ევროპას ახსენებდა. მისივე ცნობით, თბილისის გარნიზონი დაახლოებით 10,000 კაცისგან შედგება, ძველი ფორტი, სადაც

27 არნო – მდინარე იტალიაში, რომელიც ფლორენციასა და პიზაზე გავლით ტოსკანას კვეთს.

28 Besse, *Voyage en Crimée au Caucase*, 335; Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Avec un Atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique etc.* Ouvrage qui a remporté le prix de la Société de Géographie de Paris en 1838 (Paris: Librairie de Gide, 1839), 237; Comte de Suzannet, "Les provinces du Caucase sous la domination russe", *Revue des Deux Mondes* 26, 1841, 57; Jules Charles Teule, *Pensées et notes critiques* (Paris: Arthus Bertrand, Librairie-Editeur, 1841), II, 88, 90-91, 95-96.
57; Teule, *Pensées et notes critiques*, 88, 90-91, 95-96.

საბრძოლო არტილერიის ერთი ნაწილი ინახება, რესტავრირებული იყო, ყოველ ამბრაზურაში ზარბაზანი იდგა.[29]

თბილისში გაშლილი მშენებლობის მიუხედავად, ქალაქში ევროპელებისთვის შესაფერისი სახლები არ იყო. თბილისში სამხედრო პირებისა თუ მოხელეების მოზღვავება აძვირებდა დასაქირავებელი ბინების ფასს. ამიტომ თბილისში ერთ-ერთი მომგებიანი საქმე სახლების შენება და მათი არენდით გაცემა იყო.[30]

თბილისის ახალი და მდიდარი უბნები განლაგებული იყო მდინარის მარცხენა, უსწორმასწორო მხარეს, რომელიც მტკვრისკენ ეშვებოდა. იქ სწორი მოედნები, განიერი და ლარივით გაჭიმული ქუჩები, დუქნები, კაფეები და კოლონებით უხვად მორთული თანამედროვე არქიტექტურის მიხედვით ნაგები აგურის დიდი, აკურატული და კირით შეთეთრებული სახლები იდგა. მოგზაურების შეფასებით სახლების არქიტექტურა ოდნავ მძიმე იყო, ახალი სახლების უშნო და უსარგებლო ხის სვეტები რუსეთის ყველა მშენებარე ქალაქში გავრცელებული უგემოვნო მონუმენტური არქიტექტურის მაგალითს წარმოადგენდა. მოწონებას იმსახურებდა გენერალ-გუბერნატორის სასახლე, რომლის კოლონადები თაღების გრძელ რიგს იჭერდა, შენობის გასწვრივ მთელ სიგრძეზე ლამაზი, ღია გალერეა შესატყვისი პროპორციის მქონე სვეტებს ეყრდნობა. ორივე ბოლოში, ნიშებში, მარსისა და მინევრას ქანდაკებები იდგა, რომლებიც დიუბუა დე მონპერეს თქმით, ქართველებს გულუბრყვილოდ გენერალი პასკევიჩი და მისი ცოლი ეგონათ. მთლიანობაში ეს სასახლე დიდებული, შთამბეჭდავი და მეფის ღირსი იყო. ინტერიერიც შეესაბამებოდა საქართველოში რუსეთის იმპერატორის წარმომადგენლის სიმდიდრეს და წოდებას; საცხოვრებელი ნაწილი და დარბაზები დიდი იყო, განსაკუთრებით ის, სადაც საიმპერიო ტახტი იდგა; ოთახს ამშვენებდა ფეხზე მდგომი იმპერატორ

29 Lieutenant Pichon, La Géorgie. Service historique de l'Armée de Terre, Perse 1807-1857, 1M, n°1673, cachier 43, fol. 10-12.

30 Besse, *Voyage en Crimée au Caucase*, 333; Duois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, III, 225-227; 236-239, 251; Suzannet, *Les provinces du Caucase sous la domination russe*, 57; Teule, *Pensées et notes critiques*, 89, 99-100.

ნიკოლოზის[31] პორტრეტი. სასახლეს ეკვროდა ბორცვზე ტერასებად გაშენებული, აუზებით და პავილიონებით დამშვენებული ევროპული ტიპის კარგად მოვლილი ბაღი, რომელსაც პატარა სამოთხეს ადარებდნენ. ის ღია იყო მაღალი საზოგადოებისათვის და საღამოობით იქ გარნიზონის მუსიკოსები გასაოცარი ოსტატობით ასრულებენ სხვადასხვა მუსიკალურ ფრაგმენტებს.[32]

გერმანული კოლონიები. რუსეთის იმპერიაში გერმანელების გადასახლება 1763 წელს, ეკატერინე II-ს მმართველობის დროს იმ მიზეზით დაიწყო, რომ მათ ახლად მიერთებული ტერიტორიები აეთვისებინათ. ძირითადად ეს იყო ბადენ-ვიურტემბერგიდან ემიგრირებული ოჯახები, რომლებმაც გადაიტანეს ნაპოლეონის შემოსევა, პოლიტიკური არეულობები, შიმშილი და რელიგიური დევნა. ალექსანდრე I-ის ბრძანებით, ვიურტემბერგელი გერმანელების საქართველოში დასახლება გენერალ ერმოლოვს დაევალა და ამ მიზნით სახელმწიფო ხაზინიდან 100,000 რუბლი გამოიყო. გენერალ ერმოლოვის მმართველობის დასაწყისში, 1817-1820 წლებში, საქართველოს გუბერნიაში რვა გერმანული კოლონია დაარსდა, აქედან ორი დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. კოლონისტებისთვის დადგენილი წესის მიხედვით, ერმოლოვის ბრძანებით ყოველ ოჯახს 60 დესეტინა[33] მიწა გამოუყვეს.[34]

გაფრანგებული უნგრელი თავადი, შარლ დე ბესი საგანგებოდ ეხება გერმანულ კოლონიებს. იგი წერს: „ვიურტემბერგელთა კოლონიები იმიტომ ვახსენე, რომ მათგან 900 ლიეზე

31 ნიკოლოზ I (1796-1855) – სრულიად რუსეთის იმპერატორი, პოლონეთის მეფე და ფინეთის დიდი მთავარი (1825-1855).

32 Rottier, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, 105; Jean-Charles de Besse, *Voyage en Crimée au Caucase, en Géorgie, en Arménie, en Asie-Mineure, et à Constantinople, en 1829-1830*. Ouvrage orné de cinq planches lithographée (Paris: Dealunay, Libraire, 1838), 333-335; Frédéric Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase,* 225-236; Suzannet, Les provinces du Caucase sous la domination russe, 57; Teule, *Pensées et notes critiques*, II, 88, 90-91, 95-96.

33 დესეტინა – მიწის საზომი ერთეული რუსეთში, იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე. 1 დესეტინა უდრის 1200 კვადრატულ საჟენს, 1,09 ჰექტარს. 60 დესეტინა უდრის 6,54 ჰექტარს.

34 П. Басихин, «Немецкия колонии на кавказе», *Кавказский вестник*, ежемесячный научно-литературный журнал. Тифлис, 1900, 15.

მეტი მანძილით დაცილებული მათი შვაბიელი[35] თანამემამულეებისათვის მესიამოვნებინა, რომლებისთვისაც საამო იქნება თავიანთი ნათესავებისა და მეგობრების შესახებ პოზიტიური ამბების გაგება. ჩემი აზრით, ფაქტებზე დაფუძნებული მონაცემები ვიურტემბერგელებს ამ დალოცვილ მიწაზე ჩამოსვლისკენ წააქეზებს და არა ატლანტიკის ხშირად საშიშ გადაცურვას და იმ მიწაზე დამკვიდრებას, რომელიც მუდამ ენდემური ეპიდემიების მსხვერპლია". ბესი შემდეგ რვა გერმანულ კოლონიას ახასიათებს:

„1. ახალი-ტიფლისი *(Neù-Tiflis)*[36] დედაქალაქიდან ორ ვერსზე მდებარეობს. ეს სოფელი სწორად და თანაზომიერადაა აშენებული; იქ 35 ოჯახი ცხოვრობს. ისინი სხვადასხვა ხელობით არიან დაკავებულები და ქალაქს რძით, კარაქით, ყველით, ლუდით, ღვინითა და ხილით ამარაგებენ. ამ კოლონიას არ აქვს სახნავ-სათესი მინდვრები, მაგრამ თავიანთი ნაწარმით საკმაოდ გამოიმუშავებენ საიმისოდ, რომ მიღებული შრომის ნაყოფით მშვიდად იცხოვრონ საშუალო დონეზე; ისინი თავიანთი ხარჯით ინახავენ პასტორს და ეკლესიას. ტიფლისში ჩემი ჩასვლის დროს იმპერატორმა ნიკოლოზმა მათ დახმარებად გულუხვად გამოჰყო 2,000 რუბლი.

2. სოფელი ალექსანდერ-დორფი *(Alexander-Dorf)*[37] ტიფლისიდან სამ ვერსზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს; იქ 32 ოჯახი ცხოვრობს. ისინი მეცხოველეობას მისდევენ, რაც მათ შესანიშნავად გამოსდით და ქალაქის ყასბებს რქოსანი პირუტყვითა და ხბოებით ამარაგებენ; მათი ქალები ტილოს ქსოვენ თავიანთი ოჯახების საჭიროებისათვის, ამას გარდა ისინი დიდი რაოდენობით შინაურ ფრინველს, განსაკუთრებით კი ინდაურებს ზრდიან.

---

35 შვაბია (გერმ. Schwaben) – რეგიონი სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში.

36 ტიფლისის გარეუბანში, მიხაელოვის ქუჩა, აღმაშენებლის პროსპექტი, კუკია.

37 ალექსანდერდორფი – იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელობის კოლონია დაარსდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელი დიდუბის ადგილზე.

3. მარიენფელდი *(Marienfeld)*[38] ტიფლისიდან ოთხ ვერსზე მდებარეობს. ეს კოლონიაც 32 ოჯახისაგან შედგება. ისინი კარგად ამუშავებენ მიწას და დიდი წარმატებით მოჰყავთ ყურძენი. ქალების მეცადინეობით ეს სოფელი გამოირჩევა ტანისამოსისა და სახლების სილამაზითა და სისუფთავით.

4. ამ კოლონიიდან ერთნახევარ ვერსზე მდებარეობს პეტერსდოფის *(Petersdorf)* კოლონია, სადაც მხოლოდ 16 ოჯახი ცხოვრობს. ის მხოლოდ 8 წლის წინ დაარსდა, რადგან თავიანთი პირველი საცხოვრებლები კოლონისტებმა მწირი მიწის გამო მიატოვეს[39].

5. ელიზაბეტტალში *(Elisabettal)*[40] 64 ოჯახი ცხოვრობს. სხვებთან შედარებით ეს სოფელი ყველაზე უფრო აყვავებულია. მოსახლეობა, ისე როგორც ბელგიაში, გამორჩეული მზრუნველობით ამუშავებს ველებს; მათ დიდძალი მსხვილი რქოსანი პირუტყვი ჰყავთ და დიდ სარგებელსაც იღებენ თავიანთი ვენახებიდან, რომელსაც მზრუნველობით უვლიან. ელიზაბეტტალის ღვინოებზე დიდი მოთხოვნილებაა და ტიფლისში კარგად იყიდება.

6. კატარინფელდში *(Catharinfeld)*[41] სპარსელებთან ომამდე[42] 92 ოჯახი ცხოვრობდა; დღეს იქ 70 ოჯახი ცხოვრობს.

---

38 მარიენფელდი – მარია ფიოდოროვნას, იმპერატორ პავლე I-ის მეუღლის, ვიურტემბერგელი პრინცესას სახელობის კოლონია დაარსდა სართიჭალაში.

39 პეტერსდორფი – პეტრე I-ის სახელობის კოლონია დაარსდა მარიენფელდის მახლობლად, სართიჭალაში.

40 იმპერატრიცა ელიზავეტა ალექსეევნას, იმპერატორ ალექსანდრე I-ის მეუღლის სახელობის კოლონია დაარსდა ასურეთში.

41 სახელწოდება კატარინფელდი ამ გერმანულ კოლონიას ვიურტემბერგის დედოფლის, ეკატერინეს პატივსაცემად, ეწოდა. დღეს ქალაქი ბოლნისია.

42 იგულისხმება რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომი. 1826 წელს სპარსელებმა განჯა (ელიზავეტპოლი) დაარბიეს და მის მახლობლად დაარსებულ კოლონიაში მცხოვრები გერმანელები ქურთებს მიჰყიდეს. ამ ამბის გაგებისას ფათჰ-ალი შაჰს საიდუმლოდ უკითხავს, იყვნენ თუ არა გერმანელი ქალები ლამაზები; უარყოფითი პასუხის მიღებაზე შაჰს უთქვამს: „ქურთებს ჰყავდეთ!“ (Champollion-Figeac, *Histoire de la Perse* (Asie Orientale) par Champollion-Figeac, bibliothécaire au palais

სპარსელების შემოსევამ მათ უდიდესი ზიანი მიაყენა, რადგან ადამიანები და ქონება გაიტაცეს.[43] მაგრამ მათმა ნაყოფიერმა შრომამ და შრომისმოყვარეობამ სოფლის მეურნეობისა და ვენახის მიმართ, უკვე აანაზღაურა მათი დანაკარგი და ეს აღარ განმეორდება მათი ამჟამინდელი კეთილდღეობის პირობებში. კოლონისტები აშენებენ კარგ ცხენებს, რომლებითაც თავიანთი ნაწარმი და სოფლის მეურნეობის პროდუქტები გადააქვთ[44].

7. სოფელ არმენფელდში *(Armenfeld)* ოდესღაც 35 ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ ისინი იძულებულები იყვნენ მიეტოვებინათ მათთვის გამოყოფილი დასახლება მწირი მიწის გამო. დღეს ეს ოჯახები კატარინფელდის საზღვრებში ცხოვრობენ.

8. ელენენდორფში *(Helenendorf)*[45] 127 ოჯახი ცხოვრობს. ეს სოფელი 7 ვერსზე მდებარეობს ქალაქ ელიზაბეტპოლიდან *(Elisabethpol)* და ყვავის; მოსახლეობას უხვად მოჰყავს ხორბალი, უვლის ვენახს, ზრდის დიდი რაოდენობით მსხვილ რქოსან პირუტყვს და ხდის არაყს, რომელსაც დიდი მოგებით ყიდის.[46]

შარლ ბესი არ აახსენებს 1818 წელს შამქორის ადგილზე დაარსებულ გერმანულ კოლონიას, ანენფელდს, რომელიც ანა პავლოვნას, ალექსანდრე I-ის დის, ნიდერლანდების დედოფლის, სახელობისა იყო.

მტკვრის მარცხენა მხარეს, ავლაბრისა და ისნის გარეუბნებში დასახლებული გერმანელი კოლონისტები ქალაქს საუკეთესო ბოსტნეულით, კარაქით, შაშხით და ძეხვით ამარაგებენ. საქართველოში კარტოფილის კულტურის შემოტანაც მათი მათი

---

de Fontainebleau (Paris: Arnauld de Vresse, Editeur,1860), 440-441.

43 1826 წელს ქურთების მიერ ტყვედ გაყვანილი გერმანელები მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მათი გამოსასყიდი თანხა გერმანიასა და შვეიცარიაში შეგროვდა. რუსეთის მთავრობას მათზე საერთოდ არ უფიქრია სპარსეთთან ხელშეკრულების დადების დროს. Golovin, *The Caucasus*, 92.

44 კატარინფელდი – ეკატერინა პავლოვნას, ალექსანდრე I-ის დის ვიურტემბერგის დედოფლის სახელობის კოლონია დაარსდა ბოლნისში.

45 ელენენდორფი – ვიურტემბერგელი პრინცესას, ელენა პავლოვნას, ალექსანდრე I-ის ძმის, დიდი მთავრის მიხეილის მეუღლის სახელობის კოლონია დაარსდა ხანლარში.

46 Besse, *Voyage en Crimée au Caucase*, 375-377.

დამსახურება იყო. გერმანელები შესანიშნავ ღვინოსაც აყენებდნენ. ბელანჟეს მათი მდგომარეობა ნაკლებად დამაკმაყოფილებლად, ზოგიერთი მათგანის მდგომარეობა კი უკიდურესად ღარიბად მოეჩვენა, რასაც, თავის მხრივ, რუსები, მათ სიზარმაცეს მიაწერდნენ, გერმანელები კი აცხადებდნენ, რომ მათზე დაკისრებული გადასახადი მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა. მიუხედავად ამისა, მათი სახლები კარგად იყო აშენებული და შეიმჩნეოდა ის სისუფთავე, რაც გერმანელებს გამოარჩევდა. გრაფ სიუზანეს ცნობით, თბილისიდან სიღნაღისკენ მიმავალ გზაზე მან რამდენიმე გერმანული კოლონია ნახა, რომლის მოსახლეობა დიდი კეთილდღეობით სარგებლობდა მთავრობის მიერ მიცემული უპირატესობის გამო. მაგრამ, ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ისე განვითარებული, როგორც ეს შეიძლებოდა, რადგან გერმანელები მხოლოდ მათთვის გამოყოფილ მიწას ამუშავებდნენ და არა მათ გარშემო მდებარე ნაყოფიერ ნიადაგს. კოლონისტების რაოდენობა დაახლოებით ათასი იყო.[47]

ახალი თბილისის პირდაპირ მდებარე გერმანულ დასახლებაში, ორმოციოდე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა 1812 წელს დატყვევებული ნაპოლეონის დიდი არმიის საინჟინრო ნაწილის ყოფილი გამმნაღმელი, ჟან-პოლი, რომელსაც ყველა პატივს სცემდა. იგი თბილისში მზარეულად ჩამოეყვანა ერთ გენერალს, მისი თბილისიდან წასვლის შემდეგ ჟან-პოლი თბილისში ცნობილი იყო „როგორც ჯენტლმენი და კარგი მზარეული." მას რესტორნის გახსნა ურჩიეს, რომელიც მეტად წარმატებული იყო რამდენიმე წლის განმავლობაში, შემდეგ კი მან აღარ ისურვა ამ საქმის გაგრძელება და გერმანულ კოლონიაში თავის გერმანელ ცოლთან დასახლდა. როდესაც სთხოვდნენ, იგი მრავალფეროვან კერძებს ზომიერ ფასად გურმანებისა და ქორწილებისთვის ჭეშმარიტი ფრანგი შეფ-მზარეულის აპლომბით ამზადებდა. მასთან მისვლა განსაკუთრებით უცხოელებს უყვარდათ.[48]

---

47 Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 183; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 42-43; Suzannet, *Les provinces du Caucase*, 58; Ivan Golovin, *The Caucasus* by Ivan Golovin (London: Trübner & Co., 1854), 92.

48 Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, III, 250.

გერმანულ სოფელში დასახლებული იყო ფრანგი ნეგოციანტი კასტელაზიც (M. Castelaz). რომელსაც გერმანიაში სავაჭროდ ჩასული სომხებისაგან შეეტყო, თუ რა საქონელი სჭირდებოდა საქართველოს. ყველაზე წარმატებულ საქმედ მას ფუფუნების საგნებით ვაჭრობა და თბილისში საიუველირო მაღაზიის გახსნა მიაჩნდა, სადაც ძვირფასი ლითონების, ბრინჯაოსა და ბროლის საგნები გაიყიდებოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ მისი მყიდველები მდიდარი სომხები, ქართველები, სპარსელები და საქართველოში განლაგებული ჯარის ოფიცრები იქნებოდნენ და ამასთან, არც კონკურენტი ეყოლებოდა. ბელანჟეს აზრით, მთავარი ის იყო, თუ რამდენად პატიოსნად გადაუხდიდნენ მას საქონელში, რადგან, აღმოსავლეთში, ისე როგორც რუსეთში, შეუძლებელი იყო ვაჭრობა კრედიტის გარეშე, უფრო ძნელი კი პატიოსანი გადამხდელის პოვნა. კასტელაზს ეს არ აწუხებდა, რადგან რუსეთის ქვეშევრდომობა ჰქონდა მიღებული და იმედი ჰქონდა, რომ მთავრობა მას უფრო მეტად დაეხმარებოდა, ვიდრე უცხოელს. ეს ოპერაცია არ იყო საქართველოში მისი დამკვიდრების ერთადერთი მიზეზი. მას იმედი ჰქონდა, რომ წარმატებით აამუშავებდა ამიერკავკასიის პროვინციის მეაბრეშემეობას და ამგვარად აინაზღაურებდა თავისი გეგმის არასასურველ შედეგებს. კასტელაზს სურდა გაეუმჯობესებინა აბრეშუმის გაწელვა. ამ მიზნით მან ვივარედან[49] თბილისში რამდენიმე ფრანგები ხელოსანი ჩაიყვანა და ყველას საკმაოდ კარგად გადაუხადეს, ისე, როგორც დიდ სამეცნიერო ექსპედიციაში. ამას გარდა, მან ხელსწყოები – ვიწრო დიამეტრის ბორბლებიც ჩამოიტანა. მან მოახერხა და ათი წლით მიიღო ამ მხარეში ჭიის პარკის ექსკლიუზიური დართვის პრივილეგია. რადგან აბრეშუმი შეიძლებოდა გამხდარიყო საქართველოს შემოსავლის მომგებიანი წყარო, რუსეთის უმდიდრესმა ოჯახებმა შექმნეს ფონდი და შვეიცარელ კასტელაზს გადასცეს განკარგულებაში. ბელანჟეს აზრით, კასტელაზის მიერ დარენგილი გაუმჯობესებული მეთოდის დახმარებით უფრო დიდი რაოდენობის წარმოების გაშლაც შეიძლებოდა, მაგრამ საჭირო იყო თუთის ხის გაშენება, რომელიც

49 ვივარე – ისტორიული ოლქი ლანგედოკის (საფრანგეთი) ჩრდილოაღმოსავლეთში, არდეშის დეპარტამენტში.

კარგად ხარობდა თბილისის სტეპურ ზონაში, ხოლო მათი დიდი პლანტაცია უფრო მდიდრულ და სასიამოვნო იერს შესძენდა დღეს ასე უხალისო მიდამოებს.[50]

დიუბუა დე მონპერეს ცნობით, 1834 წელს თბილისში ახლად შექმნილი სასოფლო სამეურნეო საზოგადოების პირველი სამუშაო თემა სწორედ გერმანულ კოლონიებთან და კასტელაზის აბრეშუმის ფაბრიკასთან არტიზიული წყლების მოძიება და მიყვანა იყო. კასტელაზის გეგმები ფართო ხედვაზე მეტყველებდა: მტკვრის ნაპირზე შეძენილი უზარმაზარი ფართობზე განსაზღვრული იყო გემოვნებიანი არქიტექტურის მქონე შენობები აგება და თუთის პლანტაციების გაშენება. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ყველა გეგმა ჩაიშალა: მთელი ფული ადგილზე დაფუძნებას მოხმარდა, მისი გარდაცვალების შემდეგ შენობების მხოლოდ მცირე ფრაგმენტები შემორჩა და საწარმოს სავარაუდო ამუშავება, რომლის მთავარი აქციონერი მთავრობა იყო, თბილისის საფინანსო მმართველობას დაუქვემდებარეს. ამ პროექტის წარმატების მოსურნე მინისტრმა 80 ქალი დაასაქმა აბრეშუმის პარკების დასახვევად, რაც ხამ აბრეშუმად და ორგანიზებულად მუშავდებოდა და იგზავნებოდა მოსკოვში. მინისტრის ზრუნვის მიუხედავად, დაწესებულება ვერ განვითარდა, მართვის მეთოდიც შეცვალეს, მაგრამ დაქირავებული ქალების დავალიანებაც ვერ დაფარეს.[51]

ტეიულის ცნობით, თბილისის მახლობლად მდებარე გერმანული კოლონიის განიერი ესპლანადის ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყო საკმაოდ სუფთა პატარა სახლები. ყოველ სახლს რამდენიმე მეტრის გარშემო თავისუფალი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი ბოსტნეულის მოსაყვანად და ყვავილების დასარგვაად. სოფლის ცენტრში პატარა, სადა პროტესტანტული ეკლესია იდგა. კოლონიის საქმიანობა რეგულირდებოდა ე.წ. ოჯახის საბჭოს მიერ, რომელიც პროვინციის გუბერნატორთან ერთად ითვალისწინებდა დასახლების ყველა წევრის ინტერესს. კოლონიებისთვის გამოყოფილი მიწა საშუალო ხარისხისა იყო, წყალი

50 Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 44-45. კასტელაზის (კასტელას) მოღვაწეობას საქართველოში გაკვრით ეხება გამბაც.

51 Duois de Montpéreux,*Voyage autour du Caucase*, III, 237, 264.

კი არ იყო მიყვანილი. ჭის წყლის ამოღება მეტად ძვირიც ჯდებოდა და არც მოსარწყავად იყო საკმარისი. კოლონიამდე წყლის მიყვანის გეგმა არსებობდა: თბილისიდან რამდენიმე ლიეთი მაღლა, მტკვარზე მოწყობილი კაშხალი, რომლის დინება არხების მეშვეობით განიტოტებოდა.[52]

ლეიტენანტ პიშონის ცნობით, რუსეთის ოკუპაციის შემდეგ, თბილისის გარშემო 4-5 ლიეზე დააარსდა გერმანული კოლონიები, რომლებსაც დასამუშავებლად კარგი მიწები მისცეს და წარმატების საშუალება შეუქმნეს.[53]

1848 წლისთვის ქალაქიდან ახლომდებარე გერმანულ დასახლებაში იყო ფართო ქუჩა, ერთსართულიანი ხის სახლები, ყველა კარგ მდგომარეობაში, რასაც ეტყობა აქ კომფორტულად მოწყობილი ადამიანების მომჭირნეობა და რესპექტაბელობა.[54]

XIX საუკუნის მეორე ნახევარი

კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნული გენერალი ალექსანდრე ბარიატინსკის[55] მმართველობის პერიოდში (1856-1863) საქართველოში იმოგზაურეს ფრანგმა მხატვარმა ფარამონ ბლანშარმა[56] (1857), შვეიცარელმა ხელოვნებათმცოდნემ ფლო-

52 Teule, *Pensées et notes critiques*, 115.

53 Lieutenant Pichon. La Géorgie. 1852. Service historique de l'Armée de Terre (Shat). Perse 1807-1857, 1M, n°1673, cachier 43.

54 George Leighton Diston, *Circassia: A Tour to the Caucasus*. New-York: Stringer & Townsend, 1850, 300-301.

55 ალექსანდრე ბარიატინსკი (1815-1879) – თავადი, რუსი ფელდმარშალი (1859), 1835 წლიდან კავკასიის ომების აქტიური მონაწილე. 1856-1863 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი.

56 ანრი პიერ ლეონ ფარამონ ბლანშარი (Henri Pierre Léon Pharamond Blanchard) (1805-1873) – ფრანგი მხატვარი, ლითოგრაფი, მწერალი და ილუსტრატორი. 1856 წელს იგი მხატვრად მიიწვიეს იმპერატორ ალექსანდრე II-ს კორონაციაზე. ბლანშარმა იმპერატორის ოჯახთან ერთად იმოგზაურა ვოლგაზე. ამ მოგზაურობის დროს აკვარელით შესრულებული სურათები მან იმპერატრიცას მიართვა. წინამდებარე თხზულებაში მოცემულია ბლანშარის შთაბეჭდილებები კავკასიაში მოგზაურობის შესახებ.

რიან ჟილმა[57] (1858), ფრანგმა მხატვარმა ჟან-პიერ მუანემ[58] ალექსანდრე დიუმასთან ერთად (1858 წლის დეკემბერი-1859 წლის მარტი) და 1860 წელს ფრანგმა პოეტმა ანრი კანტელმა[59].

ფარამონ ბლანშარი საქართველოში ახლად დანიშნულ მეფისნაცვალთან, გენერალ ბარიატინსკის მიწვევით და მასთან ერთად ჩავიდა. იგი საგანგებოდ არ აღწერს თბილისის იერსახეს, მაგრამ გვაწვდის ცნობებს თბილისის მოსახლეობის მიერ „ნამესნიკისთვის“ გამართული დახვედრის შესახებ, რასაც იგი „ჭეშმარიტად ტრიუმფალურს“ და „ევროპული და აღმოსავლური ზარ-ზეიმის ნაზავს“ უწოდებს. თბილისის ქუჩებში სხვადასხვა ეროვნების ხალხი ირეოდა, სახლების გადმოკიდებული აივნები და ბრტყელი სახურავები მშვენიერი ქართველი ქალებითა და ბავშვებით იყო სავსე; ბლანშარის აზრით, ეს სანახაობა ორი ბრწყინვალე მხატვარის – დეკანისა[60] და მარილას[61] – „ფუნჯის ღირსი იყო“. მეფისნაცვლის სასახლის წინ მდებარე მოედანი და მიმდებარე ქუჩები საღამოსაც სავსე იყო ხალხით, რომელთაც ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ, მეფისნაცვლისთვის ბედნიერად ჩამოსვლის მისალოცად თბილისის ამქრები მუსიკითა და შემართული ალმებით მივიდნენ, მისი გამოჩენისას ვაშა დასძახეს და ხმამაღალი მუსიკის თანხლებით წარმოსადეგმა ხელოსნებმა *ლეზგინკა* იცეკვეს. ეს სცენები ასახულია ბლანშა-

---

57 ფლორიან ჟილი (Florian Gille) (1801-1864) – ხელოვნებათმცოდნე, ისტორიკოსი, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მემკვიდრეს – მომავალ იმპერატორ ალექსანდრე II-ს ფრანგულ ენას და გეოგრაფიას, ხოლო იმპერატორის ქალიშვილებს – პრინცესებს მარიას, ოლგასა და ალექსანდრას – ისტორიას ასწავლიდა.

58 ჟან-პიერ მუანე (Jean Pierre Moynet) (1819-1876) – ფრანგი მხატვარი, დეკორატორი და ლითოგრაფი. რუსეთსა და კავკასიაში მოგზაურობის დროს დახატა მრავალი ჟანრული სცენა და პეიზაჟი.

59 ანრი კანტელი (Henri Cantel) (1825-1878), შარლ ბოდლერის ერთ-ერთი პირველი მიმდევარი.

60 ალექსანდრ-გაბრიელ დეკანი (Alexandre-Gabriel Decamps) (1803-1860) – ფრანგი მხატვარი. მისი ნამუშევრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია ლუვრისა და კონდეს (შანტიი) მუზეუმებში.

61 ჟორჟ-ანტუან-პროსპერ მარილა (Antoine-George-Prosper Marilhat) (1811-1847) – ფრანგი ორიენტალისტი-მხატვრების ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი.

რის ნახატებზე – „თავად ბარიატინსკის შესვლა თბილისში“ და „ლეზგინკა“. ბლანშარი დაესწრო ბარიატინსკის საპატივსაცემლოდ თავადაზნაურობის მიერ გიმნაზიის შენობაში გამართულ მეჯლისს და თავად ბარიატინსკის მიერ წმინდა გიორგის დღესასწაულზე სასახლის ბაღში ამ ორდენის მქონე ყველა რაინდის, დაახლოებით შვიდასი კაცის – გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების – მიღებას, სადაც გამასპინძლება და მომსახურება ყველასთვის ერთნაირი იყო.[62]

ფლორიან ჟილის შეფასებით, ტიფლისის შენობების იერსახე და თვითონ ქალაქი ერთდროულად იყო აზიაც და ევროპაც. ჟან-პიერ მუანეს თქმით, „მხატვრისთვის ტიფლისი ჭეშმარიტი საოცრება“ იყო. ანრი კანტელი თბილისს აზიისა და ევროპის შესაყარს და მტკვარზე „ზანტად მოკალათებულ ქალაქს“ უწოდებს, სადაც ირეოდა ოცი რელიგია, ოცი სხვადასხვა ეროვნების ხალხი და მოგზაურების გასაოცებლად თუ გასახარებლად, ყველაზე საინტერესო კონტრასტებიც ამ ქალაქში იყო თავმოყრილი. ძველ ქალაქს შენარჩუნებული ჰქონდა აღმოსავლური იერსახე. ხეობის სიღრმეში „მტკვარი ზღვასავით შრიალით მიაგორებდა ვერცხლისფერ ლენტს.“ მტკვრის ციცაბო ნაპირებზე და მთის ბორცვებზე სართულებად შეფენილიყო ერთმანეთზე ჩამოკიდებული, თითქოს კლდეს მოჭიდებული სახლები. მნახველს იტაცებდა ბაღების მწვანე მასივები, ბაზარი, წვეტიანი კვიპაროსებისა და ეკლესიების მწვანე თუ მოოქროვილი მოელვარე გუმბათები, მამა დავითის მთა, რომელზეც არწივის ბუდესავით ეკიდა თითქმის ნანგრევებად ქცეული და მომლოცველთათვის ძვირფასი ძველი ეკლესია. ბაზრის უბანში მდებარე სიონის ძველი საკათედრო ტაძარის შიდა თაღები ფლორიან ჟილს ვენეციის წმინდა მარკოზის ტაძარს ახსენებდა. მტკვრისკენ მიმავალი დაკლაკნილი ქუჩების ორივე მხარეს მდებარე ფარდულებში ხელოსნები თვითონ ამზადებდნენ და თვითონვე ყიდდნენ თავიანთ ნაწარმს. მტკვრისკენ დაშვებასთან ერთად პროფესიები თანდათან იცვლებოდა და ისე იყოფოდა ხელობებად, როგორც შუა საუკუნეებში. ქუჩებს სახელწოდებები რომ ჰქონოდათ, ეს

62 Pharamon Blanchard, “Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)”. *Le Tour Du Monde*, II (1860): 114-118.

იქნებოდა პროფესიების დასახელებები, ისე, როგორც პარიზში – მაგ. მექუდის ქუჩა, ზეინკალის ქუჩა, იუველირების ქუჩა და ა.შ. მეიარაღეებს გამოფენილი ჰქონდათ შაშკები და ხანჯლები, პისტოლეტები და თოფები, რომლებიც ბიზანტიური სტილის ორნამენტებით, შესანიშნავად ნამუშევარი და გემოვნებიანი სევადით იყო მორთული. სასიამოვნო სანახავი იყო ხილის გამყიდველების ფარდულები, სადაც მეტად ეფექტურად ჩანდა ფოთლებში გირლიანდებად აკინძული ხილი. ხოლო ავლაბრისა და ისნის გარეუბნებთან კვირაობით გამართულ ბაზრობაზე ნანახი ნივთების გამო მუანე წერს: „რა ძვირფასი ნივთებია! რამდენი ატელიეს მორთვა შეიძლება ამ ორიგინალური განძით! სამწუხაროა, რომ ყველაფერს ვერ წავიღებთ."

ძველი ქალაქის გვერდით აღმოცენებულ ახალ, ევროპული იერისახის ქალაქში იყო გრძელი პროსპექტი, დიდი მოედნები, ლამაზი ქუჩები, ერთმანეთისგან დაცილებული ელეგანტური სახლები, მდიდრული მაღაზიები და არისტოკრატიული სახლები. მადათოვის ძველ მოედანთან, რომელსაც ალექსანდრე II-ს (1856-1881) სახელი დაერქვა, მისვლა თავად მიხეილ ვორონცოვის მმართველობის დროს მტკვარზე აშენებული ხიდით იყო შესაძლებელი. ჟან-პიერ მუანე აღნიშნავს, რომ თბილისში ახლად გახსნილი იყო ფრანგული სასტუმრო (l'Hôtel Français)[63], მაგრამ იგი, ალექსანდრე დიუმა და მათი თარჯიმანი მოსკოველი სტუდენტი კალინო, თეატრის მოედანზე მდებარე მდიდარი ქართველის, ივანე ზუბალოვის შესანიშნავ სასახლეში დაასახლეს, სადაც მათ განკარგულებაში ორი საწოლი და ერთი დიდი სასტუმრო ოთახი იყო. რამდენიმე თვით მათზე ადრე ჩამოსული ფლორიან ჟილი კი მეფისნაცვლის საგანგებო კანცელარიის მოხელეს, მელიქ-ბეგლიაროვის[64] სახლში დააბინავეს. თბილისის

63 ადრეულ თბილისურ სასტუმროებს შორის ყველაზე სტაბილურად წარმატებული აღმოჩნდა 1858 წელს ერივანსკის მოედანზე, ოლქის შტაბის გვერდით, სუმბათაშვილების სახლში გახსნილი „კავკაზი", "Hôtel du Caucas", რომელიც თეატრის მოედანზე ერთ ფრანგს, გიიომს გაეხსნა (ხოშტარია, თბილისი. ძველი სასტუმროები, 35).

64 გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს შამირ მელიქ-ბეგლიაროვმა სამსახური სპარსული ენის თარჯიმანი იყო. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომში პორუჩიკის წოდებით,

ევროპული იერსახის მიუხედავად, ქალქში არ იყო გაზის განათება და წყალგაყვანილობა.[65]

ფრანგმა და ფრანკოფონმა მოგზაურებმა XIX საუკუნის დასაწყისში საგანგებოდ გამოარჩიეს ბანიან სახურავიანი სახლები, სადაც ქართველები ნახევარ ცხოვრებას ატარებდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი სახლები მხოლოდ ძველ უბნებში იყო შემორჩენილი. ზაფხულში სიცხის გამო თბილისის მოსახლეობა მთელი დღით სახლში იკეტებოდა, ქალაქი საღამოს იღვიძებდა, აივნები და სახლების ბრტყელი სახურავები, რასაც ფლორიან ჟილი ნეაპოლის საჰაერო დარბაზებს (salons aériens) ადარებს, ხალხით ივსებოდა და ახალი თბილისი თითქოს ჯადოსნური კვერთხის დაქნევაზე ჩნდებოდა. იქ ოჯახის წევრები და მათი მეგობრები იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, ყოველი მხრიდან ისმოდა სიმღერისა და მუსიკის ხმა და ლამაზი ქართველი ქალები დაირის თანხლებით ლეზგინკას *(lesghienne)* ცეკვავდნენ. ეს იყო სალონი, სადაც ლიკლამას ცნობით, ლამაზი ქართველი ქალები თავიანთ თაყვანისმცემლებს უნიშნავდნენ შეხვედრებს.[66]

თბილისის ძველ ნაწილში არსებულ შენობებს შორის ფარამონ ბლანშარის ყურადღება მიიპყრო 1857 წელს თავად ბარიატინსკის საპატივცემულოდ თბილისელი ვაჭრების მიერ სიონის გვერდით მდებარე მდიდარი თბილისელი სომეხი ვაჭ-

---

1827 წელს კაპიტნის, ხოლო 1828-1829 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომში გამოჩენილი მამაცობისთვის ვიცე-პოლკოვნიკის, 1847 წელს კი კავალერიის პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. 1850 წელს გადადგა სამსახურიდან გენერალ-მაიორის წოდებით.

65 Floriant Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, ouvrage enrichi de trente vignettes dessinées d'après nature, et d'une carte dressée au dépot topographique de la guerre à St. Pétersbourg (Paris, Gide, Libraire-Editeur, 1859), 261-263, 274; Jean-Pierre Moynet, "Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir. De Bakou à Tiflis 1859 (Inédit)". Texte et dessins de M. Moynet. *Le Tour du monde,* I (1860): 318-320, 324; Alexandre Dumas, *Le Caucase: journal de voyages et romans* (Paris: Librairie théatrale, 1859), 403; Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 276; Henri Cantel, "Héraklés, scènes de la vie géorgienne". *Revue des deux mondes*, 46 (1863): 455.

66 SHAD, n°1486, 1M, fol. 31-33; Bélanger, *Voyage aux Indes*, II, 56; Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 274; Moynet, "Voyage à la la mer Caspienne", 324; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 422-423.

რის, არცრუნის სახლში[67] გამართული მეჯლისის დროს ნანახმა სპარსულ ყაიდაზე მოწყობილმა დარბაზმა. მხატვარი მოიხიბლა ყველა ფორმის ყალიონმა[68], ვერცხლის ლარნაკებმა, სარკეების შესანიშნავმა ჩარჩოებმა, კედლის საინტერესო ფერწერამ, მდიდრულად მორთულმა იარაღმა და სხვა ნივთებმა; სანთლებით კარგად განათებული დარბაზის გარშემო ხალიჩებით დაფარული დიდი ტახტები იდგა, კედლებზე ხასხასა და ამავე დროს ჰარმონიული ფერების სპარსული ხალიჩები ეკიდა. მიღებაზე მოწვეული სპარსული ორკესტრი აკომპანიმენტს უწევდა ცნობილ სათარას[69], რომელსაც მხატვარი სპარსეთის რუბილის[70] და დიუპრეს[71] უწოდებს.[72]

ფლორიან ჟილის ცნობით, თბილისში ნელ-ნელა ქრებოდა და საძებნელი ხდებოდა ძველი სახლების ქვედა სართულის ნახევრად მიწური დარბაზები, სადაც ესპანური შიდა ეზოს *(du patio espagnol)* მსგავსად, ხალხი ზაფხულის დიდი სიცხის დროს სიგრილეში აფარებდა თავს. შვეიცარელი ხელოვნებათმცოდნე ასე აღწერს ამ შენობას: „მეტად სქელ კედელში მხოლოდ ერთი კარია დატანებული, ოთახში სინათლე ორ რიგად გამოჭრილი თაღიანი ფანჯრებიდან შედის, იატაკის ნაცვლად ქვის ლამაზი ფილებია; ფანჯრებზე დიდი ორიგინალურობით გაკეთებული

67 აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას დანგრეული ქარვასლების ადგილზე XIX საუკუნეში ახალი ქარვასლები შენდება. მეფე როსტომის მიერ 1650 წელს სიონის გვერდით აგებული ქარვასლის ნანგრევებზე აშენდა არცრუნის ქარვასლა. რომელიც სერიოზულად დაზიანდა ხანძრისაგან და 1855 წელს გადაკეთდა (თ. *კვირკველია, ძველთბილისური დასახელებანი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1985, 99)

68 სპარსული ყალიონი, ნარგილეს მსგავსი (ბლანშარის შენიშვნა).

69 სათარა (1829, არდებილი – გარდაიცვალა ტიფლისში, თარიღი უცნობია) – აზერბაიჯანის სახალხო მომღერალი. ხშირად მღეროდა თავრიზისა და თეირანის შეკრებებზე. 1845 წლიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. მის გამოსვლებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ მირზა ფათალი ახუნდოვი, ხაჩატურ აბოვიანი, გიორგი ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, იაკობ პოლონსკი და იმჟამინდელი პრესა.

70 ჯოვანი ბატისტა რუბილი (1794-1854) – იტალიელი ტენორი.

71 ჟილბერ-ლუი დიუპრე (1806-1896) – ფრანგი ტენორი.

72 Blanchard, “Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)”. *Le Tour Du Monde* , II (1860): 115-116.

ხის გისოსები ოთახების მხარეს იხსნება; ნიშებზე ფარდებია ჩამოფარებული, ავეჯად გრძელი, ხის სვეტზე მოოქროვილი ლურსმნებით დაჭედებული, დიდ გემოვნებით მოჩუქურთმებული განიერი ტახტებია. ეს არის ჭეშმარიტი გალია სახლის სიღრმეში, რომელსაც შიდა კარი აქვს; სიგრილის შესანაჩუნებლად ის მიწის დონეზეა, მაგრამ იმგვარად, რომ ორი სართული დაიკავოს და იქ ბევრი ჰაერი შენარჩუნდეს. ის მთელი ოჯახის შიდა თავშესაფარი, შეკრების ცენტრია. – აი რას უწოდებენ ტიფლისში დარბაზს *(darbazi)*, რომლის ეკვივალენტია სპარსული დარბასთე *(dorbeste)*. ამ ქვეყანაში სადაც ზაფხულში დიდი სიცხეები იცის, ეს ერთ-ერთი საუკეთესოდ მოწყობილი რამაა."[73]

ფრანგმა და ფრანკოფონმა მოგზაურებმა თბილისის ახალ, ევროპულ-რუსულ ნაწილშიც გამოარჩიეს ისეთი შენობები, რომელთა ექსტერერიერი ევროპული, ინტერიერი კი აზიური იყო.

ფლორიან ჟილმა ახალი თბილისის შუაგულში, მის სრულიად ევროპულ ბულვარებზე აღმოაჩინა აზიური ელემენტების თვალსაჩინოდ ბრწყინვალე მოწმობა. ეს სახლი, რომელსაც ჟილი სასახლეს უწოდებს, ეკუთვნოდა ტიფლისელი ვაჭრების თავს, წარჩინებულ, მდიდარ ბურჟუას არშაკუნის.[74] მოგზაურის ცნობით, არშაკუნის ქონება სალიანის თევზჭერით ეშოვნა. მას ჰყავდა ცოლი, მაგრამ უშვილო იყო. ჟილის აღწერით, ამ შენობის ექსტერიერი უფრო ევროპული, მაგრამ ინტერიერი თურქული და სპარსული გემოვნების ორნამენტების სიმდიდრის მიხედვით ნამდვილი აზიას წარმოადგენდა. ამ სახლში იყო ზამთრისა და ზაფხულის ბაღები, ტერასები, შადრევნები, ლამაზი მცენარეები, ფანჩატურები, გალერეები, მისაღები, საკონცერტო და სხვა დარბაზები, ოთახები, კაბინეტები, აბანოები, მოჩუქურთმებული ხე, სარკის ფასეტებით[75] დაფარული კედლები, ჭერი და

73 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 274.

74 ვარდან არშაკუნის სასახლე XIX საუკუნის 50-იან წლების ბოლოს აშენდა არქიტექტორ გრიგორი ივანოვის პროექტით. 1869-1886 წლებში ამ სახლში „საარტისტო წრე" იყო, 1922 წლიდან კი მასში სამხატვრო აკადემია ფუნქციონირებს. ვარდან ასტვაცატრიან არშაკუნი 1858-1860 წლებში ტიფლისის მერი იყო.

75 ფასეტი – ირიბად ჩამოხრილი, დაცერებული გვერდითი წახნაგი რისამე, მაგ. სარკის.

ნიშები. ამ შენობის ორმოცდაათამდე დიდი და პატარა ოთახი მორთული იყო სპარსეთის ხალიჩებით, შალებით და ქსოვილების ელვარე ფერებით. ხელოვნებათმცოდნეს აზრით, სპარსეთის მმართველ შაჰსაც[76] კი არ ექნებოდა ასეთი ლამაზი საცხოვრებელი. მოგზაურის შეფასებით, ასეთი სასახლე ევროპაში უჭველად ძალიან ძვირი ეღირებოდა. მაგრამ თბილისში, სადაც ევროპული საქონელი უძვირესი, მაგრამ აზიური კვლავ იაფი იყო, ამ სასახლის პატრონმა, თითქმის ექსკლუზიურად, კარგად მოიფიქრა კავკასიაში მყოფი უამრავი თურქი და სპარსელი კვალიფიციური ხელოსნის შედარებით მინიმალურ თანხად დაქირავება. ადგილზე მიღებული ცნობის თანახმად, სომეხმა მილიონერმა ამ სასახლეში 400,000 რუბლი გადაიხადა (1,600,000 ფრანკი). ჟილის შეფასებით, არშაკუნის ამ ახირებაში დიდი ფუფუნება და კარგი გემოვნება ჩანდა.[77] ლიკლამა ა ნეიჰოლტი ასევე აღწერს *გოლოვინსკის ბულვარზე* მდებარე ამ შენობას და მას სასახლეს უწოდებს, რომელიც ფუფუნებით უეჭველად ეჯიბრებოდა, თუ არ აღემატებოდა კიდეც თვით მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილის რეზიდენციას. ლიკლამა ა ნეიეჰოლტი არშაკუნის ნაბობს[78] უწოდებს და აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამ თავადური ახირების საშუალება მას შამაიას *(schahmaia)* ანუ „თევზების მეფით“ ვაჭრობამ მისცა.[79]

ფლორიან ჟილის შემდეგი ცნობა ეხება ისეთ დაწესებულებას, რომელიც შინაარსით ევროპას ეკუთვნოდა, მაგრამ ინტერიერის ორნამენტებში აზიური ელემენტები ჭარბობდა. ასეთი იყო თბილისის პირველი თეატრის დარბაზი, სადაც მას თავი აზიაში ეგონა და რომელიც სულტანსაც კი დააკმაყოფილებდა.[80]

თბილისის პირველი თეატრის მშენებლობა 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, თაოს-

76 იგულისხმება ფათჰ-ალი შაჰის შვილთაშვილი, ნასერ ად-დინ შაჰი (1848-1896).

77 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 267-269.

78 ნაბობი – ინდოეთის იმ პროვინციების მმართველთა ტიტული, რომლებიც ჩამოსცილდნენ დიდ მოგოლების იმპერიას.

79 Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 421-423.

80 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 267.

ნობით 1847 წელს დაიწყო. შენობის პროექტი იტალიელ არქიტექტორს, ჯოვანი სკუდიერის, გაფორმება კი გრიგორი გაგარინს, ეკუთვნოდა. თეატრის მშენებლობა 1851 წელს დასრულდა. შენობა 1874 წელს დაიწვა.

ამ თეატრის გახსნას მიეძღვანა 1851 წლის 23 ოქტომბერს გაზეთ – "L'Illustration, Journal Universel"-ში[81] დაბეჭდილი თბილისში საფრანგეთის მეორე კლასის კონსულის, ედმონ დე ბარესის წერილი სათაურით „მავრიტანული სტილის თეატრი, შექმნილი და განხორციელებული ტიფლისში თავად გრიგორი გაგარინის მიერ", რომელსაც ერთვის ორი ილუსტრაცია – ერთზე ასახულია 1851 წლის 12 აპრილს თეატრის გახსნასთან დაკავშირებით გამართული მეჯლისი, მეორეზე წარმოდგენილია თეატრის მთავარი დარბაზი. ფრანგი კონსული დაწვრილებით აღწერს შენობის ინტერიერს, რომელსაც „ათას ერთი ღამის" მომხიბვლელ სურათს ადარებს. ნიშებში ოქროს ფონზე ამობურცული აღმოსავლური ფორმის ვერცხლის ლარნაკებიდან მონაცვლეებით, რელიეფურად გამოდიოდა ბუნებრივი ფერის ყვავილი – ჟასმინი, ვარდი, ფუქსია, შროშანი, ზამბახი და სხვ. დომინანტი ფერი იყო ოდნავ მომწვანო ცისფერის ნაზი ელფერი; ოქრო, თეთრი და ვერცხლი სავსებით შეესაბამებოდა გემოვნებით გადაწყვეტილ პროპორციებს, კორიდორების აგურის კონტრასტული წითელი ფერი დამატებით ეფექტს სძენდა ფორმებისა და ფერების დიდებულ ჰარმონიას. თეატრის თაღი მთლიანად იყო დაფარული ვრცელი და მდიდრული არაბესკებით, რომელთა ირგვლივ ოქროს ასოებით ბრწყინავდა მთელ მსოფლიოში ცნობილი დრამატურგების გვარები: ესქილე[82], პლავტუსი[83], შუდრაკა[84], შექსპირი, კალდერონი, მოლიერი, გოლდონი, გოეთე, გრიბოედოვი. კორიდორების გარშემო თეთრი და შავი ფერის კუფური წარ-

81 1851 წელს გაზეთ „კავკაზში" (N29) დაიბეჭდა თეატრის დირექტორის, ვლადიმერ სოლოგუბის წერილი.

82 ესქილე (ძვ. წ. 525 – ძვ. წ. 456) – ძველი ბერძენი დრამატურგი, ევროპული ტრაგედიის მამა.

83 ტიტუს მაკციუს პლავტუსი (ძვ. წ. 254 – ძვ. წ. 184) – გამოჩენილი რომაელი დრამატურგი.

84 შუდრაკა – ინდოელი პრინცი, დრამატურგი, სანსკრიტული ლიტერატურის კლასიკოსი. ცხოვრობდა ძვ. წ. VII საუკუნემდე.

წერით შექმნილ ნატიფ ფრიზზე[85] აღმოსავლური ენების მცოდნეთ და განათლებულ მუსლიმებს დარბაზის აშენების თარიღს, ვორონცოვის, გაგარინისა[86] და სხვა მონაწილეთა გვარებს ამოკითხვა შეეძლოთ. გაგარინის ეს იდეა განახორციელებული იყო აღმოსავლეთმცოდნე ნიკოლაი ხანიკოვის[87] მიერ. მთელი დარბაზი ჩაფიქრებული, შესრულებული და დასრულებული იყო თავად გაგარინის მიერ, რომელსაც სურდა: 1. ისეთი ძეგლის შექმნა, რომელიც არ იქნებოდა დასავლეთ ევროპის მონუმენტების არასრულყოფილი და უმნიშვნელო ასლი; 2. კავკასიის ხალხების მოხიბვლა ამ მდიდრული, მოხდენილი და შესანიშნავი არქიტექტურის არაჩვეულებრივი მაგალითით; 3. ამ უნიკალურ ქმნილებას, რომელიც დასავლეთის მხრიდან აღფრთოვანებასა და მიბაძვას იმსახურებდა, აზიაშიც გამოეწვია ხელოვნების განვითარება და გამოცოცხლება."[88]

ჟან-პიერ მუანე და ალექსანდრე დიუმა თბილისში პროვინციის პატარა ქალაქებისთვის დამახასიათებელი ოდნავ პრიმიტიული თეატრის ნახვას ელოდნენ, მაგრამ ძლიერ გაოცებულები დარჩნენ, როდესაც ისეთ ულამაზეს დარბაზში მოხვდნენ, როგორიც არასოდეს არ ენახათ. მუანეს წერს: „მხატვრის წარმოსახვიდან ამაზე ელგანტური დეკორაცია არ შექმნილა. მისი აღწერა თითქმის შეუძლებელია. მხატვარი შთაგონებული იყო სპარსული არქიტექტურით და შესძლო მისი მისადაგება სრულიად თანამედროვე საჭიროებისთვის, რასაც თეატრი ეწოდება."[89]

---

85 ფრიზი (ფრანგ.frise) – დეკორატიული კომპოზიცია ჰორიზონტალური ზოლის ან ლენტის სახით, რომელიც აგვირგვინებს ან გარს აკრავს არქიტექტურული ნაგებობის ამა თუ იმ ნაწილს.

86 გრიგოლ გაგარინი (1810-1893) – თავადი, რუსი მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, რუსეთის იმპერიტორის კარის ობერგოფმეისტერი.

87 ნიკოლაი ხანიკოვი (1822-1878) – ცნობილი რუსი მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე.

88 Edmond de Barrère. Salle de spectacle dans le style mauresque, conçue et exécute par le prince Grégoire Gagarine, à Tiflis (Géorgie). – *L'Illustration, Journal Universel*, 23 octobre, N 18, 1851, 261-262.

89 Moynet, *Voyage à la la mer Caspienne*, I, 119.

ალექსანდრე დიუმას სიტყვებით, ეს იყო მის მიერ ნანახი ყველაზე მომხიბლავი დარბაზი, ზღაპრული სასახლე გემოვნების და არა სიმდიდრის თვალსაზრისით, რადგან მისი აზრით, იქ 100 რუბლის ვარაყიც კი არ ჩანდა. მწერალმა თეატრის ფარდას მომაჯადოებელი უწოდა და საკმაოდ დაწვრილებით აღწერა: ფარდის შუაში აღმართული კვარცხლბეკის მარცხენა მხარეს გამოსახული იყო რუსეთი, მარჯვენა მხარეს – საქართველო. რუსეთის მხარეს ჩანდა სანკტ-პეტერბურგი და ნევა, მოსკოვი და კრემლი, ხიდები, რკინიგზა, ორთქლის გემები ანუ ცივილიზაცია. საქართველოს მხარეს იყო ტიფლისი თავისი ნანგრევებითა და ციხესიმაგრეებით, ბაზრებით, კლდიანი ფერდობებით, დაუმორჩილებელი მტკვარითა და მოწმენდილი ცით – პოეზია. კვარცხლბეკის ძირში რუსეთის მხარეს იყო კონსტანტინეს ჯვარი, წმ. ვლადიმირის სანაწილე, ციმბირული ბეწვი, ვოლგის თევზი, უკრაინის ხორბალი, ყირიმის ხილი – ანუ რელიგია, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, სიუხვე. საქართველოს მხარეს ჩანდა საუცხოო ქსოვილები, შესანიშნავი იარაღი, თოფები ვერცხლის სამაგრებით, ოქროთი და სპილოს ძვლით მორთული ხანჯლები, მოსევადებული შაშკები, მოოქროვილი ვერცხლის კულები, სადაფით მორთული მანდოლინები, დოლები სპილენძის ზანზალაკებით, აბანოზის ზურნები ანუ მორთულობა, ომი, ცეკვა, მუსიკა. დიუმას კომენტარი შემდეგია:

რუსეთი – პირქუში მბრძანებელი, რომელსაც თავისი სიდიადე ვერ ახალისებს.

საქართველო – ბედნიერი მონა, რომელსაც თავისი მორჩილება ვერ დააღონებს.[90]

ლიკლამა ა ნეიეჰოლტი ამ თეატრს თბილისის ყველაზე მნიშვნელოვან არქიტექტურულ ნაგებობას უწოდებდა. მისი გამორჩეული ინტერიერი აღმოსავლური და დასავლური ხელოვნების ყველაზე უფრო მარჯვე ნაზავი და პოეტურად ორიგინალური იყო. დარბაზი თავისთავად იყო სპექტაკლი, მისი მოხატულობა „ათას ერთ ღამის“ ფანტაზიებს აღძრავდა. მისი თქმით, თვადმა გაგარინმა შესძლო იმ გაზვიადების შეკავება, რაც იმ ევროპელი მხატვრების კომპოზიციებს ახასიათებდა, რომლებიც აცხადებ-

90 Dumas, *Le Caucase*, 143.

დნენ, რომ აღმოსავლეთით იყვნენ შთაგონებულები. თეატრში ყოველივე ზომიერი, მარტივი და ამავე დროს მეტად მდიდრული და უზომოდ ელეგანტური იყო.[91] თბილისში 1872 წელს მყოფი ბარონი მაქს ფონ ტიელმანი ასევე აღნიშნავდა, რომ თეატრის დარბაზი მეტად მოხდენილი იყო და ხელს შეუწყობდა როგორც ადგილობრივი რუსული კოლონიის გაერთიანებას, ისე ქართული საზოგადოების ცივილიზაციის სიამისადმი ზიარებას.[92]

ფლორიან ჟილის ცნობით, თბილისში საკმაოდ დიდი ინტელექტუარი მოძრაობა იყო. იგი აღნიშნავს სამხედრო ტოპოგრაფიული საცავის სექციაში დაცულ შესანიშნავ რუკებს, რომლებიც მეფისნაცვლის – მიხეილ ვორონცოვის, ბრძანებით დიდ და საშუალო მასშტაბში იყო დაბეჭდილი და კავკასიის ყველა მხარეს მოიცავდა. თბილისის გეოგრაფიულ სექციაში მომზადებული შრომები ქვეყნდებოდა. ლამაზ შენობაში განთავსებული იყო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავდა ტიპოგრაფიას, სადაც ბეჭდავდნენ „კავკაზს“ *(Gazette du Caucase)* და „კავკასიის კალენდარს“ *(le Calendrier du Caucase – (Kavkazskii Kalendar)*[93]. „კავკასიის კალენდარში“ მოცემული იყო საინტერესო ცნობები კავკასიის ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, აგრეთვე ზოგიერთი მეცნიერისა და კეთილსინდისიერი მწერლის ნაშრომები, მათ შორის მოსკოვის უნივერსიტეტის კურს-

91 Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 393, 444-445.

92 Max Franz Guido von Thielmann, *Le Caucase, la Perse, et la Turquie d'Asie. Souvenirs de voyage*. D'après la relation de M. le baron de Thielmann par le Baron Ernouf. Ouvrage enrichi d'une carte et de vingt gravures (Paris, E. Plon et Cie, 1876), 176.

93 ყოველკვირეული გაზეთი "Кавказ" გამოდიოდა თბილისში, 1846-1851 წლებში – კვირაში ორჯერ, 1846-1918 წლებში – კვირაში სამჯერ, 1877-1919 წლებში – ყოველდღე. "Кавказский Календарь" – კავკასიური კალენდარი 1845-1917 წლებში ყოველწლიურად გამოიცემოდა თბილისში. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საცნობარო პერიოდული გამოცემა რევოლუციამდელ კავკასიაში. შეიცავდა კავკასიის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის ამსახველ მასალებს. კავკასიური კალენდრის ერთ-ერთი პირველი რედაქტორი იყო ადოლფ ბერჟე. ეს ორივე ბეჭდვითი ორგანო მიხეილ ვორონცოვის მმართველობის დროს დაარსდა.

დამთავრებულის, ადოლფ ბერჟესიც[94], რომელიც ბიბლიოთეკის დირექციასა და მეფისნაცვლის კანცელარიაში მსახურობდა.

სასწავლო დაწესებულებებიდან ჟილი გამოყოფს მარშალ პასკევიჩის მიერ დაარსებულ თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტს, რომლის დირექტორი ქალბატონი კნიფერი (Knipherr) იყო. სასწავლებელი ქალაქის ზედა ნაწილში, მეტად ჯანსაღ ადგილზე მდებარეობდა და ის წმ. დავითის მონასტრიდან ჩანს. სასწავლებელში საკვებ პროდუქტებს ჰიგიენის სრული დაცვით უდგებოდნენ, საწოლი ოთახები ფართო და კარგად განიავებულია, საკლასო ოთახები, მასწავლებლების შერჩევა და ყოველივე სხვა კარგად იყო ერთმანეთთან შერწყმული. ეს ინსტიტუტი, რომელშიც ტრანსკავკასიელი 150 კეთილშობილი ქალიშვილი სწავლობდა, იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდოროვნას[95] პატრონაჟის ქვეშ იყო.[96]

მოგზაურები თბილისის ქუჩების საინტერესო სურათებს გადმოგვცემენ. ფარამონ ბლანშარი თავად ბარიატინსკის შესახვედრად ქუჩებში გამოსული სხვადასხვა ეროვნების დიდძალ ხალხს სამოსის მიხედვით აღწერს. იქ იყვნენ მომხიბლავი თავსაკრავებითა და კაშკაშა ფერის კაბებში გმოწყობილი ქართველი და სომეხი ქრისტიანი ქალები, ერთმანეთში ირეოდა თათრული, ქართული და სომხური ფაფახები[97], კავკასიელებისა და ცხენოსანი კაზაკების ბეშმეთები[98] და ბურკები[99], სპარსული წოწოლა ქუდები, რუსი ვაჭრების ნაციონალური კარტუზი და ხიფთანი, ალის მიმდევრების გრძელი სამოსი და ბაქოსკენ მოსა-

---

94 ადოლფ ბერჟე (1828-1886) – რუსი ისტორიკოსი-აღმოსავლეთმცოდნე, არქეოგრაფი, არქეოლოგი, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე 1864-1886 წლებში.

95 ალექსანდრა ფიოდოროვნა (1798-1860) – რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ I-ის მეუღლე. რუსეთის იმპერატრიცა 1825-1855 წლებში.

96 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 271-272.

97 ფაფახი – ჩალმის ფორმის ბეწვის ქუდი (ბლანშარის შენიშვნა).

98 ბურკა – მჭიდრო და წყალგაუმტარი ქსოვილის მოსასხამი (ბლანშარის შენიშვნა).

99 ბეშმეთი – წელში ვიწრო რედინგოტი, რომლის გულზეც ორივე მხარეს დამაგრებულია სამასრეები; მას ჩერქეზსკასაც უწოდებენ (ბლანშარის შენიშვნა).

ლოცად მიმავალი პარსის[100] ბრტყელი ჩალმა. ამ ბრბოში აქა-იქ ჩანდნენ ქურთები და თურქები. მუანე და დიუმაც მონუსხულები იყვნენ თეატრის მოედანზე ნანახი ათასფერი სამოსით. იქ შეგხვდებოდათ დიდი სენიორების გამომეტყველების მქონე სპარსელები, სომხები და ქართველები; მეგრელ კაცებს მოხდენილად ეკეთათ ყაბალახი, თეთრ დიდ ქსოვილში გახვეული ქართველი ქალები, თათრები, ლეკები, ქურთები და რუსები, ამ შეუდარებელ სურათს ასრულებდნენ ჭრელ ძონძებში გახვეული მათხოვრები, რომლებიც თავიანთ სიღარიბეშიც კი თვალწარმტაცები იყვნენ. ანრი კანტელი თბილისის ქუჩებში ნანახ ეპიზოდებს აღწერს: უღელში შებმული ოთხი კამეჩი ზანტად მიათრევდა საცოდავ ურემს, რომელზეც თათრების თუ ქართველების მთელი ოჯახი იყო მოკალათებული; ხელში გრძელ შუბიანი კაზაკების ცხენები მტვრის კორიანტელს აყენებდნენ; ჰაერს აპობდა ბერძნების სამგლოვიარო პროცესიის ტირილი; კონკებში გახვეული მათხოვარი ქალი გაძვალტყავებულ ხელს იწვდიდა; გლეხი მღვდელს ხელზე ჰკოცნიდა, ის კი მას ლოცავდა; რუსი ჯარისკაცი ეკლესიის წინ პირჯვარს იწერდა და მუხლს იყრიდა; თეთრ ქსოვილში გახვეული საწყალი ფეხშიშველი ქართველი ქალი ეკლესიაში მიდიოდა აღთქმის აღსასრულებლად; ზარმაცი გამყიდველი კარის წინ იჯდა, გამვლელებს უყურებდა და კრიალოსნის მსხვილ მარცვლებს ითვლიდა; სომხები, რომლებსაც დღის სიცხე არ აშინებდათ, შეწუხებულები, აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდნენ, წინა დღის მოგებას ითვლიდნენ და იმ დოყლაპიებზე ფიქრობდნენ, ხვალ რომ მოატყუებდნენ. მზის ჩასვლისას ტიფლისის აივნები სავსე იყო ქალებით, ტერასებს ამშვენებენ ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც დაირის თანხლებით ცეკვავდნენ. ყველა მხრიდან სიმღერა და მუსიკა ისმოდა. საზოგადოებრივი ბაღები სავსე იყო ეტლებით, ცხენოსნებითა და ფეხით მოსიარულეებით, რომლებიც ერთმანეთს ესალმებოდნენ და საუბრობდნენ. წყვილები შარბათის, ლიმონათის, ჩაისა თუ ხილის წვენის დასალევად სხდებოდნენ.[101]

---

100 ირანული წარმომავლობის ზოროასტრელები.

101 Blanchard, *Voyage de Tiflis à Stavropol*, 114-115; Moynet, *Voyage à la la mer Caspienne*, 318; Cantel, *Héraklés, scènes de la vie géorgienne*, 455; 2. Le Prince

უფრო ადრე, ალექსანდრე დიუმა წერდა, რომ იმჟამად თბილისში ჩასული ის ადამიანი, ვინც თბილისს მხოლოდ კლაპროთისა და შევალიე გამბას აღწერის მიხედვით იცნობდა, ვერ მიხვდებოდა, რომ ამ ორი მოგზაურის მიერ აღწერილ ქალაქში იყო.[102]

***

კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის[103], მმართველობის დროს საქართველოში იმოგზაურეს: 1865-1866 წლებში ჰოლანდიელმა არისტოკრატმა, ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნეიეჰოლტმა, 1879 წელს ელზასელმა მრეწველმა, ალფრედ კეშლენ-შვარცმა და 1881 წელს ცნობილმა ფრანგმა მწერალმა, ჟურნალისტმა, არქეოლოგმა და ფოტოგრაფმა, ჟანა-პაულა დიელაფუამ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მოგზაურ ფრანკოფონთა შორის, ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნეიეჰოლტმა[104] ყველაზე მეტი დრო, ექვსი თვე გაატარა საქართველოში. მოგზაური დეტალურად აღწერს თბილისს და სხვა მოგზაურებისგან განსხვავებით, მას ხუთ მთავარ უბნად ჰყოფს. მტკვრის მარცხენა ნაპირზე იგი გამოჰყოფს ორ – ქალაქის განსაკუთრებით ქართული იერსახის უძველეს უბანს, ავლაბარს, და გერმანულ კოლონიას[105], რომელიც შედგებოდა პატარა ბა-

---

Domenti, 707-708.

102 Dumas, *Le Caucase*, 500.

103 მიხეილ რომანოვი (1832-1909) – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე ვაჟი. გენერალ-ფელდცეიხმეისტერი (1852), გენერალ-ფელდმარშალი (1878), სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1863-1881), კავკასიის მეფისნაცვლი 1862-1881 წლებში.

104 ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნეიეჰოლტი (1837-1900) – ფრიზიელი არისტოკრატი, მაღალი წრის წარმომადგენელი, ავანტიურისტი და მწერალი, ითვლება პირველ ჰოლანდიელ აღმოსავლეთმცოდნედ.

105 ლიკლამა ა ნეიეჰოლტი გულისხმობს გერმანელებით დასახლებულ *ახალ-ტიფლისს*, რომელიც მდებარეობდა დღევანდელ აღმაშენებლის პროსპექტზე და კუკიაზე, და *ალექსანდერ-დორფს* – იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელობის კოლონიას მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელი დიდუბის ადგილზე.

ღებით გარშემორტყმული სახლების ორი რიგისგან და ებჯინებოდა მუშტაიდისკენ[106], რომელსაც მოგზაური ტიფლისის ელისეს მინდვრებს უწოდებს, მიმავალ გზას. მის უკან მდებარეობდა იპოდრომი, სადაც ეწყობოდა რუსების და ქართველების ხმაურიანი შეჯიბრებები.

დანარჩენი სამი უბანი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. მათგან პირველი, ქართველებით, თათრებითა და სპარსელებით დასახლებული უბანი ორიგინალური დუქნებითა და თვითმყოფადი ხასიათით, მტკვრიდან ერივანსკის მოედნამდე ვრცელდებოდა. იქ იყო თათრული მეჩეთები, ეკლესია, ბაზარი, სპარსული ქარვასლა, აბანოები, ნარიყალას შესანიშნავი ნანგრევები, კალად წოდებული შიდა ქალაქი, მის პირდაპირ მდებარე ძველი ქართული ციხესიმაგრე მეტეხი და მეტეხის ეკლესია. თბილისში ჩასული მოგზაურისთვის ყველაზე დიდი ხიბლი სწორედ თბილისის აზიური იერსახიდან გადარჩენილი ეს ელემენტები იყო.

მეორე, თითქმის მთლიანად რუსულ უბანში, სოლოლაკში, საკუთარი სახლები, სასტუმროები და საქართველოს უკანასკნელი მეფეების მემკვიდრე ბატონიშვილის სასახლე მდებარეობდა. იქ ცხოვრობდნენ სპარსეთისა და საფრანგეთის კონსულები. ამ უბანში ცხოვრობდა ფარმაცევტი შმიტი. ამ უბანსაც ევრო-

106 ავტორი გულისხმობს „მუშტაიდის“ ბაღს. „აყა მირ ფათაჰი იყო თავრიზის მოჯთაჰედი (შიიტი სამართალმცოდნე, მაღალი რანგის სასულიერო პირი). 1828 წელს რუსეთ-ირანის მეორე ომის დროს ის დაეხმარა რუსებს თავრიზის დამორჩილებაში, რის შემდეგაც თბილისში გადმოსახლდა და რუსეთის ხელისუფლებისგან საჩუქრად მიიღო მიწის დიდი ნაკვეთი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, იმდროინდელი ქალაქის გარეთ. ნაბოძებ მიწაზე მან გააშენა ბაღი, რომელიც 1853 წელს ხაზინის საკუთრებაში გადავიდა და საზოგადოებრივი გახდა. XIX საუკუნის მანძილზე ეს ბაღი თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი და გასართობი ადგილი იყო. ის დღესაც არსებობს და ხალხში ცნობილია „მუშტაიდის“ (დამახინჯებული მოჯთაჰედი) სახელწოდებით. (*საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში.* სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ. (თბილისი: არტანუჯი, 2016, 45). 1853 წლიდან ბაღი სახაზინო საკუთრება გახდა. აქ სისტემატურად ეწყობოდა სახალხო სეირნობები, გამოფენები, სპექტაკლები.

პული იერსახე ჰქონდა, მაგრამ შენობებისა და მოსახლეობის შემადგენლობის მიხედვით, იქ კვლავ იყო შენარჩუნებული აზიური ელემენტები. ფლორიან ჟილის მსგავსად, ლიკლამა ა ნეიეჰოლტიც აღნიშნავდა, რომ თბილისის ძველი სახლები, რომელთა განლაგება კარგად იყო დაგეგმილი სიცხისგან თავის შესაფარებლად, ნელ-ნელა ქრებოდა. თბილისის ქართული და სომხური მოსახლეობის ევროპულ ყაიდაზე აშენებულ სახლებში უკვე ჩანდა „ევროპული სული“, მაგრამ ისინი მაინც ინარჩუნებდნენ განსხვავებულ იერს – მზისგან თავის შესაფარებელად ყოველ სართულს გარშემო ჰქონდა შუშაბანდი. აღსანიშნავია, რომ ლიკლამა ა ნეიეჰოლტმა ბინა სწორედ „სოლოლაკის დიდი ქუჩის“ კუთხის სახლში იქირავა, რომელიც დიდი ბაზრიდან და ერივანსკის მოედნიდან იწყებოდა. სახლის პატრონი თავადის ქალი სუმბათოვი[107] დახასიათებულია როგორც მსუქანი, ნაკლებად თავაზიანი, იმაზე უფრო მეტად ანჩხლი და ხარბი, ვიდრე ეს ასე წარჩინებულ ქალს, თუნდაც სომეხს, შეეფერებოდა. მოგზაურის რჩეული ადგილი კი სწორედ შუშაბანდი იყო, სადაც იგი დღის საუკეთესო საათებს, განსაკუთრებით კი საღამოებს ატარებდა ერივანსკის ლამაზ მოედანზე ფეხით მოსიარულეების, ცხენოსნებისა და ეტლების ყურებაში. მისი თქმით, ძველი და ახალი ქალაქების საზღვარზე მდებარე ეს სახლი სიმბოლური იყო, რადგან ისევე როგორც თვითონ ქალაქი, ის აზიასა და ევროპას წარმოადგენდა და როგორც შიგნიდან, ისე გარედან, ქართულიც იყო და ევროპულიც.

მესამე ანუ ევროპული უბანი, მოიცავდა ერივანსკის მოედანს და ქალაქის მთავარ, გოლოვინის, პროსპექტს. ეს უბანი არ გამოირჩეოდა ორიგინალობით და უფრო სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის ახალ უბნებს წააგავდა რუსეთის სტანდარტული, სწორი, მაგრამ ცივი არქიტექტურით; თუ არა ვერანდების ან ჩარდახის მსგავსად დახურული აივნები სახლის ყოველი სართულის გარშემო, ადამიანი იფიქრებდა, ამ ორი ქალაქიდან ერთ-ერთში იმყოფებოდა. მეფისნაცვლის, დიდი მთავრის, მიხე-

107 ლიკლამა ა ნეიეჰოლტი სახლის პატრონს რუსული ფორმის მიხედვით პრინცესა სუმბათოვად მოიხსენიებს, თუმცა სუმბათაშვილები ქართველი თავადები იყვნენ. შეიძლება ეს სუმბათაშვილზე გათხოვილი სომეხი ქალი იყო.

ილის რეზიდენცია რუსეთის ორივე დედაქალაქის უამრავი სასახლიდან არც ერთს არ ჰგავდა. ინტერიერი ნახევრად აზიურად და ნახევრად ევროპულად, დიდი ფუფუნებით იყო მორთული. განსაკუთრებით ლამაზი, ნამდვილი მარგალიტი, პატარა სპარსული დარბაზი იყო, დამშვენებული უიშვიათესი ავეჯით, შესანიშნავი ხალიჩებითა და უძვირფასესი ქსოვილებით.[108] ამ სასახლის ექსტერიერს გამოარჩევდა კოლონადებიანი არაჩვეულებრივი გალერეა პირველ სართულზე, ხედით ერივანსკის მოედანზე და ბულვარზე. რუსეთის პრესტიჟის შესანარჩუნებლად, მეფისნაცვალს ჰყავდა თავისი კარი ადგილობრივი და განსაკუთრებით მეზობელი – თურქების, სპარსელებისა და კასპიისპირეთში მცხოვრები ხალხების დასანახად.

გოლოვინის პროსპექტზე იყო განლაგებული თბილისის მთელი სამოქალაქო, სამხედრო და სასამართლო ადმინისტრაციის ცენტრი, დიდი არმიის მთავარი შტაბ-ბინა და რამდენიმე სამხედრო დაწესებულება, გენერლების სახლები, შესანიშნავად მოვლილი კადეტების სასწავლებელი და ვრცელი ყაზარმები საჯარისო ნაწილებისათვის. გოლოვინის ბულვარის ბაღებით გარშემორტყმული სასტუმროებისა[109] და სახლების ქვედა სართულზე უამრავი ფარდული და რამდენიმე დიდი მაღაზია ფრანგებს, რუსებს, გერმანელებს, იტალიელებსა და ბერძნებს ეკუთვნოდათ და ზოგიერთი მათგანი კარგად მარაგდებოდა ევრო-

108 მაქს ფონ ტიელმანის ცნობით, რომელმაც საქართველოში 1872 წელს იმოგზაურა, გუბერნატორის სასახლე ლამაზი იყო, მაგრამ არა მონუმენტური, აღსანიშნავი კი მისი ინტერიერი იყო, კერძოდ, სარკეებით დამშვენებული დიდი დარბაზი სპარსულ სტილში; სხვა ოთახი ლამაზი ხალიჩებითა და ნაალაფევი იარაღით მოერთოთ, დიდი მთავრის საბინეტის პანოს კავკასიის შესანიშნავი რელიეფური რუკა იკავებდა. სასახლის უკან იყო კარგად გაშენებული, გულმოდგინედ მოვლილი და მორწყული ბაღი (Thielmann, Le Caucase, la Perse, 175-176).

109 ყველაზე კომფორტულ სასტუმროდ, რომლის პატრონი ფრანგი იყო, ლიკლამა ა ნეიეჰოლტი „ევროპას“ (l'Hôtel d'Europe) ასახელებს, სადაც ბინას დაქირავებამდე იყო გაჩერებული.

დავით ხოშტარიას გამოკვლევის თანახმად, ერივანსკის მოედანზე მდებარე სასტუმრო „იტალიას“ (l'hôtel d'Italie) 1864 წელს სახელი შეეცვალა და დაერქვა „ევროპა“ (l'hôtel d'Europe). მას იტალიელი ნაპოლეონ სიენი და ფრანგი არსენ ბარბერონი მართავდნენ (დ. ხოშტარია, თბილისი. ძველი სასტუმროები, 31-32).

პული ფუფუნების საგნებით. თბილისის ფრანგული კოლონიის წარმომადგენლები წარმატებით ვაჭრობდნენ პარიზული საქონლით, მათ შორის იყვნენ აბრეშუმით მოვაჭრეები, იუველირები, მკერავები, დალაქები და განსაკუთრებით კი მოდისტკები.[110] ყველაზე დიდ მაღაზიებს შორის აღსანიშნავი იყო მადამ დელსოლმის (Delsolmes) მოდური საქონლისა და ვიურტემბერგელი გლაზერის (Glaser) ძვირფასი კავეულის მაღაზიები. წიგნების დიდ გერმანულ და მუსიკალურ მაღაზიებში მოგზაურმა შეიძინა შარდენის თხზულების ათი ტომი და იქირავა პიანინო.

თბილისში იყო სახელმწიფო მრჩეველი, რომელიც მეთაურობდა კავკასიის საგანმანათლებლო მიმართულებას, რაც იმაზე მიანიშნებდა, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებდა მთავრობა განათლების გავრცელებას კავკასიურ პროვინციებში. თბილისში ევროპელებისა და ადგილობრივი მაღალი საზოგადოების ოჯახების შვილებისთვის არსებობდა ისეთი სასწავლებლები, სადაც მათ შესაფერისი განათლების მიღება შეეძლოთ. კარგად იყო მოვლილი კადეტების სასწავლებელიც.

თბილისში იყო რამდენიმე სახაზინო ბაღი. აბანოების უკან, ბორცვის ფერდობზე მდებარეობდა ბოტანიკური ბაღი – მეფის შესანიშნავი, დატერასებული ბაღი, საიდანაც ქალაქის თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა. მეფისნაცვლის სასახლის წინ იყო დიდი სახაზინო ბაღი, სადაც ორკესტრი ზოგჯერ ევროპულ საოპერო არიებს თუ საცეკვაო მელოდიებს უკრავდა და ბუფეტი-კიოსკი პატარა მაგიდებით, სადაც ჩაის თუ სხვადასხვა გამაგრილებელ სასმელებს ჰყიდდნენ. გერმანული კოლონიის პატარა პარკში ზოგჯერ ორკესტრი უკრავდა. მაღალი საზოგადოება (le beau monde) ყოველდღე სეირნობდა გოლოვინსკის (Galavinsky) გამზირზე. ისე, როგორც რომელიმე ევროპულ ქალაქში, თბილისშიც ბევრი ეტლი მოძრაობდა, მეფისნაცვალს შესანიშნავი, რუს მოხელეებსა და ძველი ადგილობრივი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს ლამაზი ეკიპაჟები ჰყავდათ. სხვების განკარგულებაში იყო დასაქირავებელი, საკმაოდ ელეგანტური ეტლები.

---

110 მოდისტკა (ფრ. Modiste) – ძირითადად ქალის ქუდების, აგრეთვე კაბებისა და თეთრეულის ოსტატი ქალი.

ქალაქის ძირძველი მოსახლეობის, ქართველებისა და სომხების გვერდით, ძველ ქალაქში თათრები და სპარსელებიც ცხოვრობენ, თბილისის ქუჩებში შეხვდებოდით ქურთებს, ნოღაელებს, ყაბარდოელებს, ოსებს, ლეკებს და იმ ჩერქეზებს, რომლებიც რუსეთის ჯარში მსახურობდნენ. თბილისში მრავლად იყვნენ ევროპელებიც. მათ უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ. სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვთან შედარებით თბილისში შეუდარებლად იაფი იყო ცხოვრება და ამიტომ ყველა დონის მოხელე თბილისში ითხოვდა სამსახურს. ისე, როგორც ინგლისელები ინდოეთში, რუსები ისევე იყვნენ წამოჭიმული კავკასიაში. ქალაქში ცხოვრობდა რამდენიმე პოლონელი და გერმანელი მღვდელი.

მოგზაურის აზრით, უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში თბილისში ჩატარებული ყველა სამუშაო შესრულებული იყო სამი ყველაზე გამოჩენილი მმართველის – ერმოლოვის, ვორონცოვისა და ბარიატინსკის – ენერგიული ძალისხმევით, რომელთაც სამართლიანად უნდა დამატებოდა კავკასიის იმჟამინდელი მმართველი, დიდი მთავარი მიხეილი. თბილისი მეტად ორგინალური ხასიათის ქალაქი იყო, რომლის გადაკეთებითაც რუსები იყვნენ დაკავებულები, ის ორი ცივილიზაციის შეხვედრის წერტილი ხდებოდა და ყოველდღე ვითარდებოდა. მისი თქმით, შარდენი და კლაპროთი იმჟამინდელ თბილისს ვეღარც კი იცნობდნენ[111].

ფრანგმა მეწარმემ, ალფრედ კეშლენ-შვარცმა[112] საქართველოში ლიკლამა ა ნეიეჰოლტის მოგზაურობიდან 13 წლის

111 Tinco Martinus Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie, au Caucase et en Perse exécuté pendant les années 1866, 1867 et 1868* (Paris-Amsterdam: Arthus Bertrand, C. L. Van Langenhuysen, 1872), I, 252-257, 267-271, 349-353, 365, 373, 387-394, 412-414, 422-423, 439-441, 446.

112 ალფრედ კეშლინ-შვარცი (1829-1895) – ფრანგი მრეწველი და პოლიტიკური მოღვაწე. 1887-1888 წლებში პარიზის VIII რაიონის მერი, 1888-1889 წლებში – დეპუტატი საფრანგეთის ჩრდილოეთიდან. იბრძოდა პრესის თავისუფლებისთვის. 1879 წელს იგი რუსეთის და კასპიისპირეთის გავლის ბაქოდან ჩამოვიდა თბილისში. თბილისიდან მან ფოსტების გენერალურ დირექტორთან, გენერალ პაპარიგოპულოსთან, ერთად მატარებლით იმგზავრა ქუთაისამდე, იქიდან კი ბორჯომის გავლით თბილისში დაბრუნდა. თბილისიდან ევროპისკენ იგი

შემდეგ, 1879 წელს იმოგზაურა. კეშლინ-შვარცი თბილისს ორ, რუსულ და ძველ ქალაქად ჰყოფდა, რომლებიც ერთმანეთს ორი რკინის და გენერალ ვორონცოვის[113] მიერ აშენებული ერთი ქვის ხიდით[114], უკავშირდებოდა. ამ ხიდის მახლობლად მდებარე მოედანზე იდგა გენერალ ვორონცოვის ძეგლი.[115] მოგზაურის შეფასებით, კავკასიის ძველ გენერალ-გუბერნატორებს შორის ყველაზე ჭკვიანი სწორედ ვორონცოვი იყო, რომელმაც ქვეყანაში

სამხედრო გზით, ეტლით გაემგზავრა.

113 მიხეილ ვორონცოვი 1844-1854 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვალი.

114 მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის დავალებით არქიტექტორმა ჯოვანი სკუდიერიმ შეადგინა ხიდის ახალი პროექტი. ნაგებობა ორი, დიდი და მცირე ხიდებისაგან შედგებოდა მტკვრის ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტზე. მშენებლობა 1848 წელს დაიწყო, თუმცა რამდენიმეჯერ შეფერხდა: იცვლებოდნენ მოიჯარადრეები, 1849 წელს მდინარემ წაიღო ხის ხიდი, 1851 წელს ტაძრის მშენებლობისას დაიღუპა არქიტექტორი სკუდიერი. სკუდიერის გარდაცვალების შემდეგ დიდი ხიდის პროექტი გადაამუშავა ინჟინერმა ს. ბლიკსმა, რომელმაც ხის მალები აგურის კამარებით შეცვალა. მშენებლობას სათავეში ჩაუდგა ქართველი ინჟინერი ვახტანგ ბაგრატიონ-მუხრანსკი (1817-1892). მიხეილის დიდი ხიდი საზეიმოდ 1853 წელს აპრილში მიქაელ მთავარანგელოზის ხსენების დღეს გაიხსნა და იკურთხა.

115 მიხეილ ვორონცოვის ძეგლი შეუკვეთეს სამხატვრო აკადემიის პროფესორს, ნიკოლაი პიმენოვს (1812-1864), მაგრამ იგი გარდაიცვალა და ძეგლი მისმა მოწაფემ, მხატვარმა ვიაჩესლავ კრეიგანმა, დაასრულა. მიხეილ ვორონცოვის ძეგლი პეტერბურგში ჩამოასხეს, თბილისში კი 1866 წელს ჩამოიტანეს. რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე II-მ ამ ძეგლის ჩამოსასხმელად 3,000 რუბლი გადაიხადა. ძეგლს ასეთი წარწერა ჰქონდა: "Князю Михаилу Семеновичу Воронцову. 1845-1854", ძეგლის გარშემო ჯაჭვების ზღუდე იყო და მის გარშემო ქვემეხები იდგა. იხ.: «Открытие памятника в Тифлисе Светлейшему князю Михаилу Семеновичу Воронцову 25 марта 1867 г.» Тифлис. Напечатано в типографии главного управления наместника кавказского 1867 г. Автор, известный тифлисский журналист, сотрудник газеты «Кавказ» Николай Львович Дункель-Веллинг (1850-1860 гг.); H. Cammartin. "Caucase. – Inauguration, à Tiflis, de la statue du prince Woronzoff". *Le monde illustré*, 1867, N 527, 18 Mai, 300, 302. მიხეილ ვორონცოვის ძეგლის შესახებ აგეთვე იხ. Hubertus F. Jahn, "The Bronze Viceroy: Mikhail Vorontsov's Statue and RussianImperial Representation in the South Caucasus in the Mid-19th Century". *Russian History* 41 (2014), pp. 163-180.

საუკეთესო მოგონებები დატოვა და ხალხი მასზე დიდი პატივისცემით საუბრობდა.

მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე რუსული ქალაქი მოგზაურისთვის საინტერესო არ იყო, ხოლო მისი არქიტექტურის ყველაზე მნიშვნელოვანი შენობა დიდ მთავრის, მიხეილის, სასახლე მისი აზრით, ლიკლამა ა ნეიეჰოლტის შეფასებისგან განსხვავებით, არაფერ საგანგებოს არ წარმოადგენდა. კეშლინ-შვარცი აღნიშნავს, რომ ქალაქში, რომლის მთავრობამაც ყოველივე შესაძლებელი გააკეთა, რათა ის ჭეშმარიტ დედაქალაქად ექცია, მოგზაური სრულიად ევროპულ ცივილიზაციას გადააწყდებოდა – ახალ ქალაქში ფართო ტროტუარებიანი ქუჩები კარგად გაყვანილი და გაზით განათებული იყო. მაგრამ ფრანგი მრეწველი სრულიად გაკვირვებული დარჩა იმით, რომ თბილისს აკლდა შადრევნები და ქუჩაში წყლის დალევის საშუალება არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს არ აკლდა წყალი და ადვილი იქნებოდა მის დასაგროვებლად ზედა უბანში რეზერვუარის აშენება. თბილისში წყალი კვლავ ცხენებით დაჰქონდათ და ხშირად ჩანდა მტკვრის პირას ჩამწკრივებული ოცდაათი-ორმოცი საცოდავი ცხოველი, რომლებსაც კაცები წყლით სავსე ტყავის ტიკებს ჰკიდებდნენ. წყლის თბილისის ყველა უბანში მისატანად ისინი დაკლაკნილ ბილიკებზე მთელი დღე ამ მძიმე ტვირთით დაეხეტებოდნენ. ზოგ ადგილას მტკვარზე ჩანდა ერთმანეთზე მიმდგარი ტივები, რომლებსაც გვერდებზე დიდი ბორბლები ჰქონდა – ეს ორიგინალური და თვალწარმტაცი ადგილობრივი წისქვილები იყო.

კეშლენ-შვარცმა ექიმი შარლ-ჟიულ ტეიულის მსგავსად, ყურადღება მიაქცია თბილისში მიმდინარე მშენებლობებს. ქალაქში ძირითადად ერთსართულიანი სახლები იდგა, აშენებდნენ სამ და ოთხ სართულიან სახლებსაც, ყველა სახლს ჰქონდა შუშაბანდი და ბანი. მაგრამ ეს მშენებლობები ნელა მიმდინარეობდა და მას არც დიდი მასშტაბი ჰქონდა, რაც მოგზაურის აზრით მეტად სასიხარულო იყო, თორემ ასე ლამაზი, თვალწარმტაცი და ტურისტებისთვის მიმზიდველი ძველი ქალაქი მალე დაკარგავდა მისთვის დამახასიათებელ ორგინალურობას.[116]

116 Alfred Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase: Volga, Caspienne, Caucase*

1881 წლის მარტში თბილისში ჩამოსული ფრანგი არქეოლოგის, ჟანა დიელაფუას აზრით, თბილისს სპარსეთის ძველ დედაქალაქს[117], გარეგნულად დაკარგული ჰქონდა თავისი ორგინალური ხასიათი. ხოლო რუსეთის იმპერიის სამხრეთი პროვინციების გენერალ-გუბერნატორის ოფიციალურ რეზიდენციად გახდომისა და იქ მრავალრიცხოვანი გარნიზონების ჩააყენების შემდეგ, ქალაქში ძალით მიმდინარეობდა რუსიფიკაცია, თუ რა თქმა უნდა, ეს ნებით არ ხდებოდა. იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ განიერი და კარგად მოკირწყლული ქუჩები, ძვირადღირებული სახლები, თითქმის კარგად მოვლილი ბაღები, დიდი მთავრისა და მისი გენერლების სასახლეები, მონუმენტური შესახედაობის მუზეუმი[118] და უამრავი ყაზარმა მას ოფიციალური დედაქალაქის იერს სძენდა. მკვიდრი მოსახლეობის ნახვა კი, რომლის დახვეწილობა და ელეგანტურობა სადავოდ არ ხდის ქართველი ქალების სილამაზის სამართლიან სახელს, მხოლოდ ბაზრებსა და მდაბიოთა უბნებში იყო შესაძლებელი.

ჟანა დიელაფუასა და მისი მეუღლის თბილისში ჩასვლას დაემთხვა ალექსანდრე II-ს (1818-1881) მკვლელობა[119]. თვითმხილველი მოგზაურის ცნობით, ამ ვითარებაში ტელეგრაფის საშუალებით იმპერიის ერთი ბოლოდან მეორეში გაიცა ბრძანება უცხოელების, – რომლებიც მკვლელად თუ არა, სულისჩამდგმელად მაინც მიიჩნეოდნენ – თვალთვალის, მათთვის პასპორტების ჩამორთმევა და ქალაქიდან გასვლის დროებითი აკრძალვა შესახებ. მოგზაურის თქმით, ეს დისკომფორტი მათ მეფის დაკრძალვის ცერემონიისა და ახალი მეფის[120] საზეიმო გამოცხადების

(Paris, J. Hetzel &Cie Editeurs, 1881), 252-259, 267-272, 284-285.

117 ჟანა დიელაფუას ამ ცნობაში საქართველოს მიმართ ევროპელი მოგზაურების სტერეოტიპული გავლენა იგრძნობა.

118 იგულისხმება კავკასიის მუზეუმი, რომელიც 1852-1919 წლებში მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

119 ალექსანდრე II (1818-1881) – ნიკოლოზ I-ის ვაჟი, რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წლებში. 1881 წლის 1 (13) მარტს იგი ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლიას“ წევრებმა მოკლეს.

120 ალექსანდრე III (1845-1894) – რუსეთის იმპერატორი 1881-1894 წლებში, ალექსანდრე II-ს ვაჟი.

სანახაობამ აუნაზღაურა. იგი წერს: „ქუჩებში და კაფეებში შეკრებილი ოფიცრებისა და თავზარდაცემული მოხელეების ჯგუფები სხვადასხვაგვარად ყვებოდნენ ამ დანაშაულის დეტალებს, ხალხი კი, ინდიფერენტული რჩებოდა და თავის ყოველდღიურ საქმიანობას აგრძელებდა. სამხედრო აღლუმის დროს დაუსრულებელი პროცესია მეტად იმპოზანტური იყო მხრებამდე თმებით, ოქროს ტიარებსა და მანტიებში გამოწყობილი, ჯვრებით ხელში მღვდლების მსვლელობის გამო! გენერლები სახარებას ჰკოცნიდნენ და ფიცს სდებდნენ და სასულიერო პირების შემდეგ ჯარისკაცებისგან იღებდნენ ერთგულების ფიცს; ამ დროს ისმოდა გუნდის ჰარმონიული გალობა, რომლის საიდუმლო, ერთადერთმა, მხოლოდ რუსულმა ეკლესიამ იცის.

მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“

ამ ცერემონიიდან რვა დღის შემდეგ მოგზაურებისთვის ქალაქის კარიბჭეები გახსნეს, მატარებლები და დილიჟანსები კი თავიანთ ჩვეულ განრიგს დაუბრუნდნენ, ჟანა დიელაფუა და მისი მეუღლე კი ერევნის გზით ირანისკენ გაემგზავრნენ.[121]

***

კავკასიის მთავარმართებლის ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის მმართველობის (1882-1890)[122] დროს 1882, 1888 და 1889 წლებში, თბილისში იმყოფებოდნენ: ბელგიელი სტუდენტი ერნესტ ორსოლი, ფრანგი მოგზაური და ჟურნალისტი ჟიულ-ნაპოლეონ ნეი და ცნობილი ფრანგი ბოტანიკოსების ოჯახის წევრი, 20 წლის ფრანგი სტუდენტი ოგიუსტ ლეკუენ დე ვილმორენი.

ერნესტ ორსოლის თქმით, ტრანსკავკასიის[123] დედაქალაქი თბილისი კონტრასტების ქალაქი იყო. ახალი რუსული ქალა-

121 Jane Dieulafoy, *La Perse, la Chaldée et la Susiane*, par Mme Jane Dieulafoy, Chevalier de la Légion d'honneur, officier d'Académie, relation du voyage (Paris: Librairie Hachette et C˚, 1887), 10-11.

122 ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი (1820-1893) – კავალერიის გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე, შამილთან და ოსმალეთთან ომების მონაწილე, კავკასიის მთავარმართებელი 1882-1890 წლებში.

123 ტერმინი „ტრანსკავკასია“ (ამიერკავკასია) რუსული „ზაკავკაზიე“-დან

ქი სანკტ-პეტერბურგს ან მოსკოვს ჰგავდა, ძველ ქართულ და სპარსულ უბნებში კი წმინდა აზიური იერსახე უცვლელად იყო შენარჩუნებული. უკვე გაევროპელებული ერევნის[124] მოედანი ნეიტრალური სივრცე იყო აღმოსავლურ და რუსულ ქალაქებს, წარსულის თბილისსა და მომავლის თბილისს შორის. ახალ ქალაქში კარგად მოკირწყლული ფართო ქუჩები იყო, არისტოკრატიულ უბნებს კი მოვლილი სკვერები ახალისებდა. მაღაზიების უმეტესობა ფრანგებს ეკუთვნოდათ და *Perspective-Neusky*-სა[125] და *Bolshaya Sadovaya*-ს[126] მაღაზიებს ეჯიბრებოდნენ. თბილისის ცენტრში მდებარე სამი მთავარი სასტუმროს პატრონები ფრანგები იყვნენ. ერევნის მოედანზე ყველაზე ცნობილი სასტუმრო „ევროპა“ (l'hôtel de Europe) თბილისში ფრანგებისა და გერმანელების შეხვედრის ადგილი იყო. იქ ისინი გამბრინუსის[127] თაყვანისცემის გამო თავიანთ ნაციონალურ წყენას ივიწყებდნენ.[128] ყველაზე კომფორტული აპარტამენტები და მაღალი ფასები სასტუმრო „კავკაზში“ (l'hôtel du Caucas)[129] იყო, მისი პატრონი, დელალანდი,

---

მოდის და ნიშნავს კავკასიონის ქედს *მიღმა* არსებულს, ანუ რუსეთის ხედვას ასახავს. დღეს ფართოდ გამოიყენება ტერმინი – სამხრეთ კავკასია. ის მოიცავს სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს.

124 სახელწოდება „ერივანსკის“ „ერევნით“ შეცვლა შეცდომაა, რასაც ბევრი მოგზაური უშვებს.

125 ავტორი გულისხმობს სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ პირველ და ცნობილ გამზირს.

126 იგულისხმება 1816 წელს მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთით დიდი მიწაყრილის ადგილზე გაშენებული ბაღები, ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი (М. И. Вострышев, *Москва: все улицы, площади, бульвары, переулки*. Москва: Алгоритм, Эксмо, 2010, 497-498, 688).

127 გამბრინუსი (ლათ. Gambrinus) – ლეგენდარული მეფე, რომელიც ლუდის ხარშვის გამომგონებლად ითვლება.

128 საფრანგეთ-პრუსიის ომში (19.07.1870-10.05.1871) გამარჯვების შედეგად გერმანიის გაერთიანება და ნაპოლეონ III-ის ტახტიდან ჩამოგდება და საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის დაარსება მოჰყვა. კონტრიბუციის სახით, გერმანიამ მიითვისა მთელი ელზასი და ლოტარინგია, რომელიც პირველ მსოფლიო ომის შემდეგ, 1918 წელს კვლავ საფრანგეთს დაუბრუნდა.

129 სასტუმრო „კავკაზი“ ერივანსკის მოედანზე 1858 წელს გახსნა ერთმა ფრანგმა, ვინმე გიიომმა. 1865 წელს სუმბათაშვილების სახლში მირ-

უფრო ჰექტორის სახელით იყო ცნობილი. მოშორებით მდებარე სასტუმრო „ლონდონი“ (l'hôtel de Londres) ტურისტებისათვის უფრო სასიამოვნო ადგილი იყო მახლობლად მდებარე სკვერისა და ბაღის სიგრილის გამო, რომელიც ტერასებად ეშვებოდა მტკვრისკენ. ის მაღალი საზოგადოების რუსებისა და ქართველების სასტუმროდ მიიჩნეოდა და თბილისის ერთგვარი Café Anglais[130] იყო; მისი პატრონები, ცოლ-ქმარი ლე კონტები, ყველაზე მოკრძალებული ტურისტების მიმართაც მეტად ყურადღებიანები იყვნენ. ორსოლის ცნობით, თბილისში ძალიან უყვარდათ აზიური სტილი: არისტოკრატიულ კლუბ „კრუჟოკს“[131] გოლოვინსკის პროსპექტზეც ჰქონდა დიდი ხელგაშლილობით, სპარსული გემოვნებით, სურათებით, ოქროს ვარაყით, მოზაიკით და სარკის ფასეტებით[132] მორთული სასტუმრო, რაც მას „ათას ერთ ღამეში“ აღწერილი ზღაპრული სასახლეების იერს აძლევდა, ხოლო „სობრანიეს“[133] – სომხების კლუბის დარბაზში კვირაში რამდენჯერმე უკრავდა საცეკვაო მუსიკა. სასტუმრო „ლონდონიდან“ რამდენიმე ნაბიჯზე, ე.წ. ვორონცოვის დიდი

ზოევებმა შეიძინეს და სასტუმრო იჯარით მისცეს ფრანგ მარიუს მარტენს. ამ დროიდან სასტუმროს ოფიციალურად ეწოდებოდა l'Hôtel du Caucase, Place d'Erivan. Maison Mirsoieff, tenu par Marius Martin (დ. ხოშტარია, *თბილისი*, 35-37).

130 ფრანგული რესტორანი Café Anglais 1822 წელს გაიხნა პარიზში, Opéra Comique-ის მახლობლად. მეორე იმპერიის დროს (1852-1870) ის ყველაზე ბრწყინვალე და პოპულარული ევროპული კაფე იყო. დაიხურა 1913 წელს.

131 ორსოლი უზუსტობას უშვებს, როგორც ჩანს მას ქუჩები აერია, რადგან „კრუჟოკი“ (Groushok) გოლოვინის პროსპექტზე არ მდებარეობდა. 1869-1886 წლებში ის განთავსებული იყო ვარდან არშაკუნის სასახლეში, რომელიც XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს აშენდა არქიტექტორ გრიგორი ივანოვის პროექტით და აღმოსავლური ფუფუნებით იყო მორთული. ჩანს, ორსოლი ამ შენობას გულისხმობს „დიდი ხელგაშლილობით მთლიანად სპარსული გემოვნებით“ მორთულ სასტუმროში. 1922 წლიდან, ამ შენობაში სამხატვრო აკადემია ფუნქციონირებს. ეს შენობა კარგად არის აღწერილი ფლორიან ჟილის თხზულებაში.

132 ფასეტი – რაიმე საგნის, მაგ. სარკის, ირიბად ჩამოხრილი, დაცერებული გვერდითი წახნაგი.

133 სობრანიეში (*Sobranie*) ავტორი გულისხმობს გოლოვინის პროსპექტზე მდებარე სომხურ კლუბს.

ხიდი ქალაქს ვიურტემბერგელებით დასახლებულ გარეუბანთან აკავშირებდა. ევროპის ბაღი გერმანული კოლონიის ცენტრამდე ვრცელდებოდა და ზაფხულში საღამოობით იქ ან ნიღბიანი მეჯლისები იმართებოდა, ან ოთხი თუ ხუთი მუსიკოსისგან შემდგარი აზიური ორკესტრი ქართულ და რუსულ სიმღერებს უკრავდა. გერმანული კოლონიისა და ქალაქის უკიდურეს საზღვარზე მდებარე თბილისის ბულონის ტყე – მუშტაიდი, ნაკადულებით დასერილი ლამაზი პარკი, მაღალი საზოგადოების – ელეგანტური ქალბატონებისა და ბატონების – რჩეული სასეირნო ადგილი იყო პარიზის უკანასკნელი მოდისა და ცხენების უზადო აღკაზმულობის დემონსტრირებისთვის.

ორსოლის აზრით, მოსახლეობის მიხედვით თბილისი სამი განსხვავებული – რუსული, კოლონიის და აზიური –ქალაქისგან შედგებოდა. რუსულ ქალაქში რუსი მოხელეები, სამხედრო პირები და ვაჭრები, კოლონიაში – თბილისში მცხოვრები გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, ბერძნები და ინგლისელები, აზიურ ქალაქში – ქართველები, სომხები, სპარსელები და თათრები ცხოვრობდნენ. ეს მეტად განსხვავებული მოსახლეობა ერთმანეთში ნაკლებად იყო შერეული.

თუ რუსი მოხელეებისა და ოფიცრებისთვის ახალ ტიფლისის ევროპული ქალაქი იყო სასიამოვნო, ტურისტებს სხვა რამ იზიდავდა – მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ძველი ქართული ქალაქი ავლაბარი, ბაზარი, დანგრეული ნარიყალას ციხესიმაგრე და ძველი ეკლესია მეტეხი, მტკვრის ციცაბო ნაპირებზე დაქანებული ქუჩების ლაბირინთი უცვლელად შენარჩუნებული საუკუნეების წინანდელი აზიური იერსახით, ერთიმეორეზე მიდგმული მონაცრისფრო ბანიანი სახლები, ბაზრის შორიახლო ცოტა ხნის წინ აშენებული ქარვასლა, ფირუზისფერი ფაიფურის ფირფიტებით დაფარული შიიტური მეჩეთი მინარეთით, სიონის საკათედრო ტაძარი – და არა ევროპის იმიტაცია. თბილისი ის ერთ-ერთი ქალაქი იყო, სადაც მხატვარს რამდენიმე თვით, ტურისტი კი რამდენიმე კვირით შეეძლო დარჩენა – ერთი დახატავდა, მეორე – დაათვალიერებდა.

ორსოლის ცნობიდან ჩანს, რომ ირანში სამოგზაუროდ ევროპელები დრაგომანს (თარჯიმანს) ქირაობდნენ, რასაც შემდეგ, 1905 წელს, ფრანგი ჟურნალისტი კლოდ ანეც ადასტურებს.

ორსოლის მიერ დაქირავებული იტალიელი დრაგომანი, ჟერომ რეალინი, რომელმაც იცოდა ფრანგული, რუსული, თურქული, სომხური, ქართული, სპარსული და თათრული, დახასიათებულია მეტად პატიოსან და მცოდნე კაცად; მის შესახებ საქებარი წერილები გამოქვეყნებული იყო *Times*-ში კორესპონდენტ ფორბის მიერ; ის ასევე დადებითად მოხსენიება ინგლისელი ოფიცრის, ვალენტინ ბარკერის, თხზულებაში.[134] ორსოლის ცნობებიდან ირკვევა, რომ თბილისიდან ირანში მიმავალი ტურისტები თბილისში იძენდნენ ზოგიერთ ნივთს და საკვებს.[135]

***

ნაპოლეონ ნეის შთაბეჭდილება თბილისის შესახებ რკინიგზის სადგურიდან იწყება. „სადგური. სასტუმრო. მატარებელი სადგურში დადგა... როგორია ეს მონუმენტური, გაზით განათებული სადგური?... რა უნდათ ჩემი ბარგისკენ წამოსულ უცნობ ენაზე მოლაპარაკე კაცებს, რომლებიც სასტუმროში ჩემს წასაყვანად გამოგზავნილმა, შესანიშნავი ფრანგულით მოლაპარაკე დრაგომანმა მოულოდნელად გასწი-გამოსწია? ის სასტუმრო „კავკაზის“ დრაგომანია... ტიფლისის სადგური, ისე როგორც რუსეთის თითქმის ყველა სადგური, ქალაქიდან შორსაა... ეტლი სასტუმრო „კავკაზთან“ გაჩერდა. ჩვენ წებოვან ტალახში გადმოვედით და ვლოცავდი ბოტებს – ძვირფას საჩუქარს, რასაც მონრეალის მუნიციპალიტეტის ხელგაშლილობას უნდა ვუმადლოდე, როდესაც ისე წვიმს ტიფლისში, როგორც დღეს... სასტუმროში შესვლამდე, როდესაც მეეტლეს ფულს ვუხდიდი, ტრამვაიმ[136] გაიარა!... და აზიაში ამ პირველ შთაბეჭდილებით

134 Valentine Baker. *Clouds in the East: travels and adventures on the Perso-Turkoman frontier*. London, Chatto & Windus, 1876, 23.

135 Ernest Orsolle, *Le Caucase et la Perse*. Ouvrage accompagné d'une carte et d'un plan (Paris: Plon, Nourrit et Cie, 1885), 40-50.

136 თბილისში ელექტროტრამვაის წინაპარი, ცხენების წევაზე მომუშავე სარკინიგზო ტრანსპორტი, ე.წ. „კონკა“, 1883 წელს გამოჩნდა. მისი პირველი ხაზი მიხეილის გამზირზე გადიოდა და ერთმანეთთან აკავშირებდა ვორონცოვის მოედანსა და რკინიგზის გაგზალს. მარშრუტი მალევე გააგრძელეს ერივანსკის მოედნამდე, ხოლო 1904 წელს

წავედი დასაძინებლად: ტრამვაი ტიფლისში, ძველ სპარსულ ქალაქში, ძველ ქართულ ციხესიმაგრეში... აი პროგრესი!“

სხვა მოგზაურების მსგავსად, ნეიც აღნიშნავს, რომ თბილისის ახალი ქალაქის იერსახე არაფრით განსხვავდებოდა პირველი რანგის ევროპული ქალაქებისგან. თუ ლიკლამა ა ნეიეჰოლტი ძირითადად გოლოვინის პროსპექტის მაღაზიებს ახსენებს, ნეი აღნიშნავს მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე უამრავ რუსულ, ბერძნულ და სომხურ მაღაზიას, აგრეთვე გერმანულ ლუდხანას, სადაც რუსები, სომხები და ქართველებიც კი დადიოდნენ. ევროპის ბაღში კარგ ამინდში ოპერეტებს წარმოადგენდნენ, იქვე იმართებოდა ფრანგული და გერმანული კოლონიების დღესასწაულები და მონაცვლეობით ისმოდა „მარსელიეზა“[137] ან „რაინის გუშაგები.“[138] საინტერესოა მისი შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ტიფლისელ გერმანელებს“ მათზე მცირერიცხოვანი ფრანგული კოლონიის მიმართ არ ჰქონდათ ქედმაღლური დამოკიდებულება, რის გამოც ზოგიერთ ქვეყანაში გერმანელებს კიცხავდნენ – ნაპოლეონ ნეი გულისხმობს საფრანგეთ-პრუსიის ომში (1870-1871) ფრანგების დამარცხებას. ეს ცნობა მიუთითებს თბილისში დამკვიდრებულ ტოლერანტულ ურთიერთობებს სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებს შორის.

აღმოსავლეთის მიმართ ნაპოლეონ ნეის გამოკვეთილი დამოკიდებულება ჩანს მისი ლირიკული პასაჟიდან – „ვაჭრის ბნელ ფარდულში გაფურჩქნული პოეზიის ყვავილი“: იგი დიდ სიმპათიას გამოხატავს სპარსელი ვაჭრების – „აზიის ფრანგების“ მიმართ, რომელთაც წინ უეჭველად ნატიფად მოხატული

ხაზი გაიყვანეს კირხეს ქუჩაზე (ახლანდელი მარჯანიშვილის მოედანი). Елена Орагвелидзе, Такой ли уж лишний для города трамвай?// «*Вечерний Тбилиси*», № 129, 16-17.XI, 2004.

137 „მარსელიეზა“ (Marseillaise) – ფრანგული რევოლუციური სიმღერა, შეიქმნა 1792 წელს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს; შემდეგ ის საფრანგეთის ეროვნულ ჰიმნად იქცა, სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის სამხედრო ინჟინერს, რუჟე დე ლილს (1760-1836).

138 „რაინის გუშაგები“ (Die Wacht am Rhein) – გერმანული პატრიოტული სიმღერა. შეიქმნა 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს. სიმღერის ტექსტი 1840 წელს დაწერა შვეიცარელმა პოეტმა და ფილოლოგმა, მაქს შტეკენბურგერმა, მუსიკა ეკუთვნის იოჰან იაკობ მენდელემს.

„ათას ერთი ღამის“ სპარსული ზღაპრები ედოთ და მას კითხულობდნენ, განსხვავებით სომეხი და თურქი ვაჭრებისგან, რომლებიც დავთრებში იყვნენ ჩაფლულები.

ალფრედ კეშლენ-შვარცის მსგავსად, ნეი მეტად დადებითად აფასებს სასტუმრო „კავკაზს“, სადაც ყურადღებას არ იშურებდნენ თანამემამულეების მიმართ. ის არც მაღალი ფასებით ჰგავდა ბათუმისას. მაგრამ მოგზაური „საშინელ ტავერნას“ უწოდებს სასტუმრო „კავკაზის“ წინ მდებარე „აღმოსავლურ“ რესტორანს, შესანიშნავი იუმორით აღწერს იქაურ რუსულ სამზარეულოს და თბილისში სამოგზაუროდ მიმავალ პირებს იქ მისვლას არ ურჩევს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნაპოლეონ ნეის მეტად დაწვრილებითი ცნობები თბილისის კავკასიის მუზეუმის[139] შესახებ, რომელსაც იგი „ამიერკავკასიის ერთ-ერთ საოცრებას“ უწოდებს. მოგზაური ჩამოთვლის მუზეუმში ნანახ ექსპონატებს – სამოსს, იარაღს, საყოფაცხოვრებო ნივთებს – მუსიკალურ საკრავებს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, კალის ძველ ჭურჭელს, საქსოვი ხის დაზგებს, აღწერს კედლის ფერწერას. სკრუპულოზური სიზუსტით შესრულებულ კავკასიის სხვადასხვა ხალხის ნატურალური სიმაღლის, აგრეთვე ცხოველებისა და ფრინველების ცვილის მეტად რეალისტურად შესრულებული ფიგურები მას გრევენის[140] მუზეუმს აგონებდა. როგორც ჩანს

139 კავკასიის მუზეუმი 1852-1919 წლებში მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ის, როგორც კომპლექსური სამხარეთმცოდნეო დაწესებულება, დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან მწერალ ვლადიმერ სოლოგუბის ინიციატივით. მის შექმნაში მონაწილეობდნენ ადოლფ ბერჟე, ი. ბარტოლომეი, ნიკოლოზ ხანიკოვი, ალექსანდრე ნიკოლაი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი და რაფიელ ერისთავები და სხვ. 1853 წელს კავკასიის მუზეუმის დირექციის თავმჯდომარე იყო ა. ნიკოლაი, ზედამხედველი – ა. ბერჟე. 1855 წლის სექტემბერში გაიხსნა პირველი გამოფენა. 1864 წელს კავკასიის მუზეუმი დაიხურა და აღდგა 1865 წელს გუსტავ რადეს (1831-1903) – რუსეთში მოღვაწე გერმანელი ბუნებისმეტყველის, მოგზაურის, გეოგრაფის, ნატურალისტისა და ეთნოგრაფის, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტის – ინიციატივით (გ. ჟორდანია, კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბილისი, 1951).

140 მადამ ტიუსოს ლონდონის ცვილის ფიგურების მუზეუმის მსგავსი მუზეუმი პარიზში 1882 წელს გაიხსნა. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი და

ისინი იმდენად ეფექტური იყო, რომ ნეის აზრით, ისინი „უკან მოიტოვებდნენ კონსტანტინოპოლის იანიჩარების მუზეუმს“, რაც საკმაოდ მაღალი შეფასებაა.[141]

ახალგაზრდა ფრანგი სტუდენტი ოგიუსტ ლეკუენ დე ვილმორენი ყურადღებას თბილისის გასართობ ადგილებს უთმობს. ერივანსკის მოედნიდან მუშტაიდამდე, რომელსაც ლიკლამა ა ნეიეჰოლტის მსგავსად ისიც *ტიფლისის ელისეს მინდვრებს* უწოდებს, მისასვლელად ბელგიელი რადლეს მიერ დამონტაჟებული პატარა ტრამვაით ოცი წუთი დასჭირდა. ბაღში იყო კაფე-რესტორანი, სამხედრო ორკესტრი საცეკვაო მუსიკას უკრავდა; ქართველები, თათრები, სომხები და სპარსელები მუსიკის ხმაზე თავიანთი ქვეყნის ცეკვებს ასრულებდნენ. მუშტაიდისკენ მიმავალი განიერი ბულვარის ორივე მხარეს მდებარე ბაღების უმეტესი ნაწილი კლუბებს ჰქონდათ დაქირავებული ან შესყიდული. ზოგში კაფეშანტანი იყო, ორ კლუბში კი განსაკუთრებით ბევრი ხალხი დადიოდა. ერთში ყოველ დღე რუსულ ენაზე წარმოადგენდნენ ვოდევილს “Madam Angot”[142], მეორეში, რომელიც ფრანგ ბარბერონს ეკუთვნოდა, კვირაში სამჯერ ეწყობოდა ნიღბიანი მეჯლისი, რომელსაც რუსები „მასკარადს“ (“mascarade”) უწოდებდნენ. 1889 წლის 14 ივლისს ვილმორენი სწორედ ბარბერონის ბაღში დაესწრო საზეიმო ბანკეტს, რომელზეც სამოცზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა. საფრანგეთის უმნიშვნელოვანეს დღესასწაულზე ჯერ რუსეთის *ცარის* სადღეგრძელო შეისვა, შემდეგ კი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის. სამხედრო ორკესტრი გარემოების მიხედვით უკრავ-

---

პირველი დირექტორი იყო ალფრედ გრევენი (1827-1892) – ფრანგი მოქანდაკე, კარიკატურისტი და თეატრალური კოსტუმების მხატვარი.

141 Napoléon Ney, *En Asie Central à la vapeur*. Preface de Pierre Véron, dessins de Dick de Longlay, avec deux cartes (Paris: Garnier Frères – Editeurs, 1888), 119-124.

142 “Madame Angot” – ოპერეტა სამ მოქმედებად, პირველად 1872 წელს დაიდგა ბრიუსელში, Fantaisies-Parisiennes-ში, 1873 წელს კი პარიზში, Folies-Dramatiques-ში. ვოდევილის ავტორია ანტუან-ფრანსუა ევი, მაიოდ წოდებული (Antoine-François Ève dit Maillo), კომპოზიტორი – შარლ ლეკოკი (Charles Lecocq), ლიბრეტოს ავტორები არიან – კლერვილი (Clairville), პოლ სიროდენი (Paul Siraudin) და ვიქტორ კონინგი (Victor Koning).

და რუსეთის ნაციონალურ ჰიმნს, მარსელიეზას ან ბარბასონს.[143] ეს სამი ადგილი – მუშტაიდი, თეატრი და მასკარადი სავსე იყო ოფიცრებითა და მოხელეებით.

მტკრის გასწვრივ ქართული, თათრული, სომხური და სპარსული რესტორნები იყო განლაგებული. ერთ-ერთი რესტორანში, ფანჩატურში მდგარ კოჭლ მაგიდასთან მოკალათებული ფრანგი სტუდენტის მიერ რუსულ ენაზე შედგენილ მენიუში ალალბედზე მითითებული კერძები აღმოჩნდა კიტრი, მარილი და ქათამი. იგი იუმორით აღწერს, რომ „საცოდავი ქათამი“ მის თვალწინ დაიჭირეს, დაკლეს, რამდენიმე წუთში გაპუტეს, ფართოპირიანი დანით გამოშიგნეს და ცალი ფეხით დაიჭირეს გაღვივებულ ნაკვერჩხალზე, შემდეგ კი მას ეს ქათამი ლანგრით მიუტანეს ალაგ-ალაგ სისხლიანი, ალაგ-ალაგ კი დამწვარი. მისი თქმით, ამ სპექტაკლმა მას მადა დააკარგვინა, სასტუმრო „კავკაზში“ კი, სადაც იგი იყო გაჩერებული, უთხრეს, რომ ეს იყო და „ვახშამი ქართულად“.

ოგიუსტ ლეკუენ დე ვილმორენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ერივანსკის მოედნიდან მტკვრის სანაპიროსკენ მიმავალ პატარა, სპარსელებით დასახლებული ქუჩას, სადაც სხვადასხვა ფარდულებში ჩანდა თუ როგორ მუშაობდნენ ხელოსნები. მათ შორის იგი გამოჰყოფს ერთი სპარსელის, გვარად კაფაროვის (Kaffaroff), ფარდულს, რომელსაც სხვათაგან განსხვავებით, „ევროპული ვიტრინა“ და ხალიჩებისა და საინტერესო საქონლის დიდი არჩევანი ჰქონდა. ისევე, როგორც ნაპოლეონ ნეისა და ორსოლის თხზულებაში, აქაც თბილისში მუსლიმური აღმოსავლეთის ძიებაა, თუმცა კაფაროვი შესაძლოა სომეხი იყო.[144]

---

143 ბელგიის ჰიმნის, la Barbançonne, ტექსტი 1830 წლის სექტემბერში დაწერა ახალგაზრდა ფრანგმა რევოლუციონერმა ჟენევალმა (ნამდვილი სახელია ლუი ალექსანდრ დეშე), ბრიუსელის თეატრის (Théâtre de la Monnaie) მსახიობმა. იმავე წლის სექტემბერში თეატრის დირიჟორმა ფრანსუა ვან კამპენგაუტმა ამ ტექსტზე მუსიკა დაწერა. 1860 წელს ჰიმნს ოფიციალური სტატუსი მიენიჭა. ამჟამად ჰიმნში დატოვებულია ჟენევალის ტექსტის მხოლოდ პირველი სტროფი, დანარჩენი ტექსტი ეკუთვნის შარლ როჟეს.

144 Auguste Lecoin de Vilmorin. *De Paris a Bombay par la Perse*. Illustrations

XIX საუკუნის მიწურულს თბილისში ჩამოსული ფრანგი მწერლის, გასტონ სანსრეფუსის თქმით, თბილისი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში სრულიად უმნიშვნელო სოფელი იყო, უცნაური დამთხვევით V საუკუნეში საქართველოს დედაქალაქი გახდა და თბილისის დაარსების ლეგენდის შემდეგ ინტერპრეტაციას გვაძლევს: „ქრონიკა გადმოგვცემს, რომ ერთ დღეს მეფე ვახტანგ გორგასალი ანუ „მგელი-ლომი“[145] მცხეთის მახლობლად თავის ამალასთან, სენიორებთან და პრინცებთან ერთად ნადირობდა და მხარში დაჭრილ ირემს დაედევნა. საცოდავ ცხოველს უეჭველად მოკლავდნენ, მაგრამ ის გადაეშვა ცხელ წყალში, რომელიც მთებიდან მდუღარე მოედინებოდა. მეფის მონადირე ნადავლის დასაჭერად გაიქცა, მაგრამ წყალში ამ სასიკეთო ჩავარდნის გამო უეცრად გაჯანსაღებულმა ცხოველმა დიდი სისწრაფით გაქუსლა და მაშინვე ბუჩქნარში გაუჩინარდა. ამ ფენომენით მეტად გაოცებულმა მეფემ გადაწყვიტა დაეარსებინა თავისი დედაქალაქი – „ტბილიზი ქალაქი“ (Tbilizi Kalaki), ანუ „თბილი ქალაქი“ (Ville chaude). თერმული წყლის მაგიურ ძალას უცნობი და ჩაკარგული ღარიბი დასახლებისათვის სიმდიდრე და კეთილდღეობა უნდა მოეტანა.“

სანსრეფუსი ნარიყალას რაინდებისა და დევგმირების ძველ ციხესიმაგრეს უწოდებს, რომლის ნანგრევები სპარსული ლეგენდის მეომრის გიგანტური მუზარადივით იყო აღმართული კლდის თავზე და ზევიდან დაჰყურებდა „მგელი-ლომის“ ქალაქს. მზით განათებული ქართული და სომხური ეკლესიების მწვანე, მოვერცხლილი და მოოქროვილი გუმბათები ზევიდან ძვირფასი ზოდებისაგან გამოჭედილ ლამაზ ჯავშნებს ჰგავდა, შენობების მწვანე, ვარდისფერ და ცისფერ სახურავები – არლეკინის[146] უზარმაზარ მოსასხამს, ქალაქი – ოქროს დიდს ველს, სადაც

d'après les photographies rapportées par auteur. (Paris: Libraire de Firmin-Didot et Cie imprimeurs de l'Institut, 1895), 21-25.

145 ვახტანგ გორგასალს „მგელ-ლომად“ ("loup-lion") იულიუს კლაპროთი მოიხსენიებს (J. Klaproth, *Voyage au Mont Caucase et en Géorgie*, II, 2).

146 იტალიური ხალხური კომედიის, ე.წ. „ნიღბების კომედიის“ ტრადიციული პერსონაჟი, ტაკიმასხარა მხახური, რომელსაც სხვადასხვა ფერის ნაჭრებისაგან შეკერილი ტანისამოსი აცვია და უკეთია შავი ნახევარნიღაბი.

თითქოს შემთხვევით იყო გაფანტული პორფირის, იასპისა და მარმარილოს ბლოკები. ბოტანიკური ბაღის როდოდენდრონისა და აზალიის ძლიერი ბუჩქებიდან ყვავილები კენჭებში მორაკრაკე გამჭვირვალე მდინარისკენ იხრებოდნენ და სიმწვანეში, როგორც დიორამაში[147] ისე ჩანდა საქართველოს ტალღოვანი ვაკეები, რომლებიც შორეულ სინათლეში იკარგებოდა.

თბილისი უზარმაზარი ქარვასლის მსგავსი საგანგებო სტილის ქალაქი იყო, სადაც შეხვდებოდი ზრდილ ევროპელებს და ბარბაროს აზიელებს. მოგზაური ქალაქს ორ უბნად ჰყოფს: ცივილიზებულ, ევროპულ-რუსულ უბანში ფართო ბულვარები, ოფიციალური ნაგებობები, თავად ვორონცოვის ქვის განიერი ხიდი, საიმპერიო თეატრი, ყაზარმები, ალექსანდრეს ბაღი და გენერალ-გუბერნატორის სასახლე იყო. მეორე, აზიური უბნის ჭუჭყიანი, დაკლაკნილი ქუჩების ლაბირინთები, ხვეული კიბეები და მტკვრის ნაპირებისკენ გადმოხრილი მორყეული ქოხები გაცილებით უფრო თვალწარმტაცი სანახავი იყო. დაბალი ტრამვაის მჭიდრო ხმაურიან ბრბოში აზიის ყველა იდიომზე ლაპარაკობდნენ.

ნაპოლეონ ნეის შთაბეჭდილებისგან განსხვავებით, სანსრეფუსის აზრით კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიულ დარბაზში წარმოდგენილ ცვილის უსიცოცხლო ფიგურებს არაფერი საერთო არ ჰქონდა გრეევენის მხატვრულ კომპოზიციებთან და უფრო ლონდონის ტიუსოს[148] გალერეის მარიონეტების (pupazzi) დაცინვას წააგავდა. ფრანგი მწერალი მათ ბურლესკურ[149] კარიკატურებს უწოდებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ კავკასიის ფლორა და ფაუნა კარგად ოყო წარმოდგენილი, ხოლო ფიგურების განიერი სამოსის ნაკეცების სილამაზე თავისებურ ხასიათს ანიჭებდა გლეხისა თუ მხედრის სილუეტს.

მწერალი ბედნიერ საათებს უწოდებს თბილისის ვიწრო ქუჩებში ხეტიალს და პატარა ფარდულებში უცნაურად ნამუშევარ

147 დიორამა – გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი, რომელიც საგანგებო განათების შედეგად მოცულობის მქონედ ჩანს.

148 იგულისხმება მარი ტიუსოს (1761-1850) მიერ 1835 წელს ლონდონში გახსნილი ცვილის ფიგურების გამოფენა.

149 ბურლესკი – კომიკური, პაროდიული პოეზიის ჟანრი.

სამკაულებში, ძვირფას იარაღში, მოციმციმე ქსოვილებში, ფანტასტიკურ ნახატებიან ნაქარგებსა და „სიმდიდრის ამ გროვაში წვრილმანის ქექვას.“ მჭედლის სახელოსნოს იგი „გამოქვაბულის ჰალუცინაციად“ მოიხსენიებს, სადაც „ჯოჯოხეთის სიღრმეში ციკლოპები განუწყვეტლივ ურტყამდნენ ჩაქუჩს.“ ორსოლის მსგავსად, ფრანგი პოეტიც წერს, რომ ყოველი ფარდული დასახატი ტილო იყო და ასე აღწერს მას: „ყოველივე ეს არის ფერადი, სიცოცხლით და სინათლით სავსე; ყოველი ფარდული დახვეწილი ჟანრის სურათია – შელახულ ხალიჩაზე დაუდევრად წამოწოლი ვაჭარი, რომელიც ზანტად ეწევა გრძელ ჩიბუხს კიფით[150], იქვეა მისი სხვადასხვა საქონლის ჭრელი გამოფენა, სადაც ბრწყინავს ხანჯლის პირი და თოფის ბრინჯაო – აღმოსავლური დეკორის საგანგებო ფერი, ასე ინტენსიური და ასე რეალური, დაბოლოს ეს განსაკუთრებული შუქი „არც თეთრი და არც სპილენძის ფერი, // მაგრამ „რაც ოქროს ჰგავს“ // მზის სხივში // რასაც „აღმოსავლეთის სინათლეს“ უწოდებენ.[151]

ამ პასაჟიდანაც ჩანს, რომ თბილისში სანსრეფუსიც მუსლიმურ აღმოსავლეთს ეძებდა.

XIX საუკუნის მიწურულს თბილისის ქუჩები კვლავ მოუწესრიგებელი იყო, რასაც მოწმობს „მგელი-ლომის“ ქალაქიდან მოგზაურის თავსხმა წვიმაში გამგზავრების ეპიზოდი: „საღამოს კვლავ გაწვიმდა... არასოდეს მიცურავია ტალახის ისეთ ოკეანეში, როგორც სასტუმროდან სადგურამდე. ეს აღარ იყო ქუჩა, ეს იყო საშინელი კლოაკა, რომელშიც ეტლები ღერძამდე ეფლობოდნენ...“[152]

---

150 თუთუნისა და ჰაშიშის ნარევი.

151 “Tu n’es point blanche ni cuivrée: // Mais il semble qu’on t’a dorée // Avec un rayon de soleil”. Œuvres de Victor Hugo: Poésie, Volume 2, Paris, J. Hetzel et Cie Edition, 1869, 449. “Ni blanche ni cuivrée // mais qu’on dirait dorée // Avec un rayon de soleil // Qu’on apelle “lumiere d’Orient” სანსრეფუსი ამ სტიქონები წერისას ვიქტორ ჰიუგოს (1802-1885) მიერ 1829 წლის საბერძნეთის ოსმალეთისაგან განმათავისუფლებელი ომისადმი მიძღვნილი აღნიშნული პოემის “Les Orientales” მეთერთმეტე ლექსის “La Sultane Favorite” სტრიქონების იდეით სარგებლობს და მას თავისი ინტერპრეტაციით გადმოსცემს.

152 Gaston Sansrefus, *De Paris à Tiflis. Impressions de route*. Préface de C. Fuster. Dessins de H. Bertaux (Paris: Imprimerie Clamaron-Graff, 1897), 417-420,

ამგვარად, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ყველა მოგზაური ერთნაირად აღწერს თბილისს.

1905 წლის აპრილში რევოლუციურ თბილისს თავის თანამგზავრებთან ერთად[153] ეწვია ცნობილი ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი კლოდ ანე. მისი ცნობით, ქალაქი არ იყო მოქცეული ისეთ ალყაში, როგორც ბათუმი, ქუთაისი და გორი, მაგრამ ქუჩებში კაზაკების პატრული დადიოდა, სასტუმროები – დახურული, ტრამვაები – ცარიელი, ქალაქის ნახევარი, მათ შორის სასტუმროს მომსახურე პერსონალი, გაფიცული იყო. ამ გაფიცვას ჟურნალისტი პოლიტიკურს უწოდებს და შინამოსამსახურეების მოთხოვნებსაც გვაცნობს. იგი წერს: „მე ვნახე შინამოსამსახურეების მოთხოვნები; მათ სურთ სამუშაო საათების შემცირება, ჯანმრთელი საკვები, სამედიცინო მომსახურება ავადმყოფობის შემთხვევაში, თავაზიანი მოპყრობა და ის, რომ ვერ შესძლონ მათი განთავისუფლება უსაფუძვლოდ. მსოფლიოში არსად, ამერიკაშიც კი, სადაც შინამოსამსახურეებს ჩვენც რომ არ ვიცით ისეთი მოთხოვნები აქვთ, მსახურებს ამდენით არ უზრუნველყოფენ."

სასტუმრო „ლონდონში", სადაც კლოდ ანესა და მისი თანამგზავრების გარდა სხვა არავინ იყო, მზარეულის მოვალეობას სასტუმროს პატრონი, მოახლის საქმეს კი მისი დედა და და ასრულებდნენ.[154] ამას გარდა, მოგზაურებს ემსახურებოდნენ

424-425, 428-434.

153 კლოდ ანეს თანამგზავრები იყვნენ: ვლახეთის ყოფილი გოსპოდარის ვაჟი, ცნობილი ავიატორი და სპორტსმენი – პრინცი გეორგ-ვალენტენ ბიბესკო, მისი მეუღლე – პრინცესა მარტა ბიბესკო – პარიზის მაღალი საზოგადოების თვალსაჩინო ქალბატონი, მოქანდაკე, მუსიკოსი, მწერალი; შემდგომში საფრანგეთის აკადემიის, მარსელ პრუსტის პრემიის მფლობელი წიგნისთვის *"Les Huit Paradis"*; ვლახეთის გოსპოდართა ოჯახის წევრი, პრინცი ემანუელ ბიბესკო; რუმინეთის საკანონმდებლო ორგანოს წევრი მიჰაი ფერეკიდი და მისი მისი მეუღლე მარია; ლეონ ლეონიდა – რუმინელი სპორტსმენი. მოგზაურებს ახლდათ სამი მექანიკოსი – შვეიცარიელი კელერი, ფრანგი ეჟენი და რუმინელი გიორგი.

154 დავით ხოშტარიას ცნობით, 1893-1914 წლებში სასტუმრო „ლონდონის" მმართველები იყვნენ ცოლ-ქმარი რიხტერები. იოჰან ჰენრიხ რიხტერის გარდაცვალების შემდეგ კი, 1893-1914 წლებში, სასტუმროს

ჯარისკაცები, მათ შორის ერთი ოდესაში დაბადებული გერმანელი იყო და „პოლიგლოტი“ ჯარისკაცის სასტუმროზე მიმაგრება ჟურნალისტმა გუბერნატორის „დელიკატურ ყურადღებას“ მიაწერა.

თბილისს, „საქართველოს თვალწარმტაც დედაქალაქს“, კლოდ ანე არ ჰყოფს ევროპულ-რუსულ თუ აზიურ ქალაქად, მაგრამ აღნიშნავს თბილისის ერთმანეთზე მიდგმულ სახლებს, სომხურ და სპარსულ ბაზრებს, ძველ ტაძარს, ახალი უბნების დიდ ბულვარს, გუბერნატორისა და ქალაქის ბაღებს. სხვა მოგზაურებისგან განსხვავებით, ყურადღებას აქცევს მაღლობზე, რკინიგზის სადგურის უკან აღმოცენებულ ახალ, ქართველი მუშების უბანს, რომელშიც ნაძალადევი უნდა იგულისხმებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ მსახურები გაფიცულები იყვნენ, ანე და მისი თანამგზავრები ქალაქში სადილობდნენ, ვახშმობდნენ და ქართულ მასპინძლობას ეცნობოდნენ. სარეკომენდაციო წერილების ადრესატმა „თავაზიანმა ტიფლისელებმა“, რომელთა ვინაობას კლოდ ანე არ ასახელებს, მოგზაურები მეტად გულთბილად მიიღეს. ამ კონტექსტში საინტერესოა ანეს შემდეგი ლირიკული პასაჟიც, იგი წერს: „სასტუმროს პატრონებმა შესანიშნავი ზეიმი მოგვიწყეს შემოგარენის ერთ-ერთ ბაღში, სადაც ზაფხულობით ტიფლისელები საღამოს გასატარებლად და მუსიკის მოსასმენად დადიან. ჩვენთვის ადგილობრივ ცეკვებს შეასრულებენ. ჩვენ მდინარის ნაპირზე მდებარე ბაღში მივედით. და რა მდგომარეობაშია ავტოები? ღერძებამდე ტალახში!

მტკვრის ნაპირზე მდებარე, ყოველი მხრიდან ღია პავილიონში მოვკალათდით.

მდინარე ჩვენს უკან მიედინება; ნესტიანი მიწის სინოტივე იგრძნობა; შემდეგ იწყება წვიმა. აკანკალებულებს, შორიდან გვესმის ფლეიტის, კლარნეტისა და დაირის ხმა; მოიტანეს კერძები – პატარა გემრიელი კალმახები, ხიზილალა, ქათამი და ტიფლისში ამას ჰქვია ჩაიზე დაპატიჟება. სავალი გზის ნაპირებში, სადაც შავი, ოქროსფერი და მელანქოლიური ირისები

მართავდა მისი ქვრივი, კატარინა (დ. ხოშტარია, *თბილისი*, 51). როგორც კლოდ ანეს ცნობიდან ჩანს, სასტუმროს მართვაში მას ეხმარებოდნენ თავისი ვაჟი და ქალიშვილი.

ყვავის, ჩვენთვის ცეკვავს ორი ჩერქეზი; ახალგაზრდა გოგონა ნიცშეზე მესაუბრება; წვიმს, სასიკვდილო სინოტივეა; გულის *განმგმირავი* ფლეიტა რითმულ ტირილს სიბნელეში აგრძელებს.

შამპანურის შემდეგ ერთ-ერთი თანამეინახე კაზაკების ცოცხალ და გრაციოზულ ცეკვას ასრულებს.

უკანა გზაზე ავტომობილები უსახელოდ დაიღუპებიან ტიფლისის ტალახში."

რადგან თბილისში ტრანსპორტი არ მოძრაობდა, მოგზაურებმა ფეხით მოიარეს ბოტანიკური ბაღი, მუზეუმი, ქარვასლა და ბაზარი. ბაზრის „ერთადერთ სიმდიდრედ" დასახელებულია კავკასიური, დაღესტნური, კასპიისპირეთის, სამარყანდული, ბუხარული, ავღანური, სპარსული – თავრიზული, და თურქული ხალიჩები. ქალაქში არსებული დაძაბული ვითარების მიუხედავად, მოგზაურები ორჯერ იყვნენ გოლოვინის პროსპექტზე მდებარე დიდ თეატრში.[155] კლოდ ანე წერს: „ტიფლისი. – ბოლო დღეები კავკასიაში. თეატრები გახსნილია. ამისთვის მადლობა ვუთხრათ რევოლუციონერთა კომიტეტებს. დიდ თეატრში, რომელიც დიდი და შესანიშნავი შენობაა, ვნახეთ *Coquin de Printemps*, ოპერეტად არანჟირებული სტრაუსის მიერ[156] და შარლ გუნოს

155 თეატრი არქიტექტორი ვიქტორ შრეტერის (1839-1901) პროექტით თეატრის მშენებლობა დაიწყო 1880 წელს და 16 წლის მანძილზე გაგრძელდა, მის მშენებლობას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ პაულ შტერნი, ალბერტ ზალცმანი და ალექსანდრე შიმკევიჩი. 1896 წლის 3 ნოემბერს გაიხსნა მიხაილ გლინკას ოპერით „ივან სუსანინი."

156 ოპერეტა *Coquin de Printemps* (*„გაზაფხულის სიო"*, იოსებ შტრაუსის (1827-1870) ცნობილ მელოდიებზე მისი გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ, პირველად 1903 წელს დაიდგა ვენაში. მას საფუძვლად დაედო ადოლფ ჰაიმესა და ჟორჟ დიუვალის ამავე სახელწოდების ვოდევილი, ლიბრეტო ეკუთვნით კარლ ლინდაუსა და იულიუს ვილჰელმს.

ოპერა „საფო“[157], სადაც თამაშობდა რუს რეჟანად[158] წოდებული იავორსკაია[159], იგივე პრინცესა ბარიატინსკი.“[160]

თხზულებაში დიდი ადგილი ეთმობა ირანისკენ მიმავალი მარშრუტის შერჩევას, რაც რამდენჯერმე შეიცვალა გადაუღებელი წვიმის გამო.

1909 წლის ივნისში თბილისში ჩამოსული ფრანგი ჰერცოგინია, ერმინი დე როან-შაბო და მისი ქალიშვილი პრინცესა მარი მიურა, სალომე და აშილ მიურას უფროსი ვაჟის, ლუსიენის, მეუღლე, სასტუმრო „ორიენტში“ (l'hôtel d'Orient)[161] დააბინავეს, საიდანაც ფუნიკულიორი[162] ჩანდა. იმჟამად თბილისში წესრიგი აღდგენილი იყო და სავსებით მშვიდად შეიძლებოდა მგზავრობა როგორც კავკასიაში, ისე ჩრდილოეთიდან სამხრეთში და აღმოსავლეთიდან დასავლეთში. თავისი სიძის ცნობებზე დაყრდნობით, მოგზაური თბილისში 1905 წლის ნოემბერში მიმდინა-

---

157 საფო (დაახლ. ძვ. წ. 630-612 – დაახლ. ძვ. წ. 570). ოპერა „საფოს“ ლიბრეტო ეკუთვნის ეჟენ ოჟეს, მუსიკა – შარლ გუნოს. ეს ოპერა პირველად 1851 წლის 16 აგვისტოს წარმოადგინეს პარიზში, Grand Opera-ში, მთავარი პარტია დაწერილი იყო საგანგებოდ პოლინა ვიარდოსთვის (1821-1910), მაგრამ მეშვიდე წარმოდგენის შემდეგ მოხსნეს, ეკტორ ბერლიოზმა კი გამანადგურებელი რეცენზია დაწერა.

158 გაბრიელა რეჟანი (Réjane, 1856-1820) – ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალი.

159 ლიდია იაროვსკაია (1871-1921), ცნობილი რუსი მსახიობი. რუსი პუბლიცისტის, დრამატურგისა და მწერლის, თავად ვლადიმერ ბარიატინსკის (1874-1941) მეუღლე.

160 Claude Anet. Les Roses d'Ispahan – *La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase*. A la princesse Georges Valentin Bibesco et à Madame Michel Charles Phérékyde je dédie respectueusement le récit d'un voyage dont elles ont partagé avec moi, et ennobli, les émotions. Paris, Société d'Edition et de Publication, Librairie Félix Juven, 1907, 105.

161 სასტუმრო „ორიანტი“ (l'hôtel d'Orient) 1895 წლის აპრილში გაიხსნა (დ. ხოშტარია, *თბილისი*, 60).

162 1900-იან წლებში „ზედა თბილისის“ „ქვედა თბილისთან“ დაკავშირების გეგმა თბილისის ტრამვაის ქსელის მფლობელმა ბელგიურმა კომპანიამ წარმოადგინა. ბელგიელი ინჟინრის ალფონს რობის ინიციატივით, ახალი უბანი ძველ ქალაქს სამთო ტრამვაით – ფუნიკულიორით უნდა დაკავშირებოდა. მისი მშენებლობა 1903 წლის სექტემბერს დაიწყო და 1905 წლის 27 მარტს გაიხსნა.

რე მოვლენებს ეხება, რომელთა თანახმად ქალაქში მიმდინარე ბრძოლებისა და ტერორის დროს მრავალი სახლი გადაიწვა, ლუსიენმა კი სასტუმრო „ორიენტი“ საფრანგეთის საკონსულოდ აქცია და „თავისი თანამემამულეები იქ ეროვნული დროშის დაცვის ქვეშ დააყენა.[163]

ფრანგი ქალბატონი თბილისს მომაჯადოვებელ დედაქალაქს, კავკასიის მარგალიტს და კეკლუცი ბუნებით გარშემორტყმულ არწივის ბუდეს უწოდებს. მოგზაურის ყურადღება მიიპყრო ყვავილებით მორთულმა სახლების მოჩუქურთმებულმა აივნებმა, აყვავებულმა ბაღებმა, ძვირფასი ქაშანურით მოპირკეთებულმა ორბელიანის აბანოებმა[164], კავკასიის მუზეუმში ნანახმა ექსპონატებმა, შესანიშნავმა ბოტანიკურმა ბაღმა უიშვიათესი მცენარეებით და სპარსული ციხესიმაგრიდან – ნარიყალადან გადაშლილმა ხედმა.

ახალი ქალაქში გამოყოფს ფართო ქუჩებს, ძალიან სუფთა ტროტუარებს, კარგად ნაგებ ხიდებს, გერმანული უბნის დიდ ცენტრალურ აფთიაქს, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის წამალი იყიდებოდა. თბილისში „დიდ მოდაში იყო“ დღეში რამდენჯერმე ფეხსაცმლის გაპრიალება და აბანოში მასაჟის ხშირად გაკეთება. მდიდრული მაღაზიები ელეგანტურობით ეჯიბრებოდნენ la rue de la Paix-ს[165] მაღაზიებს.

აღმოსავლური უბნის მოედნებზე, ვიწრო ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე ერთმანეთში ირეოდნენ თათრები გადაპარსული თავებით ქამარში გარჭობილი ხანჯლებით, დაუდევრად ჩაცმული სომხები, ყველა ჯურის შეიარაღებული მთიელი, ძლიერ

163 “Nous partons avec lui pour l’hôtel d’Orient qu’il avait transformé pendant l’émeute en consulat de France, mettant ainsi tous ses compatriotes sous la protection du drapeau national.”

164 XVII-XIX საუკუნეებში თბილისში იყო ერეკლეს, ბებუთას, მელიქის, მეითრის (სუმბათოვის), გოგილოს, ორბელიანთა, თბილელის, მირზოევის, ხოჯას, „გრილი“ (შიოევის), „ჭრელი“ და სხვა აბანოები. დღემდე შემორჩენილი აბანოების უმეტესი ნაწილი XVII-XVIII საუკუნეებში ირანული არქიტექტურის გავლენით აშენდა და ბოტანიკური ბაღის აღმართის დასაწყისშია თავმოყრილი. ორბელიანის აბანოს „ჭრელ აბანოსაც“ უწოდებდნენ.

165 La rue de la Paix – მოდური სავაჭრო ქუჩა პარიზის ცენტრში.

დატვირთული მებარგულები, აზიის საზღვრებიდან მოსული სხვადასხვა აღმოსავლელები და ძლიერ დატვირთული ცხენები, ჯორები და ვირები. ადამიანების და პირუტყვების ეს ხმაურიანი ორომტრიალი ოსტატურად მოძრაობდა და ამ უბანს სრულიად არაჩვეულებრივ სიცოცხლეს ანიჭებდა და ხელს უწყობს აღმაფრთოვანებელი შთაბეჭდილების შექმნას და იმ ხიბლის გაღვივებას, რასაც მოგზაური ტიფლისში განიცდიდა.

მოგზაური თბილისის კულტურული დაწესებულებებიდან ასახელებს ახალ აშენებულ და კარგად მოწყობილ თეატრებს, რაც ლამაზ ეფექტს ქმნიდა. „იმპერიალში“ (“Impérial”)[166] სპექტაკლებს რუსულ, „ნაციონალში“ (“National”)[167] კი ქართულ ენაზე წარმოადგენდნენ.

პოეტი მოგზაური საგანგებო ყურადღებას უთმობს ქართული ლიტერატურის საკითხს. იგი ასახელებს შავთელს, ჩახრუხაძეს, ხონელს, შოთა რუსთაველს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გიორგი ერისთავს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, დიმიტრი თუმანიშვილს, ერეკლე II-ს ქალიშვილებს – ბატონიშვილებს მარიამსა და ქეთევანს, „პოპულარულ შანსონიეს“ – საიათნოვას და აკაკი წერეთელს. მოგზაურს თხზულებაში მთარგმნელის თუ მთარგმენელების დაუსახელებლად მოჰყავს შემდეგი პოემებისა და ლექსების თარგმანები: ალექსანდრე/ილია ჭავჭავაძის – Crépuscule dans la valée d’Alasan? სოლომონ ლიონიძის – „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარებისა ღირსისა“ (Sur la morte de Héraclius II, 1798) რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ – La pays natale des Chewurzen; აკაკი წერეთლის – “A l’Amour”.

ფრანგი ჰერცოგინია აღნიშნავს თავისი *კუზინას,* ქალიშვილობაში ნიკოლაის[168] სტუმართმოყვარე სასახლეში დიდი ზეიმის

166 „იმპერიალში“ იგულისხმება დღევანდელ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

167 „ნაციონალში“ იგულისხმება დღევანდელი შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი.

168 ჰერცოგინია დე როანი გულისხმობს მარიამს (1859-1919) – ბარონ ალექსანდრე ნიკოლაისა (1821-1899) და სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაის (1833-1862) ქალიშვილს, გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძის (1847-1918) მეუღლეს.

გამართვას კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფი ვორონცოვის, საპატივცემულოდ, სადაც „ტიფლისის მთელი მაღალი საზოგადოება“ იკრიბებოდა.[169]

ამგვარია ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურების ცნობები ასი წლის მანძილზე თბილისის განვითარების შესახებ, დაწყებული ლეიტენანტ კამილ-ალფონს ტრეზელის 1809 წლის მაისით დათარიღებული ხელნაწერით, ინფორმაციით, დასრულებული 1909 წლის ივნისში ჰერცოგინია დე როან-შაბოს თბილისში სტუმრობის ამბებით.

***

თბილისის ქარვასლები და ბაზრები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში გამუდმებით ჩადიოდნენ სპარსული საქონელით დატვირთული აქლემების ქარავნები ბაქოდან და შამახადან, თურქული საქონელი კი ფოთიდან და ქუთაისიდან შემოჰქონდათ. ვაჭრები საქონელს ქარვასლებში ინახავდნენ და თვითონაც იქ ჩერდებოდნენ. 1820 წელს სომეხმა არქიეპისკოპოსმა, ნერსესმა ახალ ქალაქში ააშენა დიდი ქარვასლა, რომელიც ძველ ქალაქში არსებულ ორი ქარვასლაზე გაცილებით დიდი იყო, მაგრამ სპარსელების ყველა ქარავანი არცრუნის დიდ ქარვასლაში ჩერდებოდა. ყოველი ვაჭარი ამ ქარვასლაში დაბინავების საფასურად შეთანხმების მიხედვით მხოლოდ თავისი საქონლის გაყიდვიდან მიღებული თანხის ერთ პროცენტს იხდიდა. თბილისის ორი ნაწილის დამაკავშირებელ ხიდთან მდებარე ეს ქარვასლა თბილისის ყველაზე ხმაურიანი ადგილი იყო. პილიასტრებით და ფანჯრებით უხვად მორთული სამ თუ ოთხ სართულიანი შენობის პირველ სართულზე უამრავი ფარდული იყო, სადაც იყიდება აღმოსავლური ფუფუნების საგნები. იქ საქონლით დატვირთული აქლემებისა და ცხენების მუდმივი მოძრაობა იყო. უცხოელი ვაჭრები იქ თავიანთ საქონელს ფენდნენ, იქვე ისხდნენ ფეხმორთხმით, თავიანთ ყალიონებს ეწეოდნენ

169 Herminie de Rohan-Chabot, *Les Dévoilées du Caucase; Notes de Voyage*. A Son Altesse, La Princesse Salomé Murat qui m'a fait ouvrir avec une grace sans pareille les portes de son modestes lignes merveilleux Caucase, je dédie ces (Original work published 1910) Paris, S.d. 60, 63-64, 66-68, 70.

და მხოლოდ მყიდველის მისვლისას დგებოდნენ. სამი ქარვასლა ბაზრის შიგნით მდებარეობდა, რამდენიმე ქუჩად და მოედნად იყოფა და მუდამ სავსე იყო მოსეირნეებით.[170]

გენერალმა ერმოლოვმა, რომელმაც სურდა თბილისის კომერციულ საწყობად ქცევა, თბილისის დიდი ბაზარი გააფართოვა და გაარემონტა. ბაზრის რამდენიმე ნაწილს დღის გადახურვა ჰქონდა, გალერეებში სინათლეც შედიოდა და ჰაერიც. თბილისის ბაზრებში რამდენიმე ასეული ფარდული იყო, ყოველ ხელობას თავისი განსაზღვრული ადგილი ჰქონდა და ხელოსნები ზამთარ-ზაფხულში ჰაერზე მუშაობდნენ. ბაზარში ცალკე რიგები ეჭირათ მაუდით, აბრეშუმის თუ ტილოსა ქსოვილებითა და სუნელებით მოვაჭრეებს, ბაზრების მოედნების გარშემო ჩამწკრივებული იყო მექვაბეები, მეთუნეების სახელოსნო-ფარდულები, რომლებიც კვლავ მოხდენილი ფორმის ჭურჭელს, თიხის ანტიკური და ელეგანტური ფორმის დოქებს ამზადებდნენ, მოშორებით მდებარე იუველირები დახელოვნებულები იყვნენ მომინანქრებაში. ადგილობრივი მოსახლეობის ფუფუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი კი ვერცხლის ნაკეთობები იყო. ბაზრის სიღრმეში ცხენის გადასაფარებელ უცნაურ ნახატებიან ფეტრის ჩულებს ამზადებენ, მოშორებით მეაბრეშუმეები ადგილობრივი ყვავილებისა და მცენარეებისგან მიღებული საღებავებით ქსოვილს მბრწყინავ და გამძლე ფერებად ღებავდნენ. მთრიმლავები ისეთ ელასტიურობას აძლევენ ტყავს, როგორსაც საფრანგეთში ვერ აკეთებდნენ. მრავალი ფარდული ეთმობოდა მეწაღეებს და ბეწვეულის სახელოსნოებს, კრაველის ქუდები მოდაში იყო თბილისში და ამ მიზნით შავი და ნაცრისფერი კრაველი ასტრახანიდან შემოჰქონდათ. ხმლისა და ხანჯლის პირების მეტად ცნობილი მეიარაღეების სახელოსნოები აბანოებთან მდებარეობდა, იქ იყიდებოდა საუკეთესო პირიანი და მდიდრულად მოსევადებული ხმლები და ხანჯლები. ხელოსნები ხორასნულ ფოლადს იყენებდნენ, რაც საკმაოდ ძვირი ღირდა. დიუბუა დე მონპერეს ცნობით, XIX საუკუნის 30-იან წლებში თბილისში 136

170 Beaujour, *Voyage militaire dans l'Empire Othoman*, II. 40; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 157; Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, III, 233-237, 258. Bélanger, Voyage aux Indes Orientales, II, 36-37; Besse, Voyage en Crimée au Caucase, 1838, 333-334.

თერძი, 5 მესაათე, 5 ოქრომჭედელი, 54 ვერცხლზე მომუშავე, 104 მეწაღე, 16 მხატვარი, 12 maîtres fournisseurs, 21 იარაღის ხელოსანი, 66 ტყავზე მომუშავე ხელოსანი (მთრიმლავი), 40 ქირურგი-დალაქი, 58 მცხობელი, 74 მჭედელი, 33 ზეინკალი, 60 დურგალი, 63 კალატოზი, 14 ტიკჭორის ხელოსანი, 18 ბალალაიკაზე დაკვრელი და 42 აბრეშუმის დამრთველი იყო. თბილისში მუშებისა და წყლის დამტარებლების უმრავლესობა იმერელი იყო, რომელთაც გამბა თბილისის ოვერნელებს[171] უწოდებს. ოსები ლუდს, ლამაზ ხალიჩებს, მატყლის წინდებს, მელიისა და კვერნის ბეწვს ყიდდნენ ან სპარსულ თუ ევროპულ საქონელში ცვლიდნენ. გადამყიდველები ძველი ტანსაცმლითა და ჩექმებით, უხეში ქსოვილის პერანგებითა და ადგილობრივი ნაწარმით ვაჭრობდნენ. ფეხით მოსიარულეთა ბრბოში, ღვინით სავსე ტიკებით აკიდებული კამეჩების, საქონლით აქლემების ქარავნების ალიაქოთში ირეოდა მაღალი წოდების რუსი ოფიცრების დროშკების ერთი უბნიდან მეორეში უთავბოლო მოძრაობა, რომელთა წინ კაზაკები გზას გასათავისუფლებლად ხის გრძელ შუბებს ხმარობდნენ. ყოველივე ამას კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან და ცენტრალური აზიიდან ჩამოსულთა ტანსაცმელი და იარაღი ემატებოდა და არაფერია იყო იმაზე უფრო საინტერესო, ვიდრე ევროპული სამოსის, აზიური ფუფუნებისა და აღმოსავლური თავისებურების ნარევი. ხელოსნების საქმიანობის ყურება კი ჭეშმარიტად გასართობი სანახავი იყო უცხოელების, გარნიზონის ოფიცრებისა და მათი ოჯახებისათვის, რომელთათვის სწორედ იქ იყო თბილისის ყველაზე სასიამოვნო სასეირნო ადგილი[172].

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისი ცენტრალურ სატრანზიტო ქალაქად იქცა ევროპასა და აზიას შორის, რომლის გავლით ინგლისელები კალკუტიდან და მადრასიდან ჩადიოდნენ ევროპაში, გენერალი ერმოლოვი ხელს უწყობდა საქართველოს ვაჭრობას – თბილისში ჩადიოდნენ ნეგოციანტები პარი-

171 1) საფრანგეთის ცენტრალური მასივი; 2) ფრანგული ენის დიალექტი.

172 Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, I, 318; II, 35-36; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 160-163; Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, III, 233-237.

ზიდან და პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინოპოლიდან, ინგლისელები, სომხები იზმირიდან და იაზდიდან, უზბეკები ბუხარადან.[173]

XIX საუკუნის 40-იან წლებში თბილისი იწყებდა იმ მომაკვდინებელი დარტყმისაგან აღდგენას, რაც საქართველოს იმპერიის საერთო საბაჟო სისტემაში შეყვანით მიადგა, რომლის მიზანი იყო რუსული საქონლის გასაღება, რომელიც თავისი ხარისხით უცხოურ ნაწარმს კონკურენციას ვერ უწევდა. საქონელი ძირითადად მოსკოვიდან, განსაკუთრებით კი ნიჟნი-ნოვგოროდიდან და ასტრახანიდან ჩაჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ადვილი იყო კონტრაბანდული საქონლით სასაზღვრო ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის მომარაგება.[174] თბილისის ბაზრებში იყო ცვლილებებიც, ჩნდებოდა ევროპაში პასაჟის სახელით ცნობილი გალერეები. ყოველ კვირას, დილით, ერევნის მოედანზე იმართებოდა მეტად ცოცხალი ბაზრობა, სადაც გარნიზონის დაოსტატებული ჯარისკაცები საწოლებს, სკამებს და მყარ, მაგრამ ნაკლებად მოხდენილ ავეჯს ყიდდნენ. ამასთან, მხოლოდ იქ იყო შესაძლებელი ბევრი ისეთ ნივთის ნახვა, რაც ევროპული ცივილიზაციის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა: განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო წიგნები რამდენიმე ენაზე, რომლებიც უწესრიგოდ ეყარა მიწაზე რკინის ჯართსა და ძველ სამოსს შორის. მჭიდროდ დასახლებულ თბილისში პირველი აუცილებლობის პროდუქტი საკმარისი და არც თუ ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ ხელოსნების ნაწარმი, მუშახელი, ყოველგვარი მომსახურება და შინამოსამსახურეების ანაზღაურება საკმაოდ მაღალი იყო[175].

ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურები XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც აღწერენ თბილისის ბაზრებს. ნაპოლეონ ნეის თქმით, მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთში ჩასული მოგზაური ახალ ადგილზე მოხვდებოდა და ფოსტაშიც აიღებდა თავის წე-

173 Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 178; Amédée Jaubert, *Voyage en Arménie et en Perse fait dans les années 1805-1806* (Paris: E. Ducrocq, 1860), xvi-xvii.

174 Suzannet, *Les provinces du Caucase*, t. 26, 56-57.

175 Teule, *Pensées et notes critiques*, 91-99.

რილებს, მისი პირველი აზრი „ბაზარში წასვლა“ იყო იმ იმედით, რომ იქ რაიმე საოცარ ნივთს – ხალიჩას, იარაღს, სამშვენისს ან სამკაულს, რაღაც ისეთს აღმოაჩენდა, რაც სხვა მყიდველს გამორჩენოდა. ამ გრძნობას იგი სიახლეების სანახავად პარიზელი ქალბატონების Bon-Marché-ში[176] სიარულს ადარებდა, საიდანაც ისინი დატვირთულები ბრუნდებოდნენ. იგივე იყო აღმოსავლეთის ბაზარი ევროპელი ტურისტისთვის. ტიფლისის ბაზარი არ ჰგავდა კონსტანტინოპოლის ცნობილ ბეზესტანს[177] თავისი საგანგებო უბნებით, შიდა ეზოებით, მაღაზიებით, საწყობებით, გზაჯვარედინებზე ზეთით განათებული მრგვალი გუმბათებით, ფერად მინებში შემოჭრილი სინათლით, დახურული გალერეებითა და ფარდულებით, სადაც მყიდველს ქაფქაფა ყავას სთავაზობდნენ; ტიფლისის ბაზარს არც დამასკოს ბაზრის მდიდრული არქიტექტურა, არც კაიროს ბაზრების მნიშვნელობა და მრავალფეროვნება ჰქონდა, ის არც თაღიანი გალერეებით ჰგავდა სპარსული ბაზრების უმრავლესობას და მიუხედავად ამისა, მოგზაურისთვის ის არანაკლებ საინტერესო იყო.[178]

XIX საუკუნის მიწურულს თბილისის ბაზრებში იგივე მდგომარეობა იყო: სპარსეთისა და ინდოეთის საქონლით დატვირთული ასი აქლემისაგან შემდგარი ქარავნების დაუსრულებელი მსვლელობა მძიმედ მიიწევდა წინ, მათი ზანზალაკები კი მონოტონურად და ყრუდ ჟღერდა, საინტერესო სანახავი იყო ჭრელ კოსტიუმებში გამოწყობილი, კუშტ გამომეტყველების სპარსელი, თათარი თუ ქურთი გამყოლები. ამ ქარავნებს ყოველ წელს ჩამოჰქონდათ ბამბის ათასობით ფუთა, რომლებიც შემდეგ დიდი ურმებით ან სხვა ქარავნებით ფოთში გადაჰქონდათ, შემდეგ კი შავი ზღვით ევროპაში გაჰქონდათ. ქარვასლების პატარა, ბნელ, ვიწრო ფარდულებში დიდი რაოდენობით შემოტანილი საქონლის მაგალითზე აზიური წარმოების საქონლის შესწავლა იყო შესაძლებელი.[179]

---

176 Bon-Marché – პარიზის უნივერმაღი, აშენდა 1852 წელს, შენობა დააპროექტა გუსტავ ეიფელმა.

177 Bézestan – ცნობილი ბაზარი კონსტანტინოპოლში.

178 Ney, En Asie Central à la vapeur, 125.

179 Pharamon Blanchard, Voyage de Tifllis à Stavropol, par le défilé du Darial

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის ბაზრებში არ იყო ლარივით გაჭიმული რიგები, მზისგან თავის შესაფარებლად ყველგან „რაღაც ჩვრები“ ჰქონდათ ჩამოფარებული და იქ უწესრიგობა სუფევდა. გზები იხერგებოდა ირანიდან მოსული აქლემების გრძელი ქარავნით, კახური ღვინით გაბერილი ტიკებით სავსე ურმებით, მტკვრის წყლით დატვირთული ცხენებით, რომლებიც გზის გაკვალვას და მოძრაობას ცდილობენ. ამას ემატებოდნენ საქონლის ხელით და წყლის ზურგით დამტარებლები, რომლებიც ყველას ეჯახებოდნენ და ბაზრის ვიწრო ქუჩებს ხერგავდნენ. ბაზარში ერთმანეთში ირეონენ თვალწარმტაც სამოსში გამოწყობილი ყველა ეროვნების შებურული თუ თავშიშველი ქალები, „კავკასიის ვაჭრობის მეფეებად“ წოდებული სომხები ბრტყელი ქუდებითა და მოკლე ჩამოკანწიალებულ სახელოებიანი ხიფთნებით, ზოგი მათგანი კი უკვე ევროპულ სამოსში იყო გამოწყობილი; ჩერქეზკაში გამოწკეპილი ქართველები მხიარული სახეებით, მაღალი და გამხდარი სპარსელები – ერთნი მდიდრულ ნაციონალურ კოსტიუმებში თავზე გრძელი ასტრახანული წოწოლა ქუდებით, სხვები ახალი ხელთათმანებითა და უკანასკნელი პარიზული პეწით შემოსილები; ბეშმეთებში ჩაცმული თათრები წითელი წვერითა და კრაველის კონუსის ფორმის უზარმაზარი ფაფახებით, ოსები და მთიელები შავი თექის ქუდებით, ლეკები არწივისებრი პროფილით, ძველი შვაბიური კოსტიუმების ერთგული ვიურტენბერგელები, რუსი მოხელეები უნიფორმებში და ევროპულ სამოქალაქო კოსტიუმებში, კაზაკები და რუსი ჯარისკაცები, ფუსტანელიანი[180] ალბანელები, ბერძენი მათხოვრები, ფართოშარვლიანი თურქები თუ თურქმანები ტრანსკავკასიის სტეპებიდან. საუბრობდნენ ქართულად, სპარსულად, თურქულად, გერმანულად, ებრაელები – ესპანურად, რუსულად, და ვინ იცის კიდევ რა ენებზე. მზის

(1858). *Le Tour Du Monde*. Paris. 1860, II, 114; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 353-354; Henri Cantel. Le Prince Domenti, scènes de la vie géorgienne. *Revue des Deux Mondes* , T.40, 1862, 707. Pharamon Blanchard, Voyage de Tifllis à Stavropol, par le défilé du Darial (1858). *Le Tour Du Monde*. Paris. 1860, II, 114-115.

180 ფუსტანელა – ქვედა ბოლო, ზოგირთი ბალკანელი ხალხის ტრადიციული ჩასაცმელი.

ამოსვლიდან დაღამებამდე გარდა შესვენებისა დღის ყველაზე ცხელ მონაკვეთში, საქმიანი ხალხი აჩქარებული ნაბიჯით, ვიღაც ნელა, სხვანი მნიშვნელოვანი პერსონაჟებივით დარბაისლურად და ზანტად მიდი-მოდიოდა. იქ იყო მოზღვავებული ბრბოს მოძრაობა, ენით აუწერელი ხმაური, ყვირილი, ღმუილი, სხვადასხვა სუნი, თაკარა მზე და დამაბრმავებელი მტვერი, რადგან მორწყვაზე არავინ ფიქრობდა. ამ დავიდარაბაში ყველა ერთმანეთს ეჯახებოდა, ხელებს იქნევდა და მთელი ეს ჭრელი, მოძრავი, ხმაურიანი ბრბო ხელს უწყობდა ტურისტების მოხიბვლას თბილისით. ამ სანახაობით აღფრთოვანებული ერნესტ ორსოლი წერდა, რომ ყოველი ფარდული შეიძლება ყოფილიყო ჟანრული ტილოს სიუჟეტი და თუ ოდესმე უნანია, რომ მხატვარი არ იყო, ეს ტიფლისის ბაზრებში ხეტიალის დროს მიღებული შთაბეჭდილებების შედეგს წარმოადგენდა.[181]

კეშლენ-შვარცი ტიფლისის ბაზრის ცხოვრების რამდენიმე საინტერესო მომენტს ეხება. მისი თქმით, ბაზარში ორიგინალური მეთოდით აცხობდნენ პურს. ის აღნიშნავს, რომ ამგვარი ღუმელები საფრანგეთში არ ჰქონდათ და დეტალურად აღწერს ამ პროცესს. მისი სხვა ცნობა „გადასატან ფარდულებს“ ეხება, რასაც მეტად ხატოვნად აღწერს: „ბაზარი ლაბირინთს წარმოადგენს; იქ იხლართები პატარა ქუჩებში, კიბეებზე, მოსახვევებში, ეზოებში და თითქოს ყოველივე ეს საკმარისი არ არის, გზაზე ყველგან გადასატანი ფარდულებია; ეს სახელწოდება დაერქვათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ვირებივით არიან დატვირთულები და ყველაფერს ყიდიან; ძირითადად ეს ჰერაკლესავით წარმოსადეგი ლამაზი ჭაბუკები იყვნენ. ერთ მხარეს მათ მოსასხამი, მეორეზე კი ნახევრად შეხსნილი ქსოვილები, კისერზე მძივები, ჰალსტუხები, ნახევარი დუჟინი ლენტი, ქამარში გარჭობი-

181 Lieutenant Pichon, La Géorgie, Service historique de l'Armée de Terre (SHAD). Perse 1807-1857, 1M, n°1673, cachier 43, fol. 10; Adolphe Joanne, *Voyage en Orient* par Adolphe Joanne. Ixelles lez Bruxelles, Delevingne et Calleqaert, 1850. t. I, 200; Ivan Golovin, *The Caucasus* by Ivan Golovin (London: Trübner & Co., 1854), 113; Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 263-265, 281; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 353-354, 439; Ernouf, *Le Caucase, la Perse*, 176-178; Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 256; Orsolle, *Le Caucase et la Perse*, 43-44.

ლი ხანჯლები, პისტოლეტები, დანები; ამას დაუმატეთ მხარზე გადაკიდებული რამდენიმე თოფი, მკლავებზე კი ყოველივე, რისი დამაგრებაც შეიძლება და სავსე ხელები. ასეთები არიან ეს კავკასიელი დამტარებლები, რომლებიც ყიდიან ყველაფერს, დაწყებული საპნის ნაჭრით თუ ოდეკოლონით, ნემსებითა და ძაფებით, დამთავრებული ჟაპის[182] დასაქოქი საათებით, ძველი ლაგმით, რევოლვერით, მუსლიმური კრიალოსნით, ფაფახებით, ვინ იცის კიდევ რითი... და მათ ყოველ ნაბიჯზე ხვდები." ბაზარში ერთ-ერთი სეირნობის დროს ფრანგ მრეწველს საკმაოდ მოულოდნელი სიურპრიზი ელოდა, როდესაც ერთმა ახალგაზრდა სპარსელმა სუფთა გერმანულით მიმართა: Was wollen sie Kauffen mein Herr? – რა გსურთ იყიდოთ, ბატონო? ათი ნაბიჯის დაცილებით კი მეორემ იგივე ფრანგულად ჰკითხა. ყველივე ამ სანახაობით აღტაცებული კეშლენ-შვარცი წერდა: „რა შესანიშნავი ტიპაჟებია! რა ფერებია! მზად ხარ იყვირო: მომეცით პალიტრა! ღვთის გულისათვის, პალიტრა! მაგრამ რა ვქნათ? ყოველივე ეს ძალიან ლამაზია ტილოზე გადასატანად. განცვიფრდები, ბრმავდები, ჯადოვდები."[183]

ის, რაშიც კვლავ სახელგანთქმულები იყვნენ თბილისელი ხელოსნები, მოსევადებული ვერცხლი იყო. მეტად პრიმიტიული ხელსაწყოებით შეიარაღებული ეს „კავკასიელი მხატვრები" ვერცხლს და ფოლადს დახვეწილი გემოვნებით და წუნდაუდებელი ფორმებით ასევადებდნენ. ეს იყო ხანჯლის ქარქაში, ქილები, ოქრომკედით ან ვერცხლის ძაფებით მორთულ ქამრები, ტანისამოსისა თუ ნაბდების ბალთები, რომლებსაც „კავკასიურს" (travaille du Caucase) უწოდებდნენ. რუსი ვაჭრები მოსკოვის უხარისხო საქონლის გაყიდვას ცდილობდნენ. სხვა ვაჭრები გაჩერებულები იყვნენ საბაჟოებზე, რადგან მათ საქონელს ძლიერ მაღალ ბაჟს ადებდნენ. ზოგიერთი ფრანგი ვაჭარი ალალბედზე ცდილობდა ტიფლისში ფრანგული საქონლის,

182 ფედერიკ ჟაპიმ (Japy) 1771 წელს საათების სახელოსნო გახსნა ბოკურში, ბურგუნდიაში. XIX საუკუნეში „ძმები ჟაპების" ფირმა თავიანთი ნაწარმით შვეიცარიის საათების დიდი სახლების უმრავლესობას ამარაგებდა.

183 Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 256, 261-267.

ძირითადად ქალების ფუფუნების საგნების ჩატანას[184]. ნატიფი სამშვენისების, აბრეშუმისა და ქსოვილების მოყვარულებს სწორედ ბაზარში უნდა მოიკრიბათ მთელი თავისი ვაჟკაცობა, რომ ცდუნებისთვის გაეძლოთ – აქ იყო ნუხასა და შემახას ფარჩა, ოქროს ინსკრუსტაცია სპილოს ძვალზე ყაზიყუმუხიდან[185], ზარნიშიანი ხანჯლები ყუბაჩიდან, ვერცხლის მოსევადებული სალტეებიანი თოფები და პისტოლეტები შურადან, ცისფრად მოელვარე იატაგანები დაღესტნიდან, ერევნის პროვინციის ქურთი ქალების მოქსოვილი ხალიჩები, იშვიათი და ძვირფასი ნივთები სპარსეთიდან, თურქეთიდან, თურქესტანიდან და ბუხარისა თუ ჰერათის შორეული სამეფოებიდანაც კი, რაც რუბლებისგან დასამჩატებელი და საოცარი ნივთებით გამდიდრების საშუალება იყო.[186]

გამორჩეულ ყურადღებას იქცევს ფლორიან ჟილის ცნობა იმის შესახებ, რომ ტიფლისი აღმოსავლეთის ნუმიზმატიკურ საბადოს წარმოადგენდა. იგი წერს: „საქართველოში და ზოგადად ამიერკავკასიაში ამდენი ხალხის მოძრაობამ და სავაჭრო ურთიერთობებმა დატოვა ნიშნები, რომლებიც მოვლენების უკუღმართობამ იქვე დაიმარხა. ამგვარად, მიწა ანტიკური, თითქმის ყველა აღმოსავლური დინასტიისა და შუა საუკუნეების ევროპული მონეტების საცავად იქცა. იქ ნახავ ვენეციური მატაპანებს[187],

184 Jean-Pierre Moynet. Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir. De Bakou à Tiflis 1859 (Inédit. – Texte et dessins de M. Moynet). *Le Tour du monde*, vol. I, 1860, 322; Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 263-265, 281; Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 264; Ney, *En Asie Central à la vapeur*, 124-127; Sansrefus, *De Paris à Tiflis*, 429, 432; Adolphe Joanne, *Voyage en Orient* par Adolphe Joanne. Ixelles lez Bruxelles, Delevingne et Calleqaert, 1850. t. I, 200.

185 ყაზიყუმუხის სახანო მდებარეობდა კავკასიონის სამხრეთი ფერდობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, დაღესტნის მახლობლად.

186 Orsolle, *Le Caucase et la Perse*, 44-45; Sansrefus, *De Paris à Tiflis*, 428-429.

187 მატაპანი (matapans) – ვენეციური გროში, პირველი იტალიური მონეტა, რომელიც მოჭრეს დაახლოებით 1202 წელს ვენეციის დოჟის, ენრიკო დანდოლოს მმართველობის დროს.

ვენეციური ცეხინებს, ფერდინანდ არაგონელისა[188] და ისაბელა კასტილიელის[189] გამოსახულებებიან ოქროს მონეტებს.

ამ ჩამარხული მონეტების საცავს დროდადრო სამიწათ-მოქმედო სამუშაოებისა და საინჟინრო საქმიანობისას აწყ-დებიან. ხშირად შეხვდები ე. წ. პატარა მონეტას – „კოლხურს", ოქროს ბიზანტიურ მონეტებს და ჰერაკლესა[190] და მისი მემკ-ვიდრეების ვერცხლის მონეტებს, რომლებიც ასე იშვიათია ევროპულ კოლექციებში; შემდეგ, მრავლადაა ხალიფებისა და კონიელი სელჩუკების[191] დირჰამები[192], აგრეთვე ზოგიერ-თი სპარსული ფელსი[193], ჰულაგუიანების[194], ჯალაირიანების[195], ყარა-ყოიუნლუს[196], აყ-ყოიუნლუსა[197] და სპარსული მონეტები.

188 ფერდინანდ II (1452-1516) – არაგონის (1479-1516), სიცილიისა (1468-1516) და ნეაპოლის (1504-1516) მეფე, ასევე ვალენსიის, სარდინიის, ნავარის, ბარსელონის გრაფი. იგი ასევე იყო კასტილიისა და ლეონის სამეფოს მეფე.

189 ისაბელ I კასტილიელი (1451-1504) – კასტილიის დედოფალი 1474 წლიდან, 1469 წელს ცოლად გაჰყვა ფერდინანდ II არაგონელს.

190 ჰერაკლე I (575-641), ბიზანტიის იმპერატორი 610-641 წლებში, ჰე-რაკლიდების დინასტიის დამაარსებელი.

191 რუმის, იგივე კონიის სასულთნო (1077-1307).

192 შუა საუკუნეებში ისლამურ სამყაროში გავრცელებული ვერცხლის ფული.

193 ფელსი – არაბული სიტყვაა და ნიშნავს სპილენძის მონეტას.

194 ჰულაგუიანები (ილხანები) – მონღოლური დინასტია. ჩინგის ხანის, შვილიშვილის, ჰულაგუს შთამომავლები, რომელიც XIII-XIV საუკუ-ნეებში მართავდა ირანსა და ახლო აღმოსავლეთის ნაწილს.

195 ჯალაირიანები – სულტნების დინასტია (340-1410 წწ.) წინა აზიაში, რომელიც წარმოსდგა ჯალაირის მონღოლური ტომიდან.

196 ყარა-ყოიუნლუ (თურქ. შავბატკნიანები), ოღუზი თურქების მომთაბა-რე ტომების გაერთიანება; სახელწოდება უკავშირდება მათ დროშაზე გამოსახულ შავ ცხვარს. გაბატონებული იყვნენ აზერბაიჯანსა და და-სავლეთ ირანში (1410-1468).

197 აყ-ყოიუნლუ (თეთრბატკნიანები) – ოღუზი თურქების მომთაბარე ტომთა გაერთიანება მდინარე ტიგროსის ზემო წელში (დიარბაქირსა და სივასს შორის), XV საუკუნეში არსებობდა აყ-ყოუინლუს სახელმ-წიფო (დედაქალაქი დიარბაქირი).

ოსმალური მონეტები უფრო ნაკლებადაა, რაც გაფიქრებინებს თურქების ლაშქრობებზე აზიაში XVI, XVII და XVIII საუკუნეებში.

აქ ხშირად გვხვდება ისეთი ქართული მონეტები, როგორიცაა დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, დედოფალ თამარისა და მის ქალიშვილის, რუსუდანის სპილენძისა და აგრეთვე ვერცხლის მონეტები და სხვ. საპირისპიროდ, ორი დავითის, დემეტრე II-ის და განსაკუთრებით კი ვახტანგ III-ის მონეტები უკიდურესად იშვიათია.

ის რაც ძნელი ასახსნელია, ეს XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისის პოლონური ვერცხლის მონეტების სიუხვეა, რომელსაც იქ შეხვდები."

ფლორიან ჟილის ამ ცნობების გამო კონსულტაციისთვის მივმართეთ ნუმიზმატიკის დარგში მოღვაწე ჩვენს კოლეგას, დოქტ. ირაკლი ფაღავას. შესაბამისი ლიტერატურის მონაცემებიდან გამომდინარე,[198], მისი აზრით ფლორიან ჟილის ცნობები ძირითადად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ მკვლევარმა ისიც აღნიშნა, რომ აყ-ყოიუნლუს და ყარა-ყოიუნლუს დროინდელი მონეტებისგან განსხვავებით, დემეტრე II-ის მონეტები იშვიათობას არ წარმოადგენდა, ხოლო ინფორმაცია ვენეციური მატაპანებისა და არაგონ-კასტილიის ოქროს მონეტების შესახებ გარკვეულწილად პირველწყაროდაც შეიძლება მივიჩნიოთ, რაც მეტ ღირებულებას სძენს ავტორის ცნობებს.

მოგზაურთა აზრით, ტიფლისის ბაზარში განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო აბრეშუმის ქსოვილები და ხალიჩები. ჟან-პიერ მუანეს ცნობით, სპარსელები დახელოვნებულები იყვნენ ხალიჩაზე ფერების იმგვარად განლაგებით, რომ თვალი არ დაღლილიყო. ყვავილების გამოსაყვანად მათთვის საკმარისი იყო საფუძველში ერთი ან ორი ტონის დელიკატურად დადება. ისინი

198 Е. А. Пахомов: 1. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск 08, Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, Баку, 1959; 2. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск 09, Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, Баку, 1966; რევაზ ქებულაძე, *ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*. თბილისი: მეცნიერება, 1971; Джалагания И. *Из истории монетного дела Грузии XIII века. Тбилиси*, Издательство Академии Наук Грузинской ССР. 1958, 73-75.

ფრანგებივით არ უყურებდნენ, თუ რა გამოვიდოდა ხალიჩიდან შუქ-ჩრდილების კონტრასტით – პირველ რიგში, ისინი ძირითად ეფექტს ეძებდნენ. ამ აზრს იზიარებდა გერმანელი დიპლომატი, ტიელმანიც, მაგრამ მისი ცნობით, ხალიჩების ყიდვა რუსული უბნის მაღაზიებში სჯობდა, რადგან საქონელი იქ უკეთესად იყო შერჩეული და მყიდველი ნაკლებად შეცდებოდა საქონლის ხარისხსა ან ფასში. სპარსული და შემახური აბრეშუმის ქსოვილების გვერდით იყიდებოდა კეშლენ-ბაუმგარტნერის[199] მოჩითული ბამბის ქსოვილები და შალეული მოსკოვიდან. ფრანგი ნეგოციანტი აზარდი პარიზის Bon Marché-სათვის თბილისში ყიდულობდა ხალიჩებს, მაგრამ მოსაწონი პარიზულ ფასზე ძვირი იყო.

1905 წლის რევოლუციის დროს, აპრილში თბილისში ჩამოსული ფრანგი ჟურნალისტი, კლოდ ანე გაფიცული ქალაქის ბაზრის ერთადერთ სიმდიდრედ კავკასიურ, დაღესტნურ, ტრანსკასპიისპიურ, სამარყანდულ, ბუხარულ, ავღანურ, სპარსულ, განსაკუთრებით თავრიზულ, ხალიჩებს ასახელებს, რომლებიც ძვირი არ ღირდა, ზოგიერთი კი შესანიშნავი იყო. ერმინი დე როანის ცნობით, 1909 წლის ივნისში თბილისის აღმოსავლური უბანის ბაზარში გაშლილი იყო ფუფუნების ნივთები – ლამაზი ხალიჩები, ფირუზები, მინანქრიანი და ფილიგრანული ტექნიკით შექმნილი სამკაულები, ქსოვილები, ვუალები, შარფები, ძველი და თანამედროვე იარაღი. სპარსელები მედიდურად ისხდნენ თავიანთი ფარდულების წინ და მშვიდად ეწეოდნენ. ეს ფარდულები ძლიერ განსხვავდებოდა ბულვარზე მდებარე მდიდრული მაღაზიებისგან. მაგრამ მოგზაურისათვის სწორედ ეს ფარდულები იყო სახალისო, ვიდრე მაღაზიები, რომლებიც ელეგანტურობით, როგორც აღინიშნა, la rue de la Paix-ს მაღაზიებს ეჯიბრებოდნენ. იგი გულდაწყვეტით წერდა, რომ ყარსის რკინიგზის ხაზის გახსნის შემდეგ[200], ტიფლისში აქლემები აღარ მოჰყავდათ, რაც მეტად სამწუხარო იყო, რადგან თავშესაქცევი

199 კეშლენ-ბაუმგარტნერის (Kœchlin-Baumgartner) ტექსტილის საწარმო დაარსდა XIX საუკუნის დასაწყისში, 1806-1807 წლებში, გერმანიაში, ბადენ-ვიურტემბერგში, ქალაქ ლორაჰში.

200 თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზი 1899-1901 წლებში გაიხსნა.

იქნებოდა იმის ნახვა, თუ როგორ წვებოდნენ აქლემები ტვირთის მოსახსნელად თავიანთი პატრონების ფარდულების წინ.[201]

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურები საკმაოდ დეტალურად აღწერენ ტიფლისის ბაზრებს და იქ წარმოდგენილ საქონელს და უინტერესო არ არის იმ ცნობების მოყვანა, თუ რა შეიძინეს მათ მიერვე ასე საგანგებოდ დახასიათებულ ბაზრებში. ფლორიან ჟილმა ბაზარში შეიძინა კარგი იარაღი – ყამა და შაშკა, ყაბარდოული და ჩეჩნური პირებით.[202] ფრანგმა მხატვარმა, მუანემ და ალექსანდრე დიუმამ ბაზარში იყიდეს ძალიან თბილი და ლამაზი ხორასნული ქეჩის ხალიჩები შალის ფერადი ჩანართებით. მუანეს თქმით, ამგვრი ქსოვა საფრანგეთში უცნობი იყო. ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნეიეჰოლტმა თბილისში თავისი კოლექციისთვის შეიძინა რამდენიმე უმაღლესი წრთობის ორიგინალური ფორმის იარაღი. ოგიუსტ დე ვილმორენმა, თბილისის ძველ უბანში ირანელი ხალიჩებით მოვაჭრის კაფაროვის ფარდულთან გავლისას თავი ვერ შეიკავა და საკმაოდ ბევრი სამშვენისი და საინტერესო ნივთები იყიდა.[203]

1882 წელს ტიფლისიდან ირანში მიმავალმა ერნესტ ორსოლმა, დრაგომან ჟერომის დახმარებით, მაღაზიებსა და ბაზრებში პირველი აუცილებლობის საგნები შეიძინა: სამზარეულოს პატარა ქურა, გადასატანი საწოლი, შაქარი, ჩაი, კონსერვები, პური, კახური ღვინით სავსე ტიკი, სამგზავროდ კარგად შერჩეული აფთიაქი, რამდენიმე ბოთლი კონიაკი წყლის გასაზავებლად და პატრონებით სავსე ყუთი. შუა აზიაში მიმავალმა ნეიმ ტიფლისიდან გასვლამდე მოიმარაგა სხვადასხვა კონსერვები: მოშუშული საქონლის ხორცი, ხბოს შემწვარი ხორცი, ზღვის თი-

201 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 263-265, 281; Moynet, *Voyage à la la mer Caspienne*, 322. Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 353-354, Baron Ernouf, *Le Caucase, la Perse, et la Turquie d'Asie*, 179-181; Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 265-266; Orsolle, *Le Caucase et la Perse*, 45; Anet, *Les Roses d'Ispahan*, 89-90, 107; Rohan, *Les Dévoilées du Caucase*, 67-68.

202 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 263-265, 281.

203 Moynet, *Voyage à la la mer Caspienne* I, 322; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 353-354; Vilmorin, *De Paris a Bombay*, 26.

ნუსი, fois gras[204], შაქარი და ერთი კილოგრამი შესანიშნავი ჩაი. იგი წერს: „მოგვიანებით როგორ გავიხარე ამ პროვიზიის შეძენით, რაც მეტად ძვირფასი აღმოჩნდა ყარა-ყუმის უდაბნოში". ნეიმ რეკლამას უწევდა „ხელოვანი ფრანგი კონდიტერის", დიუფურის ნახელავ გემრიელ და ორიგინალური არომატის მქონე ნამცხვარს – „ტრანსკასპიურს", რომელიც მან პარიზში ჩაიტანა და რომელიც შესანიშნავად ინახებოდა რამდენიმე კვირის განმავლობაში, ხოლო რადგან კავკასიის ღვინოები ვერ იტანდა გადატანას, ამ მიზეზის გამო მან პარიზში წასაღებად ღვინო არ შეიძინა, როგორც მას ეს თავიდან სურდა. ირანში წასაღებად კლოდ ანემ და მისმა თანამგზავრებმა თბილისში შეიძინეს საველე საწოლები, ორი მარმიტი, ორი ქვაბი, თორმეტი თეფში და დანა-ჩანგალი, ჭურჭლის გასაწმენდი ტილოები და ხელსახოცები. საკვები – სოსისები, შაშხი, სარდინების, ხბოს ხორცის, ბოსტნეულის კონსერვები, პაშტეტი – fois gras, ყველი, მშრალი ბისკვიტები, მურაბები, კომპოტები, მარილი, შაქარი, ჩაი, შოკოლადი, ლიმონი.[205] საინტერესო ფაქტია, რომ რევოლუციური კომიტეტების აქტიურობისა და ნახევრად გაფიცული ქალაქის პირობებში თბილისის რესტორნებსა და მაღაზიებში მაინც შესაძლებელი იყო ამგვარი დელიკატესების შეძენა.

ქართული ღვინო. XIX საუკუნეში საქართველოში ჩამოსული ყველა ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაური საგანგებოდ ეხება ქართული ღვინის საკითხს. ჟაკ-ფრანსუა გამბას ცნობით, ფრანგი მეცნიერი, გრაფი შაპტალი[206], რომლის ნაშრომი ვენახისა და ღვინის წარმოების შესახებ იმჟამად საქართველოშიც იყო ცნობილი, საქართველოს მიიჩნევდა იმ ქვეყნად, სადაც პირველი ვენახი გაზარდეს. მოგზაურები კი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში, სადაც ხელსაყრელი ჰავა და ნიადაგი იყო, ვაზი

204 Pâté de fois gras – ნასუქი ბატის ან იხვის ღვიძლის პაშტეტი.

205 Orsolle, *Le Caucase et la Perse*, 51; Ney, *En Asie Central à la vapeur*, 139, 144; Anet, *Les Roses d'Ispahan*, 89-90, 107.

206 ჟან-ანტუან შაპტალი, გრაფი შანტელუ (1756-1832) – ფრანგი ქიმიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, 1800-1804 წლებში საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, პეტერბურგის აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი. 1799 წელს გამოცემული მისი ნაშრომით "Vin", მეღვინეები მაშინვე ძლიერ დაინტერესდნენ.

კარგად ხარობდა, ხეობები და ბორცვები მთლიანად მცოცავი ვენახით იყო დაფარული, კახეთს კი საქართველოს ყველაზე დიდ ვენახს უწოდებდნენ. მუსლიმების შემოსევების შედეგად განადგურებული ვენახების ფართობი XIX საუკუნეში რუსების ოკუპაციასთან აღდგა და გაიზარდა. გარკვეული წინსვლის მიუხედავად, ექიმი შარლ ტეიული შენიშნავს, რომ, 1840 წელს თბილისის მიდამოები ნაკლებად იყო დამუშავებული და იგი იმასაც აღნიშნავს, რომ კავკასიის სოფლებში აკლდათ მიწათმოქმედებისათვის საჭირო იარაღების დამამზადებელი მარჯვე ხელოსნები; თბილისიდან დაცილებული მეურნეობების უმეტეს ნაწილში არ ჰქონდათ ეფექტური საშუალებები მიწის დასამუშავებლად და სოფლის მეურნეობაში ყველაზე საჭირო ჭურჭელი. გუთანს ორი კაცი მიათრევდა, ხვნის პროცესი ნელა და ცუდად მიმდინარეობდა და მას ხუთი წყვილი ხარის ძალა სჭირდებოდა. ფრედერიკა ფრეიგანგის ცნობით, ყაზბეგის – მთის ღვინო საკმაოდ კარგი იყო და ოდნავ მადერას ჰგავდა. პოლკოვნიკი როტიე აღნიშნავს, რომ წერეთლის სამფლობელოში დაწურული ღვინო ძალიან კარგი იყო და სამხრეთ საფრანგეთის ღვინოებს ჰგავდა, მაგრამ ალკოჰოლის ნაკლები შემცველობა ჰქონდა. მორის კოცებუს თქმით, კახური რბილი და მსუბუქი ღვინო ძალიან ჰგავდა კარგ ფრანგულ ღვინოებს. კახეთის ვენახებიდან ჟაკ-ფრანსუა გამბა გამოყოფდა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ვენახებს წინანდალსა და მუკუზანში. იქ მოწეული ყურძნის ღვინო ცნობილი იყო თავისი ხარისხით და პირველი ადგილი ეჭირა საქართველოს ღვინოებს შორის. გამბას აზრით, მუკუზნის ღვინო ძალიან ჰგავდა მედოკს[207] და თავს არ ატკიებდა. თავადი ჭავჭავაძე კი დიდ ყურადღებით ეკიდებოდა ვენახის მოვლას და ღვინის წარმოებას, რაზეც იყო დამოკიდებული მისი შემოსავალი. თავის მამულში მევენახეობისა და მეღვინეობის გასაუმჯობესებლად მას დახმარებას უწევდა ბურგუნდიელი მეღვინე ლე რუ. ასევე კარგი იყო თელავის ოლქის სოფელ კონდოლში გაშენებული მთავრობის კუთვნილი და თავად ივანე აფხაზის ვენახებიც. ყველაზე ცნობილი სამარკო ღვინოები ეკუთვნით თავადებს ჭავჭავაძესა და ბებუთოვს. საუკეთესო მარანი გენერალ ვანჰოვერს

207 მედოკი – მეღვინეობის მხარე ბორდოს რეგიონში.

ჰქონდა, მისი საუკეთესო ხარისხის ღვინოები პორტვეინსა[208] და მადერასას[209] ჰგავდა და უფრო არომატული იყო. ზოგი მოგზაურის აზრით, ბოთლებში შენახული რამდენიმე წლის დაძველების თბილისის თეთრი ღვინოები ძლიერ ჰგავდა სოტერნულ ღვინოებს[210]. დიუბუა დე მონპერეს შეფასებით, კახური ღვინოები თავისი ფერით ძალიან ჰგავს ბურგუნდიის ღვინოებს, ისინი არ იყო ისეთი მშრალი და მწკლარტე, როგორც ბორდოს ღვინოები და მეტად დადებითად აფასებდა ბარონი როზენის კახურ და მისთვის სამეგრელოდან გამოგზავნილ ღვინოებს, აგრეთვე გერმანელი კოლონისტების მიერ დიდ კასრებში წარმოებულ „ჯანმრთელ და საკმაოდ სასიამოვნო“ ღვინოებს, რომლებსაც არ ჰქონდა გუდრონისა გემო, მაგრამ ამ ღვინოს თბილისში არ ეტანებოდნენ, რადგან ქართველებს თავიანთი გუდრონის გემოანი ღვინო ერჩიათ, თუმცა მოგზაური იმასაც აღნიშნავს, რომ ამის მიზეზი უფრო მაღალი ფასიც იყო. შარლ ბესი გორის მიდამოებში კაპუცინი ბერის მიერ მოწეული ყურძნით დაწურულ ღვინოს შესანიშნავს უწოდებს. გრაფი სიუზანეს ცნობით, კახური ღვინო კავკასიის მთელ გუბერნიაში იყო ცნობილი და რუსები მას ბურგუნდიულ ღვინოს ადარებდნენ. გრაფის აზრით, ის უფრო მსუბუქი და ნაკლებად მათრობელა იყო. ლიკლამა ა ნეიეჰოლტი გამოჰყოფს ორი ღვინოს: მაგარი და ძლიერ შეფერილი წითელი ღვინო მას ოდნავ აგონებდა ბურგუნდიის ღვინოებს. თეთრი ღვინოებიდან ყველაზე დაფასებული იყო ოქროს ღვინო (vin d’or), რომელსაც ეს სახელწოდება ქარვის ფერის გამო ჰქონდა. კახური ღვინო, მისი აზრით, მადერას თუ მარსალას[211] ჰგავს, თუმცა ნაკლებად თბილი და ნაკლებად მაგარი იყო. ნეის ცნობით, კახური სასიამოვნო სასმელი, კარგი ფერის, ტკბილი, მსუბუქი და ადგილობრივი მიწის სურნელით გაჟღენთილი იყო,

208 პორტვეინი – ტკბილი, შემაგრებული ღვინო პორტუგალიის ჩრდილოეთიდან. სახელწოდება მიიღო მდინარე დორუს ნაპირზე მდებარე ქალაქ პორტუს, ღვინით ვაჭრობის ცენტრის, მიხედვით.

209 მადერა – ერთგვარი მაგარი ღვინო პორტუგალიის კუნძულ მადეირას სახელის მიხედვით.

210 სოტერნი ტკბილი ფრანგული ღვინოა, რომელსაც ბორდოს ვენახების ერთ-ერთ ქვედანაყოფში, სოტერნში, აწარმოებენ.

211 მარსალა – სადესერტო ღვინო, აწარმოებენ სიცილიაში.

რაც ღვინოს განსაკუთრებულ ბუკეტს ანიჭებდა და საფრანგეთიდან შორს მყოფისთვის ბედნიერება იყო შესანიშნავი ღვინის დალევა, რაც მას ასვენებდა გერმანული ლუდისაგან, რადგან ცენტრალურ ევროპაში მგზავრობის დროს იძულებული იყო დაელია უსახელო და ამასთან ძალიან ძვირი ნაყენები. კეშლინ-შვარცის აზრით, ყველაზე უბრალო ღვინო ის იყო, რომელიც ინარჩუნებდა ფერს. ძალიან გემრიელი იყო წითელი ღვინო ველური ვაზის მარცვლებით და თეთრი ღვინო გახუხული პურით. საუკეთესო ღვინოდ იგი კახურ წითელს მიიჩნევდა, რომლის 1 ლიტრი 1879 წელს დაახლოებით 15 კაპეიკი ღირდა, რაც არ იყო ძვირი. მოგზაურების აზრით, კახურ ღვინოს ჰქონდა ორი ძვირფასი თვისება: პირველი, როდესაც ის ფალსიფიცერებული არ იყო, არ ათრობდა, არ იწვევდა თავის ტკივილს და ფატალურ შედეგს, რაც დასავლეთში აღინიშნებოდა ღვინის უზომო სმის შემდეგ. მეორე – არჩენდა პოდაგრას, რაც შემოწმებული და დადასტურებული იყო პიატიგორსკელი ექიმის, კონრადის მიერ. საინტერესოა ცნობა იმის შესახებაც, რომ საქართველოს მოსახლეობას, სხვა ქვეყნების მოსახლეობისგან განსხვავებით, ნაკლებად ემართებოდა პოდაგრა.[212]

ღვინის შესანახ ჭურჭელს – ქვევრს, გამბა თიხის დიდ დოქს (jarres), დიუბუა დე მონპერე კი ამფორას უწოდებს, ფლორიან ჟილი მას თავისი სახელწოდებით აღნიშნავს – ქვევრი (*kwéwri),* მას დიდი ზომის კადოსს ადარებს[213] და ქვეყნის ერთ-ერთ საოც-

212 Freygangs, *Lettres sur le Caucase et la Géorgie*, 65; Kotzebuë, *Relation d'un voyage en Perse*, 50; Rottier, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, 114-116; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 79, 82, 89-90; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 70, 79; Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, III, 247-250; Besse, *Voyage en Crimée au Caucase*, en Géorgie, 354; Suzannet, Les Provinces du Caucase sous la domination russe. La Géorgie, 59; Gille, *Lettres sur le Caucase*, 272-274; Moynet, *Voyage à la la mer Caspienne*, 319; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 435-436; Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 262-264; Ney, En Asie Central à la vapeur, 138.

213 ლეგენდის თანახმად, ჰერაკლეს მხრებზე შემოგდებული ტახის დანახვაზე შეშინებული ევრისთევსი ჭურჭელში დაიმალა. ეს სცენაა ასახულია ძველი სტილის ამფორაზე: მიკენის მეფე მასში ნახევრადაა ჩაფლული და იქიდან მისი ხელები და თავი ჩანს ძლიერ შეშინებული სახით. ასეთ ჭურჭელს საბერძნეთში კადოსი ეწოდება.

რებას უწოდებს. ფრანგი მრეწველი ალფრედ კეშლენ-შვარცი აღნიშნავდა, რომ კავკასიაში ისე არ აყენებდნენ ღვინოს, როგორც ევროპაში. სხვადასხვა ცნობებით, ქვევრი 10,000 ბოთლს ან 100 ჰექტოლიტრს[214] – 10,000 ლიტრს იტევდა. მოსავლიან წელიწადში თავად ჭავჭავაძეს სხვადასხვა ვენახებიდან 30,000 თუნგამდე (1 თუნგი დაახლოებით 3-3,5 ლ-ს ტოლი იყო) ღვინის მიღება შეეძლო. ბელანჟეს ცნობით, კახეთში ყოველ წელს 1,5 მლნ ვედრო[215] ღვინოს წურავდნენ და დაახლოებით 100,000 ვედრო არაყს ხდიდნენ. ერთი ვედროში 13,3 პარიზული პინტა ჩადიოდა. ერთ ვედრო კი 12,6 ლიტრს იტევდა[216] და ქართველები მთლიანად ითვისებდნენ ამ სასმელებს. გრაფი სიუზანეს ცნობით, 1840 წელს კახეთში დაახლოებით 3 მლნ ვედრო ღვინოს წურავდნენ, მაგრამ ღვინის დიდი რაოდენობით სმისა და მისი ცუდად შენახვის გამო, ორწლიან ღვინოს კახეთშიც კი ვერ მოძებნიდი. XIX საუკუნის 60-იან წლებში კახეთში 40-50 მლნ ბოთლს ანუ 50,000 ჰექტოლიტრზე მეტ აწარმოებდნენ. XX საუკუნის პირველ წლებში ქართული და ტრანსკავკასიური ღვინით ვაჭრობის ცენტრი თბილისში იყო, რომლის რაოდენობა წლიურად დაახლოებით 20 მლნ ვედროს შეადგენდა.

საქართველოში არ იყენებდნენ არც კასრებს და არც ბოთლებს. მთელი ღვინო კამეჩის, ძროხის, ღორის და თხის ტიკებით (outres) გადაჰქონდათ. კამეჩის, ძროხისა და ღორის ტიკებში ჩასხმული ღვინო უფრო მისაღები იყო და ნაკლებად უსიამოვნო გემო ჰქონდა, ვიდრე თხის ტყავში ჩასხმულს. ტყავის მთლიანად შესანარჩუნებლად ცხოველებს განსაკუთრებული წესით კლავდნენ, შიგნით მოქცეულ ბეწვს გულმოდგინედ უსვამდნენ ბაქოს შავ ნავთს, რაც ცუდად მოქმედებდა ღვინოზე და მას პირველივე დღეებიდანვე გუდრონის უსიამოვნო გემოს აძლევდა. თბილისის ღვინის ბაზარში, მეღვინეების მაღაზიებსა და სარდაფებში ჩალაგებული ტიკები ოთხი გრძელი ფეხით, წყალში დამხრჩ-

214 1 ჰექტოლიტრი = 100 ლიტრს

215 ერთი ვედრო მოიცავს 13 პარიზულ პინტა ნახევარს. 1 პარიზული პინტა დაახლოებით 952,146 მლია.

216 ამ ციფრების თანახმად, კახეთში დაახლოებით 19,000,000 ლიტრს ღვინოს აყენებდნენ და 1,200,000 ლიტრ არაყს ხდიდნენ.

ვალ ცხოველის გვამებს ჰგავდა. ზოგი უცხოელისთვის ის მეტად უსიამოვნო სანახავი იყო, ზოგის აზრით კი ისინი ორიგინალურ ეფექტს ქმნიდნენ.

ქართველებისთვის ისევე, როგორც ყველა სხვა ცივილიზებულ ქვეყანაში, უცხო არ არის ღვინის ფალსიფიცირება. ღვინოს შესაბამის ფერმენტაციას არ უკეთებენ, ის მჟავდებოდა როდესაც ჭურჭლიდან იღებდნენ და ტიკებში ასხამდნენ. კახელებს, ისე როგორც ყველა აზიელს, ხარისხს რაოდენობა ერჩევნათ და ისე რწყავდნენ ვენახებს, რომ ღვინო მალე მჟავდებოდა. ისინი არ იცავდნენ ყურძნის ასორტიმენტს და მცირე ყურადღებას აქცევდნენ მისი ფერმენტაციის პროცესს.

საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, ღვინის მოხმარება უზარმაზარი იყო და მისი 4/5 კახეთიდან შეჰქონდათ. ხელოსნით დაწყებული თავადით დამთავრებული ქართველის ჩვეულებრივი რაციონი ერთი თუნგი იყო. ღვინის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად, თბილისში იყიდებოდა კარგი ღვინო და ის საკმაოდ იაფიც იყო. 1 თუნგი (3-3,5 ლ) საუკეთესო ქართული ღვინო მხოლოდ ერთი აბაზი ანუ (80 სანტიმი – 1 ფრანკი), ერთი ბოთლი სუსტი და საშუალო ღვინო 1 სუმდე (დაახლოებით 5 სანტიმი, ფრანკის 1/5-ს) ღირდა და მასში ტრანსპორტირებისა და გამყიდველის მოგების ფასიც შედიოდა. გენერლები და წარჩინებულები კი თუნგის მეოთხედ საუკეთესო ღვინოში 1 აბაზს (20 სუ) იხდიდნენ, საუკეთესო ხარისხის ღვინო კი დაახლოებით 2 აბაზამდე (1 ფრანკი 60 სანტიმი) ღირდა.

მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ რუსეთში კახური ღვინის პოპულარიზაციას ძირითადად მისი ტრანსპორტირების სირთულე უშლიდა ხელს. მათი აზრით, როდესაც კახეთში ქვევრებს და ტიკებს სარდაფებით, კასრებითა და ბოთლებით ჩაანაცვლებენ, ღვინის დასაყენებლად კი ევროპაში მიღებულ პროცესებს შეითვისებდნენ, საქართველოდან ღვინის ექსპორტის დაწყებასაც შესძლებდნენ.

მოგზაურებმა ყურადღება მიაქცის ღვინის სასმელ ჭურჭელსაც. პოლკოვნიკ როტიეს ცნობით, თავად წერეთლის მსახური სტუმრებს უზარმაზარი დოქიდან უსხამდა ღვინოს ვერცხლის დიდ კოვზში (აზარფეშა), საიდანაც ყველა თავისი რიგის მიხედ-

ვით სვამდა, მისი და თავადის ცოლი კი ორივე ერთი ბრტყელი, პატერას[217] მსგავსი თასიდან სვამდნენ. ჟან-შარლ დე ბესმა გენერალ სტრეკალოვის მიერ ნაჩუქარი ჯიხვის რქა, რომელშიც დაახლოებით ერთი ლიტრი ღვინო ჩადიოდა, კარგად გააპრიალებინა ქართველ ხელოსანს, ორივე მხრიდან ვერცხლში ჩაასმევინა და პეშტის საბუნებისმეტყველო მუზეუმს გაუგზავნა. ფლორიან ჟილი აღნიშნავს, რომ შეძლებულ ხალხს ვერცხლის აზარფეშები და კულები ჰქონდათ. აზარფეშა საინტერესო ორნამენტებით იყო მორთული, კულაზე კი ნადირობის სცენები იყო გამოსახული. მუანე აღწერს ერთ ქართულ სადილს, რომელსაც ალექსანდრე დიუმასთან ერთად დაესწრო, სადაც ყველა სტუმარი ღვინოს რიგ-რიგობით სვამდა ერთი ყანწიდან. პოლ დე ვილენევი აღნიშნავს, რომ ღვინის სმა საქართველოში ღირსების საქმედ მიიჩნეოდა, მამაკაცები ამას ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ და ეს უნარი საშუალო ასაკში ჰქონდათ შენარჩუნებული.[218]

ბაზილ ტაიროვის ცნობები ქართული მეღვინეობის შესახებ. 1888 წელს კავკასიის მევენახეობის შესახებ ბაზილ ტაიროვის მიერ მონპელიეში გამოცემულ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ბოლო დროს უცხოელების ყურადღება კავკასიის ბუნებრივმა სიმდიდრეებმა მიიზიდა. განსაკუთრებული ინტერესი დაეთმო მეღვინეობას, რომლის სამშობლოდ, სომეხი ეროვნების ტაიროვი, სომხეთს ასახელებს. მისივე ცნობით, ზოგადად კავკასიის მეღვინეობა იმჟამად ნაკლებად აკმაყოფილებდა არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ევროპის მოთხოვნილებებსაც, რადგან ვენახები ფილოქსერთი და სხვა გაურკვეველი ავადმყოფობებით (cryptogamiques) იყო დაავადებული. ამასთან, კავკასიის ღვინოების ექსპორტი იმჟამად კვლავ მეტად შეზღუდული იყო ტრანსპორტირების სირთულისა და ბაზრის მოთხოვნილებების არცოდნის გამო. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში აღსანიშნავი პროგრესული ნაბიჯი იყო მეღვინეობასთან დაკავშირებული

217 პატერა – ფართო და ბრტყელი რიტუალი ჭურჭელი, რომელსაც უძველეს დროში, განსაკუთრებით ძველ რომში, ღმერთებისათვის ღვინის შესაწირად იყენებდნენ.

218 Gamba, *Voyage*, II, 82-83; Bélanger, *Voyage*, II, 78-81; Besse, *Voyage*, 337-338, 354. Dubois de Montpéreux, *Voyage*, III, 247-250; Gille, *Lettres*, 272-274; Moynet, *Voyage*, 319-120; Villeneuve, *La Géorgie*, 43-44.

ყველა საკითხის შესასწავლად უცხოეთში, მონპელიეს სასოფლო სამეურნეო სკოლაში სასწავლებლად ახალგაზრების გაგზავნა. მეღვინეობის განვითარების მიზნით, პეტერბურგის ოლქების (domaine) სამინისტროში კომისიის მიერ შემუშვებული იყო შემდეგი გეგმა:1. მევენახეობის სხვადასხვა რეგიონებში თანამედროვე სარდაფების დაარსება ღვინის შესანახად და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო სამუშაოს ჩატარება; 2. სანერგეების შექმნა ვაზის კალმებისა და ფესვების გასამრავლებლად; 3. კრედიტის გამოყოფა მეღვინეების დასახმარებლად; 4. არდადეგების დროს ამ სადგურებში კურსების დაარსება სოფლის სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად, რათა ვაზის გახარებისა და მეღვინეობის შესახებ მიღებული ცოდნა შემდგომ თავიანთი მოსწავლეებისთვის გადაეცათ; 5. მეღვინეობისთვის საჭირო საწყობების მოწყობა მანქანების, აპარატების, ხელსაწყოების, ინსტრუმენტების შესანახად; 6. სისხლის სამართლის ზომების მიღება ღვინის ფალსიფიცირებისა და იმიტაციის წინააღმდეგ; 7. მეღვინეობის ლაბორატორიის დაარსება; 8. ღვინის ექსპორტის მოგვარება.

ამ ზომების მიღებით რუსეთის მთავრობა იმედოვნებდა იმ რუტინის აღმოფხვრას, რომელიც ასე დიდხანს აფერხებდა მეღვინეობას და მისი ევროპული ქვეყნების სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანას. აუცილებლად ხაზგასასმელი იყო შემდეგი მომენტები: 1. ღვინის წარმოების მანიპულაციების პრიმიტიულობა, ღვინის შენახვის უცოდინარობა; 2. ინერცია, უინიციატივობა და ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა ღარიბი ფენა ღვინის შენახვის თვალსაზრისით, რაც მათ მის სწრაფად და იაფად გაყიდვას აიძულებდა; 3. საკომუნიკაციო გზების უქონლობა, რაც ართულებდა საქმიან ურთიერთობებს და სხვ. მევენახეებს მუდმივ სირთულეებს უქმნიდა კავკასიაში გავრცელებული ვენახის ავადმყოფობა. ფილოქსერამ (phylloxera) და Oïdium Tuckeri-მა (ოიდიუმი – ნაცარი), რაც დიდ ზარალს იწვევდა.

XIX საუკუნის მიწურულში, თბილისის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაბეჯითებული მოთხოვნის მიუხედავად, მეღვინეების უმრავლესობა არ იყენებდა გოგირდს. ყურძენს შიშველი ფეხებით წურავდნენ ხის, თიხის ან ქვის ანტიკური

ფორმის ჭურჭელში. მასში ხშირად მხოლოდ ყურძნის დაწურულ წვენს აგროვებდნენ და შიგ დაუწურავად ყრიდნენ ჭაჭას, მაგრამ დიდი მეურნეობები და ნეგოციანტები უკვე იწყებდნენ კასრების გამოყენებას. ჩენჩოებითა და ლერწმებით ფერმენტირებული წითელი და თეთრი ღვინო იმავე წელს იყიდებოდა. ძველი ღვინოები კვლავ ძალიან იშვიათი იყო, რადგან არ ინახებოდა. მეტ-ნაკლებად მცოდნე დიდი მეურნეობებისა და ნეგოციანტების ღვინის გარდა, ღვინო არ იყო დაწმენდილი, ის კვლავ კამეჩის ან შიგნიდან ფისით დაფარული ხარის ტყავის ტიკებით ურმებით გადაჰქონდათ, მთიან რეგიონებში კი ცხენს ან ვირს ჰკიდებდნენ.

კავკასიის ღვონოების ექსპორტი, მის წარმოებასთან შედარებით, უმნიშვნელო იყო. მას ძირითადად ადგილზე მოიხმარდნენ, სადაც ღვინის სმის ჩვევა ჰქონდათ. კახეთის ყველაზე ცნობილი და საუკეთესო ვენახები იყო წინანდალში, კარდენახში, ყვარელში და სხვ. შემდეგ ქართლის ღვინო მოდიოდა. მეორე ადგილზე იყო ელიზავეტპოლის გუბერნია, ერევანი, ეჩმიაძინი და ქუთაისის რეგიონი – გურია, სამეგრელო, იმერეთი; მესამე ადგილზე – სტავროპოლისა და ბაქოს გუბერნიები, შავი და კასპიის ზღვების მიდამოები, ყუბანი, თერგი და სხვ. ღვინის ფასი ხარისხის მიხედვით მეტად ცვალებადი იყო – ერთი ჰექტოლიტრი – 3-დან 40 და უფრო მეტ რუბლს შორის (1888 წლის კურსით 6 ფრანკიდან 50-86 ფრანკამდე) მერყეობდა. კავკასიის ვენახებს ეჭირა 115,000 ჰა, წლიურად დაახლოებით 1,500,000 ჰექტოლიტრ ღვინოს აწარმოებდნენ.

ბაზილ ტაიროვი კახური ღვინის შემდეგ დაასიათებას გვაძლევს: „*წითელი ღვინოები.* – ძლიერ მწკლარტე, ძელგი, მსუბუქი სიტკბო. ეს დეფექტი გამოწვეული იყო ძალიან სწრაფი დამწიფებით და მეტად ხანგრძლივი დუღილით (6-10 დღე საკმარისი იქნებოდა); სიმწკლარტის მოცილება შესაძლებელი იქნებოდა ყურძნის მარცვლების მოცილებით და სწრაფი დუღილით. ოდნავ მოყავისფრო წითელი ფერი უეჭველად უფრო მკვეთრი და წითელი იქნებოდა ნაკლებად მწიფე და უფრო მწკლარტე ყურძნით. გადამწიფებული ყურძნის დაწურვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ღვინის მჟავის დამატება პროპორციით – 1 გრამი 1 ლიტრ ღვინოზე. *თეთრი ღვინოები.* – ძლიერ მწკლარ-

ტე, ლამაზი ფერის, მაგრამ იმჟამად ძნელად გასაყიდი, გამოკვეთილი არომატი და ალკოჰოლი. ეს ღვინოები მეტად მოიგებდა, ისინი რომ მზადდებოდეს საფრანგეთის თეთრი ღვინოების მსგავსად დუღილის გარეშე, ახლად გამოწურული წვენის ფერმენტაციით, ჩენჩოსა და მტევნის (rafle) მოცილებით."[219]

თბილისის აბანოები. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ფრანგი თუ ფრანკოფონი მოგზაურები თბილისის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად თბილისის ძველი უბანის ვიწრო ქუჩების ლაბირინთში, მდინარე წავკისის მტკვართან შერთვის ადგილას მდებარე გოგირდის აბანოებს გამოჰყოფენ. ეს წყაროები ბუნებრივად გამოდიოდა მთის ფერდობებიდან, წყლის ტემპერატურა 14 გრადუსიდან 60 გრადუსამდე მერყეობდა და პიატიგორსკის წყაროების ტემპერატურაზე უფრო მაღალი იყო. მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ ეს წყალი მეტად უებარი საშუალება იყო კანის დაავადებების, რევმატიზმისა და ჭრილობების სამკურნალოდ. ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნეიეჰოლტს თხზულებაში მოჰყავს ამ თბილი წყლის შესახებ ხალხისგან გაგებული ლეგენდაც. იგი წერს: „ამბობენ, რომ ერთ მწყემსს ჩვევად ჰქონდა თავისი ფარის ამ ადგილას ძოვება. მან შეამჩნია, რომ მუნით დაავადებული ცხვრები განიკურნენ ამ ნაკადულივით დასერილ საძოვარზე, რომელშიც ცხოველები მუდამ ჩადიოდნენ. როდესაც მწყემსმა ამ დაკვირვების შესახებ თქვა, ეს ამბავი გამოიკვლიეს და მალე დაადგინეს წყლის სამკურნალო ძალა. ამ ადგილზე აბანოები დააარსეს, სადაც ბევრი ხალხი დადიოდა."[220]

ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის ცნობით, 1811 წელს ტიფლისის შემოგარენში ათიოდე აბანო იყო და დაწვრილებით აღწერს კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულებში მოწყობილ აბაზანებში ბანაობის პროცესს. იგი და სხვა ავტორებიც აღნიშნავენ, რომ

219 *Basil Taïroff, La culture de la vigne et les vins du Caucase*, Montpellier, Aux Bureau du Progrès Agricole et Viticole. 1887, 1-4, 8.

220 Klaproth, *Voyage au Mont Caucase et en Géorgie*, II, 5-6; SHAT: 1M n°1673, doc. 4/52, fol. 1; 1M n°1486, doc. 13, fol. 31; Rottier, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, 105; Freygangs, *Lettres sur le Caucase et la Géorgie*, 119; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 180; Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, 240; Suzannet, *Les provinces du Caucase*, 57; Moynet, *Voyage*, 323-324; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 387.

თბილისელ ქალებს ძლიერ უყვარდათ აბანოში სიარული, ხოლო მაღალი წარმოშობის ქალები იქ კვირაში ერთხელ მთელ დღეს, ზოგჯერ ღამესაც კი ატარებდნენ. ისინი იქ ვახშმობდნენ, იღებავენ ფრჩხილებს, თმებს, სახეს და იტანჯებოდნენ წარბების ერთმანეთზე გადაბმით, რადგან ფერუმარილის გარეშე ქალის საჯაროდ გამოჩენა უზრდელობად მიიჩნეოდა. თბილისელი ქალები აბანოში თავიანთი პირადი და მეზობლების სკანდალური ამბების მოსაყოლადაც დადიოდნენ, იქვე ხლართავდნენ ინტრიგებს და აბანოს ნაწილსაც კი ქირაობდნენ თავიანთი რჩეულის მისაღებად.[221]

თუ კლაპროთის ცნობით, 1807 წელს თბილისის ცნობილი დანგრეული აბანოებიდან შერჩენილი მხოლოდ მარმარილოთი მოპირკეთებული შიდა კედლები და იატაკი იყო, გამბას ცნობით, XIX საუკუნის ოციანი წლებისთვის ქალაქში იყო მთავრობის მიერ აშენებული და კერძო აბანოები.[222] შარლ ბელანჟე დაწვრილებით აღწერს თბილისში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ აშენებულ დიდ და მოხერხებულ აბანოს, რომლის გუმბათი გადახურული იყო ცილინდრული მინით (verres lenticulaires?), საიდანაც სინათლე შედიოდა, მაგრამ ვერ აღწევდა ჰაერი. პირველ ოთახში იყო ტერასები, რომლებიც საკმაოდ დიდი აუზიდან მომდინარე წყლით გრილდებოდა. იქ ტანისამოსს იხდიდნენ, შემდეგ რამდენიმე წუთით მიმსვლელს უფრო თბილ ადგილას აჩერებდნენ ცხელი წყლის ტემპერატურის შესაგუებლად, რაც ამ წინასწარი ზომების გარეშე აუტანელი იქნებოდა. საბანაო ბნელ დარბაზს რამდენიმე ლამპის მკრთალი შუქი ანათებდა; მის სხვადასხვა მახარეებზე, ერთმანეთის დაცილებით, 1,5-2 მ-ის სიღრმის, ნაპირებთან კი დაახლოებით 70 სმ-ს სიღრმის 40 გრადუსიანი წყლით სავსე პატარა აუზები იყო, საიდანაც ამოსული ორთქლი იქაურობას კიდევ უფრო აბნელებდა. ბელანჟე დეტალურად აღწერს დაბანვის პროცესს და აღნიშნავს, რომ მრავალი ქართველისა და სპარსელისათვის ეს ისეთივე აღუწერელი სიამოვნება

221 Freygangs, *Lettres sur le Caucase*, 117-120 Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 180; Dubois de Montpéreux, III, 173-17; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 41, 51.

222 Klaproth, *Voyage au Mont Caucase et en Géorgie*, II, 5-6; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 180.

იყო, როგორც ოპიუმი აღმოსავლელისათვის. ბანაობის შემდეგ უამრავი ხალხი თავს იპარსავდა და წვერს იღებავდა. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ სანიტარული თვალსაზრისით იქ სისუფთავე არ იყო, რადგან მის ტანისამოსს მწერები[223] შესეოდნენ. შარლ ბესის თქმით, თბილისის აბანოში მოგზაურისთვის არავითარი კომფორტი არ იყო უზრუნველყოფილი. მისგან განსხვავებით, ექიმი ტეიული ხაზს უსვამს გოგირდის აბანოს სიძვირეს, მაგრამ აღნიშნავს, რომ დროის ხანგრძლივობის შესახებ წინასწარი შეთანხმებით შესაძლებელი იყო ცალკე ოთახის დაჯავშნა და რამდენიმე რუბლის ფასად „განაზებული რომაელების მიერ იმპერატორების შესანიშნავი აბაზანებისთვის გამოგონილი სიამოვნების მიღება." აბანოს არ აკლდა არც სანთლებით განათება, არც წყნარი მელოდიები, არც დამათრობელი გრძნობები და არც ლამაზი ნიმფის დელიკატური ყურადღება. ტეიული აღნიშნავს, რომ აბანოს პატრონები წყაროების შემცირების გამო ჩიოდნენ და ამის მიზეზს ეძებდნენ. მისი აზრით, თერმული წყაროს სათავე რამდენიმე ვერსით უფრო შორს მდებარეობდა და არა იმ კლდეებში, საიდანაც წყლები გადმოედინებოდა.[224]

ფლორიან ჟილი, თავის მხრივ, დეტალურად აღწერს ბანაობის სრულ პროცესს, სადაც მას უცნაური მანიპულაციების ისეთი მცოდნეები ემსახურებოდნენ, რომ თავი ბაღდადში ან „ათას ერთი ღამის" რომელიმე სხვა ქალაქში ეგონა. მისი ცნობით, ხანგრძლივი და რთული ბანაობის ფასი მინიმალური იყო, მაგრამ გასამრჯელოს – ბახშიშს *(bakchich)*, აღმოსავლური წესის თანახმად, დიდი პატივისცემით იღებდნენ, შემდეგ კი ის იყო-

223 შარლ ტეიულმა ყურადღება მიაქცია, რომ მწერების გასანადგურებლად, რომლებიც ზაფხულში ძლიერ აწუხებდა მოსახლეობას, ქართველ გლეხებს მეზობელი მთებიდან უკვე გამზადებული ფხვნილი ჩამოჰქონდათ, რომლის გამონაყოფი ჩასასუნთქად საშიში იყო და რომელსაც მისი აზრით, რთულყვავილოვანი მცენარისგან, შესაძლოა გვირილისგან ამზადებდნენ (Teule, *Pensées et notes critiques*, 116-117).

224 Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 37-40; Besse, *Voyage en Crimée au Caucase*, 335; Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, III, 236-237; Suzannet, *Les provinces du Caucase*, 57; Teule, *Pensées et notes critiques*, 94.

ფოდა აბანოში მომუშავე ყველა კაცს შორის, რომლებიც ჟილის აზრით, კორპორაციას ქმნიდნენ.[225]

ჟან-პიერ მუანე თბილისის აბანოს სპარსულ აბანოს უწოდებს და შენობის შიდა მოწყობილობას აღწერს. სპარსელი მექისის მიერ ყველა პროცედურის ჩატარების შემდეგ, მას და ალექსანდრე დიუმას დიდი ხალათები ჩააცვეს, ხალიჩებზე დააწვინეს და ყალიონით შესანიშნავი და არომატულ აღმოსავლურ თამბაქო შესთავაზეს, ხოლო სპარსელები მოგრძო ფორმის, სპილენძის სიმებიან რკალივით მოხრილი აბანოზის ინსტრუმენტზე ფრთით უკრავდნენ, ერთ-ერთი მათგანი კი საადის ლექსებს მღეროდა.[226]

ლიკლამა ა ნეიეჰოლტი თბილისის ამ თერმულ დაწესებულებებს უსახურ შენობებს უწოდებს, რომლებიც არ იყო მონუმენტური და შიგნითაც საკმაოდ უხეშად იყო მოწყობილი. მისი აზრით, იმჟამინდელ მთავრობას კავკასიური რუსეთის დედაქალაქში ამ მართლაც განსაკუთრებული წყაროებიდან სარგებლობის მისაღებად აბანოებისთვის უფრო ღირსეული დაწესებულებები უნდა აეშენებინა, რაც ქალაქს იმ მნიშვნელობას შესძენდა, რაც აბანოებს იმჟამად სრულებით არ ჰქონდა.[227] მისგან განსხვავებით, მაქს ფონ ტიელმანის აზრით, თბილისის აბანო მეტად კომფორტულად იყო მოწყობილი, რაც განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ნამგზავრი ხალხისთვის[228]. ალფრედ კეშლენ-შვარცის ცნობით, ტიფლისში მეტად ცნობილი თერმული წყლების აბანო ადგილობრივი გემოვნების მიხედვით ძალიან მარტივი მავრიტანული არქიტექტურის სტილში იყო აგებული, სუფთა და კარგად მოვლილი იყო. შესაბამისი იყო მომსახურებაც. თბილისში ზაფხულში მყოფი კეშლენ-შვარცი ყოველ დღე სიამოვნებით დადიოდა აბანოში, იკეთებდა მასაჟს და იქიდან გაგრილებული და გაცოცხლებული გამოდიოდა[229]. თბილისის აბანოს ნაპოლეონ ნეიც სპარსულს უწოდებს და გამოჰყოფს მირზოევის

225 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 261, 270-271; Orsolle, *Le Caucase*, 43.

226 Moynet, *Voyage à la la mer Caspienne*, 323-324.

227 Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 387-388.

228 Ernouf, *Le Caucase, la Perse*, 181-182.

229 Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 271.

აბანოს, რომელსაც ისეთი დიდი სახელი ჰქონდა, რომ ყველა უცხოელი მოვალეობად მიიჩნევდა იქ ერთხელ მაინც მისვლას, განსაკუთრებით მგზავრობის შემდეგ.[230] ახალგაზრდა სტუდენტი ლეკუენ დე ვილმორენი თბილისის დიდ აბანოს თურქულს უწოდებს. ამ შენობას სქელი ხის კარი ჰქონდა, რომელიც დერეფნში გადიოდა. საორთქლავ ოთახში თეთრი მარმარილოს გრძელი, დაახლოებით 2 მ-ის სიგრძის და 1,5 მ სიღრმის აუზი იყო და მის ორივე მხარეს აგრეთვე თეთრი მარმარილოს მოსასვენებელი საწოლები იდგა, ერთ კუთხეში კი შხაპის აპარატი იყო.[231] ფრანგი მწერალის გასტონ სანსრეფუსის ცნობით, თბილისის აზიურ უბანში მდებარე სპარსული აბანოს ლამაზი შენობა სასიამოვნო ეფექტის ფერადი ქაშანურით იყო მორთული.[232]

ბიბლიოგრაფია

1. გამბა, ჟაკ ფრანსუა. *მოგზაურობა ამიერკავკასიაში.* ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. ტ. 1 (თბილისი, 1987).
2. გუგუშვილი, პაატა. *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.-ში*. თბილისი, 1979.
3. დუმბაძე, მ. (რედ.). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* IV. თბილისი, 1973.
4. პაჭკორია. მ. *რედუტ-კალე*. თბილისი, 1968.
5. *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში*. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ. თბილისი, „არტანუჯი", 2016.
6. ქებულაძე, რ. *ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*. თბილისი: მეცნიერება, 1971.

230 Ney, *En Asie Central à la vapeur*, 122-123, 134.

231 Vilmorin, *De Paris a Bombay par la Perse*, 25-26.

232 Sansrefus. *De Paris à Tiflis*, 417. ფრანგი მწერალი თბილისის დაარსების ლეგენდის ახალ ინტერპრეტაციას გვაძლევს.

7. ხოშტარია, დ. *თბილისი. ძველი სასტუმროები*. თბილისი: არტანუჯი, 2011.
8. Anet, Claude. *Les Roses d'Ispahan – La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase*. A la princesse Georges Valentin Bibesco et à Madame Michel Charles Phérékyde je dédie respectueusement le récit d'un voyage dont elles ont partagé avec moi, et ennobli, les émotions. Paris: Société d'Edition et de Publication, Librairie Félix Juven, 1907.
9. Archives du Ministère des Affaires étrangères, Mémoires et Documents, Perse, vol. 2, doc. 29.
10. Baker, Valentine. *Clouds in the East: travels and adventures on the Perso-Turkoman frontier*. London, Chatto & Windus, 1876.
11. Barrère, Edmond de. "Salle de spectacle dans le style mauresque, conçue et exécute par le prince Grégoire Gagarine, à Tiflis (Géorgie). *L'Illustration*, Journal Universel, 23 octobre, N 18, 1851. 261-262.
12. Beaujour, Louis-Auguste-Félix de. *Voyage militaire dans l'Empire othoman, ou Description de ses frontières et de ses principales défenses, soit naturelles, soit artificielles*… par le baron Félix de Beaujour. I-II. Paris: F. Didot Frères, 1829.
13. Bélanger, Charles. *Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques, statistiques et autres sur le Pégou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte Hélène pendant les années 1825, 1826, 1827, 1828 et 1829.* I-II. Paris: Authus Nertrand, Libraire-éditeur, 1838.
14. Besse, Jean-Charles de. *Voyage en Crimée au Cavcase, en Géorgie, en Arménie, en Asie-Mineure, et à Constantinople, en 1829-1830.* Pour servir à histoire de Hongrie, par Jean-Charles de Besse. Ouvrage orné de cinq planches lithographées. Paris: Delaunau-Libraire, 1838.
15. Blanchard, Pharamon. "Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)". *Le Tour Du Monde* II (1860): 113-127.
16. Champollion-Figeac, *Histoire de la Perse (Asie Orientale)* par Champollion-Figeac, bibliothécaire au palais de Fontainebleau. Paris: Arnauld de Vresse, Editeur,1860.

17. Cammartin, Henri. “Caucase. – Inauguration, à Tiflis, de la statue du prince Woronzoff”. *Le monde illustré*, 1867, N 527, 18 Mai, 300, 302.
18. Cantel, Henri. «Le Prince Domenti, scènes de la vie géorgienne». *Revue des deux Mondes*, vol. 40, 1862, 707-732.
19. Cantel, Henri. «Héraklés, scènes de la vie géorgienne». *Revue des deux Mondes*, T. 46, 1863, 451-471.
20. Dieulafoy, Jane. *La Perse, la Chaldée et la Susiane*, par Mme Jane Dieulafoy, Chevalier de la Légion d’honneur, officier d’Académie, relation du voyage. Paris: Librairie Hachette et C˚, 1887.
21. Drouville, Gaspard. *Voyage en Perse, fait en 1812 et 1813,* par Gaspard Drouville, Colonel de la cavalerie au service de S.M. L’empereur de toutes les Russes, Chevalier de plusiers ordres. I-II. Paris: A la librairie Nationale et Etrangere, 1825.
22. Dubois de Montpéreux, Frédéric. *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Avec un Atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique* etc. Ouvrage qui a remporté le prix de la Société de Géographie de Paris en 1838. par Frédéric Dubois de Montpéreux. I-VI. Paris: Librairie de Gide, 1839-1840, 1843.
23. Dumas, Alexandre. *Le Caucase: journal de voyages et romans*. Paris: Librairie théatrale, 1859.
24. Ernouf, Alfred-Auguste. *Le Caucase, la Perse, et la Turquie d’Asie. Souvenirs de voyage*. D’après la relation de M. le baron de Thielmann par le Baron Alfred-Auguste Ernouf. Ouvrage enrichi d’une carte et de vingt gravures. Paris: E. Plon et Cie, 1876.
25. Freygangs. *Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies, d’une relation d’un voyage en Perse, en 1812.* Hambourg: Chez Treutter & Wurtz, 1816.
26. [Gagarin]. *Le Caucase pittoresque*. Dessiné d’après nature par le Prince Grigori Grigorievitch Gagarine. Texte par le Comte Ernest Stackelberg. Paris: Imprime par Plon Freres, 1847.
27. Gamba, Jacques-François. *Voyage dans la Russie méridionale, et particulièrement dans les provinces situées au-delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu’en 1824* par le chevalier Gamba, consul du roi à Tiflis. I-II. Paris: Chez C. J. Trouvé, Imprimeur Libraire, I-II, 1826.

28. Gamba, Jacques-François. *Atlas, Voyage dans la Russie Méridionale*, par le chevalier Gamba, consul du roi à Tiflis. Paris: Chez C. J. Trouve, Imprimeur-Libraire, 1826.
29. Golovin, Ivan. *The Caucasus* by Ivan Golovin. London: Trübner & Co., 1854.
30. *Gazette National ou le Le Moniteur Universel*, № 43,14.02.1806; 18.03.1807
31. Gille, Floriant. *Lettres sur le Caucase et la Crimée*, ouvrage enrichi de trente vignettes dessinées d'après nature, et d'une carte dressée au dépot topographique de la guerre à St. Pétersbourg. Paris: Gide, Libraire-Editeur, 1859.
32. Jahn, Hubertus F. "The Bronze Viceroy: Mikhail Vorontsov's Statue and Russian Imperial Representation in the South Caucasus in the Mid-19th Century." Russian History 41 (2014), pp. 163-180.
33. Hugo, Victor. Avec un rayon de soleil. *Œuvres* de Victor Hugo: Poésie, Volume 2, Paris, J. Hetzel et Cie Edition, 1869.
34. [Jaubert], *Sciences morales et politiques. Voyage dans la Russie Méridionale, et particulièrement dans les provinces situées au-delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824,* par le chevalier Gamba, consul du Roi a Tiflis. – Revue Encyclopédique, Paris, 1827, t. 34, p. 102.
35. Jaubert, Amédée. *Voyage en Arménie et en Perse fait dans les années 1805-1806*. Paris: E. Ducrocq, 1860.
36. Joanne, Adolphe. *Voyage en Orient par Adolphe Joanne*. I-II. Ixelles lez Bruxelles, Delevingne et Calleqaert, 1850.
37. Klaproth, J. *Voyage au Mont Caucase et en Géorgie* par M. Jules Klaproth, professeur royal des langues et de la littérature asiatique et membre du conseil de la Société asiatique de t. I-II Paris, 1823.
38. Koechlin-Schwartz, Alfred. *Un touriste au Caucase: Volga, Caspienne, Caucase*. Paris: J. Hetzel et Cie, Editeurs, 1881.
30. Kotzebuë, Moritz. *Relation d'un voyage en Perse, fait en 1817 à suite de l'Ambassade Russe*, par Moritz de Kotzebue. Traduite de l'Allemang par M. Breton, orné de gravures coloriées. Paris: Chez A. Nepveu, Libraire, 1819.
40. Lycklama A Nijeholt, Tinco Martinus. *Voyage en Russie, au Caucase et en Perse* exécuté pendant les années 1866, 1867 et 1868.

T. I. Paris-Amsterdam: Arthus Bertrand, Libraire-Editeur/C. L. Van Langenhuysen, Libraire-Editeur, 1872.
41. Moynet, Jean-Pierre. "Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir. De Bakou à Tiflis 1859". (Inédit). Texte et dessins de M. Moynet. *Le Tour du monde*, I, (1860), 312-326.
42. Ney, Napoléon. *En Asie Central à la vapeur*. Preface de Pierre Véron, dessins de Dick de Longlay, avec deux cartes. Paris: Garnier Frères-Editeurs, 1888.
43. Orsolle, Ernest. *Le Caucase et la Perse*. Paris: Plon, Nourrit et Cie, 1885.
44. Peyssonel, M. de. *Essay sur les troubles actueles de Perse et de Georgie*. Paris, 1754.
45. Poujoulat, Baptistin. *Voyage à Constantinople dans l'Asie Mineure, en Mésopotamie, à Palmyre, en Syrie, en Palestine et en Egypte. Faisant suite à la Correspondance d'Orient*. I-II. Paris: Ducollet, 1840.
46. Rohan, Douchesse de. *Les Dévoilées du Caucase. Notes de Voyage*. A son Altesse La Princesse Salome Murat, qui m'a fait ouvrir avec une grace sans pareille les portes de son merveilleux Caucase, je dédie ces modestes lignes. Paris: Calmann-Lévy, Editeur, S.d.
47. Rottier, le Colonel. *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, par le Colonel Rottiers, commandeur, chevalier de différents ordres, membre de plusieurs académies, etc. Bruxelles: Czes H. Tarlier-Libraire, 1825.
48. Sanikidze, George. An Historical Survey of Georgian-Iranian Relations in the Nineteenth Century. *Journal of Persianate Studies*, Vol. I, No.2. Leiden: Brill, 2008.
49. Sansrefus, Gaston. *De Paris à Tiflis. Impressions de route*. Preface de C. Fuster. Dessins de H. Bertaux. Paris: Ernest Flammarion – Editeur, 1897.
50. Serena, Carla. *Excursions dans le Caucase. De la mer Noire à la mer Caspienne. L'Imérethie, province du Caucase*. Par Madame Carla Serena. 1875-1876 – Texte et dessins inédits. Le Tour du monde, Nouveau journal des voyages, II, (1880), Paris: Librairie Hachette et C°, 289-304.

51. Service historique de l'Armée de Terre, Château de Vincennes, (SHAT). Camille Alphonse Trézel, "Notice sur la Géorgie", 1M n°1486, Russie jusqu'en 1811, non paginé, 31.05.1809, doc. 13, fol. 1-76.
52. Service historique de l'Armée de Terre, Château de Vincennes, (SHAT). Claude-Matthieu Gardane, "Notice", Perse 1807-1857, 1M n°1673, Cracovie, non paginé, 11.08.1809, 4/52.
53. Service historique de l'Armée de Terre, Château de Vincennes, (SHAT). Lieutenant Pichon. "La Géorgie", 1852. Perse 1807-1857, 1M, n°1673, cachier 43, fol. 1-21.
54. Suzannet, Le Comte de. "Les Provinces du Caucase sous la domination russe. La Géorgie, le Daghestan, le littoral de la mer Caspienne et les rives du Kouban", *Revue des Deux Mondes*, 4/26 (1841): 50-106.
55. *Taïroff, Basil. La culture de la vigne et les vins du Caucase*. Montpellier, Aux Bureau du Progrès Agricole et Viticole. 1887.
56. Teule, Jules Charles. *Pensées et notes critiques extraites du journal des mes voyages dans l'empire du sultan de Constantinople, dans les provinces russes géorgiennes et tartares du Caucase et dans le royaume de Perse*. I-II. Arthus Bertrand, Librairie-Editeur, Paris: 1842.
57. Vilmorin, Auguste Lacoin de. *De Paris a Bombay par la Perse*. Illustrations d'après les photographies rapportées par auteur. Paris, Libraire de Firmin-Didot et Cie imprimeurs de l'Institut, 1895.
58. Villeneuve, Paul de. *La Géorgie*. Ouvrage publié par M. F-R-Des Ayes. Avec Introduction, illustré des armes royales de Géorgie et des fac-simile. Paris: Libraireie Firman Didot Fréres, Fils et Cie, 1870.
59. [Warner]. *Schamyl, le prophète du Caucase* par le major Warner [pseud.], Paris: Librairie nouvelle, 1854.
60. Авалов, Зураб. *Присоединение Грузии к России.* СПб: Издательство, Тип. А.С. Суворина, 1901.
61. Басихин, П. «Немецкия колонии на кавказе», *Кавказский вестник,* ежемесячный научно-литературный журнал. Тифлис, 1900, 15.

62. Востпышев, М. И. *Москва: все улицы, площади, бульвары, переулки.* Москва: Алгоритм, Эксмо, 2010.
63. Джалагания, И. *Из истории монетного дела Грузии XIII века.* Тбилиси: Издательство Академии Наук Грузинской ССР, 1958.
64. Орагвелидзе, Елена. Такой ли уж лишний для города трамвай?// *«Вечерний Тбилиси»,* № 129, 16-17.XI, 2004.
65. Пахомов, Е. А. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск 08, Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, Баку, 1959.
66. Пахомов, Пахомов, Е. А. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск 09, Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, Баку, 1966.
67. Спасский-Антонов, К. Редут-Кале. *Отечественные записки,* 55, VIII, 1847.
68. Хелтуплишвили. М. В. *Вступление Грузии в состав Российской империи.* Дозволено цензурою, Москва 31 Августа 1901, года. Кутаисъ: Типографія Киладзе и Хеладзе, 1901.

Irine Natchkebia, George Sanikidze

TBILISI IN THE WORKS OF FRENCH AND FRANCOPHONE TRAVELERS (19TH C. – BEGINNING OF THE 20TH C.)

The 19th century is a turning point in the history of Georgia. After its incorporation into the Russian Empire, radical changes took place in the country. Europeans have taken an ever increasing interest in Georgia, specifically in its capital Tbilisi.

This contribution discusses a change in France's perception of Georgia and its capital during the nineteenth century. The nineteenth century French memoirs and records on Georgia can be divided into three basic groups. These groups reflect changes in the political and economic situation in the East-West relations, and thus a change in motives, which had immediate implications for Georgia. The first period coincides with the "Great Game" during the Napoleonic wars when Georgia inadvertently became part of France's Eastern policy. The French sources on Georgia are comprised of so-called Treaty of Finkenstein between France and Persia, French newspapers (Le moniteur, Journal de l'Empire, Nouvelles étrangères...) reporting, and data on Georgia by French envoys in Persia (General Ange de Gardane (1766-1818), Amadée Jaubert (1779-1847), Joseph Rousseau (1780-1831), Camille Alphonse Trézel (1880-1860).

The second period was a time of taking interest economically in Georgia and its capital Tbilisi, which by then (especially under the so-called preferential tariff policy) had become a transit trade route for European goods going East, Iran in particular. In this regard an invaluable source is the work by the first French consul in Tbilisi Chevalier Jacques François Gamba (1763-1833). Although the economic activity of France in the Caucasus relatively slowed after the preferential tariff was revoked (1831), many French still traveled to Georgia. Descriptions of Georgia's history, everyday life of the country's population, its ethnic and religious composition, and a fusion of elements of eastern and western cultures are the main focus of interest of the French writing of the second half

of the nineteenth century: Alexandre Dumas (1802-1870), Le Baron de Baye (1853-1931), Ernest Orsolle, Jane Dieulafoy (1851-1916), also Chevalier Lyclama a Nijeholt (1836-1900), who although he was of Dutch decent – is still included in this group because his work is written in French. Moreover his work does not record any European country's political or economic interest in the region. Finally, the third period is a more general description of the country. It focuses less on carrying out in practice France's political and economic interests partly because by then Russia had consolidated its position in the Caucasus.

The incorporation of Georgia into Russia proved especially poignant for Persia. although "Persia laid claim to Georgia and didn't recognize Russia's expansion into the Caucasus, Fath 'Ali Shah was busy consolidating the eastern part of his country, while khanates of Transcaucasia didn't even recognize him as a ruler." (Berdzenishvili, 1965: 261). Therefore Iran needed a supporter amid rivalry with Russia over Georgia. The first such supporter became England. But in April of 1805 the Anglo-Russian treaty was concluded. A third anti-French coalition was then formed. This marked a change of England's policy toward Iran. After that it was France's turn.

After the failure of the Egyptian campaign Napoleon directed his attention to the Iran route for a potential Indian campaign. Napoleon decided to form an alliance with Persia and Turkey. After the failure of the Egyptian campaign Napoleon directed his attention to the Iran route for a potential Indian campaign. Napoleon decided to form an alliance with Persia and Turkey.

The so called Treaty of Finkenstein between Persia and France was concluded in March of 1807. According to article 3 of the treaty: [Napoleon] recognizes Georgia to be a legitimate dominion of his majesty's emperor of Persia and pledges to make every effort to force Russia to leave Georgian and Persian territories. This was the most important part of the treaty as far as Persia was concerned. The rest of the articles applied more to its own obligations. Napoleon pledged his support to Iran, albeit in an ambiguous manner: he would assist the Iranians after they dislodged Russia from Georgia and took over Tbilisi. However, only 65 days later, as a result of the peace treaty of Tilzit,

France agreed to give Russia carte blanche in the East, which amounted to abrogation of the Treaty of Finkenstein.

Following the incorporation of Georgia and a large part of the Southern Caucasus into the Russian Empire Georgia gained critical importance for Europeans in terms of trade, at a time when the Ottoman Empire was declining. By the beginning of the 19th century French capital had assumed increasingly important role here. However, the freedom of French capital was restricted by Russia, which tried in every way to promote trade relations with the South Caucasus and use this territory for trade expansion in the East.

So called "high preferential tariffs" introduced by the Russian Empire in 1810 represented significant hurdles to European capitals. Despite subsequent amendments customs tariffs remained high and therefore unfavorable for the Europeans. Eventually they managed to have the tariffs reduced. The French consulate opened in Tbilisi specifically for the purpose of making use of the Georgian territory for trade with the East. French Consul Jacques François Gamba was instrumental in achieving this.

Gamba's work is important in that it details the ethnic and religious make-up of Tbilisi population, changes in the town's character and its restoration process. The French consul's work is an invaluable source not only for studying economic life of Georgia, but also for studying its natural wealth, everyday life of population and culture.

During the 19th c. Tbilisi gradually obtained traits of an European city. It concerned many aspects of the city life – social, economic or cultural. This multiethnic and multicultural city with the mix of Eastern, local and Western traditions represented special interest for European travelers.

Gamba as the consul of France was primarily interested in economic aspects. But travelers in the subsequent years paid attention to economic aspects, as well as taking notice of other features, such as multi-ethnicity and multi-confessional character of Tbilisi, everyday life of Tbilisi citizens, change in the city's architecture, the effects of exposure to European culture and at the same time close cultural ties with Persia etc.

In conclusion it is worth noting that in the beginning of the 19th century a considerable part of France's East policy was centered on Georgia. This is evidenced by a special place of Georgia in the treaty of Finkenstein. After Russia consolidated its position in the region Georgia drew France's attention as a transit trade route. During confrontation between Britain and Russia over Iran and Central Asia (so called "The Great Game") France wasn't an active actor, therefore political interest in Georgia was put on a back burner. Despite this during the 19th century Georgia and its capital Tbilisi still attracted the French economically. French travelers' records regarding multi-ethnic and multi-confessional population of Tbilisi, as well as demonstrating its transformation from an Asian to a European city are particularly important.

ირინე ნაჭყებია, გიორგი სანიკიძე

საქართველოს ადგილი XIX საუკუნის ევროპა-ირანის ეკონომიკურ ურთიერთობებში: დაუსრულებელი და განუხორციელებელი პროექტები[1]

ევროპელებმა საქართველოს, კერძოდ კი მის დედაქალაქ თბილისს XIX საუკუნემდეც მიაქციეს ყურადღება, როგორც საუკეთესო სატრანზიტო გზას აღმოსავლეთთან, უპირველესად კი ირანთან ვაჭრობისათვის, თუმცა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები მხოლოდ XIX საუკუნეში გადაიდგა. საქართველოს მიმართ ეკონომიკურმა დაინტერესებამ კი თავისთავად გამოიწვია ქვეყნის პოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდა. წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს გზით ევროპა-ირანის ვაჭრობის სხვადასხვა ასპექტი, ირან-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები და ის ზოგიერთი პროექტი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ მნიშვნელობას გაზრდიდა, ყურადღება გამახვილებულია ამ პროექტების დასრულებლობისა და განუხორციელებლობის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზეზებზე.

XVIII ს-ის 60-იან წლებში ფრანგი მოგზაური პეისონელი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „თბილისი მართლაც წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილს სპარსეთთან ვაჭრობის დასამყარებლად."[2] იქვე ავტორი დასძენდა, რომ „თბილისში ხანდახან არის ყოველგვარი სპარსული საქონლის შეძენის შე-

1 წინამდებარე სტატიის მცირე ვერსია, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის (#FR/269/1-10/14) ფარგლებში, სახელწოდებით „საქართველოს სავაჭრო-სატრანზიტო მნიშვნელობა XIX საუკუნის ირანისა და ევროპის ურთიერთობებში", გამოქვეყნდა ჟურნალში „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", IX, 2016.

2 M. de Peyssonel, *Essay sur les troubles actueles de Perse et de Géorgie*. Paris, 1754, 153.

საძლებლობა. ეს საქონელი იქ მოდის განჯიდან, შემახიდან, თავრიზიდან, ერევნიდან და არზრუმიდან.“[3]

XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში თბილისიდან ყოველდღიურად 150-დან 200-მდე სავაჭრო საქონლით დატვირთული ურემი გადიოდა, მათ შორის ირანის ქალაქებისკენ (პირველ რიგში, თავრიზისაკენ).[4]

ირანთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული დასავლეთ საქართველოს ქალაქებსაც, კერძოდ კი ქუთაისს. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ქუთაისი კარგი სავაჭრო ქალაქია, რადგან ისეთ ადგილას დგას, სადაც ყოველ მხრით ადვილად მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით... ქართლიდან მოდიან ქართლელები და ირანელები, რომელთაც ჩამოაქვთ ძვირფასი ირანული შალები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სანელებელი.“[5]

დონ ჯუზეპე მილანელის ცნობით, სამეგრელოს მთავარი ირანსა და დასავლეთ ევროპელ ვაჭრებს შორის შუამავლად გამოდიოდა ირანული აბრეშუმის გაყიდვის საქმეში.[6]

საინტერესოა, რომ XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული, საქართველოდან ირანში გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი. უცხოელი და ადგილობრივი ვაჭრები დიდ მოგებას ნახულობდნენ ქართული აბრეშუმის ფაბრიკატის აღმოსავლეთის ქვეყნებში ექსპორტით.

საექსპორტო ნედლეულიდან განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს ენდრო. XVIII საუკუნის მიწურულისათვის სპარსეთსა და თურქეთში გატანილი ენდროს წლიური ღირებულება 10 ათას მანეთს აღწევდა.[7] ბევრად უფრო მრავალფეროვანი იყო ირა-

---

3 *იქვე.*

4 K. Salia. *Histoire de la nation géorgienne*, Paris, 1980, 365.

5 ა. ლამბერტი. *სამეგრელოს აღწერა.* იტალიურიდან თარგმნა ა. ჭყონიამ. თბილისი, 1937, 46.

6 ციტ. დ. კაციტაძე. *ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიიდან.* თბილისი, 1986, 25.

7 მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა (რედ.), *თბილისის ისტორია*, I. თბილისი, 1990, 357.

ნიდან საქართველოში შემოტანილი საქონელი, რომელიც შემოჰქონდათ როგორც ადგილობრივ, ისე ირანელ ვაჭრებს. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში არაერთი ცნობაა დაცული ამ საქონლის თაობაზე. ხშირად იხსენიება ირანში დამზადებული როგორც უბრალო, ისე ძვირფასი ქსოვილები. „XVIII საუკუნის ბოლო წლების ქართულ საბუთებში ხშირადაა დასახელებული ხოის ლეინი, ისფაჰანის ჩითი, განჯის შეიდიში, თავრიზის თავთა, ქაშანის ლურჯი შეიდიში, ისფაჰანის ჩარდა, ხოლის ჩითი, ქაშანის ჩარდა, თავრიზის ჩარდა."[8]

XVII-XVIII სს-ში ირანიდან საქართველოში შემოჰქონდათ ძვირფასი ქვებიც.

საქართველო ირანის ქალაქების საშუალებით ჩაბმული იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების და ევროპის საერთაშორისო ვაჭრობაში. რუსი ავტორის, ბურნაშოვის ცნობით, ქართველ ვაჭრებს საქართველოს გავლით რუსული საქონელი გაჰქონდათ სპარსეთისა და ინდოეთის ბაზრებზე. საწინააღმდეგო მიმართულებით კი გაცილებით დიდი რაოდენობის საქონელი შემოჰქონდათ.[9]

საქართველოს ვაჭრობა ირანთან რუსეთის იმპერიაში გაერთიანების შემდეგაც ინტენსიური იყო და ძველი, ტრადიციული წესებით გრძელდებოდა. შორეულ გზებზე მიმავალ ქარავნებს მიაცილებდნენ შეიარაღებული ქართული რაზმები ე.წ. ქარავანბაშების მეთაურობით, რომლებიც გასამრჯელოს საქონლით დატვირთული ურმების რაოდენობის მიხედვით ღებულობდნენ – თითო მანეთს ყოველ ურემზე. ქარავანბაშთა რაზმები 1817 წლამდე არსებობდნენ. შემდეგში კი ისინი რუსთა ჯარებმა შეცვალეს.[10]

მდგომარეობა არ შეცვლილა რუსეთ-ირანის ომის დაწყების შემდეგაც. ომის მიუხედავად, საზღვრები სპარსეთსა და რუსეთს შორის ღია იყო და კომერციული ურთიერთობები არ შეწყვე-

---

8 იხ. ივ. ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის,* III. თბილისი, 1962, 195-197, 200, 202-203.

9 С. Д. Бурнашев. *Картина Грузии или описание состояния царства Карталинского и Кахетинского*. Тифлис, 1896, 47.

10 *АКАК – Акты, собранные Кавказской археологической комиссией,* т. I-XII. Тифлис, 1866-1904, т. V, 1,8.

ტილა. „საგანგებოდ არის აღსანიშნავი, რომ რუსეთ-სპარსეთის უკანასკნელი ომის დროს საქართველოსთან ვაჭრობა საერთოდ არ შეწყვეტილა. ქარავნები თბილისში ისე მიდი-მოდიოდნენ, როგორც მშვიდობიანობის დროს."[11] რუსეთის ხელისუფლებამ ამ ეკონომიკურ კავშირებს პოლიტიკურად მომგებიანადაც მიიჩნევდა.

საქართველოდან ირანსა და თურქეთში გაჰქონდათ თბილისელი ვაჭრების მიერ მოსკოვის, მაკარიევის და რუსეთის სხვა ქალაქების ბაზრობებიდან ჩამოტანილი რუსული მრეწველობის ნაწარმი, ადგილობრივი საქონლიდან ოქროსა და ვერცხლის ბუზმენტები, ქართული ოქრომკერდით ნაქარგი ქსოვილები, დიდი რაოდენობით ენდრო და სხვ.[12]

მაგრამ საუკუნის დასაწყისში თბილისელი ვაჭრების კონტაქტები რუსულ ბაზართან მაინც არ ყოფილა მჭიდრო. მთავარი ადგილი ისევ ადგილობრივ ბაზარზე სპარსეთიდან და თურქეთიდან შემოტანილ საქონელს ეკავა. კავკასიაში რუსეთის იმპერიის მთავარსარდალი ტორმასოვი აღნიშნავდა, რომ აქაურ ვაჭრებს თითქმის არ უხდებოდათ რუსეთის ქალაქებში ყოფნა, მთელი მათი სავაჭრო ოპერაციები სპარსეთთან და საერთოდ აზიის ქვეყნებთან იყო დაკავშირებული.[13]

საქართველოში მეზობელი სახანოებიდან, სპარსეთისა და თურქეთის პროვინციებიდან ჩამოდიოდნენ ვაჭრები, რომელთაც ჩამოჰქონდათ თავიანთი ქვეყნების საქონელი. ამ დროისათვის აზიის ქვეყნებიდან საქართველოში წლიურად სულ 800 ათასი მანეთის (ვერცხლით) ღირებულების აბრეშუმი, ბამბა, აბრეშუმის, ბამბისა და სალის ქსოვილები, შაქარი, ყავა, სანელებლები, ფოლადი, ტყვია და სხვა წვრილმანი საქონელი შემოჰქონდათ. 1812 წლის ცნობით, საქართველოში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ირანიდან პირველი მოთხოვნილების თუ ფუფუნების საგნები. საქართველოდან ირანში გაჰქონდათ ნადირის ბეწვეული, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები, სქელი ტილო,

11 I. Natchkebia. Tbilissi – Porte de la Perse à la limite des XVIIIe et XIXe siècles, *Orientalist*, I, 2001, 197-204.

12 *AKAK*, IV, # 37.

13 იქვე.

შავი გიშერი, ცვილი და სხვ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ქართულ ოქროსქსოვილებზე. მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სპარსული ვერცხლის მონეტა აბაზი (80 ფრანგული სანტიმი) ამ პერიოდში მიმოქცევაში იყო ამიერკავკასიის ყველა პროვინციაში.[14]

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთ-სპარსეთის ომამდე თბილისს არ ჰქონდა განსაკუთრებული სავაჭრო და სატრანზიტო გზის ფუნქცია ირანსა და დასავლეთს შორის. ეს ფუნქცია ქალაქმა გამოკვეთილად ომის შემდეგ მიიღო. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი იყო საფრანგეთის დაინტერესება, რომელსაც სურდა ინგლისის შევიწროება აღმოსავლეთის ბაზრებზე.

ფინკეშტეინის ხელშეკრულების შემდეგ (1807 4 მაისი) გენერალი გარდანი ჩავიდა სპარსეთის სამეფო კარზე მოკავშირის სტატუსით. ტილზიტის ზავმა (1807 წლის 4 ივლისი) მას საშუალება მისცა უკან დაბრუნებულიყო თბილისის გავლით. ფრანგული მისიის ამ გზამ პირველად მონიშნა თბილისი, როგორც სატრანზიტო ქალაქი სპარსეთსა და ევროპას შორის.[15]

სწორედ აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობებისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების მიზნით თბილისში გაიხსნა საფრანგეთის საკონსულო და კონსულად დაინიშნა ჟაკ-ფრანსუა გამბა. ის შავი ზღვის, შესაბამისად საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელობის შესახებ წერდა: „ღონისძიება, რომლის გატარებაც აუცილებელი იქნებოდა ინგლისის მონოპოლიისა და მისი მოჭარბებული სიძლიერისათვის ზღვარის დასადებად და ევროპის გასათავისუფლებლად მისი გავლენისაგან, გახლავთ ევროპისა და აზიის გაერთიანება, მათი ურთიერთდაკავშირება შავი ზღვით, ე.ი. ჩაკეტილი ზღვით."[16] ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციას კი ტავისთავად უნდა მოჰყოლო-

---

14 მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა (რედ.). *დასახ. ნაშრ.*, 80-81.

15 I. Natchkebia. Op. cit., 201.

16 J.-F. Gamba, , *Voyage dans la Russie méridionale, et particulièrement dans les provinces situées au-delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824 par la chevalier Gamba, consul du roi à Tiflis,* t. I-II, Paris. 1826; ჟ.-ფ. გამბა. *მოგზაურობა ამიერკავკასიაში.* ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. ტ. 1, თბილისი, 1987, 36.

და საფრანგეთის პოლიტიკური ზეგავლენის გაზრდა ინგლისის როლის შემცირების ხარჯზე.

1813 წლის ზავის შემდეგ ირანთან ვაჭრობა გაუმჯობესდა. გოლესთანის ხელშეკრულებით დაწესდა მეტად მცირე საბაჟო გადასახადი ირანიდან შემოტანილ საქონელზე 5%-ის ოდენობით. შეღავათიანი და თითქმის თავისუფალი საგარეო ვაჭრობის დროს ადგილობრივმა ვაჭრებმა ფულადი კაპიტალი დააგროვეს. მთავარი სატრანზიტო გზის (რედუტ-კალე-თბილისი-ბაქო-ირანი) გასწვრივ მცხოვრებთ საქონლის გადაზიდვით ფულის შოვნის საშუალება მიეცათ.

ამიერკავკასიაში ჩაყენებული რუსის ჯარების მომარაგების აუცილებლობა, საფრანგეთის კაპიტალთან კავშირი და ინგლისთან მეტოქეობა, ხოლო საბოლოო ანგარიშში თავისი პოზიციების განმტკიცება საქართველოში აიძულებდა რუსეთს, რომ აქ დროებით „ვაჭრობის თავისუფლება“ გამოეცხადებინა. ამ დროისათვის რუსეთში აზიასთან ვაჭრობის ამოცანა შემდეგნაირად ესახებოდათ: რუსეთი უნდა ჩაბმულიყო ევროპისა და აზიის ვაჭრობაში. იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით უნდა გამხდარიყო სატრანზიტო ქვეყანა ევროპასა და აზიას შორის საქონლის გაცვლაში. სამხრეთ კავკასიის თანდათანობითი დაპყრობის შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა იდეა შავი და კასპიის ზღვების სავაჭრო გზის გადაბმის შესახებ. ამიერკავკასია ერთგვარ ბუნებრივ ხიდს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის და მოსახერხებელი გზა იყო სატრანზიტო ვაჭრობისათვის. რუსეთი შეეცადა სწორედ ეს სატრანზიტო გზა აღედგინა და 1821 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით სამხრეთ კავკასიაში შემოღებულ იქნა შეღავათიანი ტარიფი, რომლის მიხედვითაც ევროპიდან შემოტანილ საქონელზე საბაჟო გადასახადი დაწესებული იყო საქონლის ღირებულების მხოლოდ 5%-ის ოდენობით და ნებადართული იყო ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი ამიერკავკასიის გავლით ირანისაკენ. შეღავათიანი ტარიფი წესდებოდა 10 წლის ვადით, მისი განხორციელება 1822 წლის 1 ივლისიდან დაიწყო. ამიერიდან სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, ოდესა-რედუტ-კალე-თბილისის გავლით უნდა წარმართულიყო ევროპის ვაჭრობა აზიასთან: „1821 წლის 8 (20) ოქტობრის უკაზით, უცხოეთიდან საქართველოში

შემოსული ყოველგვარი საქონელი დაიბეგრება ამ საქონელზე გამოცხადებული ფასის მხოლოდ 5%-ით, მსგავსად გოლესთანის ხელშეკრულების საფუძველზე ირანიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებული ბაჟისა."[17]

საგულისხმოა, რომ აღნიშნული პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები საიდუმლოდ მიმდინარეობდა, რადგანაც „გამჭრიახ ინგლისელებს არ გამოეპარებოდათ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ამ აზრის გაზიარების საფრთხე, მაგრამ ერმოლოვის მიერ ეს საქმე იმდენად სწრაფად განხორციელდა, რომ ინგლისურ დიპლომატიას აღარ დარჩა მისთვის ხელის შეშლის შესაძლებლობა."[18]

ამგვარად, სატრანზიტო კანონი ითვალისწინებდა რუსეთის საიმპერიო ტარიფთან (25-50%) განსხვავებით როგორც შემოტანილ, ისე გატანილ და ტრანზიტულ საქონელზე მეტად შეღავათიანი ბაჟის გადახდას. ასეთი შეღავათით რუსეთი ევროპულ საქონელს გზას უხსნიდა ამიერკავკასიისაკენ, აქედან კი შუა აზიასა და ირანისაკენ, რადგანაც რუსეთს მაშინ არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ეს ქვეყნები საკუთარი სამრეწველო საქონლით. სამამულო მრეწველობის განვითარებით რუსეთის მაშინდელი მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ 10 წლის შემდეგ შესძლებდნენ ევროპულ საქონელზე დაწაფებულ მომხმარებელთა დაკმაყოფილებას. კანონი გამოიწვევდა ტრაბზონ-არზრუმის გზის გადმონაცვლებასაც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც ფიქრობდნენ, „გააძლიერებდა რუსეთის პოლიტიკურ გავლენას ევროპის კონტინენტზე და ირან-თურქეთის მიმართაც."[19]

განსაკუთრებით გაიზარდა შავ ზღვაზე საქართველოს პორტის, რედუტ-კალეს (ყულევის) მნიშვნელობა. „რედუტ-კალე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ყველაზე უფრო გამოცოცხლებული ნავსადგური იყო..., რომელიც წლების მან-

---

17 ჟ.-ფ. გამბა, *დასახ. ნაშრ.,* 235.

18 *Сборник сведений о Кавказе*, изд. под ред. Н. Зейдлица. т. 2, Тифлис, 1872, 343.

19 ფ. ბოდენშტდეტი. *ათას ერთი დღე აღმოსავლეთში.* თარგმანი შესავალი წერილით ა. გელოვანისა. თბილისი, 1965, 170.

ძილზე ითვლებოდა სპარსეთსა და ევროპას შორის გამართული სავაჭრო ოპერაციების შემაკავშირებელ ცენტრად."[20] აქ ვაჭრობდნენ სპარსელებიც.[21] რედუტ-კალე ყირიმის ომის დროს განადგურდა.[22]

მართალია, 5%-იანი ტარიფი და თავისუფალი ტრანზიტი ნიშნავდა სამხრეთ კავკასიის და ირანის ბაზრების ევროპის ქვეყნებისათვის, კერძოდ საფრანგეთისათვის ხელში ჩაგდებას, მაგრამ რუსეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ შეღავათიანი ტარიფის ვადაში, 10 წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიისა და ირანის ბაზრები გაფართოვდებოდა, გაიზრდებოდა მოთხოვნილება ევროპულ საქონელზე და ვადის დამთავრებისას, უკვე შექმნილ ბაზრებს რუსეთის ბურჟუაზია გააკონტროლებდა.

ამ ბრძანებულებამ დიდი ბიძგი მისცა საქართველოში ვაჭრობის განვითარებას და ქვეყანა, პრაქტიკულად, მსოფლიო ვაჭრობის საქონელბრუნვაში ჩააბა.

მიუხედავად იმისა, რომ შეღავათიანი ტარიფი გარკვეულწილად ინგლისელთა წინააღმდეგ იყო მიმართული და უპირველესად საფრანგეთის ინტერესებს ემსახურებოდა, ამ პერიოდში ინგლისელებიც სარგებლობდნენ საქართველოს სატრანზიტო გზით.[23] საფრანგეთის კონსული თბილისში გამბა 20-იანი წლების შუა ხანებში წერდა: „ტფილისზე გავლით უკანასკნელ ხანებში მრავალი ინგლისელი ბრუნდება ინდოეთიდან ევროპაში. ბომბეიდან გამოსული ისინი ზღვით 15-20 დღეში აღწევენ ბენდერბუშერის ნავსადგურს სპარსეთის ყურეში. ამ ნავსადგურში არის ინგლისის გენერალური კონსული, ინგლისელები აქ დიდი

---

20 *იქვე.*

21 კარლ კოხის და ო. სპენსერის მოგზაურობა საქართველოსა და კავკასიაში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბილისი, 1981, 140.

22 რედუ-კალეს მნიშვნების შესახებ აღნოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობებში იხ. მ. პაჭკორია. *რედუტ-კალე.* თბილისი, 1968; К. Спасский-Антонов, Редут-Кале. *Отечественные записки*, 55, VIII, 1847, 21-33.

23 Sanikidze, George "A Historical Survey of the Georgian-Iranian Relations in the Nineteenth Century." *Journal of Persianate Studies*. Leiden: Brill, v.1, No.2, 2008, pp. 148-173.

ვაჭრობას ეწევიან, ავრცელებენ აქედან მთელ სპარსეთში ინდოეთისა და თავიანთი სამშობლოს მანუფაქტურას. ბენდერ-ბუშერიდან ისინი ექვს კვირაში ადვილად აღწევენ ტფილისს ქარავნებით."[24] ამგვარად, საფრანგეთი პოლიტიკურად მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა.

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების განმავლობაში თბილისის საბაჟოში სპარსეთიდან უმთავრესად შემდეგი საქონელი შემოდიოდა: ბამბა, ნარმა, ბუზმენტები, შალის საბნები, ოქროქსოვილები, დარაია, შალები, თავშლები, ხალიჩები, ქეჩა, აბრეშუმის ქსოვილები და ნართი, სხვადასხვა ბეწვეული, მარილი და სხვ.[25] 1827 წელს თბილისის საბაჟოში შემოტანილი იყო ევროპული საქონელი 383 090 მანეთისა, სპარსული საქონელი – 1 116 696 მანეთისა ვერცხლით.[26] შეღავათიანი ტარიფის მოქმედების 10 წლის განმავლობაში საშუალო წლიური შემოტანა საქონლისა 1 700 000 მანეთს უდრიდა.[27]

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების მიწურულს, 1831 წელს, თბილისში შეიქმნა „კავკასიის სავაჭრო დეპო." ამ კომერციული კავშირის საქმიანობა ირანთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას ისახავდა მიზნად: „ირანელი ვაჭრები, რომელთაც უცხოური საქონელი თავის ქვეყანაში შეაქვთ კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის გზით, შესაძლებლობა ექნებათ რა იგივე საქონელი სასურველი რაოდენობით შეიძინონ თბილისში, სულ უფრო ხშირად ჩამოვლენ ამ ქალაქში, და ბოლოს, ევროპული ვაჭრობა ირანში, რაც ფასების კონკურენციას ემყარება, დაკარგავს თავის ძალას, რამდენადაც თბილისიდან გაზიდული საქონელი ირანში უფრო იაფი იქნება."[28]

სავაჭრო ურთიერთობების გაღმავებას ხელს უწყობდა ირანელი ვაჭრების დასახლება თბილისში. სოციალური თვალსაზ-

---

24 J.-F. Gamba. *Voyage dans la Russie*..., II, p. 159

25 *AKAK*. VI, 1, 227.

26 *AKAK*. VII, 132.

27 П. Дюкуаси, О заграничной торговле Закавказского края. *Кавказский календарь*, 1853, 410.

28 პ. გუგუშვილი. *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.-ში.* თბილისი, 1979, 261-262.

რისით, ირანის სახელმწიფო ქვეშევრდომთაგან ყველაზე დაწინაურებული ფენა იყო ვაჭრები, შემდეგ მოდიოდნენ ხელოსნები, სხვა მუშაკები და დაქირავებული მუშახელი.

ორსოლი თბილისელ ირანელთა შესახებ წერს: „ამ ირანელთა უმრავლესობა კომერსანტია და გამჭრიახობით გამოირჩევა. უნდა დავუჯეროთ ანდაზას: „საჭიროა ორი ებრაელი, რომ გაქურდოს სომეხი და ორი სომეხი, რომ გაქურდოს სპარსელი."[29]

XIX საუკინის დასაწყისის ავტორი დუნკენ-ველგელი ხატოვნად აღწერს სპარსული სავაჭრო ქარავნის შემოსვლას თბილისში: „ერთ ადგილას გადაგეღობებათ ქარავანი, შემდგარი მრავალი აქლემისაგან, რომელთაც მწყობრი ქანაობით და აუარებელი ზარის ჟღარუნით, თავიანთი კუზებით მიაქვთ სპარსეთის ჭრელი ხალიჩები და ქირმანის მდიდარი შალები."[30]

XIX საუკუნის თბილისში, მსგავსად სხვა აღმოსავლური ქალაქებისა, არაერთი ქარვასლა არსებობდა. ტერმინი XVIII საუკუნეში დამკვიდრდა ქართული ფუნდუკის ნაცვლად. ქარვასლა ერთდროულად იყო სასტუმრო, საწყობი, სავაჭრო ცენტრი და სახელოსნო.

გამბა აღნიშნავს, რომ თბილისის სამი ქარვასლიდან ერთში მხოლოდ სპარსელები ცხოვრობენ.[31] ორსოლი, თავის მხრივ, დასძენს: „თათრული ანუ სპარსული ბაზარი მტკვრის მოპირდაპირე ნაპირზეა; ის შედგება ფართო და მაღალი თაღოვანი დერეფნებისაგან... მაღაზიის წინ ზის მისი მფლობელი ვაჭარი და კლიენტების მოლოდინში ეწევა ყალიანს, სპარსულ ნარგილეს. ამ მოვაჭრეთა უმეტესობა ყიდის სპარსეთიდან იმპორტირებულ აბრეშუმის ქსოვილებს და ხალიჩებს..." ქარვასლაში „მრავლად აწყვია სპარსული აბრეშუმის ქსოვილები, მოქარგული ნოხები და აღმოსავლეთის სხვა საუცხოო ქსოვილები."[32] თბილისში დიდი რაოდენობით შემოდიოდა სპარსული ხალიჩები, ძირითადად თავრიზიდან.

---

29 E. Orsolle, *Le Caucase et la Perse*. Paris: Plon, 1885, 43.

30 А. Дюнкан-Велинг, Письма к петербургскому знакомому. *Кавказ*,1853; მ. პოლიევქტოვი, გ. ნათაძე, *ძველი თბილისი*. თბილისი, 1930, 95.

31 J.-F. Gamba, *Op. cit.*, II, 160-164.

32 E. Orsolle, *op. cit.*, 43.

თბილისის ერთერთი ყველაზე ცნობილი მაღაზია იყო გ. მ. ახშარუმოვის „სპარსული და კავკასიური მაღაზია."[33]

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივშია დაცული ნაპოლეონის არმიის ექს-ოფიცრის, ლეიტენენტ თეოდორ ეტიეს (1795-1846) 1822 წლით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი „ჩანაწერები სპარსეთის შესახებ". ბურბონების მეორე, 1815-1830 წლების, რესტავრაციის შემდეგ უმუშევრად დარჩენილი ეტიე 1820-1821 წლებში მეფისწულ აბას მირზას სამხედრო სამსახურში შევიდა, სპარსეთში დაუახლოვდა ალექსანდრე გრიბოედოვს. 1821 წლის აგვისტოში ფრანგმა ოფიცერმა მეფისწულის სამსახურს დაანება თავი, რუსეთის მისიისგან რუსეთის ტერიტორიაზე გასავლელი უფლება მიიღო და იმავე წლის ნოემბერში ნოემბერში გრიბოედოვთან ერთად გაემგზავრა. 1822 წლის იანვარში მან თავისი „ჩანაწერები" 1819-1827 წლებში სანკ-პეტერბურგში საფრანგეთის ელჩს, გრაფ დე ლა ფერონეს[34], გადასცა. „ჩანაწერები" ოთხი თავისგან შედგება და მასში მოცემულია ცნობები სპარსეთის პოლიტიკური და სავაჭრო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებითი ბარათის მეოთხე ნაწილი ეხება საფრანგეთ-სპარსეთის ვაჭრობის გეგმებს თბილისისა და შავი და კასპიის ზღვების ჩართვით.

თეოდორ ეტიეს აზრით, ერთადერთი სანაოსნო გზა ზამთარში შავი ზღვა იყო, ამასთან მეტად ნათელი და თვალსაჩინო იყო ამ გზით საქართველოსა და სპარსეთს შორის ვაჭრობის უპირატესობაც: მარსელიდან რედუტ-კალემდე ტვირთის გადატანის ხარჯი მხოლოდ ერთი პროცენტით აღემატებოდა მარსელიდან კონსტანტინოპოლამდე ტვირთის გადატანის ხარჯს. კონსტანტინოპოლიდან თავრიზამდე პირველი ხელის საქონელზე მოგება, მისი გადაზიდვა და საბაჟო გადასახადი კი სხვადასხვა საფაშოებში შედარებით მცირე წონის საქონელზე, ისეთზე, როგორიც მაუდი იყო, საშუალოდ 50 პროცენტით იმატებდა, ხოლო სხვა სახის საქონელზე კი – 40 პროცენტით. ეტიეს რწმე-

33 *სცია – საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი.* ფ. 254, 3, დოკ. 3505, 1-57. И. Анчабадзе, Н. Волкова, *Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке*. Москва, 1990, 103.

34 ალბერ დე ლა ფერონე (Albert *de la Ferronnays) იყო საფრანგეთის ელჩი სანკტ-პეტერბურგში 1819-1827 წლებში.*

ნით, ბაღდადის, არზრუმისა და კონსტანტინოპოლის ვაჭრობაც გეზს ტიფლისისაკენ შეიცვლიდა, ვაჭრები კი უფრო დიდ მოგებას მიიღებდნენ.[35] საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გვაფიქრებინებს, რომ ამ საკითხზე წერის დროს ეტიესათვის უკვე ცნობილი იყო 1821 წლის შემოდგომაზე თურქეთში აბას მირზას შეჭრის შესახებ, რითაც დაიწყო 1821-1823 წლების თურქეთ-სპარსეთის ომი. თეოდორ ეტიესვე ცნობით, საქართველოსა და რუსეთის მმართველობაში მოქცეულ მხარეებში რუს და უცხოელ ვაჭრებს ჰქონდათ პრივილეგიები, მაგრამ მეტ სარგებელს სპარსეთთან ვაჭრობა მოიტანდა, რადგან ხალხის დაბალი ფენა საქართველოსა და სპარსეთში ერთნაირად ღარიბი იყო, ხოლო საშუალო და მაღალი ფენა სპარსეთში – გაცილებით უფრო შეძლებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა სპარსეთისაზე უფრო ღარიბი იყო, იმჟამად არსებული სიმშვიდისა და უსაფრთხოების გამო მეტად სარფიანი იქნებოდა იქ საბითუმო ვაჭრობის წარმოება, რადგან შესაძლებელი იქნებოდა საექსპორტო საქონლის დიდი თანხით მონოპოლიზირება და ფასების დადგენა იმპორტულ საქონელზე. ეს მეტად ადვილი განსახორციელებელი იქნებოდა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და მის მიდამოებში ვაჭრობა იმჟამად ადგილობრივი ვაჭრების ხელში იყო, რომელთაგან უმდიდრესს ხშირად 2,000 დუკატიც[36] კი არა ჰქონდა. საქონლის შესაძენად ვაჭარს ამ თანხით თვითონ უნდა მოევლო რუსეთის ან კონსტანტინოპოლის ბაზრები თუ ბაზრობები, შემდეგ მის გადაყიდვას დალოდებოდა, რასაც ხშირად დიდი დრო სჭირდებოდა და ოჯახიც ამ მოგებით უნდა ერჩინა.[37] როდესაც ვაჭრობა კარგად აეწყობოდა და იმერეთიდან (როგორც ჩანს ეტიე იმერეთში ქუთაისს გულისხმობს) ბაქომდე კავშირი გაიოლდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა მის მიდამოებში უსაფრთხო ნავსადგურის შერჩევა და იქ ასიოდე ტონიანი გემის დაყენება. ის წელიწადში

35 MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 259v-260r.

36 დუკატი [რუს. червонец] – სამი მანეთის ღირებულების რუსული ოქროს ფული, რომელსაც მე-18 საუკუნიდან ჰქონდა გასავალი რუსეთში. რუსეთში დუკატს 1701-1855 წლებში ჭრიდნენ, მას ჩერვონეცი ეწოდებოდა და 3,6 გ-ს იწონიდა.

37 MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 260r-260v

ორჯერ განსაზღვრულ დროს იმოძრავებდა კასპიის აღმოსავლეთ სანაპიროებზე და ადგილობრივ მოსახლეობას მათთვის საჭირო ყოველგვარ საქონელს ჩაუტანდა, სანაცვლოდ კი ექსპორტისთვის საჭირო საქონელს წამოიღებდა. რეიდზე მდგომ გემს კანტორის და საწყობის ფუნქცია ექნებოდა, საქონელს კი ადგილობრივ ვაჭრებთან შეთანხმებით გადაზიდავდნენ ხმელეთზე. გემი კასპიის ზღვის ყველა ნაპირს მიადგებოდა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების მიხედვით ვაჭრობა თანდათან გაიზრდებოდა ყოველგვარი რისკისა და დიდი ხარჯის გარეშე. ფრანგული წარმოების საქონლის გასასაღებლად ან მის საექსპორტო საქონელზე გადასაცვლელად, შესაძლებელი იქნებოდა ვაჭრობის დაწყება ყალმუხებთანაც. ეს ვაჭრობა უდანაკარგო და წარმატებული იქნებოდა, უარეს შემთხვევაში კი ისეთივე წარმატება ექნებოდა, როგორიც ასტრახანელ ვაჭრებს ჰქონდათ, რომლებიც იქ მესამე ან მეოთხე ხელიდან აღებულ საქონელს ყიდდნენ.[38]

ეტიემ ვერ მიიღო საფრანგეთის მხარდაჭერა თავისი გეგმის განსახორციელებლად, საცხოვრებლად რუსეთში დარჩა და საავაჭრო გეგმის განხორციელებას ალექსანდრე გრიბოედოვთან ერთად ეცადა. 1823 წლის მაისში გრობოედოვმა, ალექსანდრ ვსევოლოჟსკიმ და ეტიემ კომერციული საქმიანობა წამოიწყეს. ეტიე 1824 წლის 24 ივნისს თბილისის გავლით გაემგზავრა სპარსეთში, 1825 წლის მარტში კი უკვე ჰქონდა „სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობის გეგმა", რომელიც ვერ განხორციელდა არასაკმარისი თანხის გამო.[39] გრიბოედოვისა და ზავილეისკის მიერ 1828 წლელ წარდგენილი პროექტი – "Проект Российской закавказской компании" – რომელიც გენერალმა პასკევიჩმა გააკრიტიკა და არ მიიღო, საქართველოსა და კავკასიაში ოსტ-ინდოეთის კომპანიის მოდელის განხორციელებას ისახავდა მიზნად. ის ნაწი-

38 Théodore Hettier, *Note sur la Perse* (30.01.1822), AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 261r-261v.

39 Н. Кальма, Коммерческие замыслы Грибоедова, *Литературное наследство* (Москва: журнально-газетное объединение, 1935), т. 19-21, 154-176.

ლობრივ ეტიეს მიერ სპარსეთის ვაჭრობის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციასაც ეყრდნობოდა.[40]

ა. გრიბოედოვი თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ეკონომიკური აღორძინების საკითხისადმი. ი. ენიკოლოფოვის აზრით, უეჭველია, რომ იმ დროს (1820 წლების დასაწყისი) თავრიზში დიპლომატიურ მისიით წარგზავნილი გრიბოედოვი თბილისში ტრანზიტული ვაჭრობის შესახებ პროეტის მომზადებაში მონაწილების მისაღებად გამოიძახეს.[41]

გრიბოედოვი კავკასიაში ტრანზიტული ვაჭრობის განვითარების უპირობო მომხრე იყო და დიდი შრომაც გასწია თბილისის აზიასა და ევროპას შორის ვაჭრობის ცენტრად გადასაქცევად. ეს კი დიდი წინააღმდეგობას აწყდებოდა ინგლისის მხრიდან, რომელიც ყოველმხრივ ხელს უშლიდა საფრანგეთისა და გერმანული სახელმწიფოების პოზიციების გამყარებას ირანში. მაგრამ ასევე იწვევდა რუსი ფაბრიკანტების უკმაყოფილებას, უპირველესად ტექსტილისა და შაქრის მწარმოებლებისას, რომელთა შემოსავლებიც შემცირდა. მათ მხარს უჭერდა მტკიცე პროტექციონისტი ფინანსების მინისტრი კანკრინი. კანკრინსა და ერმოლოვს შორის ამ საკითხებზე ინტენსიური მიმოწერა მიმდინარეობდა. 1824 წლის 10 მაისს მინისტრი წერდა ერმოლოვს: „ტრანზიტთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ ამ საკითხს უკიდურესი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რამდენადაც ჩვენი ფაქბრიკანტები უკვე ჩივიან ფრანგული საქონლის მოძალების გამო..“[42] შემდეგ მინისტრი სასურველად მიიჩნევდა რედუტ-კალეში საბაჟოს დაარსებას და იქ შეტანილ საქონელზე ასევე ევროპული ტარიფის დაწესებას, თუმცა იმავდროულად უცხოელ გამბასათვის და მათთვის, ვინც უკვე დააფუძნა იქ სავაჭრო დაწესებულებები, იმ პრივილეგიების შენარჩუნებას, რომლებიც

40 Irene Nachkhebia, Notes of an Ex-Officer of Napoleon: Lieutenant Theodore Hettier's Report *Note sur la Perse* (1822). – Fifth Biennial ASPS (*Association for the Study of Persianate Societies)* Convention in Hyderabad (Maulana Azad National Urdu University – MANUU), India, from January 4th to 8th, 2012, p. 69.

41 И. Ениколопов, *Грибоедов в Грузии*. При участии М. Заверина. Под редакцией О. Поповой. Тбилиси: Заря Востока, 1954, 7.

42 *АКАК*, т. VI, ч. I, № 280, 225.

მათ მიენიჭათ 1821 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით. ერმოლოვი პასუხობდა, რომ ამ შემთხვევაში „ჩვენი კუთვნილი ოლქები დაკარგავს ყველა იმ სარგებელს, რაც ტრანზიტულმა ვაჭრობამ მოუტანა.“[43]

„ჩანაწერი რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის შესახებ“, როგორც ჩანს, 1827 წელს მომზადდა.

გრიბოედოვი ხედავდა, რომ ტრანზიტული ვაჭრობის მოქმედების პერიოდში არ დაარსებულა არც ერთი მსხვილი სავაჭრო დაწესებულება არც რედუტ-კალეში და არც თბილისში; ტრანზიტი არც ამ მხარეში მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი გამოდგა. რუსული საქონელი (ტექსტილი, შაქარი, ქაღალდის ნაწარმი) არ იყო კონკურენტუნარიანი. საშინაო ბაზრისთვის დიდი რაოდენობით საჭირო აბრეშუმი კი ირანიდან საქართველოს გზით უცხოეთში გაჰქონდათ.[44]

ნ. კალმა მიიჩნევს, რომ მოსკოვში მყოფი გრიბოედოვი საკუთარი „კომერციული ჩანაფიქრების“ განსახორციელებლად იძულებული გახდა დაკავშირდებოდა თეოდორ ეტიეს, რომელსაც თავის მხრივ, კავშირი ჰქონდა თბილისში საფრანგეთის კონსულთან და იცნობდა ირანის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. სწორედ გრიბოედოვის სარეკომენდაციო წერილით ჩავიდა ეტიე ირანში.[45]

პროექტით გათვალისწინებული იყო საქართველოში ფაბრიკების, სხვადასხვა ხელობების დასაუფლებლად სკოლების გახნა; რუსეთიდან და უცხოეთიდან ოსტატების მოწვევა და ა.შ. პროექტში დიდი ყურადღება ექცეოდა მხარის ეკონომიკური რესურსების გამოყენების განვიტარებას (მეაბრეშუმეობა შემახას რაიონში, მეღვინეობა საქართველოში, მებამბეობა, ბაქოს ნავთობი და ა.შ.). საგულისხმოა პროექტის ის ნაწილი, სადაც საუბარია კომპანიის საქმიანობაში ადგილობრივთა ჩართვის აუვცილებლობაზე, ვინაიდან „არაფერი დააკავშირებს ისე მყარად

43 *АКАК*, т. VI, ч. I, № 286, 234-235.

44 И. Ениколопов, *Грибоедов в Грузии*, 56.

45 Н. Кальма, Коммерческие замыслы Грибоедова. *Литературное наследство*, 1935, № 19 – 21, 143-176, 160.

რუსებს თავიანთ ახალ თანამოქალაქეებთან კავკასიის გადაღმა, როგორც საერთო და ურთიერთხელსაყრელი სარგებელი."[46]

გრიბოედოვს ასევე ეკუთვნის „ჩანაწერი ქალაქ ტიფლისის ხელახლა აშენების საუკეთესო საშუალებების შესახებ", სადაც ქალაქის განაშენიანებისა და ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის მნიშვნელოვან ხელშემწყობად აქ მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება მიიჩნევდა.[47]

არაერთი ფაქტორიდან გამომდინარე, და არამხოლოდ გრიბოედოვის ტრაგიკული აღსასრულის მიზეზით, ამ პროექტს განხორციელება არ ეწერა – ისე, როგორც „შეღავათიანი ტარიფის" შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკურად არამომგებიანად მიიჩნევდა სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვას. ეს კი სრულად პასუხობდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის სულისკვეთებას.

„შეღავათიანი ტარიფის" მოქმედების პირობებში ამაღლდა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაც.[48] სასურველი ვითარება შეიქმნა ადგილობრივი მრეწველობის ჩასახვა-განვითარებისთვისაც. 1827 წელს რუსეთის მთავრობამ 8 ათასი ვერცხლის რუბლი ასესხა ფრანგ კასტელას აბრეშუმის ფაბრიკის დასაფუძნებლად. კასტელასთან ერთად არაერთი გამოცდილი ხელოსანი ჩამოვიდა საფრანგეთიდან, მაგრამ ფაბრიკაში მომუშავეთა უმრავლესობა ადგილობრივი იყო. მათი რიცხვი ჩეულებრივ 15-დან 20-მდე მერყეობდა, მაგრა ზოგკერ 50-საც აღწევდა. მანქანა-დანადგარები, ბუნებრივია, უცხოეთიდან იყო შემოტანილი.[49]

---

46 А. Грибоедов, Записка об учреждении российской закавказской компании. *Сочинения* . Под ред. Орлова, 1959, 493.

47 А. Грибоедов, Записка о лучших способах вновь построить город Тифлис. *Сочинения*. Под ред. Орлова, 1959, 466-468

48 მ. მგალობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი, ჟაკ ფრანსუა გამბა ვაჭრობის განვითარების პერსპექტივებისა და გარანტიების შესახებ XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოში (თბილისის სტრატეგიული ადგილმდებარეობის ანალიზი). *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 2, თბილისი, 2007, 302.

49 W. Pintner, *Russian Economic Policy Under Nicholas I*. Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1967, 43n.

კასტელას სიკვდილის შემდეგ ფაბრიკა სახელწიფოს მფლობელობაში გადავიდა და არსებობდა 1840-იან წლებამდე. თუმცა, დიდი დანახარჯების გამო, შემდეგ დაიხურა. რუსეთში მრეწველობის თანდათანობით განვითარების პირობებში, ხელისუფლების ჩამოუყალიბდა მოსაზრება, რომ სამხრეთ კავკასია იმპერიისთვის მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებელი უნდა ყოფილიყო და არ არსებობდა რეგიონის ეკონომიკურ განვიტარებაზე ზრუნვის აუცილებლობა.[50]

განსაზღვრული ვადის დასრულებამდე ოდნავ ადრე, რუსეთმა გააუქმა ევროპული საქონლისათვის დაწესებული შეღავათიანი ტარიფი. ევროპულ საფეიქრო საქონელზე 1832 წელს უზარმაზარი ტარიფი დაწესდა. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას სასურველი შედეგები რუსეთის იმპერიისათვის არ მოუტანია. ჩვენი შეხედულებით, რუსეთის ხელისუფლების ამ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ნაჩქარევ გადაწყვეტილებაზე მნისვნელოვანი გავლენა მოახდინა 1826-28 რუსეთ-სპარსეთისა და 1828-1829 რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგებმა. აომ ომებში გამარჯვებით რუსეთის იმპერიამ საბოლოოდ შემიერთა სამხრეთ კავკასია. გაივლო ახალი საზღვრები და ერთ დროს საგარეო ვაჭრობა მხარისათვის საშინაო ვაჭრობად იქცა. რუსეთის ხელისუფლება კი, როგორც ზემოთ ითქვა, სულაც არ იყო დაინტერესებული სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური განვიტარებით.

უცხოურ საქონელზე შეღავათიანი ბაჟებისა და თავისუფალი ტრანზიტის გაუქმებას თვალსაჩინო ცვლილებები მოჰყვა. ევროპიდან ირანისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც XIX ს-ის 20-იან წლებში აღორძინდა, ამიერიდან ძალას კარგავდა. ევროპის „აზიური ვაჭრობის“ მთავარ მაგისტრალს ტრაბზონის გზით კონკურენტი (რედუტ-კალე-თბილისი-ბაქო) ჩამოაცილეს. ტრაბზონში ჩამოყალიბებულმა ინგლისურმა სავაჭრო კომპანიამ აღმოსავლეთის ბაზარი თავისი საქონლით აავსო.[51]

---

50 R.G. Suni, *The Making of the Georgian Nation*. 2nd ed. Bloomigton & Indianapolis: Indiana University Press, 1994, 91.

51 მ. დუმბაძე, (რედ.). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV. თბილისი, 1973, 914.

ტარიფის გაუქმების შემდეგ, ევროპის ქვეყნებსა და ირანს შორის ვაჭრობამ ტრაბზონ-ერზერუმის გზისაკენ გადაინაცვლა. მთელმა მოგებამ, რომესაც თავისუფალი ტრანზიტის შედეგად იღებდა თბილისი და რედუტ-კალე, ტრაბზონ-ერზერუმისაკენ გადაინაცვლა. მრავალმა თბილისელმა ვაჭარმაც არჩია ევროპული საქონლით სატრანზიტო ვაჭრობა ტრაბზონ-ერზერუმის გზით და ამ საქონლის ირანში ჩატანა.

როგორცა აღინიშნა, ტრაბზონში ინგლისური კომპანიის დაარსების შემდეგ საქართველოში უამრავი კონტრაბანდული საქონელი შემოვიდა. რუსეთის იმპერიის მიერ დაარსებული საბაჟოები კონტრაბანდასთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა. კონტრაბანდის გარდა ინგლისური საქონელი, უმთავრესად ბამბის ქსოვილები, ირანული საქონლის სახელით დიდი რაოდენობით შემოდიოდა ამიერკავკასიაში. ინგლისს ბამბის ქსოვილების ნახევრად მზა პროდუქცია მიჰქონდა ირანში. იქ ხდებოდა მათი საბოლოო დამუშავება და ირანული საქონლის მარკით 5%-იანი ბაჟის გადახდით იოლად შემოდიოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.[52] ეს საქონელი კი უფრო იაფი და უკეთესი იყო რუსულ ბამბაქსოვლზე და დევნიდა მას საქართველოს ბაზრიდან. 1843 წლისათვის ასეთი სახით შემოტანილი საქონლის ღირებულებამ 350,000 მანეთს მიაღწია.

ინგლისურმა მიტკალმა და ჩითმა არამხოლოდ განდევნა ირანიდან ანალოგიური რუსული ნაწარმი, არამედ ნაწილობრივ შეცვალა ადგილობრივი ნაკეთობაც, რაც ამიერიდან გაძლიერებით შემოდის ამიერკავკასიაში. მაგალითად, ირანიდან რუსეთის შემოზიდული ბამბაქსოვილი საქონლის ღირებულება უდრიდა 1824 წელს 2,170,000 ვერცხ. მანეთს, ხოლო 1842 წელს კი 7,000,000, ე.ი. ნაცვლად იმისა, რომ რუსეთს გაეძლიერებინა თავისი ტექსტილური ნაწარმით ირანის ბაზრების მომარაგება, მოხდა პირიქით – გაძლიერდა ირანული საქონლის რუსეთის შინაგან ბაზრებზე რეალიზაცია.“ [53]

ინგლისელთა კომერციულ ექსპანსიას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ 1836 წელს რომ მოჰამად შაჰმა მათ უბოძა ფირმანი,

52 *იქვე.*

53 *AKAK*. IX, pp. 662-63.

რითაც უფლება ეძლეოდათ ირანში შეტანილი საქონლისათვის ეხადათ გამოცხადებული ფასის 5% ბაჟი, ე.ი. იგივე უფლება, რაც თურქმენჩაის ხელშეკრულებით მინიჭებული ჰქონდათ რუს ვაჭრებს.[54]

ცხადი იყო, რომ ამკრძალავი ტარიფის შემოღებით რუსეთმა მარცხი განიცადა. მან ამიერკავკასიის ბაზრები თავისთვის ჩაკეტა, მაგრამ რუსეთის მრეწველობის განვითარების დაბალი დონის გამო თავისი საქონლით მათი უზრუნველყოფა ვერ მოახერხა და ამიერკავკასია კონტრაბანდული და ირანის გზით შემოტანილი საქონლით აივსო, ხოლო რუსეთ-ირანის ვაჭრობა დაკნინდა.

თუმცა, ამ ვითარებაშიც არ შეწყვეტილა სავაჭრო კავშირები ირანთან. მაგალითისათვის 1838 წელს თბილისში შეიქმნა (ძირითადად სომეხი ვაჭრების მიერ) „სპარსეთთან ვაჭრობის ამხანაგობა,"[55] რომლის მიზანი იყო სპარსეთის მომარაგება რუსეთის მანუფაქტურული, უპირატესად ტექსტილური ნაწარმით და იქიდან რუსეთის ფაბრიკებისთვის საჭირო ნედლეულის შემოტანა. მაგრამ არსებულ ვითარებაში ამგვარ წამოწყებას დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

ხელისუფლება იძულებული გახდა შექმნილ ვითარებაში გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა, რის შედეგადაც მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა.

ამიერკავკასიის მთავარმართებელი გენ.-ადიუტანტი ნეიდგარდტი მივიდა დასკვნამდე, რომ 1831 წლიდან შემოღებულმა ვაჭრობის სიტემამ მოლოდინი ვერ გაამართლა. მისი შეხედულებით, „ამიტომ... ტრაბზონსა და სპარსეთს შორის გაჩაღებული მთელი ვაჭრობის თბილისში გადმოტანის მიზნით უნდა დაწესდეს სპარსული საქონლის უბაჟო ტრანზიტი ბაქო-თბილისი-რედუტ-კალეს მიმართულებით. ცნობილია, რომ სპარსეთში შეტანილი ევროპული საქონლით ვაჭრები ყიდულობენ განსაკუთრებით გილანურ აბრეშუმს, რაც ახლა საპალნეებით სპარსეთიდან იგზავნება თურქეთში – ტრაბზონისაკენ. უბაჟო ტრან-

54 იხ. М. Рожкова. *Экономическая политика царского правительства*. Москва, 1949,170-190.

55 პ. გუგუშვილი. *დასახ. ნაშრ.*, 161.

ზიტის პირობებში, ბუნებრივია, გზის სიიაფისა და სხვ. გამო ვაჭრები აირჩევენ თბილისის მიმართულებას."[56]

1844 წელს შედგენილ ამიერკავკასიისთან რუსეთის ვაჭრობის მიმოხილვაში აღნიშნულია: „ახლანდელი სახე ამ ვაჭრობისა განისაზღვრა იმ ორი ღონისძიებით, რაც მთავრობამ გაატარა 1828 და 1831 წლებში. ეს იყო 1. თურქმენჩაის ტრაქტატით დადგენილი „სამუდამო" წესი, რომ ამიერკავკასიაში ყოველგვარ შემოზიდულ ირანულ საქონელზე დაიდებოდა მხოლოდ ხუთპროცენტიანი საბაჟო საფასური და 2. 1831 წლიდან შავი ზღვის პორტებზე ფოთიდან ანაპამდე რუსეთის ე.წ. ევროპული, უაღესად პროტექციონისტული, არსებითად ამკრძალავი, საბაჟო ტარიფის გავრცელება.[57]

1846 წლის კანონით გაიხსნა ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი რედუტ-კალესა და სოხუმ-კალეს პორტებიდან თბილის-ნახჭევანის გზით სპარსეთში და სპარსული საქონლისა ბაქოდან რედუტ-კალესა და სოხუმ-კალეს მიმართულებით ევროპაში. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო თურქეთის გზის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება.[58] სამხრეთ კავკასიის ირანთან ევროპის ვაჭრობის სატრანზიტო გზის ხელახალი ამოქმედებით რუსეთის იმპერია იმედოვნებდა საბაჟო შემოსავლების ისევ გაზრდას.

1848 წელს დამტკიცდა დამატებითი წესები, რომელთა მიხედვითაც მხოლოდ თბილისში შეიძლებოდა გაყიდვა სატრანზიტო როგორც ევროპული და კოლონიური, ასევე სპარსული საქონლისა, რა თქმა უნდა მას შემდეგ, რაც წინასწარ იქნეოდა გაკეთებული საბაჟო განაცხადი და გადახდილი დაწესებული საბაჟო საფასური.[59]

1850 წლის იმპერატორის ბრძანებულებით კი განისაზღვრა: „წესები, რაც მიღებულია უცხოური საქონლის ამიერკავ-

---

56 *ПОЦИА – Петербургской отделение центрального исторического архива*. Ф. КК, 1845, док. №134, ч. IV, 60-64; პ. გუგუშვილი. *დასახ. ნაშრ.*, 88.

57 *АКАК*, IX, p. 662.

58 პ. გუგუშვილი. *დასახ. ნაშრ.*, 26.

59 იქვე, 28-29.

კასიის გზით სპარსეთში ტრანზიტისათვის, გამონაკლისის გარეშე გავრცელდეს აგრეთვე თბილისში გზავნილ საქონელზეც, რედუტ-კალესა და სუხუმ-კალეში მათზე ბაჟის აღების გარეშე. თუ აქამდე სატრანზიტო საქონლის ბაჟგადაუხდელად გაჩერება თბილისი საბაჟოში შეიძლებოდა 6 თვის ვადით, ეს ვადა განისაზღვროს ერთი წლით, საქონლის შავი ზღვის პორტებზე მიტანის დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ უცხოურ საქონელზე თბილისში აუცილებლად უნდა აიღონ საბაჟო საფასური, ან აქედან საქონელი გაიგზავნოს ტრანზიტით სპარსეთში."[60]

დამატებით, 1852 წელს დამტკიცდა ამიერკავკასიის ტრანზიტის ახალი წესები, რომლის პირველ პარაგრაფში განცხადებულია, რომ „ევროპული და კოლონიური საქონელი შეიძლება ტრანზიტით, საბაჟო საფასურის გადაუხდელად, ამიერკავკასიაზე გავლით გაიგზავნოს სპარსეთში რედუტ-კალედან, სოხუმ-კალედან და თბილისიდან – ერევნის გზით სპარსეთის საზღვრამდე." მეორე პარაგრაფი იუწყება, რომ „პირუკუ იმავე გზით და ასევე უბაჟოდ ევროპისაკენ ნებადართულია აზიური საქონლის ტრანზიტი."[61]

აღსანიშნავია, რომ 50-იან წლებში ირანიდან იმპორტში მთავარი ადგილი ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილებს ეკავა.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, არამარტო ევროპის, არამედ რუსეთის ქალაქებისკენაც იმატა ირანული საქონლის ნაკადმა. 50-იანი წლების ბოლოს ამიერკავკასიიდან რუსეთის შიდა გუბერნიებში, უმთავრესად ნოვგოროდის ბაზრობაზე, დიდძალი ღირებულების სპარსული საქონელი გაჰქონდათ.[62]

განსაკუთრებით გაიზარდა საქონელბრუნვა 60-იანი წლებიდან. 1863 წლიდან ერზერუმის გზით თურქეთიდან სპარსეთში მიმავალი ტრანზიტის ნაწილის ამიერკავკასიაზე გადმოსვლას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თურქეთმა სპარსეთის

60 *ПОЦИА,* Ф. LL, 1852, док. № 279, 1-119;

61 *ЦИАР – Центральный историчекий архив России*, Ф. 40, опис. 1, док. №14, 206, 417.

62 *სცია,* ფ. 11, ს. 2602, II. 97-99; ფ.11, ს. 7343, I, 53; N. Ter-Oganov, Two Iranian Authors on Tbilisi:Majd os-saltāneh and Yahyā Dowlatābādi. In I. Nathkhebia et F. Hellot-Bellier (sous la dir. de), *La Géorgie et Tbilissi entre la Perse et l'Europe*, Paris: L'Harmattan, 2008, 211.

საზღვარზე დაამყარა „ახალი საკარანტინო წესი.“ ამის შემდეგ დაიწყო ამიერკავკასიის სატრანზიტო ვაჭრობის სწრაფი ზრდა.

1864 წელს კავკასიის ნამესტნიკი, გენერალფელდცეხმაისტერი მიხეილ რომანოვი პეტერბურგში კავკასიის კომიტეტს ატყობინებდა, რომ 1863 წლის დეკემბერში სპარსეთის აზერბაიჯანის ადმინისტრაციამ განკარგულება გასცა, რათა ამიერიდან „ევროპაში და პირუკუ მომავალი ყველა სპარსული სავაჭრო ტრანსპორტი, აგრეთვე მგზავრები და სახელმწიფო ფოსტა მიმოდიოდეს თბილისისა და ფოთის გზით და ითხოვა ხელი შევუწყოთ ამ განკარგულების შესრულების გაადვილებას.“[63]

სავაჭრო-სატრანზიტო კავშირების გაზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სარკინიგზო ქსელის გაზრდას. ფოთი-თბილისის შორის რკინიგზის გაყვანის შემდეგ (1872) ფოთიდან თბილისში მიტანილი სატრანზიტო საქონელი სპარსეთში იგზავნებოდა: 1. თბილისი-ერევანი-ნახევანი-ჯულფას მიმართულებით, შემდეგ აქედან თავრიზამდე. 2. თბილის-ბაქომდე (ბაქოსთან რკინიგზით დაკავშირებამ გააცხოველა ვაჭრობა) ხოლო აქედან ზღვით სპარსეთის სასურველი პორტისა და ქვეყნის სხვა სავაჭრო ცენტრებისაკენ.[64] მაგრამ მოგვიანებით ვითარება შეიცვალა. რუსული საქონლის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, 1883 წელს რუსეთმა გააუქმა სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო გზა. ეს ღონისძიება დაახლოებით ანალოგიური იყო 1832 წლის ბრძანებისა, თუმცა ამჯერად რუსულ საქონელს უკვე ჰქონდა კონკურენციის გაწევის უნარი და ასევე სხვა გზების გამოყენების საშუალება ირანთან ვაჭრობისათვის. ამიერკავკასიის ტრანზიტის აღკვეთამ, რაც ევროპული საქონელს უჭრიდა გზას ირანის მიმართულებით საქართველოს გავლით, ერთბაშად გააძლიერა ჩრდილოეთ სპარსეთში რუსული საქონლის კონკურეტუნარიანობა და შესაბამისად გაიზარდა რუსული ექსპორტი.

ამ გადაწყვეტილების შედეგად დაკნინდა საქართველოს, როგორც ირანისა და ევროპის სატრანზიტო დამაკავშირებელი

63 *ПОЦИА,* Ф. КК, док. № 170, 1-2.

64 М. Герсеванов, Транзитная тифлисско-джульфинская дорога. *Сборник сведении о Кавказе*, т. III, 1875, 565-601.

გზის მნიშვნელობა, თუმცა ეკონომიკური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის არ შეწყვეტილა. 80-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოში შემოტანილი რუსული საქონლის ნაწილი კვლავაც სპარსეთში გასატანად იყო განკუთვნილი. სპარსეთში გადიოდა 1 800 00 მანეთის ფქვილი, 2 300 000 მანეთის რკინა, რკინის ნაწარმი და სხვ.[65]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად პოლიტიკური ურთიერთობების პრაქტიკული გაწყვეტისა, რაც მოჰყვა საქართველოს ინკორპორაციას რუსეთის იმპერიაში და სპარსეთის მარცხს რუსეთთან ომებში, ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსა და ირანს შორის კვლავაც ინტენსიური იყო და საქართველო გამორჩეულ მნიშვნელობას ატარებდა ირანისათვის ევროპულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში. ასევე ნათელი ხდება, რომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დიდი ინტერესს არ იჩენდნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართ და ამგვარ ნაბიჯებს, რუსული კოლონიალიზმის სულიკვეთებიდან გამომდინარე, პოლიტიკურ წამგებიანად თვლიდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოდენშტდეტი, ფრიდრიხ. *ათას ერთი დღე აღმოსავლეთში*. თარგმანი შესავალი წერილით ა. გელოვანისა. თბილისი, 1965.
2. გამბა, ჟაკ-ფრანსუა. *მოგზაურობა ამიერკავკასიაში*. ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. ტ. 1, თბილისი, 1987.
3. გუგუშვილი, პაატა. *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.-ში*. თბილისი, 1979.
4. დუმბაძე, მ. (რედ.). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV. თბილისი, 1973.
5. დუმბაძე, მ., გუჩუა, ვ. (რედ.). *თბილისის ისტორია*, I. თბილისი, 1990.

65 პ. გუგუშვილი. *დასახ. ნაშრ.*, 413.

6. კარლ კოხის და ო. სპენსერის *მოგზაურობა საქართველოსა და კავკასიაში*. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბილისი, 1981.
7. კაციტაძე, დავით. *ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიიდან*. თბილისი, 1986.
8. ლამბერტი, არქანჯელო. *სამეგრელოს აღწერა*. იტალიურიდან თარგმნა ა. ჭყონიამ. თბილისი, 1937.
9. მგალობლიშვილი მზია, მიქიაშვილი, ლელა. ჟაკ ფრანსუა გამბა ვაჭრობის განვითარების პერსპექტივებისა და გარანტიების შესახებ XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოში (თბილისის სტრატეგიული ადგილმდებარეობის ანალიზი). *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 2, თბილისი, 2007, 302-316.
10. პაჭკორია, მ. *რედუტ-კალე*. თბილისი, 1968.
11. პოლიევქტოვი, მ., ნათაძე, გ. *ძველი თბილისი*. თბილისი, 1930.
12. *სცია – საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი*. ფ. 254, ფ. 11.
13. ჯავახიშვილი, ივანე. *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, III. თბილისი, 1962.
14. Gamba, Jacques-François. *Voyage dans la Russie méridionale, et particulièrement dans les provinces situées au-delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824 par la chevalier Gamba, consul du roi à Tiflis,* t. I-II, Paris. 1826.
15. Hettier, Théodore. *Note sur la Perse* (30.01.1822), AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 261r-261v.
16. MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 259v-260r.
17. MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 260r-260v.
18. Nachkhebia, Irene. Notes of an Ex-Officer of Napoleon: Lieutenant Theodore Hettier's Report *Note sur la Perse* (1822). – Fifth Biennial ASPS (*Association for the Study of Persianate Societies)* Convention in Hyderabad (Maulana Azad National Urdu University – MANUU), India, from January 4th to 8th, 2012.
19. Natchkebia, Irène. Tbilissi – Porte de la Perse à la limite des XVIIIe et XIXe siècles. *Orientalist*, I, Tbilisi: Nekeri, 2001, 196-204.

20. Orsolle, Ernest. *Le Caucase et la Perse*. Paris: Plon, 1885.
21. Peyssonel, M. de. *Essaye sur les troubles actuelles de Perse et de Géorgie*. Paris, 1754.
22. Pintner, W. *Russian Economic Policy Under Nicholas I*. Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1967, 43n.
23. Salia, Kalistrate. *Histoire de la nation géorgienne*, Paris, 1980.
24. Sanikidze, George "A Historical Survey of the Georgian–Iranian Relations in the Nineteenth Century." *Journal of Persianate Studies*. Leiden: Brill, v.1, No.2, 2008, pp. 148-173.
25. Suni, R.G. *The Making of the Georgian Nation*. 2nd ed. Bloomigton & Indianapolis: Indiana University Press, 1994, 91.
26. Ter-Oganov, N. Two Iranian Authors on Tbilisi:Majd os-saltāneh and Yahyā Dowlatābādi. In I. Nathkhebia et F. Hellot-Bellier (sous la dir. de). *La Géorgie et Tbilissi entre la Perse et l'Europe*, Paris: L'Harmattan, 2008, 207-216.
27. *АКАК – Акты, собранные Кавказской археологической комиссией,* т. I-XII. Тифлис, 1866-1904.
28. Анчабадзе, И., Волкова, Н. *Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке.* Москва, 1990.
29. Бурнашев, С. Д. Картина *Грузии или описание состояния царства Карталинского и Кахетинского.* Тифлис, 1896.
30. Герсеванов, М.Транзитная тифлисско-джульфинская дорога. *Сборник сведении о Кавказе,* т. III, 1875, 565-601.
31. А. Грибоедов, Записка об учреждении российской закавказской компании. *Сочинения.* Под ред. Орлова, 1959.
32. А. Грибоедов, Записка о лучших способах вновь построить город Тифлис. *Сочинения.* Под ред. Орлова, 1959.
33. Дюкуаси, П. О заграничной торговле Закавказского края. *Кавказский календарь,* 1853.
34. Дюнкан-Велинг, А. Письма к петербургскому знакомому. Кавказ,1853.
35. И. Ениколопов, Г*рибоедов в Грузии.* При участии М. Заверина. Под редакцией О. Поповой. Тбилиси: Заря Востока, 1954.
36. Кальма, Н. Коммерческие замыслы Грибоедова, Литературное наследство (Москва: журнально-газетное объединение, 1935), т. 19-21, 154-176.

37. *ПОЦИА – Петербургской отделение центрального исторического архива.* Ф. КК, 1845.
38. Рожкова, М. *Экономическая политика царского правительства.* Москва, 1949.
39. Спасский-Антонов, К. Редут-Кале. Отечественные записки, 55, VIII, 1847, 21-33.
40. *ЦИАР – Центральный историчекий архив России,* Ф. 40.

Irine Natchkebia, George Sanikidze

THE PLACE OF GEORGIA IN EUROPEAN-IRANIAN ECONOMIC INTERACTIONS IN THE 19TH CENTURY: UNFINISHED AND UNREALIZED PROJECTS

Following the incorporation of Georgia and a large part of the Southern Caucasus into the Russian Empire Georgia gained critical importance for Europeans in terms of trade, at a time when the Ottoman Empire was declining. By the beginning of the 19th century French capital had assumed increasingly important role here. However, the freedom of French capital was restricted by Russia, which tried in every way to promote trade relations with the South Caucasus and use this territory for trade expansion in the East. To achieve hegemony in the South Caucasus French capital had to confront trade companies of British India as well.

During the Iran-Russian war the capital of Georgia generally represented the sphere of military interest of Russia and it hadn't yet assumed the significance as a trade and transit route between the East and West. The town continued trading with the North Caucasus, Iran and Turkey. The population was small, while the city itself was in ruins. It was yet to acquire the function of the capital of a Russian Caucasus and its geopolitical role for Russia's entry in the Middle East.

In order to consolidate its position in Georgia and Transcaucasia, Russia was forced to declare a temporary "freedom of trade" here. Russia's understanding of trade with Asia at the time was as follows: Russia was to engage in trade between Europe and Asia. Thanks to its geographic location it was to become an intermediary power that would be impossible to bypass in the trade between Europe and Asia. After the gradual conquest of Transcaucasia the idea of linking up the trade routes of the Black Sea and the Caspian Sea resurfaced again. Transcaucasia represented a kind of bridge between Europe and Asia and was a very convenient route for transit trade.

As mentioned above, after the incorporation into Russia Georgia's trade links initially were limited to the Near East and the North

Caucasus, although it should be emphasized that these trade relations were quite extensive.

Russia's entry in the region gradually changed the situation. Extending contact with Europe via the north route was made much easier by building the Georgian Military Road.

So called "high preferential tariffs" introduced by the Russian Empire in 1810 represented significant hurdles to European capitals. Despite subsequent amendments customs tariffs remained high and therefore unfavorable for the Europeans. Eventually they managed to have the tariffs reduced. Jacques François Gamba was instrumental in achieving this.

Gamba has a special place among the 19th century authors who wrote on Georgia. He was the first consul of France in Tbilisi. During the Bourbon restoration Gamba prepared and submitted to the French government the *Improving Asia Trade* project. The project envisaged using a transit route that went over Russia (namely the South Caucasus). Minister Richelieu (who previously held office of Governor of Odessa) became interested in the project. The minister considered that the French trade companies must pay particular attention to Georgia. In his view Georgia and its capital Tbilisi could become the hub of transit trade between Europe and Asia. By order of Richelieu Gamba traveled twice in southern parts of the Russian Empire and was eventually appointed consul general of France in Tbilisi in 1821.

The French consulate opened in Tbilisi specifically for the purpose of making use of the Georgian territory for trade with the East.

The Transcaucasia was seen as a bridge between Europe and Asia as it was a convenient route for transit trade. Russia wanted to revive this very transit route, and by the decree of October 8, 1821, preferential tariffs were introduced. Customs-duties imposed on goods imported from Europe were set at only five percent of the price of goods, and transit of European goods bound for Iran via the Transcaucasia was make toll-free. Preferential duties would apply for ten years; the decree took effect on July 1, 1822. From that date onward, the European trade with Asia was to be carried out through South Caucasus, i.e. Odessa-Redut-Kale-Tbilisi.

By such concessions, Russia sought to make way for European goods entering the Central Asia and Iran via the Transcaucasia, as Russia itself was unable to satisfy these countries' needs with its own production. The law was also expected to result in shifting the Trabzon-Erzerum route onto the Transcaucasian territory, and to "strengthen Russia's political influence on the European continent and versus Iran-Turkey as well. The significance of the Georgian port of Redut-Kale (Kulevi) on the Black Sea was especially enhanced.

Although the five-percent tariff concession and toll-free transit meant that European countries and France in particular would secure the markets of South Caucasus and Iran, the Russian government was hoping that a ten-year period of preferential tariffs policy would encourage the markets of South Caucasus and Iran to expand; the demand for European goods would increase, but upon the expiry of this term, Russian bourgeoisie would dominate the emerging markets. This decree gave great impetus to the development of trade in Georgia, and made the country part of the international trade. During this period the transit route of Georgia was used by English as well, despite the fact that preferential tariff was directed against England and served France's interests.

Gamba's activity in the Caucasus was overly dynamic and he even managed to serve his own economic ends as well. Georgia's Commander-in-Chief General A.P. Ermolov received an order from the emperor of Russia according to which Gamba was entitled to set up trade establishments in Georgia and plots of land would be delivered into his possession for farming.

Preferential transit in Transcaucasia during 1821-31 greatly facilitated capital accumulation among merchants and increased therefore their subsequent influence. At the same time the preferential tariff had positive impact on living conditions of the local population as a whole.). Local enterprises started development as well. As early as 1827, the Russian government lent eighty thousand silver rubles to a Frenchman named Castella to build a silk-spinning mill in Georgia. Several skilled workers came from France to work for Castella, but most of the workers – usually fifteen to twenty but sometimes as many as fifty were local. Most of the machinery, of course, was imported.

It is woth to note that A. Griboedov and Th. Ettier supported the "Preferential tarrif" policy. A. Griboedov even created a project concerning the future economic developments of Georgia but this project remained unrealized.

When Castella died, the state took over the plant and ran it until the 1840s. But this outlay of government capital was exceptional, and by the end of the 1820s Russian authorities began to see the Asian continent as a source of raw materials for the embryonic industry of Central Asia. As Russia itself began to initiate some industrial development, Russian official visualized Transcaucasia as a supplier of raw materials rather than area to be developed economically.

Gamba protected interests of France's commercial bourgeoisie and fought against English influence. Interests of Russia and continental Europe had temporarily coincided in confronting England. From the beginning, preferential tariff in Transcaucasia had formidable opponents in Russia, but the fight against preferential tariff began in earnest after Kankin was appointed minister of finance of Russia. Kankin considered that the law of October 8th 1821 was causing great harm to Russia.

During preferential customs and nearly free trade Tbilisi became filled up with cheap European goods. A transit rout going from Europe into Iran was thrown across Redut-Kale-Tbilisi; Russian goods were squeezed out of market even more. A weak Russian industry was losing a lucrative market. Understandably, there were continuous protests by Russian industrialists. Russian bourgeoisie demanded that high excise-duties on European goods be restored.

Shortly before the expiry of the specified term, Russia cancelled preferential customs-tariff set for European goods. In 1832, an extremely high tariff was set for European textile goods. However, this decision did not bring about desired results for the Russian empire. The cancellation of preferential customs-tariffs and toll-free transits on foreign goods led to obvious change. The transit trade route from Europe into Iran that had been revived in the 1820s was now proving inefficient. The main line of Europe's "Asian trade" (Redut-Kale-Tbilisi-Baku) had to rival with the Trabzon route.

Getting undesired results prompted the government of Russia to rectify the situation, although the territory of Georgia didn't gain

significance it had when preferential tariffs were in force. Despite this Georgia and Tbilisi still remained in France's sphere of interests. The French established various types of enterprises here, and the city too gradually acquired a European appearance.

After the cancellation of tariff concessions, trade between European countries and Iran shifted toward the Trabzon-Erzrum route. The profit, which had been gained by Tbilisi and Redut-Kale under toll-free transit now went to Trabzon-Erzrum. Many Tbilisi merchants chose to engage in transit trade using the Trabzon-Erzrum route, by which they delivered European goods to Iran. After the setting up of the British company in Trabzon, goods were smuggled into Georgia in large quantities. Setting up customs by the Russian empire proved ineffective in fighting contraband. But in general, progress and economic success that had been anticipated under the extended preferential tariff was never realized.

თბილისის ქუჩა. ე. რონიას ჩანახატი
თ. ჰორშელტის ტილოს მიხედვით.
Tiflis. – Une rue. Dessin de E. Ronjat,
daprès le tableau de Th. Horshelt

თბილისი. კ. ბაგროვის ლითოგრაფია
(ჟან-ბატისტ-ბენუა ეირიეს ნახატიდან (1820-იანი წლები).

ი. აივაზოვსკი. თბილისის ხედი (1868).

ი. აივაზოვსკი. თბილისის ხედი სეიდაბადიდან (1869).

ვ. ჩერნეცოვი. თბილისის ხედი (1839).

ვ. ტიმი. კავკასიის მეფისნაცვლის სასახლე
გოლოვინის პროსპექტზე (1839).

გ. გაგარინი. ცეკვა თბილისური სახლის ბანზე.



ლუიჯი პრემაცი. თბილისის ხედი.



ჟან-პიერ მუანე. ფანჩატური ბაღში (1858).



ჟან-პიერ მუანე. თბილისის ქუჩა (1858).



თბილისი. საფოსტო ბარათი.

სარეკლამო ფურცელი.

შიიტური „ცისფერი“ მეჩეთი თბილისში.

მეტეხის ციხე და ტაძარი.

თბილისის ქუჩა.

თევზაობა მტკვარზე.

თბილისელი მეთულუხჩე.

ახალგაზრდა მეგრელი ქალი. წიგნიდან:
J.-F. Gamba, Atlas, Voyage dans la Russie Meridionale, par le chevalier Gamba, consul du roi a Tiflis, Paris, 1826.

გ. გაგარინი. ტიფლისელი ქალი. წიგნიდან: Le Caucase pittoresque. Dessiné d'après nature par le Prince Grigori Grigorievitch Gagarine. Texte par le Comte Ernest Stackelberg. Imprime par Plon Freres, Paris, 1847.

გ. გაგარინი. ქართველი თავადის ქალი.წიგნიდან:
Le Caucase pittoresque. Dessiné d'après nature par le Prince Grigori Grigorievitch Gagarine. Texte par le Comte Ernest Stackelberg. Imprime par Plon Freres, Paris, 1847.

სპარსეთის საკონსულოს შენობა

ფირუზას სასახლე.

ფირუზას სასახლის აივნის ჭერი.

3. ტიელმანი. თბილისის ხედი. წიგნიდან: Freiherr Max von Thielmann, Streifzüge in Kaukasus, in Persien und in der asiatischen Türkei, Leipzig, 1875



თბილისის ვაგზლის მოედანი.

„მოცურავე“ წისქვილები მტკვარზე.

ფოთის ნავსადგური.

ხიდი მტკვარზე (ვ. ერმაკოვის ფოტო).

თბილისი. საერთო ხედი (1864).

ჟ. რაული. გურულები (1870-იანი წლები)

ჟ. რაული. იმერლები (1870-იანი წლები)

ჟ. რაული. მეგრელი (1870-იანი წლები)

ჟ. რაული. ხევსური (1870-იანი წლები)

Prince Arfa-ud-Dovleh Mirza Riza Khan Danisch

მირზა რეზა ხან არფა ად-დოულე



მეფისნაცვალ ბარიატინსკის შემოსვლა თბილისში (Prince Alexander Bariatinsky, Russian emperor lieutenant, entering in Tblisi. Created by Godefroy-Durand, after sketch of Blanchard, published on L'Illustration, Journal Universel, Paris, 1857)

კაზაკის ცეკვა თბილისში. წიგნიდან: Old illustration of Cossack dancer in Tbilisi among musicians and crowd holding candles. Created by Blanchard, published on L'Illustration Journal Universel, Paris, 1857.

ლეკურის ცეკვა თბილისში. წიგნიდან: Old illustration of Lezginka dance in Tbilisi. Created by Godefroy-Durand after Blanchard, published on L'Illustration Journal Universel, Paris, 1857.



ნ. ნეი. თბილისის ციხე-სიმაგრე და ქარვასლა



ნ. ნეი. თბილისი (რუსეთის მიერ დაპყრობამდე). წიგნიდან: Napoléon Ney, En Asie Central à la vapeur. Preface de Pierre Véron, dessins de Dick de Longlay, avec deux cartes (Paris: Garnier Frères - Editeurs, 1888)

გ. გაგარინი. რთველი კახეთში.

გ. სანსეფრუსი. ქარვასლა გზაზე. წიგნიდან: Sansrefus, Gaston. De Paris à Tiflis. Impressions de route. Preface de C. Fuster. Dessins de H. Bertaux. Paris: Ernest Flammarion - Editeur, 1897

ნ. სალტიკოვი. თბილისი. წიგნიდან: Tiflis.Voyage en Perse, par le Prince Alexis Saltykoff, Paris: Victor Lecou, Libraire –Editeur, 1854

სასტუმრო „ორიენტი“. სარეკლამო ფურცელი

სასტუმრო „ვეტცელი“. სარეკლამო ფურცელი



სასტუმრო „ლონდონი“

სასტუმრო „კავკაზი“



ზინგერის კომპანიის მაღაზია

ხალიჩების მაღაზია

წიგნის მაღაზია

წყალდიდობა თბილისში 1893 წელს

პავილიონი მუშთაიდის ბაღში



თბილისი. საერთო ხედი

თბილისი. ერივანსკის მოედანი



ნარიყალა (1860-იანი წლები. ვ. ერმაკოვის ფოტო)